World Vision Georgia

unicef

სასკოლო მზაობის პროგრამა

თამაში

სწავლისა და განვითარებისთვის

აღმზრდელის სახელმძღვანელო

სასკოლო მზაობის პროგრამა

სწავლისა და განვითარებისთვის

აღმზრდელის სახელმძღვანელო

საპილოტე ვერსია

თბილისი, 2015

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.
სექტემბერი, 2015 წელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, ისევე როგორც აღმზრდელის სახელმძღვანელო, მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორთა ჯგუფი
სტეფენ საიფერი, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია

სკოლამდელი განათლების კონსულტანტები - მერი მორანი, ანა ჯანელიძე

კოორდინატორი, სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი - ნატო ფანჩულიძე

საგნობრივი ექსპერტები - ბუბა ოჩიაური, ეკატერინე სლოვინსკი, თამარ ჯაყელი

სამუშაო ჯგუფის წევრები - ნინო ალელიშვილი, ია აფთარაშვილი, ცირა ბარქაია, მარიამ გილაშვილი, თამთა კუხალეიშვილი, ქეთევან მელიქაძე, ნანა ფრუიძე, მაია ყუფარაძე

რედაქტორი - თინათინ ცერაძე

ილუსტრატორი - ია გიგოლაშვილი

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 8

ნაწილი I: პროგრამის ძირითადი საფუძვლები 10

თავი 1. თამაში 11
თავი 2. ჯგუფის ერთობა 17
თავი 3. აზროვნება 26
თავი 4. შესაბამისობა 34

ნაწილი II: სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემო და რესურსები 45

თავი 5. ფიზიკური გარემო 45
თავი 6. ჯგუფის რესურსები 55

ნაწილი III: ყოველდღიური საქმიანობები და პროცესები 60

თავი 7. დღის განრიგი 60
თავი 8. საქმიანობები 65
თავი 9. პირველი შეხვედრა წრეში 68
თავი 10. კვლევა და აღმოჩენა 72
თავი 11. ეზოს მოძრავი თამაშები 73
თავი 12. საქმიანობები მცირე ჯგუფებში 76
თავი 13. კვება 76
თავი 14. გარდამავალი პერიოდები 79
თავი 15. შემაჯამებელი შეხვედრა წრეში 82
თავი 16. უსაფრთხოება 84

ნაწილი IV: შინაარსის ორგანიზება: თემა და თემატური მიმართულებები 88
თავი 17. თემა 88
თავი 18. ბუნება და ფიზიკური სამყარო 93
თავი 19. სოციალური და კულტურული სამყარო 101
თავი 20. რაოდენობრივი წარმოდგენები 109
თავი 21. მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება 117
თავი 22. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 127
თავი 23. საშემსრულებლო ხელოვნება 140
თავი 24. ჯანმრთელობა და ჰიგიენა 156

ნაწილი V: დაგეგმვა და შეფასება: პროცესის შემადგენელი ელემენტები 169
თავი 25. დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება: არაფორმალური შეფასება 169
თავი 26. დაგეგმვა 175
თავი 27. ბავშვების საქმიანობისა და განვითარების დოკუმენტირება 189

დანართები 194
ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში 195
სასკოლო მზაობის ჯგუფის რესურსები 211
გამოყენებული ტერმინების განმარტება 217
გამოყენებული ლიტერატურა 220

წინასიტყვაობა

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების ციკლის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარი, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში, ასევე, ზოგადად, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

სასკოლო მზაობის პროგრამა შექმნილია იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდათ 5 წელი და მომდევნო სექტემბერს სკოლის პირველ კლასში მოუწევთ სწავლის დაწყება. სასკოლო მზაობის პროგრამა წარმოადგენს სახლისა და სკოლის უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ რგოლს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების წარმატებულ გადასვლას ნაკლებად ფორმალური გარემოდან (ოჯახი, საბავშვო ბაღი) შედარებით ფორმალურ გარემოში.

სასკოლო მზაობის პროგრამის სახელწოდება - თ-ა-მ-ა-შ-ი წარმოადგენს პროგრამის ძირითადი ცნებების აკრონიმს:

თანამშრომლობა **ა**ღმოჩენა **მ**ოტივაცია **ა**რჩევანი **შ**ემოქმედებითობა **ი**ნდივიდუალობა

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
- დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც შექმნილია საქართველოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვის მიზნით, მოიცავს სამ ძირითად დოკუმენტს. ესენია: სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი) და აქტივობების კრებული.

წინამდებარე აღმზრდელის სახელმძღვანელო წარმოგვიდგენს ბავშვზე ორიენტირებული, თამაშზე დაფუძნებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რჩევებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. სახელმძღვანელო დაეხმარება აღმზრდელებს, გაიაზრონ ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების კანონზომიერებები და მათი გათვალისწინებით წარმართონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. იმის გამო, რომ ყოველი ბავშვი უნიკალურია და სხვებისგან განსხვავებული, არაერთგვაროვანია მათი განვითარების პროცესიც. სახელმძღვანელოს (გზამკვლევის) დახმარებით აღმზრდელები უკეთ შეძლებენ თითოეული ბავშვის განვითარების დონის გათვალისწინებას. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს აღმზრდელებს, რომ წარმატებით შეუწყონ ხელი უკლებლივ ყველა ბავშვის განვითარებას და უზრუნველყონ მათი შეძლებისდაგვარად სრული მონაწილეობა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში. სახელმძღვანელოს ძირითადი პრინციპია საგანმანათლებლო-განმავითარებელი პროცესისთვის ხალისიანი, მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და 5-6 წლის ბავშვების უნარების განვითარება ყველა სფეროში (მათ შორის, სააზროვნო და თანამშრომლობის უნარებისა).

წინამდებარე სახელმძღვანელო მჭიდროდაა დაკავშირებული სასკოლო მზაობის პროგრამის დანარჩენ დოკუმენტებთან - სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტსა და აქტივობების კრებულთან. სამივე დოკუმენტს აქვს ერთი საერთო მიზანი - ბავშვის განვითარების ხელშეწყობა უკლებლივ ყველა სფეროში. ამდენად, აღნიშნული რესურსების გათვალისწინების საფუძველზე აღმზრდელები შეძლებენ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესების უკეთ დაგეგმვასა და წარმართვას.

აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი) შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური მხარდაჭერით. გზამკვლევის შედგენას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტებთან. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა განსაზღვრა იმ პრინციპების, ღირებულებებისა თუ მიდგომებისა, რომლებითაც აღმზრდელები იხელმძღვანელებდნენ ბავშვების სასკოლოდ მომზადების პროცესში. ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაიგეგმა წინამდებარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა, დაიწერა მისი ტექსტი. წიგნში გათვალისწინებულია ბავშვის აღზრდის, განვითარებისა და სწავლების სფეროში ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგები, ასევე წარმატებული უცხოური სააღმზრდელო პრაქტიკების გამოცდილება.

წინამდებარე აღმზრდელის სახელმძღვანელო წარმოადგენს საპილოტე ვერსიას, რომლის დანერგვა საქართველოს სააღმზრდელო დაწესებულებებში დაგეგმილია 2015 სასწავლო წელს.

პილოტირების დასრულებისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პარტნიორ ორგანიზაციებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, განიხილავს პილოტირების ეტაპზე მიღებული უკუკავშირის შედეგებს, რათა გაითვალისწინოს ისინი სასკოლო მზაობის სააღმზრდელო პროგრამის საბოლოო რედაქციაში, რომელიც შემუშავდება 2016 წლისთვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო მზაობის მეთოდოლოგიური რესურსების შექმნის პროცესი წარიმართა საერთაშორისო ორგანიზაციის - "World Vision"-ის საქართველოს წარმომადგენლობის, ფონდ "ღია საზოგადოება -საქართველოსა" და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით. წინამდებარე რედაქციის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოსა და ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

შესავალი

აღმზრდელის სახელმძღვანელო შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან.

I ნაწილში განხილულია სასკოლო მზაობის პროგრამის ოთხი ძირითადი საფუძველი, რომლებსაც ეყრდნობა პროგრამის კონცეფცია და შინაარსი. ესენია:

- **თამაში** - სკოლამდელი ასაკის ბავშვების წამყვანი ქცევა, მისი სახეები და აღმზრდელის როლი;
- **ჯგუფის ერთობა** - სტრატეგიები სასკოლო მზაობის ჯგუფში თანასწორობაზე დაფუძნებული უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად;
- **აზროვნება** - აზროვნების ტიპებისა და ოპერაციების აღწერა, მათი განვითარების ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები;
- **შესაბამისობა** - ინდივიდუალიზებული, ბავშვზე მორგებული სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მნიშვნელობა, უნივერსალური დიზაინის პრინციპები.



II ნაწილი ეთმობა სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპებს და იმ რესურსებს, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვის მრავალმხრივი და სრულფასოვანი განვითარებისათვის.

III ნაწილი წარმოადგენს სასკოლო მზაობის ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობებისა და პროცესების მოკლე მიმოხილვას. მასში თავმოყრილია შემდეგი მასალა: დღის განრიგის ნიმუშები, ძირითადი საქმიანობების აღწერა, დღის განრიგის შედგენის ძირითადი პრინციპები, დღის განრიგის შემადგენელი კომპონენტების დახასიათება (პირველი და შემაჯამებელი შეხვედრა წრეში, კვლევა და აღმოჩენა, მოძრავი თამაშები, საქმიანობები მცირე ჯგუფებში), ბავშვის კვებასთან და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

IV ნაწილში აღწერილია სასკოლო მზაობის პროგრამის შინაარსის ორგანიზების ფორმა. მასში წარმოდგენილია შვიდი თემატური მიმართულება, რომელთა საშუალებით იგება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სასკოლო მზაობის ჯგუფში. თითოეულ თემატურ მიმართულებას

თან ახლავს საქმიანობათა ნიმუშები და რეკომენდაციები თემების დაგეგმვისათვის. თემატური მიმართულებებია:

- ბუნება და ფიზიკური სამყარო;
- სოციალური და კულტურული სამყარო;
- რაოდენობრივი წარმოდგენები;
- წიგნიერება, მეტყველება და კომუნიკაცია;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- ჯანმრთელობა და ჰიგიენა.

V ნაწილი წარმოგვიდგენს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების პრინციპებსა და სტრატეგიებს, კვირისა და თვის გეგმის ნიმუშებს, ბავშვზე დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოების ძირითად პრინციპებს, ბავშვების საქმიანობისა და განვითარების დოკუმენტირების გზებს.

სახელმძღვანელოს დანართის სახით ახლავს დამატებითი ნაწილი - „ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში“, რომელიც სასკოლო მზაობის ჯგუფის ერთი ტიპური დღის მაგალითზე გაგვიცოცხლებს ჯგუფში მიმდინარე პროცესს. „ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში“ საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ, როგორ მოქმედებს აღმზრდელი დღის განმავლობაში, როგორ იყენებს შემოქმედებითად სპონტანურ სასწავლო სიტუაციებს, როგორ ეხმარება ბავშვებს კონფლიქტების დამოუკიდებლად მოგვარებაში, როგორ იყენებს თამაშსა და სახალისო აქტივობებს ბავშვების სწავლისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, როგორ ცვლის დაგეგმილ საქმიანობებს ბავშვების ინტერესებისა თუ საჭიროებების შესაბამისად და სხვა.

სახელმძღვანელოს თან ერთვის აგრეთვე ტერმინთა განმარტება და სასკოლო მზაობის ჯგუფის რესურსების სარეკომენდაციო ჩამონათვალი.

ნაწილი I:

პროგრამის ძირითადი საფუძვლები

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში განხილულია სასკოლო მზაობის პროგრამის ოთხი ძირითადი საფუძველი, რომლებსაც ეყრდნობა პროგრამის კონცეფცია და შინაარსი. ესენია: სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევა - **თამაში**, მისი სახეებისა და აღმზრდელის როლის აღწერა (თავი 1); **ჯგუფის ერთობა** - რეკომენდაციები აღმზრდელებისთვის სასკოლო მზაობის ჯგუფში თანასწორობაზე დაფუძნებული, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შესაქმნელად (თავი 2); **აზროვნება** - აზროვნების ტიპების, ოპერაციების აღწერა და მათი განვითარების ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები (თავი 3) და **შესაბამისობა** - ინდივიდუალიზებული, ბავშვზე მორგებული სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მნიშვნელობა, ინკლუზიური მიდგომა და უნივერსალური დიზაინის პრინციპები (თავი 4).

თავი 1. თამაში

ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნების სურვილი ის ძალაა, რომელიც უბიძგებს ბავშვებს იკვლიონ, გამოსცადონ, მოსინჯონ სიახლეები, მოირგონ სხვადასხვა როლი - კატისა თუ პოლიციელის. ამ პროცესში ისინი იზრდებიან, სწავლობენ და ვითარდებიან. სწორედ ამიტომ თამაში, განსაკუთრებით კი როლური თამაში, წამყვანი საქმიანობაა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.** თამაში იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი.

ბავშვები ხშირად გაითამაშებენ იმგვარ სიტუაციებს, რომლებმაც მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შეიძლება იყოს "ექიმობანა" ექიმთან ვიზიტის შემდეგ ან „ცირკობანა" საცირკო წარმოდგენაზე დასწრების შემდეგ. ყველაზე ხშირად ბავშვები თამაშობენ „სახლობანას", რომლის დროს გადმოსცემენ ახლობლებთან ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებას და ამასთანავე ასახიერებენ უფრო „ძლიერი" ზრდასრულის როლს. „სახლობანა" ხშირია იმიტომაც, რომ მისი თემა ყველაზე კარგადაა ნაცნობი ბავშვებისთვის, მათი გამოცდილებიდან და ურთიერთობებიდან გამომდინარე, და, შესაბამისად, მრავალფეროვან საშუალებებს იძლევა თამაშისათვის.

თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და წვრილი მოტორიკა.** სირბილის, გაძრომის, ხტუნვის დროს მაგრდება მათი მსხვილი კუნთები. ჩაიდნიდან წყლის ჭიქებში ჩამოსხმისას, კუბურებით ქალაქის ან ცხოველების სახლების შენებისა და ვითომ წერის დროს კი ვითარდება ნატიფი მოტორიკა და კოორდინაცია.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას.** მაგალითად, „მაღაზიობანას" თამაშის დროს ბავშვები წონიან, ზომავენ, ანგარიშობენ, ახარისხებენ სხვადასხვა საგანს ან „პროდუქტს"; „ფოსტალიონობის" ან „ექიმობანას" თამაშის დროს კი გამოცდიან თავიანთ წარმოდგენებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ავარჯიშებენ მეხსიერებას, სააზროვნო და პრობლემის გადაჭრის უნარებს.

თამაში ავითარებს **მეტყველებისა და კომუნიკაციის** უნარებს. როლური თამაშის დასაწყებად ბავშვები ერთმანეთს უყვებიან სიუჟეტს და ინაწილებენ როლებს. თამაშის დროს ბავშვები ნელ-ნელა სწავლობენ უფრო დახვეწილი და რთული სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყენებას, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებაში ნაკლებად გამოიყენება. ვითომ ექიმი სინჯავს „ავადმყოფს", უკეთებს „ნემსს", წერს „დანიშნულებას", „ექთანი" ზომავს სიცხეს „თერმომეტრით", „პაციენტი" ითხოვს „ექიმთან" ვიზიტისთვის ჩაწერას, „მიმღები" კი მას უსახელებს შესაძლო დღეებსა და საათებს.

გარდა იმ განსაკუთებული მნიშვნელობისა, რომელიც აკისრია თამაშს ბავშვის განვითარების პროცესში, მას აქვს თავისთავადი ღირებულებაც - ესაა სასიამოვნო პროცესი, რომელიც თავისუფლებისა და სიხარულის განცდას ანიჭებს ბავშვს.

ბავშვობისას თამაშში გატარებული დრო გონივრულად დახარჯული დროა.

წარმოსახვითი როლური თამაში

წარმოსახვითი როლური თამაში არის ინტერაქტიული და თავისუფალი მოქმედება, რომელშიც ბავშვი გარდაისახება სხვა ვინმედ ან რამედ. ბავშვი ბაძავს სხვას ქცევით თუ საუბრით და ამისათვის იყენებს ნამდვილ და წარმოსახვით ნივთებს. როლურ თამაშს არ აქვს ლოგიკური დასასრული, სიუჟეტი ვითარდება სპონტანურად, მასში მონაწილე ბავშვების ინტერესებისა და სურვილების შესაბამისად.

ორი გოგონა თამაშობს „ბაღობანას“. ისინი ჩაამწკრივებენ თოჯინებს წრეზე და ვითომ-ვითომ უკითხავენ მათ ზღაპრებს. ერთ-ერთი გოგონა მეორეს შესთავაზებს „ბავშვების“ ექსკურსიაზე წაყვანას. გოგონები აჩერებენ წარმოსახვით ავტობუსს, რომლის მაგივრობასაც იქვე მდგარი დიდი კარადა ასრულებს, სხდებიან და მიდიან „მდინარეზე“, აცურავებენ თოჯინებს წყლიან დიდ ჭურჭელში, შემდეგ აშრობენ თოჯინებს და უცვლიან მათ ტანსაცმელს. ამგვარად, „ბაღობანას“ თამაში ნელ-ნელა გადაიზარდა „მოგზაურობანაში“. ბავშვებმა პრაქტიკაში გამოცადეს ის ცოდნა, რომელიც ჰქონდათ საბავშვო ბაღების, ექსკურსიებისა და მდინარეების შესახებ. იმავდროულად ბავშვები ემორჩილებოდნენ თავიანთ მოგონილ წესებს, რომლებიც თამაშის მიმდინარეობისას იცვლებოდა: ბავშვები საუბრობდნენ, ერთმანეთს სთავაზობდნენ ახალ-ახალ სიუჟეტებს და შეთანხმებულად, ურთიერთდათმობისა და ერთმანეთის სურვილების გათვალისწინების გზით, აგრძელებდნენ თამაშს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. წარმოსახვითი როლური თამაშის დროს ბავშვები გამოავლენენ და განივითარებენ საკმაოდ რთულ სოციალურ უნარებს.

ყველაზე ადრეულ ასაკში წარმოსახვითი თამაში ვლინდება მაშინ, როცა ბავშვი ვითომ-ვითომ სვამს წყალს ჭიქიდან ან ვითომ-ვითომ ლაპარაკობს ტელეფონზე. მომდევნო ეტაპზე ის ასეირნებს თავის თოჯინას და ესაუბრება მას. შემდგომში თამაშში შემოდიან სხვა თანატოლებიც და თამაშის სიუჟეტიც თანდათან რთულდება.

როლური თამაშის ერთ-ერთ ფორმასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც ბავშვები თამაშობენ პატარა ზომის ადამიანებისა თუ ცხოველების ფიგურებით. ამ შემთხვევაში ისინი ამ თოჯინებს აცოცხლებენ, ამოძრავებენ და უყვებიან ერთმანეთს თავიანთ წარმოსახულ ისტორიებს.

აღმზრდელის როლი როლური თამაშის დროს

აღმზრდელები ყურადღებით აკვირდებიან და ხელს უწყობენ ბავშვებს თამაშის დროს; უზრუნველყოფენ, რომ თამაში იყოს პოზიტიური, არადისკრიმინაციული და შედეგიანი, საჭიროების შემთხვევაში კი ეხმარებიან ბავშვებს თამაშისთვის აუცილებელი სხვადასხვა უნარის განვითარებაში. ამ მიზნით აღმზრდელები სვამენ კითხვებს, ეხმარებიან ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებაში და სთავაზობენ ახალ იდეებს.

როლური თამაშის წახალისებისთვის მნიშვნელოვანია გარემოს სათანადოდ მოწყობა და ნივთებით მომარაგება. თემის შესაბამისად, მთელი ჯგუფის ან როლური თამაშების ცენტრის სივრცემ შეიძლება სახე იცვალოს და იქ ხან ექიმის კაბინეტი მოეწყოს, ხან სუპერმარკეტი, ხან კი - კაფე. ჯგუფის მოწყობასა და რეკვიზიტების დამზადებაში სასურველია ბავშვებიც ჩაერთონ.

ერთ-ერთმა ჯგუფმა ოთახი თამაშისათვის აეროპორტივით მოაწყო. ამისთვის მთელი ჯგუფის სივრცე შეიცვალა: ბავშვებმა გამოიყენეს მანამდე მიღებული ცოდნა და მოაწყვეს მიმღები, ბარგისა და საპასპორტო შემოწმების ადგილები, აგრეთვე მოსაცდელი დარბაზი, ერთ კუთხეში კი - თვითმფრინავის სალონი და პილოტის კაბინაც. სივრცეების ერთმანეთისგან გამოსაყოფად მათ გამოიყენეს ქსოვილები და დიდი ყუთები. ამ გზით აღმზრდელებმა დრამატული თამაში მიმდინარე თემას - „ფრენას“ დაუკავშირეს. ბავშვები დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში თამაშობდნენ ამ სივრცეში, ცვლიდნენ როლებსა და სიუჟეტებს.

მთავარი თემის გაცნობის გარდა, ასეთი თამაში საშუალებას აძლევს აღმზრდელებს, ხელი შეუწყონ ბავშვებში სხვადასხვა უნარის განვითარებას. ეს უნარებია, კერძოდ: რაოდენობრივი წარმოდგენები - ბილეთების ყიდვის, სამგზავრო ჩანთების აწონვის, გაზომვისა და შედარების დროს; ნატიფი მოტორიკა - პასპორტების დამზადებისა და შემოწმებისთვის ვითომ-ვითომ წერის დროს; საგზაო უნარები - ბილეთების შესაბამისი ადგილების სალონში მოძებნის დროს. ბავშვებს ასევე ესმით ახალი სიტყვები თუ გამონათქვამები და სწავლობენ მათს მნიშვნელობას.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი: როდესაც თამაში ვეღარ ვითარდება ან ჩიხში შედის, საჭიროა, რომ თავად აღმზრდელი ჩაერთოს თამაშში და შესთავაზოს ბავშვებს ახალი იდეები. მაგ.: ბავშვები თამაშობენ „სახლობანას“, ვარცხნიან თოჯინებს და უცვლიან მათ ტანსაცმელს, მაგრამ ნელ-ნელა თამაში ბეზრდებათ, ყურადღება ეფანტებათ და ახალ სიუჟეტსაც ვეღარ იგონებენ. ამ დროს შეიძლება ფრთხილად, რაიმე როლის მოსინჯვით ჩაერთოს აღმზრდელი.

„კაკ-კუკ, შეიძლება შემოვიდე? წერილი მოგიტანეთ. დღეს საღამოს მეფე წვეულებას მართავს და მოწვევა გამოგიგზავნათ. თქვენი ცხენები ხომ კარგად არიან, რომ წამოხვიდეთ? ოღონდ უნდა გამოიპრანჭოთ“.

ან: „გამარჯობა! მოვედი შეგატყობინოთ, რომ დღეს თქვენი ბიძაშვილები გესტუმრებიან. ხომ იცით, გემრიელ საჭმელს და საყვარელ ნამცხვარს ელოდებიან. აბა, რას გაიკეთებთ?“

როდესაც ბავშვები კვლავ აქტიურად ჩაერთვებიან თამაშში, აღმზრდელი ნელ-ნელა გამოდის თამაშიდან.

ინსცენირებისგან განსხვავებით, როლური თამაშის დროს ბავშვები დამოუკიდებლად ავითარებენ ამბავს და, სურვილისამებრ, შეუძლიათ მისი შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია თამაშობდნენ რომელიმე კონკრეტულ ზღაპარს, მაგალითად, “მართასა და სამ დათვს“. ისინი თავისუფალნი არიან მოქმედებაში: მართა შეიძლება დათვების მეგობრად მოგვევლინოს ან მათთან ერთად წავიდეს წითელქუდას მოსანახულებლად.

წესებიანი თამაშები

5 წლის ასაკში ბავშვები უკვე თამაშობენ წესებიან თამაშებს. ხანდახან თავად იგონებენ წესებს, ხან კი სხვების მიერ განსაზღვრულ წესებს ემორჩილებიან. ისინი ცდილობენ თამაშის ორგანიზებასა და მისი წესების დაცვას, იქნება ეს რიგითობა, მოლაპარაკება თუ დათმობა. ბავშვები სხვებისგან მოითხოვენ წესების განუხრელად დაცვას და აპროტესტებენ, როდესაც ვინმე არღვევს წესს. ისინი იწყებენ სამართლიანობის ცნების გააზრებას და განასხვავებენ მისაღებ და მიუღებელ სოციალურ ქცევას.

ზოგიერთ თამაშს ისეთი წესები აქვს, რომელთა დაცვის გარეშე თამაშის პროცესი ვერ წარიმართება. ასეთი თამაშებია „გემობანა”, მეხსიერების თამაშები: „მემო“, ლოტო, დომინო და სხვა, ეზოს თამაშები: „დაჭერობანა”, „დამალობანა”, „ხეზე ჩიტი”, „მატარებლობანა”, „კატათაგვობანა”, „წრეში ბურთი”, „კლასობანა”, „რეზინობანა”, „შვიდი ქვა” და ა.შ. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს თამაშები.

თამაშის პროცესში ბავშვებს უწევთ წესებისა და მათი თანამიმდევრობის დაცვა, თანამშრომლობა და გარკვეული სტრატეგიების გამოყენება. თამაშები იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა სახალისო და სასიამოვნო გზით გაივარჯიშონ უნარები და მიიღონ ცოდნა სხვადასხვა სფეროში. თამაშის დროს კამათელზე წერტილების დათვლა, იმის გარკვევა, თუ ვის უფრო მეტი ბარათი აქვს ან ბარათების დარიგება წყვილებისთვის ავითარებს სხვადასხვა მათემატიკურ უნარს. თამაშის დროს ვითარდება ასევე სოციალური უნარებიც: რიგის დაცვა, მომდევნო მოთამაშის გამოცნობა, ახალი მონაწილეებისთვის თამაშის წესების გაცნობა, ჯგუფის წევრების წახალისება თუ მხარდაჭერა და სხვ. აქტიურად უწყობს ხელს ამ უნარების განვითარებას.

წესებიან თამაშებში ყოველთვის არის მოგებული და დამარცხებული, რასაც ზოგიერთი ბავშვი მძაფრად განიცდის. მეორე მხრივ, ეს კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ ემოციების მართვა და წესების დაცვა. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა ყურადღება გადაიტანონ თამაშისგან სიამოვნების მიღებაზე და არა ბავშვების ერთმანეთთან შეჯიბრებაზე. შეჯიბრებითობის ელემენტი შეიძლება შემცირდეს, თუკი თამაში იქამდე გაგრძელდება, სანამ ყველა არ „მოიგებს“. ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს „პირველი გამარჯვებული“, „მეორე გამარჯვებული“ და ა.შ. შეჯიბრებითობაზე აქცენტის შესუსტება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუკი არ იქნება გამოკვეთილად ნახსენები გამარჯვება ან წაგება. აღმზრდელები ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ამთავრებენ და იწყებენ ახალ თამაშს; ან თამაშის დასასრულს ითვლიან ყველა ბავშვის მიერ მოგროვებული ბარათების საერთო რაოდენობას. შესაძლებელია ბევრი წესებიანი თამაშის მოგონება ან შეცვლა ისე, რომ შეჯიბრებითობის ელემენტი საერთოდ „ამოვარდეს“. მაგალითად, წესებიანი თამაში შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც ყველას გაუთავდება ბარათები ან სხვა მასალა, დასრულდეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და ა.შ. ერთი და იმავე თამაშის ბევრჯერ გამეორებით კი ბავშვები ბუნებრივად იაზრებენ, რომ ადრე თუ გვიან ყველა იმარჯვებს და არავინ არ არის მუდმივად „მოგებული“.

აღმზრდელები ყველა ბავშვს რთავენ წესებიან თამაშებში, ზოგისთვის ამარტივებენ მის წესებს ან მოთხოვნებს, ზოგისთვის კი ართულებენ. აღმზრდელები უფრო მეტად ეხმარებიან მათ, ვისაც დახმარება სჭირდება. შერეულ გუნდებში (მაგ., სქესისა და განსხვავებული შესაძლებლობების მიხედვით შერეულ გუნდში) ბავშვებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ ერთმანეთისგან და დაეხმარონ ერთმანეთს.

წლის განმავლობაში აღმზრდელები ნელ-ნელა ცვლიან და ართულებენ წესებიან თამაშებს. ბავშვებს შეუძლიათ გაუზიარონ აღმზრდელებს თავიანთი იდეები თამაშების შეცვლასთან დაკავშირებით. ზოგ ბავშვს თავად შეუძლია ახალი წესებიანი თამაშების მოგონება. წესებიანი თამაშის დროს აღმზრდელებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სწავლის პროცესს, მაგალითად, სთხოვონ ბავშვებს:

- აღწერონ ის მოძრაობები, რომლებსაც ასრულებენ შემდეგი თამაშების დროს: „აბა დამიჭირე“, „მე გავიქეცი“, „ხესთან ვარ“, „მე შორს ვარ“, „აი, ახლოს მოვედი“ და ა.შ.

- დაიძახონ იმ ბავშვის სახელი, ვისაც ბურთს ესვრიან ან ჩამოთვალონ თემასთან დაკავშირებული სახელები: მწერები, ცხოველები, ყვავილები და ა.შ.

- დაითვალონ, რამდენი ბავშვი იპოვეს და რამდენი დარჩა დამალული, ნაბიჯებით გაზომონ მანძილი გაშეშებულ ბავშვებს შორის;

- შეადარონ, რომელი ბურთი უფრო მაღლა ხტება და რომელი უფრო შორს მიფრინავს.

წესებიანი თამაშის დროს ასევე შეიძლება რაიმე ლექსის, გათვლის ან სიმღერის შესრულება (მაგალითად, „კლასობანას“ ან „კატათაგვობანას“ თამაშის დროს).

კომპიუტერული თამაშები

თუკი სასკოლო მზაობის ჯგუფში ხელმისაწვდომია კომპიუტერი, აღმზრდელმა უნდა შეარჩიოს ასაკობრივად შესაფერისი, სხვადასხვა უნარის განვითარებაზე ორიენტირებული თამაშები და საქმიანობები. მნიშვნელოვანია, რომ კომპიუტერულ თამაშებზე გამოყოფილი იყოს შეზღუდული დრო, ბავშვებისთვის შეთავაზებულ თამაშებს კი ჰქონდეს როგორც საგანმანათლებლო, ისე სოციალური უნარების გასავითარებელი პოტენციალი (მაგ. წყვილებში ან მცირე ჯგუფებში თამაში).

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის არსებობს ისეთი ტიპის კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მათ აძლევს საშუალებას გააკეთონ ის, რასაც კომპიუტერის საშუალებით აკეთებენ უფროსები - შეინახონ, შეცვალონ ან ამობეჭდონ საკუთარი ნამუშევრები. ეს მოიცავს ციფრულ „სახატავ“ ან გამარტივებული გრაფიკული დიზაინის პროგრამებს. შესაძლებელია აგრეთვე, სპეციალურად ბავშვებისთვის განკუთვნილი ზღაპრების ან წიგნების შესაქმნელი პროგრამების გამოყენებაც.

აღმზრდელებს შეუძლიათ შეარჩიონ მაღალი ხარისხის საბავშვო ლიტერატურის ციფრული წიგნებიც. ციფრული წიგნები ბავშვებს საშუალებას აძლევს თვალი მიადევნონ სიტყვებსა და ნახატებს „კითხვის“ დროს, შეჩერდნენ და კიდევ ერთხელ მოისმინონ სასურველი ფრაზები, ან დააწკაპუნონ სურათებზე და მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ან მოისმინონ მოკლე ამბავი.

თამაშის ელემენტები სხვადასხვა აქტივობაში

იმისათვის, რომ ჯგუფში მიმდინარე პროცესი მაქსიმალურად ეფექტური და დასამახსოვრებელი იყოს, ბავშვებს კი ჰქონდეთ შინაგანი მოტივაცია, საქმიანობები მათთვის სახალისო უნდა იყოს. ამისათვის აღმზრდელს თამაშის ელემენტები შეაქვს დღის განმავლობაში მიმდინარე სხვადასხვა საქმიანობაში.

ის ხალისიანად ურთიერთობს ბავშვებთან: იყენებს ხმის სხვადასხვა ინტონაციას, იუმორს, შემოქმედებით უნარებსა და სახის მიმიკებს.აღმზრდელი გეგმავს აქტივობებს, რომლებშიც ბავშვები ხალისით ერთვებიან და სიამოვნებას იღებენ. ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობებს ასრულებენ თამაშ-თამაშით; იყენებენ ხალისიან სიმღერებს, გათვლებსა და გამოცანებს აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისა და დალაგების დროს; თამაშობენ პატარ-პატარა სახალისო თამაშებს თავიანთი რიგის მოლოდინში. ეს გაცილებით ეფექტურს გახდის სასკოლო მზაობის ჯგუფში გატარებულ დროს.

ასევე კარგი სტრატეგიაა, როცა აღმზრდელები ხალისიანი განწყობის შესაქმნელად იყენებენ დამხმარე ხელის თოჯინებს. შეიძლება ამ თოჯინების გამოყენება წრეში პირველ შეხვედრაზე, ბავშვებთან მისალმებისა და საუბრის დროს. ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს თოჯინები როლური თამაშებისას ან მოაწყონ წარმოდგენები სხვა ბავშვებისთვის.

სასკოლო მზაობის პროგრამას *თ-ა-მ-ა-შ-ი* სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში თამაშით და სიხალისით არის გამსჭვალული დღის განმავლობაში მიმდინარე ყველა საქმიანობა. ეს არა მხოლოდ დაეხმარება ბავშვებს, რომ უფრო ადვილად, უფრო სწრაფად ისწავლონ და უკეთ დაიმახსოვრონ ნასწავლი, არამედ უფრო მეტად სასიამოვნოსა და მნიშვნელოვანს გახდის მათ ცხოვრებას და სასკოლო მზაობის ჯგუფში გატარებულ დროს. ასევეა აღმზრდელებისთვისაც.

თავი 2. ჯგუფის ერთობა

სასკოლო მზაობის ჯგუფის ახალ „ოჯახში“ ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების შეგრძნება, რასაც, პირველ რიგში, ახალ ჯგუფთან მიკუთვნილობის გრძნობა განსაზღვრავს. ჯგუფთან მიკუთვნილობის გრძნობა ბავშვს უჩენს საკუთარი თავის პატივისცემის შეგრძნებას. ეს აუცილებელია ბავშვისთვის, რათა მან მაქსიმალურად გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები.

ჯგუფის წევრად ყოფნის განცდა ბავშვს უჩნდება მაშინ, როდესაც აღმზრდელი აქტიურად უწყობს ხელს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას და სთავაზობს ბავშვებს თანამშრომლობის მრავალფეროვან გზებს. აღმზრდელი, როგორც ბავშვებისთვის მისაბაძი როლური მოდელი, თავისი ქცევით, ტონითა და საუბრით ქმნის მზრუნველობითა და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალულ გარემოს. მზრუნველობისა და პატივისცემის გარემოში ბავშვი გრძნობს, რომ მას აფასებენ, როგორც განსაკუთრებულ ინდივიდს და როგორც ჯგუფის წევრს. როგორც ჯგუფის წევრები, ბავშვები ერთმანეთთან პოზიტიურ ურთიერთობებს ამყარებენ და ეხმარებიან ერთმანეთს. ისინი გულისხმიერნი არიან და ითვალისწინებენ ერთმანეთის გრძნობებსა და საჭიროებებს.

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა ქცევითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. როდესაც ბავშვები თავს იზოლირებულად გრძნობენ ან განცალკევებულნი არიან ჯგუფისგან, ისინი ყურადღების მისაქცევად მიმართავენ „არასასურველ“ ქცევას - უარყოფითი ქცევით ყურადღების მიპყრობა უფრო მარტივია, ვიდრე პოზიტიურით. როდესაც ბავშვები თავს ჯგუფის ნაწილად აღიქვამენ და გრძნობენ, რომ დაფასებულნი არიან, ისინი ყურადღებას აღარ აქცევენ დაუკმაყოფილებელ ემოციურ საჭიროებებს და შეუძლიათ სრულად ჩაერთონ ჯგუფში მიმდინარე საქმიანობებსა თუ განმავითარებელ თამაშებში თანატოლებთან ერთად.

თანასწორობა და გენდერული საკითხები

ჯგუფის ერთობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შემდეგი: თითოეული ბავშვი უნდა გრძნობდეს და აცნობიერებდეს, რომ ის ზუსტად ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ყველა დანარჩენი, არც მეტად და არც ნაკლებად. ზოგიერთი ბავშვი შეიძლება ამა თუ იმ ნიშნით გარკვეულ უპირატესობას გრძნობდეს სხვებთან მიმართებით ზოგიერთი კი - დაუცველად. რაიმე

ნიშნით გამორჩეულ ბავშვებს (მათ შორის, ასაკით შედარებით უმცროს ან უფროს ბავშვებს) შესაძლოა სხვები ცუდად მოექცნენ ან ნაკლებად მნიშვნელოვან ადამიანად აგრძნობინონ თავი. სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ჯგუფში დაცული იყოს არა მხოლოდ თანასწორობა ბავშვებს შორის - აქ ასევე უნდა შეიქმნას ურთიერთპატივისცემითა და ერთმანეთზე ზრუნვით გამსჭვალული გარემო.

თანასწორობა მოიცავს გენდერულ საკითხებსაც. თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა სამუშაოს შესრულება თანაბრად კარგად შეუძლიათ კაცებსა და ქალებს, თითქმის ყველა პროფესიაში ნელ-ნელა თანაბრდება კაცთა და ქალთა რაოდენობა. ეს ტენდენციები კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში, როდესაც ჩვენი ბავშვები ზრდასრულნი იქნებიან. პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი* ბავშვებს ამზადებს როგორც დღევანდელი, ისე ხვალინდელი დღისთვის. აქედან გამომდინარე, აღმზრდელები:

- არ ახდენენ გოგონებისა და ბიჭების ხელოვნურად დაყოფას. მაგალითად, ჯგუფში დასწრების აღნიშვნისას გოგონებისა და ბიჭების რაოდენობის ნაცვლად, ითვლიან ბავშვების საერთო რაოდენობას. გენდერული დაყოფა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ დასახულ მიზანს - ბიჭებსა და გოგონებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას. აღმზრდელმა ბავშვების ჯგუფი შეიძლება დაყოს არა სქესის, არამედ სხვა მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, მაისურის ფერის, სახელის პირველი ასოს, დაბადების თვის მიხედვით და ა.შ. ამ ტიპის კლასიფიკაცია ამასთანავე იძლევა სწავლა-სწავლების უფრო მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე ჯგუფის დაყოფა სქესის მიხედვით.

- უზრუნველყოფენ, რომ ყველანაირი აქტივობა და მასალა ყველა ბავშვისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. სასკოლო მზაობის ჯგუფში, ისევე როგორც ზრდასრულთა ცხოვრებაში, არ არსებობს მკაცრად გამიჯნული საქმიანობები გოგონებისთვის ან ბიჭებისთვის.

- აქტიურად წაახალისებენ გოგონებისა და ბიჭების ერთობლივ თამაშსა თუ საქმიანობებს; საჭიროებისამებრ, ეხმარებიან მათ ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში; გეგმავენ აქტივობებს და მოიმარაგებენ ისეთ მასალებს, რომლებიც ორივე სქესის ბავშვებს დააინტერესებს.

- აღმზრდელებს საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში შეაქვთ რეკვიზიტები და კოსტიუმები გოგონებისა და ბიჭებისთვის, კითხულობენ ან გაითამაშებენ ზღაპრებს, რომლებშიც თანაბრად არიან წარმოდგენილნი ორივე სქესის გმირები.

- პასუხობენ გენდერულად (სქესობრივი ნიშნით) დისკრიმინაციულ ქცევას, როგორიცაა ბიჭების მიერ თამაშიდან გოგოების გარიყვა (ან პირიქით), დამცირება და დაცინვა. ამ ტიპის ქცევები არაფრით განსხვავდება ბავშვებს შორის სხვა აგრესიული თუ უხეში ქცევისგან, რომელიც აღმზრდელებმა უპასუხოდ არ უნდა დატოვონ.

სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს ბავშვებს წარმატების მოპოვებაში სკოლასა და ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა ბავშვებს მივცეთ მრავალფეროვანი შესაძლებლობები გამოცდილების მისაღებად, დავეხმაროთ მათ ახალ-ახალ უნარების დაეუფლებაში და ვასწავლოთ, როგორ იმეგობრონ ყველა თანატოლთან.

როგორ ქმნის აღმზრდელი ჯგუფის ერთობას?

1. აღმზრდელი ხელს უწყობს თანამშრომლობას

აღმზრდელი ყურადღებით აკვირდება, როგორ თანამშრომლობენ ბავშვები ერთმანეთთან. ბავშვების თანამშრომლობის უნარების განსაზღვრის მიზნით ის იყენებს სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად, აქტივობას სახელწოდებით „ცალ-ცალკე და ერთად“. ბავშვები დაწყვილდებიან; მათ დაურიგდებათ ფურცლები, რომლებიც სამ ნაწილად არის გაყოფილი. წყვილში თითოეული ბავშვი მარჯვენა და მარცხენა მხარეს ხატავს ნებისმიერ რაიმეს, რასაც მოისურვებს, მაგრამ ქაღალდის შუა ნაწილი დროებით ხელუხლებელი რჩება. როდესაც ბავშვები დაასრულებენ ინდივიდუალურ ნახატებს, ისინი მოილაპარაკებენ და გადაწყვეტენ, რისი დახატვა სურთ შუა ნაწილში. შემდეგ შეთანხმდებიან, ვინ რომელ ნაწილს დახატავს. ეს აქტივობა საშუალებას აძლევს აღმზრდელს ნათლად დაინახოს სხვადასხვა სტრატეგია, რომლებსაც ბავშვები იყენებენ თანამშრომლობისთვის; სირთულეები, რომელთაც ისინი აწყდებიან თანამშრომლობისას და რამდენად წარმატებით ახერხებენ მოლაპარაკებას. აღმზრდელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ბავშვებს, რომლებიც სარგებლობენ რაიმე უპირატესობით, *ან* უარს ამბობენ თანამშრომლობაზე, *ან* ადვილად ემორჩილებიან მეწყვილეს და ურჩევნიათ, რომ მან დახატოს საერთო ნახატი.

2. აღმზრდელი ხელს უწყობს კეთილგანწყობილ ურთიერთობას

აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვებს, რომ ისაუბრონ ერთმანეთთან, დაუსვან შეკითხვები ჯგუფელებს და ყურადღებით მოუსმინონ პასუხებს, ამ მიზნით აღმზრდელები მრავალგვარ ხერხს იყენებენ: მათ შეუძლიათ ბავშვები დაყონ წყვილებად და სთხოვონ მეწყვილისათვის რაიმე კონკრეტული შეკითხვის დასმა (მაგალითად, „ყველაზე მეტად რისი კეთება გიყვარს?”). შემდეგ შესაძლოა რომელიმე ბავშვს სთხოვონ, რომ ჯგუფს მოუყვეს მეორე ბავშვის საყვარელი საქმიანობის შესახებ ან დაასახელოს ორი ბავშვი, რომლებიც გადაწყვეტენ, განხილული საქმიანობებიდან რომელი გააკეთონ პირველ რიგში. აღმზრდელებმა უნდა წაახალისონ ისეთი საუბრები, რომელთა დროსაც ბავშვები სწავლობენ რიგითობის დაცვას, სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენას, ერთმანეთისთვის შეკითხვების დასმას და სხვა.

აღმზრდელები თავადვე ახდენენ ამ ქცევის მოდელირებას ბავშვებთან და ჯგუფში მყოფ სხვა ზრდასრულ ადამიანებთან საუბრისას.

3. აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს შორის ურთიერთგაგებასა და ერთმანეთის დაფასებას

იმისათვის, რომ ბავშვებმა უკეთესად გაიცნონ ერთმანეთი, პატივი სცენ და დააფასონ ერთმანეთის უნიკალური უნარები და ცხოვრებისეული გამოცდილება, დაინახონ მსგავსებები და იზრუნონ ერთმანეთზე, აღმზრდელი იყენებს სათანადო სტრატეგიებს, როგორიცაა, მაგალითად, „ერთი ბავშვის კვირა“. ერთი კვირის განმავლობაში ერთ-ერთ ბავშვი დაათვალიერებინებს ბავშვებს საკუთარ ფოტოებს, უზიარებს მათ ინფორმაციას/უყვება ამბებს საკუთარ თავსა და ოჯახზე. აღმზრდელი ეხმარება ბავშვს გამოფენის მომზადებაში მოტანილი მასალების გამოყენებით. კვირის პირველი დღის დილას პატიჟებენ „კვირის ბავშვის” ოჯახის წევრებსაც, რათა მათ ბავშვთან ერთად ჩაატარონ პრეზენტაცია. სხვა ბავშვებს შეუძლიათ შეკითხვების დასმა. კვირის განმავლობაში ბავშვს შეუძლია მოყვეს საკუთარი ისტორიები ან ყოველ დღეს ოჯახიდან მოიტანოს თითო-თითო ნივთი. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც მნიშვნელოვანია ბავშვისთვის (ნაყიდი სათამაშოს გარდა) - საყვარელი წიგნი, ოჯახური მოგზაურობის ამსახველი ფოტოები, საყვარელი საოჯახო გასართობი ან სიმღერა და ასე შემდეგ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ბავშვი რიგრიგობით ჩაერთოს აქტივობაში „ერთი ბავშვის კვირა“.

4. აღმზრდელები პატივს სცემენ ბავშვებს, ზრუნავენ იმაზე, რომ პატარები პატივისცემით მოეპყრონ ერთმანეთს, მოუფრთხილდნენ ნივთებსა და გარემოს

ბავშვები გრძნობენ პატივისცემას, როდესაც უფროსები ინტერესდებიან მათი მოსაზრებებით, ფიქრებითა და გრძნობებით: „რას ფიქრობთ, ამის შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ?“ ან „რა იგრძენით?“ აღმზრდელი პატივისცემას გამოხატავს ბავშვის მიმართ, როდესაც არ აწებებს მას „იარლიყს“ (როგორებიცაა, მაგ., ”ზარმაცი”, ”თავხედი”, ”გაუგონარი”, ”ჯიუტი”, სხვ.) და მიმართავს სახელით. აღმზრდელი არასდროს ამცირებს, არ აყენებს შეურაცხყოფას ბავშვებს და არ უგულებელყოფს მათ. აღმზრდელები თავაზიანად საუბრობენ და ბავშვთან ურთიერთობისას იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „თუ შეიძლება“ და „გმადლობთ“.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს, რომ მოუსმინონ ერთმანეთს და გამოიჩინონ გულისხმიერება ერთმანეთის გრძნობების, მოსაზრებებისა და საჭიროებების მიმართ. არცერთ ბავშვს არ აქვს უფლება, შეუზღუდოს სხვა ბავშვს თამაშში მონაწილეობის შესაძლებლობა. პირიქით, აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს, რათა მათ მოძებნონ წარმატებით თანამშრომლობის გზები. აღმზრდელები ასევე პატივს სცემენ ბავშვის სურვილს, დამოუკიდებლად განახორციელოს კონკრეტული აქტივობა. აღმზრდელს შეუძლია დაეხმაროს მეორე ბავშვს ამ სიტუაციის უკეთ გაგებაში, თუკი აუხსნის: „ვფიქრობ, მაკოს სურს ეს თავისით გააკეთოს. იქნებ როდესაც დაასრულებს, მერე ეთამაშო?“. აღმზრდელები ამასთანავე ხელს უწყობენ ბავშვებს იმაში, რომ გამოხატონ პატივისცემა სხვების მიმართ თავაზიანობით, კონკრეტულად კი თქვან: „გმადლობთ“ და „თუ შეიძლება“ შესაბამის სიტუაციებში.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს საკუთარი და სხვისი ნივთების მოვლაში. ბავშვებს მოეთხოვებათ ნებართვის აღება, როდესაც სურთ სხვისი კუთვნილი ნივთის ან იმ ნივთის აღება, რომლითაც სხვა ბავშვი სარგებლობს. ჯგუფის რესურსებს ყველა იყენებს და უზიარებს ერთმანეთს, რადგან ისინი მთელ ჯგუფს ეკუთვნის. ბავშვები ერთმანეთის მიმართ პატივისცემას გამოხატავენ მაშინაც, როდესაც უფრთხილდებიან მასალებს, მოზომილად იყენებენ მათ და აბრუნებენ კუთვნილ ადგილას.

5. აღმზრდელები უვითარებენ ბავშვებს ემპათიის გრძნობას

ემპათია არის ემოციური თანაგრძნობა სხვა ადამიანის მიმართ, საკუთარი თავის დაყენება იმ ადამიანის ადგილას, ვინც დახმარებას საჭიროებს. ემპათია საჭიროებს კარგად განვითარებულ მაღალი დონის სააზროვნო უნარებს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მის განვითარებას ადრეულ ასაკშივე შევუწყოთ ხელი, თუ ბავშვებს გამოვუმუშავებთ სხვა ადამიანების მოსმენისა და გაგების უნარს, დავაინტერესებთ იმით, თუ რას შეიძლება გრძნობდნენ/განიცდიდნენ ან ფიქრობდნენ სხვა ადამიანები. ყველაზე პატარა ბავშვებიც კი გამოხატავენ თანაგრძნობას, როდესაც ისინი აღელვებულ ბავშვს სანუგეშოდ რაიმე ნივთს სთავაზობენ. შედარებით მაღალი დონის ემპათიასთან გვაქვს საქმე, როდესაც ბავშვს შეუძლია თანატოლის საყვარელი საქმიანობების, მისი აზრების გათვალისწინებით წარმოიდგინოს, რა გამოუკეთებს მის თანატოლს ხასიათს. მოთხრობებით, ზღაპრებითა და როლური თამაშებით აღმზრდელები უვითარებენ ბავშვებს საკუთარი თავის სხვა ადამიანის ადგილზე წარმოდგენის უნარს და ცდილობენ დააფიქრონ იმის თაობაზე, თუ რას შეიძლება გრძნობდეს ან ფიქრობდეს სხვა ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში: „ვინ ეგონათ თხებს, როდესაც კარზე კაკუნი მოესმათ და კარის გასაღებად წავიდნენ?“, „რა გრძნობა დაეუფლებოდა შვიდ პატარა თხას, როდესაც სახლში დიდი, ცუდი მგელი შემოვიდა?“

დღის განმავლობაში აღმზრდელები იყენებენ მრავალ შესაძლებლობას ემპათიის დემონსტრირებისა და მისი წახალისებისთვის. მაგ.: “ანა დღეს არ მოსულა, რადგან ავად არის. მოდით, დავურეკოთ, მოვიკითხოთ და გავიგოთ, როგორ გრძნობს თავს“.

იმისათვის, რომ ბავშვებმა სხვას თანაუგრძნონ, დაძლიონ ეგოცენტრიზმი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდეთ სხვების მიმართ, აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სტრატეგიები:

- თუკი ჯგუფში არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ბავშვები, მაშინ ემპათიის გასავითარებლად საუკეთესო შესაძლებლობები არსებობს. ბავშვებს შეუძლიათ გამოსცადონ სპეციალური ეტლი (მეპატრონის თანხმობით), რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სარგებლობს და საკუთარ თავზე შეიგრძნონ, თუ რას გრძნობს იგი: ეს რთულია, ხშირად გამაღიზიანებელიც, როდესაც გიწევს ვიწრო ადგილას გასვლა, მაგრამ ამასთანავე სახალისოა. ეტლი თუ ნებისმიერი სხვა დამხმარე საშუალება ისეთივე საკუთრება და პიროვნულობის ნაწილია, როგორც ტანსაცმელი ან საყვარელი სა-

თამაშო. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ, მაგალითად, ეტლისა თუ სხვა მოწყობილობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მეპატრონის თანხმობის შემდეგ. სხვადასხვა წარმომავლობის ბავშვები უზიარებენ სხვებს საკუთარ გამოცდილებას კულტურასთან, დღესასწაულებთან, ტრადიციებთან, საკვებთან, ჩაცმულობასთან, ზღაპრებთან დაკავშირებით.

- თუ ბავშვი გამოხატავს სხვების მიმართ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ აგრესიას, აღმზრდელი მიუთითებს მას ქცევის შედეგზე: „სანდროს რომ დაარტყი, მას ძალიან ეტკინა“. შემდეგ ის ყურადღებასა და მზრუნველობას გამოხატავს სანდროს მიმართ, მისი ფიზიკური და ემოციური ტკივილის მიმართ. მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის გამოყენება რეგულარულად, მაგრამ მას არ უნდა მოსდევდეს აგრესორის რაიმე ფორმით დასჯა - ამით ბავშვი იღებს ნათელ შეტყობინებას, რომ აგრესია დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შენ შენს მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერი ხარ.

- აღმზრდელები ხელს უწყობენ პროსოციალური ქცევის განვითარებას - მეგობრების შეძენა და შენარჩუნება, მრავალ განსხვავებულ ადამიანთან კარგი ურთიერთობების დამყარება, სხვებზე ზრუნვა მათგან სარგებლის მიღების მოლოდინის გარეშე. ამ მიზნით აღმზრდელები ბავშვებს სთავაზობენ კონკრეტულ რჩევებს: „გთხოვთ, დაეხმაროთ დათოს „ფაზლის“ (თავსატეხის) დასრულებაში“; „თავაზიანად ჰკითხე გიორგის, შეგიძლია თუ არა მისი ფლომასტერის გამოყენება“.

- პროსოციალური ქცევის აღიარება და ხაზგასმა ეხმარება ბავშვს გაიგოს, თუ რას წარმოადგენს ის და გააცნობიეროს საკუთარი მნიშვნელობა. „ხატია ძალიან მეგობრულად მოიქცა, როდესაც სანდროს ადგომაში დაეხმარა“, და არა - „ხატია კარგია, რადგან იგი დაეხმარა სანდროს ადგომაში”. აღმზრდელმა „კარგი” ან „ცუდი” ბავშვს კი არ უნდა მიაწერონ, არამედ მის ქცევას - კარგ, მეგობრულ საქციელს.

6. აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს სიბრაზის მართვაში

პირველ რიგში, ბავშვებს უნდა შეეძლოთ საკუთარი სიბრაზის გამოცნობა და იცოდნენ, რომ ასეთ დროს ჯობს გაჩერდნენ, სანამ რამეს მოიმოქმედებენ ან იტყვიან. ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ ბავშვებს 1+3+10 სტრატეგია – *ერთი* დამამშვიდებელი სიტყვის თქმა „დამშვიდდი“, *სამჯერ* ღრმად ჩასუნთქვა და *ათამდე* დათვლა.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს მივცეთ საკუთარი ბრაზის გამოხატვის საშუალება, ისე რომ შედეგად არავინ დაშავდეს ან არაფერი გატყდეს. მიზეზის ასახსნელად მათ შეუძლიათ გამოიყენონ სიტყვები და გაბრაზებული საუბრის ტონიც: „მე ძალიან გაბრაზებული ვარ იმიტომ, რომ დამინგრიე აშენებული შენობა“. ამას უნდა მოსდევდეს თხოვნა, რომელიც შეიცავს სიტყვებს: „მე მინდა...“. მაგალითად, „მე მინდა, რომ დამეხმარო შენობის თავიდან აშენებაში”.

როდესაც ბავშვი მუდმივად ბრაზობს და ზემოთ აღნიშნული სტრატეგიები არ "მუშაობს", მაშინ რჩევების მისაღებად ოჯახის წევრებსა და ფსიქოლოგებს უნდა მივმართოთ.

7. აღმზრდელები ასწავლიან ბავშვებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას

როდესაც ბავშვი გაბრაზებული ან ნაწყენია, მას უნდა მივცეთ საკუთარი გრძნობების გამოხატვის საშუალება აგრესიული ქცევისა და კონფლიქტის გარეშე. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ მთელ ჯგუფთან ერთად, რომ პრობლემები უნდა გადაიჭრას სიტყვების გამოყენებით. ბავშვებს ყოველდღიურად აქვთ თანატოლებთან უთანხმოებები თუ კონფლიქტები. ეს ავალდებულებს უფროსებს, რომ ხელი შეუწყონ ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში მოლაპარაკებების გზით.

კონფლიქტის მოგვარებისკენ პირველი ნაბიჯები არის ბავშვებისთვის ბრაზის მართვის სწავლება, ისე როგორც ზემოთ არის აღწერილი.

მნიშვნელოვანია ორივე მხარეს შევახსენოთ, რომ საჭიროა ერთმანეთს თავაზიანად მოეპყრან და მოთმინებით მოუსმინონ ისე, რომ ორივეს ჰქონდეს აზრის გამოხატვის თანაბარი შესაძლებლობა.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ორივე ბავშვს ვკითხოთ, რა მოხდა, ბოლოს კი შევაჯამოთ თითოეული მათგანის ამბავი და მდგომარეობა: „ახლა ჩვენ პრობლემის მოგვარების გზა უნდა ვიპოვოთ". პირველ რიგში, ბავშვებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ დაასახელონ პრობლემის მოგვარების საკუთარი ვერსიები. ჩვენი ვერსია კი მხოლოდ მაშინ უნდა გავუზიაროთ, თუ შევამჩნევთ, რომ ბავშვები ჩიხში აღმოჩდნენ. მოსაზრების გამოხატვამდე ბავშვებს უნდა ვთხოვოთ, რომ წინადადება დაიწყონ სიტყვით „მე" და არა „შენ". ამგვარად მოდავე მხარეები შეძლებენ, რომ ყურადღება შეაჩერონ უშუალოდ პრობლემაზე და არა ურთიერთბრალდებებზე.. მაგალითად: „მე გაბრაზებული ვარ იმიტომ, რომ არასდროს არ მეძლევა საშუალება ვითამაშო მანქანით". თუ შეამჩნევთ, რომ ბავშვები ვერ ახერხებენ ემოციების მართვას, ცოტა ხნით შეწყვიტეთ დისკუსია და დაეხმარეთ მათ დამშვიდებაში. ამავე დროს ისიც ასწავლეთ ბავშვს, თუ რას შეიძლება გრძნობდეს მეორე პირი. ამ მიზნით ჩვენ შეგვიძლია თითოეულ მათგანს ვკითხოთ, თუ რა თქვა მეორემ პრობლემის შესახებ.

მომდევნო ნაბიჯი არის პრობლემის მოგვარება, რისთვისაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ შემდეგნაირად:

1. სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ პრობლემის მოგვარების საკუთარი ვერსიები, რომლებიც მათ პირველად გაიფიქრეს;

2. მოუსმინეთ ყურადღებით და მოთმინებით თითოეული ბავშვის მიერ გამოხატულ მოსაზრებას;

3. გაიზიარეთ ბავშვების მოსაზრება ან შესთავაზეთ მათ პრობლემის მოგვარების ახალი გზა;
4. აარჩიეთ ის ფორმა, რომელიც მისაღებია ორივე მხარისთვის;
5. შეახსენეთ ბავშვებს, რომ ხელი ჩამოართვან ერთმანეთს და უთხრან „შევთანხმდით“.

8. აღმზრდელები იყენებენ ჯგუფის პოზიტიური მართვისა და ქცევის პოზიტიური გამღოლის სტრატეგიებს

აღმზრდელები ისე მართავენ ჯგუფს, რომ შეიქმნას უსაფრთხო და მეგობრული გარემო თითოეული ბავშვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა აღმზრდელს აქვს ჯგუფის მართვის საკუთარი სტილი, არსებობს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც ყველა ეფექტურ მიდგომას აერთიანებს:

- აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს კარგად მოქცევაში და არ სჯიან მათ. როდესაც ბავშვებმა იციან, რომ აღმზრდელი ზრუნავს და პატივს სცემს მათ, ისინი მზად არიან გაითვალისწინონ აღმზრდელის მითითებები და რჩევები და სათანადო რეაგირება მოახდინონ მათზე.

- ჯგუფის მართვისას პრევენცია უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე გამოსწორება. შესაბამისად, აღმზრდელები კარგად იცნობენ და „გრძნობენ“ ჯგუფს. ისინი თავიანთ ძალისხმევას მიმართავენ რისკის შემცირებისკენ და დროულად განმუხტავენ პოტენციურად არასასურველ სიტუაციებს მანამდე, სანამ ისინი პრობლემად გადაიქცევიან.

ჯგუფის წესები. ჯგუფის მართვა და მეგობრული ატმოსფეროს შექმნა უფრო გაადვილდება, თუკი აღმზრდელი და ბავშვები ჯგუფში მუშაობის დაწყებამდე ერთობლივად შეიმუშავებენ ქცევის წესებს. წესები არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი და უნდა მოიცავდეს ყველა რუტინულ საკითხს. უფროსები ხშირად წესებზე მაშინ ამახვილებენ ყურადღებას, როდესაც ბავშვი არღვევს მათ. ამ დროს იგულისხმება, რომ ბავშვებმა ეს წესები უკვე იციან. წესების თავიდანვე ნათლად ფორმულირება ამ პრობლემას გადაჭრის. ჯგუფის წესები, შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებების თანხლებით, გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე. წესები ჩამოყალიბებული უნდა იყოს პოზიტიური და არა აკრძალვის ფორმით. მაგ., „მუშაობისას ვსაუბრობთ ხმადაბლა“, „ყურადღებით ვუსმენთ ერთმანეთს“, „ვეხმარებით ერთმანეთს“ და სხვა.

აღიარება. ბავშვის მიღწევების აღიარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. აღმზრდელები აღიარებენ ან გამორჩევით აღნიშნავენ წასახალისებელ საქციელს, როდესაც ასეთს დაინახავენ. მაგალითად, ნაცვლად თქმისა: „შენ ძალიან კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ (ეს ფრაზა არასოდეს არ უნდა გამოვიყენოთ), ან „შენ ძალიან კარგად აწყობ ფაზლს“, აღმზრდელმა უმჯობესია აღნიშნოს ბავშვის მცდელობა/ინიციატივა - „შენ მართლაც განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინე პაზლის აწყობისას“. ან „წინა კვირას ვერ დაასრულე ეს გამოცანა. ამ კვირას შენ შეგიძლია ბოლომდე დაასრულო“.

იუმორი. კარგია, როდესაც ჯგუფთან მუშაობისას აღმზრდელი მხიარულია და იუმორს იყენებს. ასეთ დროს აღმზრდელი „მუხტავს“ ბავშვებს პოზიტიური გრძნობებითა და ოპტიმიზმით. სიხალისე პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი*-სა და სასკოლო მზაობის ჯგუფების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს.

რთული ქცევის მქონე ბავშვების დახმარება. აღმზრდელისთვის მნიშვნელოვანია მშვიდად წარმართოს ურთიერთობა იმ ბავშვთან, რომელიც გამომწვევად იქცევა და ამ გზით წარმოუჩინოს ბავშვებს სირთულეების უკეთ დაძლევის საშუალებები. აღმზრდელი აგრძნობინებს ბავშვს, რომ ისინი ერთ გუნდს წარმოადგენენ პრობლემის დაძლევის პროცესში და ერთად უკეთესად მოაგვარებენ მას. აღმზრდელი სთავაზობს ბავშვს საკითხის მოგვარების ალტერნატიულ გზებს, რომლებიც პასუხობს ბავშვის საჭიროებებს და შედეგად გვაძლევს სოციალურად მისაღებ, მშვიდობიან ქცევას.

მაგალითად, წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც თავის თანატოლებს უხეშად ექცევა. იმის ნაცვლად, რომ სათამაშო ითხოვოს მეგობრისგან, დაუკითხავად იღებს ან ურტყამს ბავშვს, რომ სათამაშო წაართვას.

რა პოზიტიური ქმედებების განხორციელება შეგვიძლია ჩვენ ასეთ სიტუაციებში?

პირველ რიგში, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბავშვს არ აქვს ბოროტი განზრახვა - მან, უბრალოდ, არ იცის უკეთესი გზა. შესაბამისად, მას უნდა ვასწავლოთ სასურველის მიღწევის ისეთი გზები, რომლებიც უფრო უსაფრთხო და ეფექტურია. შეგვიძლია ბავშვთან ერთად გავითამაშოთ როლური თამაში, რომელშიც ბავშვის როლს შევასრულებთ და ვიტყვით: „როდესაც დაასრულებ, შეგიძლია მათხოვო სათამაშო და ერთად ვითამაშოთ?“, შემდეგ კი შეგვიძლია დამატებითი მაგალითის მოყვანა, რათა ბავშვი დავარწმუნოთ, რომ პრობლემის მოგვარების ერთზე მეტი გზა არსებობს: „გინდა, გავცვალოთ სათამაშოები?“. ახალი უნარების შეთვისება სწრაფად არ ხდება და მსგავსი აქტივობის განხორციელება რამდენჯერმე მოგვიწევს.

ჩვენ ასევე შეგვიძლია ბავშვების ჯგუფის ჩართვა თამაშში, რომელსაც ჰქვია „როდესაც რაღაცის თხოვნა გვინდა“. თამაშისას ლიდერმა უნდა დათმოს სათამაშო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები მშვიდად გამოხატავენ აზრებს და თავაზიანად საუბრობენ.

რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომლებიც ხშირად ავლენენ აგრესიულ და ძალადობრივ ქცევას, ასევე ბრაზს - საჭიროა, რომ აღმზრდელებმა ითანამშრომლონ მათ მშობლებთან და დახმარებისთვის მიმართონ ფსიქოლოგს.

თავი 3. აზროვნება

პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი*-ს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბავშვების მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა (წინამდებარე სახელმძღვანელოში მაღალი დონის სააზროვნო უნარები განხილულია, როგორც ანალიტიკური, შემოქმედებითი და პრაქტიკული აზროვნება თვალსაჩინო-პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით). თითქმის ყოველი აქტივობისას აღმზრდელი ბავშვებს უსვამს შეკითხვებს ან სთავაზობს ამოცანებს, რომლებიც მოითხოვს მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებას. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს მუშაობა ამ უნარების გასავითარებლად, ქვემოთ მოყვანილია კითხვები, რომლებიც აღმზრდელს შეუძლია დაუსვას ბავშვებს საუზმის დროს:

- „თქვენს მაგიდასთან ოთხი ბავშვი ზის?"
- „რამდენი ბავშვი ზის თქვენს მაგიდასთან?"
- „რამდენი ხელსახოცი გჭირდებათ თქვენი მაგიდისთვის?"
- „მაგიდაზე თქვენთვის საკმარისი რაოდენობის თეფშები აწყვია?" „კიდევ რამდენი ცალი გჭირდებათ?"
- „რა აკლია თქვენს სუფრას?"
- „შეხედეთ ორცხობილების ჯამს. როგორ გგონიათ, დაახლოებით რამდენი ორცხობილაა მასში?"
- „როგორ ფიქრობთ, რამდენი ორცხობილა შეხვდება თითოეულ ბავშვს თქვენს მაგიდასთან, თუ ჯამში ჩაწყობილ ყველა ორცხობილას გაგინაწილებთ?"
- „რა საჭმელს მიირთმევთ საუზმისას სახლში, რომელიც ბაღში არასოდეს გვაქვს?"
- „თუ საუზმისთვის ახალ, გემრიელ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სასუსნავს გამოიგონებთ, რა იქნება ის?" და სხვ.

ზემოთ მოყვანილი შეკითხვები უწყვეტ რიგად შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგი იწყება შეკითხვით, რომელზედაც მხოლოდ ერთი სწორი პასუხი შეიძლება იყოს - „დიახ" ან "არა", ხოლო მთავრდება შეკითხვით, რომელიც პასუხისთვის მაღალ სააზროვნო უნარს - ახალი იდეის წარმოქმნას მოითხოვს.

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიზნებიდან გამომდინარე, განიხილავენ სააზროვნო უნარების სამ მთავარ ტიპს. ეს ტიპებია: ანალიტიკური აზროვნება, სინთეზური (შემოქმედებითი) აზროვნება და პრაქტიკული აზროვნება. თითოეულ უნარს თავისი სპეციფიკა და დანიშნულება აქვს, თუმცა ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია[1].

[1] სააზროვნო უნარების აღნიშნული კლასიფიკაცია ემყარება რ. სტენბერგისა (Robert Sternberg) და ვ. უილიამსის (Wendy Williams) მოსაზრებებს, რომლებიც მიზანმიმართულად გაერთიანეს განათლების სფეროში მიმდინარე კვლევებისთვის.

ანალიტიკური (კონვერგენტული) აზროვნება წარმოადგენს ინდივიდის უნარს, მიიღოს მისი ინტერესებისა და მიზნების შესატყვისი ინფორმაცია, დაახარისხოს იგი, გამოყოს საკვანძო საკითხები, განასხვაოს ინფორმაციის არსებითი და არაარსებითი ასპექტები, შეაჯეროს და ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, გამოავლინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები, მიიღოს გადაწყვეტილება, გააკეთოს დასკვნები და გადაჭრას პრობლემები.

შემოქმედებითი ანუ სინთეზური (დივერგენტული) აზროვნება (მისი სინონიმებია პროდუქტიული აზროვნება, კრეატიულობა) წარმოადგენს ახალი მიმართებების დამყარების, ახალი იდეის შექმნის, ახალი ცოდნის შეძენის უნარს. შემოქმედებითი აზროვნების დროს ინდივიდი იყენებს არა უკვე ნაცნობ ცნებებსა და ოპერაციებს, არამედ ქმნის ახალ ხატებს, მნიშვნელობებს და პრობლემის გადაჭრის ახალ წესებს. აზროვნების ეს ფორმა საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ახალი (ერთი შეხედვით, წარმოუდგენელიც კი) კავშირები იდეებს, საგნებს, მოვლენებს და სხვ. შორის.

პრაქტიკული აზროვნება ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაზე. ესაა მოცემულ მომენტში პრობლემის სწრაფად გადაჭრის უნარი (რაიმე კანონზომიერებების ძიების გარეშე). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაქტიკული აზროვნება არის იდეებისა და აბსტრაქციების რეალობაში გადმოტანის უნარი; ასევე უნარი იმისა, რომ საკუთარი იდეა მიიტანო სხვამდე, დაანახო სხვებს ამ იდეის, პროდუქტის, სამუშაოს ღირებულება, მნიშვნელობა, ორიგინალობა და საჭიროება.

ანალიტიკური აზროვნება	შემოქმედებითი აზროვნება	პრაქტიკული აზროვნება
ანალიზი მსჯელობა კატეგორიზაცია/დახარისხება დაგეგმვა/ორგანიზება გადაწყვეტა შედარება შეფასება/კრიტიკა რეფლექსია	შექმნა გამოგონება აღმოჩენა წარმოდგენა/ვარაუდი წინასწარი შეფასება/ წინასწარმეტყველება	წარდგენა/პრეზენტაცია გამოყენება გაკეთება პრაქტიკაში გადმოტანა განხორციელება

ქვედა დონის სააზროვნო უნარები - დამახსოვრება, გამეორება, მიბაძვა (იმიტირება), დაზეპირება, ინფორმაციის შეგროვება, მითითებებისა და წესების შესრულება, ნიმუშის მიხედვით მოქცევა - ზოგადად, მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარებია, რომლებსაც ყოველდღიურად ვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს ქვედა დონის სააზროვნო უნარების დახვეწაში, ისინი ბევრად მეტ დროს უთმობენ ბავშვებში მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.

რატომ არის მნიშვნელოვანი მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარება?

პროფესიონალურ კალათბურთში ვარსკვლავები განსხვავდებიან „უბრალოდ“ ძალიან კარგი მოთამაშეებისგან არა მხოლოდ იმით, რომ უფრო ნიჭიერები, მაღლები ან ძლიერები არიან, არამედ იმითაც, რომ უფრო შემოქმედებითი, სააზროვნო თუ სტრატეგიული უნარები აქვთ და მაღალი დონის სააზროვნო უნარებს იყენებენ. კალათბურთის ვარსკვლავებს შეუძლიათ გამოიცნონ მოწინააღმდეგის მოძრაობები; ისინი სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ადგილიდან ტყორცნიან ბურთს, ცვლიან თამაშს, როდესაც რაღაც კარგად ვერ მიდის; მათ ყოველთვის იციან, თუ სად იმყოფებიან მათი თანაგუნდელები სათამაშო მოედანზე.

მიუხედავად იმისა, რომ უნარები და ცოდნა აუცილებელი და საჭიროა, ჩვენს მუდმივად მზარდ, რთულ, გლობალურ სამყაროში ეს არ არის საკმარისი ეფექტური საქმიანობისთვის და ჩვენ წინაშე არსებული მზარდი სირთულის პრობლემების გადასაჭრელად.

როგორ უნდა შეუწყონ ხელი სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებმა მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას?

დაუსვით ბავშვებს სააზროვნო კითხვები და წარმართეთ დისკუსია

ჯგუფური აქტივობის დროს აღმზრდელი ჩანთიდან სათითაოდ იღებს ხილს და ბავშვებს სთხოვს მათ დასახელებას. ერთ-ერთ ამოღებაზე აღმზრდელს ჩანთიდან მწვანე ვაშლი ამოაქვს (რაზედაც ბავშვები ერთხმად შესძახებენ - „ვაშლი!“). ცოტა მოგვიანებით აღმზრდელი ჩანთიდან უკვე წითელ, უფრო პატარა ზომის ვაშლს იღებს. აღმზრდელი ხელში იჭერს ორივე ვაშლს და კითხულობს: „რა ნიშნის მიხედვით დაასკვენით, რომ გარეგნობით განსხვავებული ეს ორივე ხილი ვაშლია?“ „რით განსხვავდებიან და რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს?“ (ანალიტიკური აზროვნება).

კითხვებს ცოცხალი კამათი მოჰყვება, რომლის დროსაც აღმზრდელი ბავშვებს ეხმარება ვაშლების ფერს, ზომასა და გემოს შორის არსებული განსხვავებების ამოცნობაში. შემდეგ აღმზრდელი გაჭრის ვაშლებს და ბავშვებს უჩვენებს, რომ შიდა ნაწილში ორივეს აქვს მცირე ზომის ყავისფერი თესლი. ბავშვები თავდაპირველად განსაზღვრავენ ვაშლის ორ დამახასიათებელ თვისებას: ფერსა და ზომას, გასინჯვის შემდეგ- გემოს (სიტკბოსა და სიმჟავეს) (ანალიტიკური აზროვნება). ამის შემდგომ აღმზრდელი ქაღალდის დიდ ფურცელზე აგებს მარტივ სამსვეტიან ცხრილს, რომლის თითოეული სვეტი განკუთვნილია ერთი რომელიმე თვისებისათვის; არჩევს თვალსაჩინოებას და სიტყვას თითოეული ვაშლის თვისებისათვის. ამის შემდეგ აღმზრდელს ჩანთიდან ამოაქვს დიდი წითელი ვაშლი და ჯგუფი უკვე ამ ვაშლს აღწერს ჯერ ორი და შემდეგ მესამე თვისების მიხედვით.

	ფერი	ზომა	გემო
ვაშლი 1	მწვანე	დიდი	უფრო მჟავე
ვაშლი 2	წითელი	პატარა	უფრო ტკბილი
ვაშლი 3	წითელი	დიდი	უფრო ტკბილი
ვაშლი 4	მწვანე	პატარა	უფრო მჟავე

ამ მაგალითში ნაჩვენებია აღმზრდელის ძალისხმევა, დაეხმაროს ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, რომ ერთნაირი სახელის მქონე, ერთი „ოჯახიდან“ წარმომდგარი საგნები/სხეულები შესაძლოა სხვადასხვა ნიშნით (მაგ., ფერით, ზომით ან გემოს მიხედვით) განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს, რომ მათ უფრო ნათლად წარმოიდგინონ ცნებები და დააკონკრეტონ მათი შინაარსი. ამ მიზნით აღმზრდელი მუშაობას წარმართავს ცნებების ურთიერთშედარების, მათ შორის მსგავსებება-განსხვავებების გამოვლენის გზით: იგი სათითაოდ ასახელებს ცალკეულ ნიშან-თვისებებს და იმავდროულად წარმოადგენს შესაბამის ვიზუალურ მასალას თითოეული მათგანისთვის. ეს ძალზე დაეხმარება ბავშვებს აზრების ორგანიზებასა და ყურადღების კონცენტირებაში. ამგვარად წარმართული მუშაობით აღმზრდელი სტიმულს აძლევს ორივე დონის სააზროვნო უნარების განვითარებას - ბავშვები, ჯერ ერთი, სწავლობენ სხვადასხვა სახეობის ხილის დასახელებებს (ქვედა დონის სააზროვნო უნარი), მეორეც, ამოიცნობენ და ერთმანეთს უდარებენ ვაშლის სხვადასხვა ნიშან-თვისებას (მაღალი დონის სააზროვნო უნარი).

დასასრულ, აღმზრდელი სვამს კითხვას, რომელიც დაეხმარება ბავშვებს, ცოცხლად წარმოიდგინონ (”გააცოცხლონ”) გონებაში ვაშლი და სიტყვიერად აღწერონ ის. ეს აზროვნების უფრო რთული უნარია. შესაბამისად, აღმზრდელმა წინასწარ უნდა ივარაუდოს, რომ ამ ამოცანის შესრულებას ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილი გაართმევს თავს (შესაძლებელია ასეთი საერთოდ არც კი მოიძებნოს). ამისდა მიუხედავად, აღმზრდელმა მაინც უნდა დასვას ეს შეკითხვა, რათა ხელი შეუწყოს მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას (თუნდაც ჩანასახოვანი ფორმით).

პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარების უნარების განვითარება

გარეთ მდებარე სათამაშო მოედანზე სამ ბავშვს ერთდროულად სურს საქანელაზე დასხდომა, საქანელა კი მხოლოდ ერთია. სკოლამდელ ჯგუფებში თითქმის ყოველდღიურ პრობლე-

მას წარმოადგენს რიგითობის დაცვაზე მოლაპარაკება. როგორც პრობლემური სიტუაციების უმრავლეს შემთხვევაში, ამ პრობლემის გადაჭრასაც, პირველ რიგში, პრობლემის მიზეზისა და შედეგის განსაზღვრა სჭირდება (ანალიტიკური აზროვნება), თუმცა ამ შემთხვევაში ეს საკმაოდ აშკარაა: მოედანზეა სამი ბავშვი და ერთი საქანელა, რომელიც მხოლოდ ერთ ბავშვს იტევს. შემდეგი ნაბიჯია პრობლემის მოსაგვარებლად სხვადასხვა მოსაზრების განხილვა (შემოქმედებითი აზროვნება), რომელსაც მოსდევს; მოსაზრებების შედარება და მათი შეპირისპირება (ანალიტიკური აზროვნება), თითოეული მოსაზრების შედეგების წინასწარ განჭვრეტა (შემოქმედებითი აზროვნება), მოსაზრებების შეფასება (ანალიტიკური აზროვნება) და შემდეგ საუკეთესოს შერჩევა (პრაქტიკული აზროვნება). თითოეულ ეტაპზე ეს პრობლემა საჭიროებს სამი ადამიანის მონაწილეობასა და შეთანხმებას (უფრო ზუსტად, ოთხის - თუკი აღმზრდელსაც ჩავთვლით).

ამ მაგალითში ჩანს, რომ ბავშვები თავიანთი მყისიერი საჭიროებებისა თუ გრძნობების დასაკმაყოფილებლად იყენებენ და განივითარებენ მაღალი დონის სააზროვნო უნარებს. ისინი სწავლობენ ამ უნარების გამოყენებას ყოფითი სიტუაციების დროსაც, როდესაც რაიმე პრობლემა ან კონფლიქტი წარმოიქმნება. ამ უნარებს ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ. მაღალი დონის სააზროვნო უნარები ემსახურება არა მხოლოდ კომპლექსური აზროვნებისა თუ შემოქმედებითი იდეების წარმოქმნას, არამედ წარმოადგენს იმ პრაქტიკულ ინსტრუმენტსაც, რომლის გამოყენება ყოველდღიურადაა შესაძლებელი მრავალგვარ სიტუაციაში.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლის ხელშეწყობა

კვლევაზე დაფუძნებული სწავლის დროს აღმზრდელი იყენებს ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, დასმულ შეკითხვებსა თუ ინტერესებს და მათი გათვალისწინებით გეგმავს საკუთარ საქმიანობას. ბავშვები და აღმზრდელები ერთობლივ „მოგზაურობაში'' იმყოფებიან. ამ „მოგზაურობისას" აღმზრდელი ბავშვების „კაპიტანია" და უზრუნველყოფს, რომ ისინი კონცენტრირებულნი იყვნენ საკუთარ ,,აღმოჩენებზე'', რაც მათ მნიშვნელოვან ცოდნას შესძენს.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლის პროცესი: მაგალითის აღწერა

ბავშვი თაროდან იღებს გამჭვირვალე მძივებით სავსე ქილას. ქილაში ხელის ჩაყოფისას ბავშვი შეიგრძნობს მძივების გრილ, სრიალა ზედაპირს. ის ამჩნევს, რომ ერთი მძივი სხვებისგან განსხვავებულია, რადგან მას მკვეთრი იასამნისფერი ფერი აქვს (ანალიტიკური აზროვნება). ბავშვს სურს გაიგოს, კიდევ თუ არის ასეთები გროვაში და ყუთიდან მუჭით ამოაქვს მძივები, რათა დაახარისხოს ისინი (ანალიტიკური აზროვნება). იისფერი მძივის უშედეგოდ ძებნის შემდეგ ბავშვი მიდის თაროებისკენ და ცარიელი ქილის ძებნას იწყებს. რამდენიმე თაროზე წარუმატებლად ძებნის შემდეგ იგი აღმზრდელს სთხოვს ცარიელ ქილას და უხსნის მიზეზს: „მინდა სადმე ჩავაწყო ყველა არაიასამნისფერი მძივი" (პრაქტიკული აზროვნება). აღმზრდელი მოიძიებს ცარიელ პლასტმასის ჭიქას. ბავშვი ბრუნდება მაგიდასთან, დახარისხებულ მძივებს აწყობს ამ ჭიქაში და ქილიდან კიდევ ერთი მუჭი

მძივები ამოაქვს. ამჯერად ბავშვი ფინჯანში ჩადებამდე სათითაოდ აკვირდება მძივებს. საბოლოოდ იგი პოულობს იასამნისფერ მძივს, მაგრამ ეს მძივი ძალიან მცირე ზომისაა. რამდენიმე ასეთივე პატარა იასამნისფერი მძივის ნახვის შემდეგ ბავშვი ჭიქის შიგთავსის ნახევარს მაგიდაზე გადმოყრის და მასში პოულობს სხვადასხვა ფერის სამ ძალიან პატარა მძივს. ბავშვი კვლავ აგრძელებს ძებნას და ქილაში ისევ პოულობს ორ პატარა მძივს, შემდეგ კი ამავე ზომის ექვს ცალ მძივს. ნაპოვნ მძივებს ბავშვი ცალკე რიგად აწყობს მაგიდაზე და აწესრიგებს მათ, სანამ არ დარწმუნდება, რომ ეს მძივები გარკვეული წესით (ზომის მიხედვით) არის დალაგებული - იწყება ყველაზე პატარებიდან და მთავრდება ყველაზე დიდებით (ანალიტიკური აზროვნება). აღმზრდელი ბავშვს სთხოვს აღწეროს ის, რაც მან გააკეთა და რასაც ფიქრობდა ამ ქმედების დროს. ბავშვის პასუხის შემდეგ კი სთხოვს მოყვეს, რა გამოუვიდა კარგად, რა აღმოჩნდა უფრო რთული ან რამ გაუცრუა იმედი (თუკი ასეთი რამ მოხდა).

ამგვარი აქტივობების ჩასატარებლად აღმზრდელი ყურადღებით არჩევს და აწვდის ბავშვებს ხარისხიან და მიმზიდველ რესურსებს. ამით იგი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ბავშვები მოტივირებულნი არიან იკვლიონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები, იაზროვნონ სიღრმისეულად, შეცვალონ თავიანთი მოსაზრებები და სხვ. ამგვარ საქმიანობებს საკმარისი დრო უნდა დაეთმოს დღის განრიგში, განსაკუთრებით, „კვლევისა და აღმოჩენებისთვის" განსაზღვრულ დროის მონაკვეთში. აღმზრდელი აცნობიერებს, რამდენად დიდი სასწავლო-განმავითარებელი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვან მასალას, კონკრეტულ ნივთებს რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით, განსხვავებული საქმიანობების შესრულების დროს ამგვარი მასალა, თავისი მრავალფეროვნებისა და განსხვავებული მახასიათებლების წყალობით, აღვივებს ბავშვის ინტერესს, აღძრავს შეხების სურვილს და მიმზიდველია თვალისთვის. ეს ბავშვებს უბიძგებს იქითკენ, რომ დააკვირდნენ ცალკეული საგნების/ნივთების თვისებებს, გამოყონ მათთვის საინტერესო და მიმზიდველი თვისებები და მათი გათვალისწინებით დაახარისხონ ისინი (საგნები/ნივთები).

ამგვარი რესურსების გამოყენებისას აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს თავიანთი საქმიანობის დაგეგმვაში, რათა მათ მიზანდასახულად მოქმედება შეძლონ. თუ ბავშვი ალალბედზე ირჩევს საგნებს - უბრალოდ, აწყობს ან გადააადგილებს მათ, აღმზრდელი მას აძლევს გარკვეულ დროს იმისათვის, რომ ბავშვმა შეხებით შეიგრძნოს მასალა და მიიღოს მგრძნობელობითი (სენსორული) გამოცდილება ხელით მუშაობის მეშვეობით. ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვს აძლევს რჩევებს რესურსის გამოყენების სხვადასხვა შესაძლო ხერხის/გზის შესახებ. რჩევის მიცემისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს ორი რამ: ბავშვის გამოცდილება, რომელიც მას რესურსების გამოყენების შედეგად აქვს მიღებული და თავისი ცოდნა ბავშვის უნარებისა და ინტერესების შესახებ. რესურსების შეთავაზება ინსტრუქციის გარეშე ბავშვს ხშირად აძლევს იმის საშუალებას, რომ თვითონ შეარჩიოს და საკუთარი ნებით გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს მიწოდებული რესურსი. ეს კი, თავის მხრივ, აღმზრდელისთვის თვალნათელს ხდის ბავშვის აზროვნების პროცესს. წარმოებული დაკვირვების საფუძველზე აღმზრდელი სვამს კითხვებს, რომლებიც სტიმულს აძლევს ბავშვის მაღალი დონის სააზროვნო უნარებს. მაგალითად: „გინდა, ერთნაირები იპოვო და

მაგიდაზე ერთმანეთის გვერდით დააწყო?" ან „გინდა, იპოვო დანარჩენებისგან განსხვავებულები და ისინი მაგიდაზე ერთმანეთის გვერდზე დააწყო?" ან „გინდა, ჩემთან ერთად ერთი თამაში ითამაშო? შენ ამოარჩევ ისეთებს, რომლებიც ყველაზე მეტად მოგწონს, ხოლო მე ვეცდები გამოვიცნო, რატომ მოგეწონა ისინი. შემდეგ, გავცვალოთ როლები". როდესაც ბავშვებმა უკვე იციან, როგორ ითამაშონ, აღმზრდელი იგონებს სხვადასხვაგვარ თამაშს იმ მასალებისთვის, რომლებითაც ბავშვებს ერთმანეთთან თამაში შეუძლიათ. ცოდნის შეძენისა და მაღალი დონის სააზროვნო უნარების თანდათანობითი განვითარების შესაბამისად, თამაშის წესები იცვლება და თანდათან რთულდება.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლა არ გულისხმობს მხოლოდ ზემოაღნიშნული ტიპის რესურსებისა და აქტივობების გამოყენებას. ეს მიდგომა გამოიყენება პროექტებისა და სხვა საქმიანობების განხორციელების დროსაც. აღმზრდელი მუშაობის პროცესში თავადაც იყენებს ამ მიდგომას და ამით მაგალითს აძლევს ბავშვებს. როდესაც დაისმება კითხვა, რომელსაც აღმზრდელი ვერ პასუხობს, იგი იწყებს დამატებითი ინფორმაციის ძიებას პასუხის გასაცემად და ამით აჩვენებს ბავშვებს, თუ რა გზებით არის შესაძლებელი ახალი ინფორმაციის მოპოვება. სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, სადაც სვამენ შეკითხვებს, მსჯელობენ მათ შესახებ და მოიძიებენ პასუხებს, წარმოადგენს სწორედ კვლევაზე დაფუძნებულ გარემოს; გარემოს, სადაც სწავლის პროცესს ისეთივე დიდი ღირებულება აქვს, როგორც არსებულ ცოდნას.

წარმოსახვითი (როლური) თამაშების წახალისება

როდესაც ბავშვები თამაშობენ როლურ თამაშს, მაგალითად, „ოჯახობანას", ამზადებენ და ერთად მიირთმევენ ვითომ-ვითომ სადილს, ისინი წარმოიდგენენ ამ სიტუაციას (შემოქმედებითი აზროვნება) და მოიფიქრებენ ახალ იდეებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოხდეს (შემოქმედებითი აზროვნება). ისინი გეგმავენ და ანაწილებენ, ვინ რა როლს შეასრულებს (ანალიტიკური აზროვნება), იყენებენ ინდუქციურ აზროვნებას სცენარის შესაქმნელად, თამაშისთვის არჩევენ რეკვიზიტებსა და კოსტიუმებს (ტანსაცმელს) (პრაქტიკული აზროვნება). თამაშის მიმდინარეობისას ბავშვები ადარებენ და ერთმანეთს უპირისპირებენ სხვადასხვა მოსაზრებას (ანალიტიკური აზროვნება), რის საფუძველზეც მათ შესაძლოა მოუხდეთ გადაწყვეტილებების მიღება თამაშის სცენარის განვითარებასთან დაკავშირებით (პრაქტიკული აზროვნება). როლის განსახიერებისას ზოგიერთ ბავშვს შეუძლია „შეცვალოს თვალთახედვა"- ისაუბროს, იფიქროს და იმოქმედოს, როგორც სხვა პიროვნებამ. როლური თამაში ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური საქმიანობაა, რომელშიც ბავშვები ღებულობენ მონაწილეობას. იგი მოიცავს სააზროვნო, სამეტყველო და სხვა საკომუნიკაციო უნარებს. როლური თამაშების დროს ბავშვებს უხდებათ ინტენსიური სოციალური ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოლაპარაკება, პრობლემების გადაჭრა და ფიზიკური მოძრაობა.

ბევრი სტრატეგია, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ კვლევაზე დაფუძნებული სწავლის აღწერისას, გამოიყენება როლური თამაშების წახალისების შემთხვევაშიც. ამ დროს აღმ-

ზრდელები აქტივობის წამახალისებლები და წარმმართველები არიან. ისინი ბავშვებს ეხმარებიან ჩაერთონ როლურ თამაშებში, რომელთა მონაწილეებიც შეთანხმებული არიან წარმოსახვით ადგილსა და სიტუაციაზე. საჭიროების შემთხვევაში აღმზრდელი ბავშვებს ეხმარება ძირითადი და დამატებითი როლების მკაფიოდ განსაზღვრაში, უზრუნველყოფს თამაშისთვის დამხმარე რეკვიზიტების მიწოდებას და/ ან დამზადებას. ეს მხარდაჭერა საჭიროა ბავშვების შემოქმედებითი უნარებისა და მაღალი დონის სააზროვნო უნარების მაქსიმალურად გამოსავლენად.

მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული გამოწვევები

ადრეულ ასაკში კონკრეტული ფაქტის ცოდნა ან რაიმე საბაზო უნარის ფლობა (როგორიცაა, მაგალითად, 10 ნივთის გადათვლა) ქვედა დონის უნარია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბავშვი *აცნობიერებს* რაოდენობისა და რიცხვის ცნებებს. ამის დასადგენად მხოლოდ ბავშვზე დაკვირვება არ კმარა, ვინაიდან ორმა ბავშვმა შესაძლოა ზუსტად ერთნაირად გადათვალოს ათი ნივთი, მაგრამ ერთს ესმოდეს თვლის არსი, ხოლო მეორეს, უბრალოდ, დაზეპირებული ჰქონდეს რიცხვების თანამიმდევრობა. აღმზრდელმა უნდა დასვას ერთი-ორი კითხვა, როგორებიცაა: „შენ სამი კუბიკი დაითვალე. თუ ერთს დავამატებთ, რამდენი გექნება?“ ან „ახლა ხომ ათი კუბიკი გაქვს, ერთს თუ მომცემ, რამდენი დაგრჩება?“ ბავშვი, რომელსაც ესმის რაოდენობის ცნება (აქვს რიცხვის შეგრძნება), შეძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ხელახლა გადათვლის გარეშე.

ბევრი მაღალი დონის სააზროვნო უნარი 5 წლის ასაკში ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ბავშვები სწორედ ამ დროს საჭიროებენ აღმზრდელებისა და ოჯახის წევრების მხრიდან ხელშეწყობას თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ერთსა და იმავე ასაკში ბავშვების შესაძლებლობებს შორის შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავებები იყოს. 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის ამ ტიპის სხვა ჩანასახოვანი და მზარდი უნარებია წიგნიერება, მეტყველება და თვითრეგულაცია. აღნიშნულ უნარებთან დაკავშირებით აღმზრდელის ძირითადი ამოცანაა, თავი აარიდოს ბავშვების შესაძლებლობების გადაჭარბებით ან, პირიქით, არასაკმარისად შეფასებას.

ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა არ არის მიჩვეული ისეთ კითხვებს, რომლებიც მაღალი დონის სააზროვნო უნარების გამოყენებას საჭიროებს, თავდაპირველად მათ შეიძლება გაუჭირდეთ პასუხების გაცემა და/ან შეკითხვის გაგება. აღმზრდელებს საკმაო დრო და ძალისხმევა დასჭირდებათ მანამდე, სანამ ბავშვების უმრავლესობას განუვითარდება ეს უნარები. თავდაპირველად აღმზრდელებს მოუწევთ ბავშვების დახმარება, მაგრამ მათი ანალიტიკური, შემოქმედებითი და პრაქტიკული სააზროვნო უნარების განვითარებასთან ერთად, აღმზრდელების დახმარება თანდათანობით შემცირდება.

თავი 4. შესაბამისობა

შესაბამისობა ეფექტური პროგრამისა და სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. შესაბამისობა გულისხმობს პროგრამის ყველა ასპექტის (პროცესის დაგეგმვა, ფიზიკური გარემოს მოწყობა, აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, აქტივობების განხორციელება, აღმზრდელის ქცევა და ა.შ.) მორგებას თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე.

პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე შესაბამისობა მოიაზრებს როგორც ბავშვების ინდივიდუალური, ისე მთლიანი ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებას და მათზე მორგებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი შეხედულება წინასასკოლო ასაკის ბავშვების ცოდნის, შესაძლებლობების, სურვილების, საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ, სასკოლო მზაობის ჯგუფში მყოფი ბავშვები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან მრავალი ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ზოგიერთ ბავშვს მეტყველების უნარები სხვა ბავშვებზე უფრო ადრე უვითარდება). ეს განსხვავებები შეიძლება განპირობებული იყოს თანდაყოლილი თავისებურებებით, აგრეთვე ოჯახისა და კულტურის ზეგავლენით.

იმისათვის, რომ პროგრამა იყოს ინდივიდუალიზებული და მორგებული თითოეულ ბავშვზე, აღმზრდელი ყურადღებით აკვირდება ბავშვებს სხვადასხვა გარემოში. მაგალითად, ბავშვი შეიძლება არ ესაუბრებოდეს უფროსებს ბაღში, მაგრამ ბევრს საუბრობდეს თანატოლებთან ან სახლში. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია და მათგან ინფორმაციის მიღება. აღმზრდელი რეგულარულად ესაუბრება მშობლებს და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისას. ხშირად ოჯახის წევრებს უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ საკუთარი მოლოდინების, ბავშვების ინტერესების, ძლიერი მხარეების, საჭიროებების, პიროვნული მახასიათებლებისა და სწავლის უნარების შესახებ.

განვითარების ყველა სფეროში ბავშვების პოტენციალის სრულად გამოვლენის მიზნით, უნდა შეიქმნას აღსაზრდელების საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული გარემო და დაინერგოს ისეთი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მათგანის ოჯახურ, კულტურულ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. აღმზრდელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ბავშვების სწავლისა და განვითარების, მოტივაციისა და ჩართულობის ეფექტურად ხელშეწყობას, თუ მოერგება მათ ინდივიდუალურ განსხვავებებს. ამისათვის არსებობს ორი ძირითადი სტრატეგია: „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპების დანერგვა და ინდივიდუალური მიდგომა.

უნივერსალური დიზაინი

უნივერსალური დიზაინი გულისხმობს გარემოს ორგანიზებასა და საქმიანობების დაგეგმვას იმგვარად, რომ თითოეულ ბავშვს მიეცეს აქტივობებში სრულად ჩართვის საშუალება. უნივერსალური დიზაინი უკლებლივ ყველა შემთხვევაზეა გათვლილი და თავის მნიშვნელობას

ინარჩუნებს მაშინაც, როდესაც ჯგუფში არ არიან სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები. მაგალითად, თუკი საბავშვო ბაღის/სკოლის შესასვლელთან მრავალსაფეხურიანი კიბეა, ეტლით ან დამხმარე სამოძრაო საშუალებებით მოსარგებლე ბავშვები დამოუკიდებლად ვერ შევლენ შენობაში და შესასვლელად მუდმივად სხვების დახმარება დასჭირდებათ; მაგრამ თუკი შენობის შესასვლელთან პანდუსი იქნება, ყველა ბავშვს შეეძლება შენობაში დამოუკიდებლად შესვლა - სწორედ ეს არის შესასვლელის უნივერსალური დიზაინი.

უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით, სასკოლო მზაობის ჯგუფში მიმდინარე ყველა საქმიანობა და პროცესი თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის. ეს მიდგომა გულისხობს, რომ ბავშვები თავისუფლად იყენებენ რესურსებს და მონაწილეობენ ისეთ საქმიანობებში, რომლებიც იძლევა სხვადასხვა შეგრძნების (სმენის, მხედველობის, შეხების) გააქტიურების საშუალებას, ამასთანავე სთავაზობს მოძრაობის შესაძლებლობებს აქტიურ ბავშვებს. აღნიშნული მიდგომა ძალზე მოქნილია და ბავშვებს უტოვებს არჩევანის თავისუფლებას - ნებისმიერ ბავშვს შეუძლია გამოეთიშოს საქმიანობას, თუკი არ სურს მასში მონაწილეობა და ამჯობინებს განსხვავებულ აქტივობაში ჩართვას.

უნივერსალური დიზაინის პრინციპები მოითხოვს დაგეგმვის გარკვეულ პროცესს, კერძოდ, აღმზრდელის მიერ იმგვარი საქმიანობების შერჩევას, რომლებშიც ჩართვა შეეძლება ყველა ბავშვს (მათი საჭიროებისა თუ განვითარების დონის მიუხედავად). ამასთან, „ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის“ პრინციპის დაცვა აუცილებელია არა მხოლოდ საქმიანობების ჩატარებისას - ამავე პრინციპის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს სასწავლო რესურსები, მოეწყოს შენობა და სათამაშო სივრცე, განისაზღვროს სკოლამდელი დაწესებულების მართვის მოდელები და პრაქტიკა აღმზრდელისა თუ სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან. უფრო მეტიც: იმის გათვალისწინებით, რომ მცირეწლოვან ბავშვთა განვითარება ინტეგრირებული პროცესია (ანუ ამ ასაკში არცერთი უნარ-ჩვევა არ არის მხოლოდ შემეცნებითი, მხოლოდ კომუნიკაციური, მხოლოდ სოციალურ-ემოციური ან მხოლოდ მოტორული), ეფექტური აქტივობების დასაგეგმავად აუცილებელია განვითარების სხვადასხვა სფეროს ინტეგრირება. უნივერსალური დიზაინის დროს აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვების სწავლის განსხვავებული სტილი (როგორ/რომელი არხით აღიქვამს და გადაამუშავებს ბავშვი ინფორმაციას უფრო ეფექტურად - ვიზუალურად, სმენით, შეხებით, მოძრაობით) და შეადგინოს ისეთი აქტივობები, რომლებშიც სწავლის ყველა არხი გამოიყენება. ამრიგად, ეფექტური უნივერსალური დიზაინი არ უნდა იყოს დამყარებული, ვთქვათ, მხოლოდ სმენით აღქმაზე. შესაბამისად, წიგნის კითხვისას ბავშვებს უნდა ვუჩვენოთ სურათები და მივცეთ აზრის გამოთქმის, ეპიზოდების გათამაშების ან/და მოთხრობის ილუსტრაციების შექმნის შესაძლებლობა. სურათების, ნივთების, ხმის ტონალობისა და ჟესტიკულაციის გამოყენება ეხმარება თითოეულ ბავშვს იმაში, რომ ყურადღება მიაქციოს და უკეთ გაიგოს აღმზრდელის ნათქვამი. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არაქართულენოვანი, სმენისა და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის - მათი გამოყენება კარგი შედეგის მომტანია ყველა ბავშვისთვის.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებისა და ცეკვების გაცნობა მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილებაა ყველა ბავშვისთვის და ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურის მატარებელ ბავშვებში ერთიანობის განცდის ჩამოყალიბებას.

იმისათვის, რომ თითოეულმა ბავშვმა შეძლოს სრულად და აქტიურად ჩართვა ყველა თამაშსა თუ აქტივობაში, მათ შორის, ისეთ მოძრავ თამაშებსა და აქტივობებში, რომელთა მონაწილეებიც შეიძლება წყლით დასველდნენ, დაისვარონ მიწით, ქვიშით თუ საღებავებით (რაც მეტად მნიშნელოვანია მათი განვითარებისთვის), საჭიროა მშობლების ინფორმირება. მშობლებს უნდა ვთხოვოთ, რომ ბავშვები (გოგონებიცა და ბიჭებიც) გამოაწყონ კომფორტულ სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში, რომელთა დასვრა არ გაანაწყენებს ბავშვსა და მშობლებს.

ინდივიდუალური მიდგომა

ბავშვების ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე მორგება

ინდივიდუალური მიდგომა შესაძლოა გულისხმობდეს ნებისმიერი ტიპის ადაპტირებას. ადაპტაცია შეიძლება შეეხოს სასწავლო მიზნებს, მასალას, კომუნიკაციის გზებსა და ფიზიკურ გარემოს. ადაპტაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის სპეციალისტები, რომელთა დახმარებასაც ბავშვი საჭიროებს. ზემოაღნიშნული საქმიანობები გუნდურად უნდა ხორციელდებოდეს და ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ მშობლებიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების, -მაგალითად, არაქართულენოვანი ბავშვების შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომა გულისხმობს განსხვავებული ენისა და კულტურის საკითხების გათვალისწინებას, ზოგადად, ჯგუფის გარემოში და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ბავშვთან მიმართებაში.

სენსორული და მოტორული დარღვევების შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომა შესაძლოა გულისხმობდეს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახის საშუალებებითა და უსაფრთხოების ზომების დაცვით.

ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს ბავშვების ჯგუფის ან მცირე ჯგუფების ძლიერი მხარეებისა თუ უნიკალური თვისებების გათვალისწინება და მათზე მორგება. ეს აქტუალურია განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვების შედარებით დიდ ჯგუფებთან. თუ ჯგუფი ძლიერია კონკრეტულ სფეროში, აღმზრდელმა ამის შესაბამისად უნდა შეცვალოს საქმიანობები. მაგალითად, აღმზრდელი დაკვირვების საფუძველზე აღმოაჩენს, რომ ბევრ ბავშვს კარგად აქვს განვითარებული ნატიფი მოტორული უნარები - მათ შეუძლიათ სხვადასხვა დეტალიანი ფიგურის დახატვა და საკმაოდ კარგად წერენ თა-

ვიანთ სახელებს. შესაბამისად, აღმზრდელი ცვლის დაგეგმილ თამაშს, რომლის დროსაც ერთი ბავშვი მოძრაობით (სხეულის ენით) უხსნიდა ჩაფიქრებულ სიტყვას სხვა ბავშვებს, ხოლო დანარჩენი ბავშვები ამოიცნობდნენ ამ სიტყვას. იმისდა მიუხედავად, რომ მოდიფიკაციის შემდეგაც თამაშის მიზანი იგივეა, ანუ ბავშვებმა ისევ უნდა გამოიცნონ სიტყვა, რომელსაც მათ ჯგუფელი უხსნის, აღმზრდელმა შეცვალა სიტყვის ახსნის მეთოდი: ახალი წესის მიხედვით, ახლა „ამხსნელმა" სიტყვის მნიშვნელობა უნდა გადმოსცეს არა მოძრაობით, არამედ ნახატის შექმნით.

სასკოლო მზაობის ერთ-ერთ ჯგუფში ერთი გოგონა გამოხატავდა ძლიერ ინტერესს რაოდენობრივი წიგნიერების საკითხების მიმართ და სხვა უნარებთან ერთად განსაკუთრებულად ჰქონდა განვითარებული უნარ-ჩვევები ამ მიმართულებით. აღმზრდელი შეწუხდა, როდესაც ბავშვმა შეწყვიტა თავის თანატოლებთან თამაში, რადგან შეთავაზებული თამაშები მეტად მარტივი იყო მისთვის. გოგონა სულ უფრო ხშირად იყო მარტო და თამაშების გამოგონებასა და წიგნების "კითხვაში" გაჰყავდა დრო. აღმზრდელს უნდა დაეგეგმა თამაშები და აქტივობები, რომლებიც ერთგვარი გამოწვევა იქნებოდა ამ ბავშვისთვის და ამასთანავე ჩართვის შესაძლებლობას მისცემდა იმ ბავშვებსაც, რომლებსაც მეტნაკლებად ტიპური მათემატიკური უნარები ჰქონდათ. ამ შემთხვევაში გოგონასა და მის ჯგუფელებს შორის ურთიერთობა არ დაირღვეოდა, დაკმაყოფილდებოდა მისი სოციალური და შემეცნებითი საჭიროებებიც. რადგანაც აღმზრდელმა იცოდა, რომ ასეთი თამაშისა და აქტივობის მოძებნა ძალზე გაუჭირდებოდა წიგნებში, თავად გამოიგონა და შექმნა რამდენიმე სამაგიდო თამაში და აქტივობა. ერთ-ერთ სამაგიდო თამაშში, რომელშიც სვლები გაგორებულ კამათელზე მოცემული ციფრების მიხედვით კეთდება, გოგონას უნდა გამოეკლო ერთ კამათელზე გამოსახული ციფრი მეორე კამათელზე დაფიქსირებული ციფრისთვის, მათი სხვაობა გაემრავლებინა 2-ზე და მიღებული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის სვლა გაეკეთებინა დაფაზე; მის თანატოლებს კი მხოლოდ ორი რიცხვი უნდა შეეკრიბათ. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქმიანობების მორგება ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

კულტურული შესაბამისობა

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში აღმზრდელი ითვალისწინებს ბავშვების ოჯახურ და კულტურულ ტრადიციებს, ასევე იმ ენას, რომელზედაც ბავშვები შინ საუბრობენ. კულტურულად შესაბამისი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ ბავშვებმა კომფორტულად, დაცულად იგრძნონ თავი და ამასთანავე არ ჰქონდეთ უპირატესობის შეგრძნება საკუთარი იდენტობის გამო. მაგალითად, თუ ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც ქართულს, როგორც მეორე ენას სწავლობენ, აღმზრდელი უნდა დაეხმაროს მათ, რათა ეს ბავშვები სრულფასოვნად ჩაერთონ ყოველდღიურ აქტივობებში და უკეთ გაიგონ ნათქვამი ან მოთხრობის შინაარსი. ამისათვის აღმზრდელი იყენებს მდიდარ ვიზუალურ მასალას, სხეულის ენას/ჟესტებს და ხმის ტონს. გარდა ამისა, აღმზრდელი სწავლობს რამდენიმე სიტყვას ბავშვების მშობლიურ ენაზე ან სთხოვს ამ ბავშვებს, ასწავლონ ქართულად მოსაუბრე ბავშვებს სიტყვები ან ფრაზები თავიანთ მშობლიურ ენაზე. აღმზრდელი ცდილობს გამონახოს არაქართულად მოსაუბრე ბავშვების როლურ თამაშებსა და სხვა საქმიანობებში ჩართვის გზები. მაგალითად, თავდაპირველად ეს შეიძლება იყოს იმგვარი აქტივობისა თუ როლური თამაშების შეთავაზება, რომლებშიც ბავშვს ნაკლე-

ბად მოუწევს საუბარი, თუმცა სრულფასოვნად შეძლებს თამაშში ჩართვას.
სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვების კულტურას ფიზიკური გარემოც უნდა შეესაბამებოდეს. სურათები, თვალსაჩინოებები და რესურსები უნდა ასახავდეს ადამიანების, ოჯახებისა და საზოგადოების მრავალფეროვნებას როგორც ლოკალური (ადგილობრივი), ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლობენ ქართულს, როგორც მეორე ან უცხოურ ენას, გარემოს მორგება გულისხმობს მდიდარი ვიზუალური მასალის, ფოტოების, საფოსტო ბარათების, პლაკატებისა და სხვა თვალსაჩინოებების ჯგუფში გამოყენებას. ხშირად შესაძლოა თავად აღმზრდელს მოუხდეს რესურსების დამზადება, რათა მასალა რეალურად ასახავდეს ამა თუ იმ ჯგუფის კულტურას, შეესაბამებოდეს გარემოს და გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს ბავშვებისთვის.

შესაბამისობა ბავშვების სოციალური და ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის

აღმზრდელის მიერ წამოწყებული ინტერაქცია და ჯგუფის გარემო მორგებული უნდა იყოს თითოეული ბავშვის ემოციურ, სოციალურ, ფიზიკურ თუ კოგნიტურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. თუ ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც ძნელად ერთვებიან სხვადასხვა საქმიანობაში, მორცხვობენ და თავს არიდებენ ურთიერთობას, აღმზრდელი ბავშვთან ამყარებს ემოციურ კავშირს ისეთი გზებით, როგორებიცაა მასთან ხშირი საუბარი, თამაში, სხვადასხვა სახის შეკითხვების დასმა, წახალისება. აღმზრდელი ასევე გეგმავს ჯგუფურ აქტივობებს და აძლევს ბავშვებს რაიმე განსაკუთრებულ დავალებას. მსგავს შემთხვევებში აქტივობების დაკავშირება სხვა ბავშვების თამაშთან ასევე ეფექტური სტრატეგიაა. მაგალითად, აღმზრდელმა შეიძლება სთხოვოს „მორცხვ" ბავშვს შენობის აშენება იმავე სივრცეში, რომელშიც სხვა ბავშვები აშენებენ შენობებს. „მშენებლობის" დროს აღმზრდელი ცდილობს ბავშვების დაკავშირებას და საერთო თამაშში ჩართვას შემდეგი სიტყვებით: -„თათია, შეხედე, შენ აშენებ ციხე-სიმაგრეს, გიომ კი ააშენა კოშკი. როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიძლება ავაშენოთ გზა, რომელიც დააკავშირებს ამ ორ შენობას?"

შესაბამისობა სხვადასხვა საქმიანობის დროს

სასწავლო პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილი აქტივობების შეცვლა პროცესის მიმდინარეობის დროს. ცვლილებების თავიდან ასარიდებლად წინასწარი საფუძვლიანი დაგეგმვა ყოველთვის საკმარისი არ არის - დაგეგმილი პროცესების შეცვლა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი აღმზრდელი ცხადად ატყობს, რომ ცვლილებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პროცესი. მაგალითად, აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს სხვადასხვა მოძრაობას, მუსიკის პედაგოგი პიანინოზე უკრავს, მაგრამ ბავშვები არ აქცევენ ყურადღებას მუსიკას ან აღმზრდელის ინსტრუქციას და საერთოდ არ უყურებენ მას. ისინი დარბიან ოთახში, ახტებიან ერთმანეთს, გორაობენ იატაკზე, ყვირიან და იცინიან. აღმზრდელი ხვდება, რომ ვინაიდან წვიმიანი ამინდის გამო ბავშვები არ ყოფილან იმ დღეს გარეთ სასეირნოდ, მათ აშკარად სჭირდებათ ენერგიის დახარჯვა და მოძრავი თამაში, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ჯგუფის პატარა სივრცე, ბავშვების რაოდენობა, მაგარი იატაკი და შესაბამისი აღჭურვილობის სიმწირე. ამიტომ ბავშვები იცვამენ ქურთუკებს და აღმზრდელს ისინი გარეთ გაჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ

წვიმამ გადაიღო, სათამაშო მოედანი მაინც სველია, ამიტომ ბავშვები მიდიან სასეირნოდ ქუ-ჩაში, ბაღის სიახლოვეს, თან მღერიან სიმღერებს და ხანდახან ხტუნავენ კიდეც. აღმზრდელ-მა იცის, რომ შემოდგომის ჰაერი, გარემოს შეცვლა და მსუბუქი ვარჯიში უფრო ეფექტურად, უსაფრთხოდ და პროდუქტიულად უპასუხებს ბავშვების საჭიროებას, ვიდრე ქაოტური სიტუ-აცია მუსიკალური აქტივობის დროს.

პროცესის მიმდინარეობისას დაგეგმილი აქტივობების შეცვლა საჭიროა მაშინაც, თუკი აშკა-რავდება, რომ საქმიანობა მეტისმეტად რთული ან მარტივია ბავშვებისთვის. ზოგიერთ შემთხ-ვევაში მცირედი ცვლილებაც საკმარისია. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, წესების ხელმეორედ, უფრო ნელი ტემპით ახსნა ან დემონსტრირება, კონკრეტულ საქმიანობაში უფრო გაწაფული ბავშვის დასახმარებლად მიჩენა სხვა ბავშვებთან, რომლებსაც უჭირთ აქტივობის შესრულე-ბა, მაგრამ ხანდახან აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანაც: შეიძლება შეიცვალოს თამაშის წესები იმისათვის, რომ თამაში გართულდეს ან გამარტივდეს; შეიძლება საჭირო გახდეს როლური თამაშისთვის ახალი იდეის მოფიქრებაც, თუკი აღმზრდელი დაინა-ხავს, რომ თამაში ბავშვებისთვის მოსაწყენი გახდა.

გულისხმიერი აღმზრდელი ცვლის მიდგომას ან აქტივობას, როდესაც ხედავს, რომ რაღაც არ „მუშაობს“, ბავშვები ვერ ერთვებიან სათანადოდ ან მათ სხვა რამ უფრო მეტად აინტერესებთ.

შესაბამისობა: სპონტანური სასწავლო სიტუაციები

სპონტანური სიტუაციები ხშირად იძლევა სწავლა-სწავლებისათვის მეტად ხელსაყრელ შესაძ-ლებლობებს. მაგალითად, გარეთ დაგეგმილი ჯგუფური თამაშისას ბავშვი პოულობს მუხლუ-ხოს. ახალი „აღმოჩენა” მომენტალურად იპყრობს მთელი ჯგუფის ყურადღებას. იმისათვის, რომ მოერგოს ბავშვების ინტერესს, აღმზრდელი თავს ანებებს დაგეგმილ თამაშს და მიმარ-თავს ბავშვებს შემდეგი შეკითხვებით: „რა უნდა ვუყოთ მუხლუხოს?”, „რად გადაიქცევა მუხ-ლუხო?”, “რას ჭამს მუხლუხო?”. შემდეგ ის უხსნის ბავშვებს, რომ მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ოთახში წაიყვანონ და ქილაში შეინახონ მუხლუხო, ეს არ გამოვა, რადგან შესაბა-მისი საკვების, ჰაერის, წყლისა და გარემოს გარეშე ქილაში ჩასმული მუხლუხო, სავარაუდოდ, ვერ გადარჩება და ამიტომ ის ბუნებრივ გარემოში უნდა დატოვონ. ის განიხილავს ამ საკითხს ბავშვებთან, საბოლოოდ ყველანი ერთად გადაწყვეტენ, რომ მუხლუხო დასვან ადამიანებისგან მოშორებით, საგანგებოდ შერჩეულ ადგილას ეზოში და მეორე დღეს მოაკითხონ სანახავად, იმ იმედით, რომ მუხლუხო კვლავ იქ იქნება. აღმზრდელი ფოტოს უღებს მუხლუხოს და ეუბნება ბავშვებს, რომ მოგვიანებით ისინი მოძებნიან დამატებით ინფორმაციას მუხლუხოს შესახებ.

„სკაფოლდინგი“ - სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა

ყოველდღიურად, დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში, აღმზრდელები ინდივიდუალუ-რად მუშაობენ ბავშვებთან, რათა ხელი შეუწყონ მათ სწავლასა და განვითარებაში. ეს განსა-კუთრებით შესაძლებელია *კვლევისა* და *აღმოჩენების* დროს. „სკაფოლდინგი“ სიტყვასიტყვით *ხარაჩოების შეყენებას* ნიშნავს. ტერმინი გულისხმობს ბავშვისთვის დახმარების აღმოჩენას იმ

მიზნით, რომ მან უფრო ეფექტურად გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც თავად სურს; შეასრულოს დავალება, რომელიც უფრო დახვეწილ და გართულებულ უნარებს მოითხოვს მისგან, ვიდრე ის დავალება, რომლის შესრულებაც მას დამოუკიდებლადაც შეუძლია.

როგორც კი აღმზრდელი დაინახავს, რომ ბავშვს განუვითარდა შესაბამისი უნარი ან ესმის ცნება დახმარების გარეშე, ის „მოაშორებს ხარაჩოებს" და წაახალისებს ბავშვს, რათა მან დამოუკიდებლად გამოიყენოს ცოდნა თუ უნარ-ჩვევა. პროცესი მეორდება სხვა დავალების დროს ან ზოგჯერ ანალოგიური დავალების შესრულებისას, თუკი დავალების პირობა უფრო გართულებულია. აღმზრდელის დახმარება შეიძლება მრავალგვარი იყოს: მარტივი სიტყვიერი წახალისება, ფიზიკური დახმარება, რესურსებისა თუ გარემოს მოდიფიცირება და სხვა. მაგალითად, აღმზრდელი ამჩნევს, რომ ასაკით ერთ-ერთ ყველაზე უმცროს ბავშვს უჭირს ფანქრის სწორად დაჭერა და ამის გამო ვერ გამოჰყავს საკუთარი სახელის ასოები. აღმზრდელი აჩვენებს ფანქრის სწორად დაჭერის წესს, შემდეგ ადებს ხელს ბავშვის ხელის მტევანს და აჩვენებს ბავშვს, თუ როგორ უნდა ფანქრის სწორად დაჭერა და წერა. აღმზრდელი იმეორებს ამას რამდენიმე დღის განმავლობაში, სანამ ბავშვი დამოუკიდებლად არ შეძლებს ფანქრის სწორად დაჭერას.

შემდეგ აღმზრდელი შეამჩნევს სხვა ბავშვს, რომელიც ასევე წვალობს ფანქრის ხმარებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში ბავშვს სწორად უჭირავს ფანქარი. აღმზრდელი ყურადღებით აკვირდება ბავშვს და ხედავს, რომ ბავშვს უჭირავს ფანქარი, მაგრამ ძალიან სუსტად, რადგან ის ყველაზე პატარაა ჯგუფში და პატარა თითები აქვს. მას საჭიროზე ცოტა მაღლა უჭირავს ფანქარი, რაც ასევე ხელს უშლის ფანქრის გამოყენებაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად აღმზრდელი წებოვან ლენტს (გლუვზედაპირიან სკოჩს) დაახვევს ფანქრის ქვედა ნაწილზე. ამით ის ასქელებს ფანქარს და ხდის მას ნაკლებად სრიალას და მიუთითებს ბავშვს, სად უნდა მოკიდოს ფანქარს ხელი.

ინკლუზია: შესაბამისობის უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ბავშვის სრულ მონაწილეობას ტიპობრივ საგანმანათლებლო გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად ასოცირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან, ინკლუზია გულისხმობს ყველა ბავშვის ჩართულობას, მათ შორის, იმ ბავშვების, რომლებსაც არ აქვთ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები. ესენი არიან: უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, ენობრივი, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები, გეოგრაფიულად იზოლირებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები, ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები; ბავშვები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობელი ჰყავთ და ა.შ. ის, თუ რომელ ჯგუფს სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, დამოკიდებულია ქვეყანაზე, კულტურასა და კონკრეტულ საზოგადოებაზე.

მშვიდობიანი, სამართლიანი და ფუნქციური საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელია, რომ ყველა ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე. განათლების მიღება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ საქმიანობა და განვითარება თავიანთი

ინდივიდუალური პოტენციალის შესაბამისად. ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს სწავლის ფუნდამენტური უფლება. ზოგიერთ ბავშვს ეს უფლება დამატებით განმტკიცებული აქვს სხვა კონვენციებით, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციით. ინკლუზია უზრუნველყოფს, რომ ყველას წვლილი და მონაწილეობა აღიარებული და წახალისებული იყოს.

ინკლუზიური განათლებისთვის უმნიშვნელოვანესია შემდეგი პრინციპული საკითხების გათვალისწინება:

- უნივერსალური დიზაინის კონცეფცია ინკლუზიური განათლების საფუძველია; ყველა აქტივობა ისე არის დაგეგმილი, რომ ხელმისაწვდომია ნებისმიერი ბავშვისთვის;

- ბაღისა და ჯგუფის ოთახის გარემოს მოწყობა ითვალისწინებს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, როგორც ფიზიკურს (შიდა და გარე სივრცე), ისე სოციალურს. იმ ბავშვებისთვის, ვისაც მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, სივრცე უნდა მოეწყოს ისე, რომ არ აფერხებდეს მათ გადაადგილებას. ეტლით მოსარგებლე ბავშვების გადაადგილება არ უნდა შეიზღუდოს სივრცის გამო (ზედმეტად ვიწრო ოთახი ან არასაკმარისი სივრცე). ჯგუფის ეფექტურად მოწყობილი სივრცე ითვალისწინებს ფერთა კონტრასტებს (კონტრასტული და კაშკაშა ფერები) მხედველობის პრობლემების მქონე ბავშვთათვის. საფეხურები ან სწორი ზედაპირის ცვლა უნდა იყოს აღნიშნული კონტრასტით ან ფერით. სივრცის ეფექტურად მოწყობა ითვალისწინებს საჭირო აკუსტიკის არსებობას სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის. ამგვარ სივრცეში ავეჯი და აღჭურვილობა ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის;

- რესურსების შერჩევა ხდება ისე, რომ ყველა ბავშვს შეეძლოს მათი ადვილად გამოყენება. წინასწარაა გათვლილი ფორმა, ზომა და ფერი. უნივერსალური დიზაინი უზრუნველყოფს მასალების მრავალგვარობას ზომისა და ფორმის თვალსაზრისით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვებმა, ვისაც ნივთის დაჭერის უნარი ნაკლებად აქვთ განვითარებული, ადვილად ისარგებლონ რესურსებით. მნიშვნელოვანია, რომ მასალები იყოს კონტრასტულ ან კაშკაშა ფერებში (მაგალითად, ყვითელ ფერში), გარკვეულ რესურსებს კი ჰქონდეთ გამოკვეთილი ტაქტილური მახასიათებლები, რომლებსაც კარგად შევიგრძნობთ შეხებით (ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ზუმფარის ქაღალდისგან, ხავერდის ქსოვილისგან ან სხვა მასალისგან გამოჭრილი ნაჭრები, გამოყენებული სხვადასხვა სახის ზედაპირზე);

- ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელებისა და ბაღის ადმინისტრაციის ძალისხმევას, რათა შეიქმნას კეთილგანწყობილი გარემო ყველა ბავშვისთვის, ოჯახისა და ფართო საზოგადოებისთვის. ცალკეული ბავშვებისა და ჯგუფის მუშაობის წარმატებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე სხვადასხვა პროფილის პროფესიონალთა გუნდური მუშაობა;

- აღმზრდელთა და ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტთა მომზადება უნდა ეფუძნებოდეს ინკლუზიური განათლების ღირებულებას, ფილოსოფიასა და პრაქტიკას. აუცილებელია, რომ ინკლუზიურ ჯგუფებში მომუშავე აღმზრდელები იცნობდნენ იმ ღირებულებებსა და ფილოსოფიას, რომლებიც საფუძვლად უდევს ინკლუზიურ განათლებას. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა გადახედონ თავიანთ წინასწარგანწყობებსა და შეხედულებებს, შესაძლო სტერეოტიპულ წარმოდგენებს, გაეცნონ ინფორმაციას სახვადასხვა ადამიანის, განსხვავებული შესაძლებლობების, კულტურებისა და ტრადიციების, რელიგიების, ენების, ოჯახის სტრუქტურისა თუ ქრონიკული დაავადებების შესახებ. გარდა ამისა ყველა აღმზრდელი უნდა ეცნობოდეს იმ მეთოდებსა და მასალებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. აღმზრდელები უნდა იცნობდნენ ფიზიკური სივრცის ხელმისაწვდომობის შეფასებისა და საჭირო ადაპტირების განხორციელების გზებს;

- ინკლუზიური განათლებისთვის უმნიშვნელოვანესია საჭირო დამხმარე პერსონალის არსებობა და მათი სათანადოდ გამოყენება მოცემულ გარემოში;

- ინდივიდუალიზება უნდა გამოიყენებოდეს განურჩევლად ყველა ბავშვის მიმართ. აღმზრდელები და სხვა თანამშრომლები უნდა პასუხობდნენ თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს;

- საჭიროა კონკრეტულად განისაზღვროს, რა ცვლილებებია მიზაშეწონილი გარემოს, მასალების, აღჭურვილობისა თუ მუშაობის მეთოდების უკეთ ადაპტაციისთვის და მხოლოდ ამის საფუძვლზე ჩატარდეს სათანადო სამუშაოები. გასათვალისწინებელია, რომ გარემოს, მასალების, აღჭურვილობისა და მუშაობის მეთოდების შეფასება რეგულარულად უნდა ხდებოდეს.

სოციალური გარემო

კეთილგანწყობილი სოციალური გარემოს შექმნა ეფექტური ინკლუზიური განათლების მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს გულისხმობს აღმზრდელის მიერ საკუთარი შეხედულებების, წინასწარი განწყობებისა თუ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გადახედვას იმისათვის, რომ მათ მიერ შექმნილი აქტივობები შესაფერისი იყოს ყველა ბავშვისა და ოჯახისთვის. მათ უნდა გააანალიზონ არა მხოლოდ საკუთარი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის ან კონკრეტული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ, არამედ საკუთარი წარმოდგენებიც გოგონებისა და ბიჭებისთვის „შესაფერისი“ აქტივობების შესახებ. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ ან რელიგიურ უმცირესობას, ჰქონდეთ თვითგამოხატვისა და საკუთარი ტრადიციების პატივისცემის შესაძლებლობა სხვადასხვა საქმიანობის დროს.

გახსნილი, გულღია ურთიერთობების მომხრე აღმზრდელები ეპატიჟებიან მშობლებს მათი ტრადიციებისა, პროფესიების, გამოცდილებისა და უნარების გასაზიარებლად. ისინი ბავშ-

ვებში აღძრავენ სხვათა პატივისცემის გრძნობას და გამოუმუშავებენ მათ წარმოდგენებს მრავალფეროვნების შესახებ. აღმზრდელები ქმნიან უმცირესობათა კულტურისა და ენის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობებს, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისთვის მისაღებ აქტივობებს ჯგუფში; უქმნიან ბავშვებს მოტივაციას, რომ ჩაერთონ სხავადასხვა საქმიანობაში და დასვან შეკითხვები.

კეთილგანწყობილი გარემო სტიმულს მისცემს ოჯახებს, რომ აღმზრდელებსა და მათ თანაშემწეებს გაუზიარონ უნიკალური ცოდნა საკუთარი ბავშვების შესახებ. ამგვარი გარემო წარმოადგენს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობის საფუძველს. აღმზრდელები ცდილობენ, ხელი შეუწყონ კითხვების დასმის პროცესს და ყურადღებით ეპყრობიან იმ პრობლემებს, რომლებიც მშობლებს აწუხებთ.

სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისა და აღმზრდელების გუნდური მუშაობა

ინკლუზიური განათლების პრინციპულ საკითხებს, გარდა აღმზრდელებისა, კარგად უნდა იცნობდნენ სპეციალური პედაგოგები და სხვა პროფილის სპეციალისტები, კერძოდ, ფსიქოლოგი და მეტყველების თერაპევტი. ინკლუზიური განათლების წარმატებისთვის აუცილებელია ეფექტური გუნდური მუშაობა. გუნდური მუშაობა არ გულისხმობს სპეციალისტების მხრიდან აღმზრდელებისთვის მხოლოდ მითითებების მიცემას, თუ რა უნდა გააკეთონ კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში. მათ აღმზრდელებთან ერთად უნდა იმუშაონ ჯგუფში არსებულ გამოწვევებთან ეფექტურად გამკლავებისთვის. ინკლუზიურ განათლებაში საუკეთესო პრაქტიკად ითვლება ჯგუფში მუშაობა და არა ბავშვის გადაყვანა სხვა გარემოში, სადაც მას „სპეციალურ დახმარებას“ გაუწევენ.

გუნდური მუშაობის შედეგად თითოეული ბავშვისთვის იგეგმება პროგრამა მისი მშობლების თანამონაწილეობით. ეს უზრუნველყოფს ერთიანი გუნდის საერთო მიზნისთვის მუშაობას და წარმატების შეფასებას ბავშვებთან ერთად.

ინდივიდუალური დამხმარეების გამოყენება

ზოგიერთ სიტუაციაში ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ ინდივიდუალური დამხმარეების მომსახურება. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ტუალეტით სარგებლობისას ან კვებისას. ასეთ დროს ბავშვს უნდა მიეშველონ ინდივიდუალური დამხმარეები, მაგრამ სხვა ბავშვებმა არ უნდა დაინახონ, რომ ასეთი დახმარება მხოლოდ ერთ ბავშვს „ეკუთვნის“. ინდივიდუალური დამხმარეების გამოყენებისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, მათი მომსახურება კი ნელ-ნელა უნდა შემცირდეს ბავშვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური დახმარების გაწევა შეუძლია აღმზრდელის თანაშემწეს ან სხვა დამხმარე პირს (მაგალითად, სადილობის დროს).

მულტიკულტურული და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისათვის სასურველია, რომ ჯგუფის დამხმარე პირებს/თანაშემწეებს შორის იყვნენ უმცირესობების ენებისა ან კულტურის

მცოდნე პირები (თუკი არსებობს ამგვარი შესაძლებლობა). ასევე სასურველია როგორც ქალების, ისე მამაკაცების დასაქმების წახალისება და განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანამშრომელთა სააღმზრდელო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა.

ადაპტაციის შეფასება

წარმატებულ ინკლუზიურ განათლებაში ინდივიდუალური ადაპტირება გულისხმობს, რომ შეფასებები ტარდება რეგულარულად, ბავშვთა უნარ-ჩვევებისა და საჭიროებების შეცვლის შესაბამისად. ბავშვის შემდგომი განვითარება შესაძლოა დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რამდენად სწორად განსაზღვრავს აღმზრდელი ადაპტირების საჭიროებასა და გზებს. დაკვირვება და რეგულარული შეფასება ხარისხიანი ინკლუზიური სკოლამდელი განათლების განუყოფელი პროგრამული ასპექტებია (იხ. თავი 25).

ნაწილი II:
სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემო და რესურსები

თავი 5. ფიზიკური გარემო

ავეჯის განლაგება და ესთეტიკა

ჯგუფის ფიზიკური გარემო, იქ არსებული ნივთები და მათი განლაგება დიდ ინფორმაციას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რას მოველით იქ მყოფი ბავშვებისგან, რას ვთავაზობთ მათ. ფიზიკურ გარემოს შეუძლია ეფექტურად ჩართოს ბავშვები სწავლის პროცესში. გარემო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სასკოლო მზაობის პროგრამისთვის, ვინაიდან ის მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროცესთან და ჯგუფის სოციალურ-ემოციურ გარემოსთან. აქედან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ხელს უნდა უწყობდეს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების ეფექტიან წარმართვას და, ზოგადად, ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესს.

ფიზიკური გარემო უნდა პასუხობდეს იქ მყოფი ბავშვებისა და აღმზრდელების საჭიროებებსა და ინტერესებს. თითოეული ჯგუფი განსხვავდება სხვებისგან ბავშვების რაოდენობით, ფორმით, ნივთებითა და სხვ. შესაბამისად, ყოველი ოთახის მოწყობისას საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა, რომლისთვისაც არ არსებობს უნივერსალური სწორი გზა. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და პრინციპი, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი*-ს ჯგუფის გარემოს მოწყობისათვის.

ბავშვებსა და აღმზრდელებს სჭირდებათ უსაფრთხო და კომფორტული სივრცე, რომელშიც მათ მიკუთვნილობის განცდა ექნებათ. სივრცე ამასთანავე კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა შესაძლებელი გახდეს საგანმანათლებლო პროცესის მიზნობრივად და შეუფერხებლად წარმართვა. როდესაც გარემო ნაცნობია და არ არის მოულოდნელობებით აღსავსე, ბავშვები შეძლებენ უფრო თავდაჯერებულად და დამოუკიდებლად მოქმედებას, რაც ხელს შეუწყობს მათი სწავლის უნარების განვითარებას. დაბოლოს, გარემო მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს - სრულდღიანი პროგრამის ჯგუფებში აღმზრდელები და ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებაში დღის უფრო დიდ ნაწილს ატარებენ, ვიდრე შინ, ამის გათვალისწინებით აუცილებელია ვიზრუნოთ იმაზე, რომ ეს დრო ბავშვებმა მათთვის სასიამოვნო და კომფორტულ გარემოში გაატარონ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მარტივად და მცირე დანახარჯებით.

ავეჯი

სასკოლო მზაობის ჯგუფში საჭიროა, ძირითადად, ხუთი ტიპის ავეჯი/ინვენტარი: მაგიდები, სკამები, თაროები, კარადები და ხალიჩები. მათი მოხმარებისთვის და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს.

საკლასო ოთახში ავეჯი ბავშვის ზომის უნდა იყოს. მაგიდები და სკამები უნდა იყოს მყარი და გამძლე, მაგრამ საკმაოდ მსუბუქი. ხალიჩა (ან ხალიჩები) უნდა იყოს ერთი ნეიტრალური ფერისა ან ჰქონდეს სადა მოხატულობა. ჯგუფში უნდა იყოს ერთი დიდი ხალიჩა, რომელზედაც ერთდროულად დაეტევა ყველა ბავშვი, თუმცა იგი არ უნდა ფარავდეს მთელ იატაკს ან მის უმეტეს ნაწილს. ხალიჩა უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალბეწვიანი, არ ისვრებოდეს ადვილად და მარტივად. იწმინდებოდეს. ჯგუფში ძირითად ავეჯს წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ფორმის თაროები, რომელთა მეშვეობით ოთახის სივრცე *ცენტრებადაა დაყოფილი. ამ* ცენტრებში სხვადასხვა სახის მასალა ინახება. მათი უმრავლესობა ისეთი სიმაღლისაა, რომ ბავშვებს თავად შეუძლიათ მისწვდნენ თაროებზე განთავსებულ ნივთებს. იმისათვის, რომ ბავშვებმა მარტივად შეძლონ საჭირო მასალების მოძებნა და იცოდნენ, სად (რა ადგილზე) უნდა დააბრუნონ გამოყენებული ნივთები. თაროების ზედაპირი და მასზე განთავსებული მასალები კარგად უნდა იყოს ორგანიზებული და დახარისხებული, თან ახლდეს შესაბამისი დასახელება და სურათი/ნახატი.

კარიან ან ფარდაჩამოფარებულ კარადებში, რომლებზეც ბავშვებს ხელი არ მიუწვდებათ, აღმზრდელი ინახავს მასალას, რომლის გამოყენებას მომავალში გეგმავს. საწმენდი საშუალებები, წამლები და პირადი ნივთები, სასურველია, ინახებოდეს საკეტიან კარადაში. ყველა დანარჩენი მასალა ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

სახვითი ხელოვნების მასალები მიმზიდველადაა ორგანიზებული და განლაგებულია დაბალ ღია თაროებზე, ასე რომ ბავშვებს სასურველ ნივთებზე „წადირობა" არ მოუწევთ.

ფოტოზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ჯგუფის ინტერიერი. ჯგუფში იყენებენ სახვით ხელოვნებაზე ფოკუსირებულ პროგრამას. აღნიშნული პროგრამა მართლაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახვით ხელოვნებას. დიდი მოლბერტები, რომლებიც კედლების სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს, კარგად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. გარემოს განსაკუთრებულ და სასიამოვნო ესთეტიკურ ელფერს აძლევს ბუნებრივი ფერები და მასალა: ხის დასაჯდომები, ხის ტოტებისგან დამზადებული ჭერის საკიდი, ხის მაგიდები, მოლბერტები და თაროები. თუმცა გარემო მონოტონური და ერთფეროვანი იქნებოდა სახალისო, შემოქმედებითი და ფერად-ფერადი კედლის დეკორაციების გარეშე.

ჯგუფის სივრცის ორგანიზება ცენტრებად

სასკოლო მზაობის ჯგუფის სივრცის მოწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა. ბავშვების ხელშემწყობი და ეფექტური გარემოს მისაღწევად ჯგუფის სივრცე ორგანიზებულია *ცენტრებად* - აქტივობების ტიპისა და შინაარსის მიხედვით გამოყოფილ სივრცეებად.

ოთახში ერთიანი ღია სივრცის არსებობა ბავშვებს სირბილის ან პრობლემური ქცევის გამოვლენის მეტ შესაძლებლობას აძლევს. ოთახის ცენტრებად დაყოფა, ცხადია, ამცირებს ამ სივრცეს. ბავშვები მიდიან აქტივობის ცენტრში იმისათვის, რომ გამოიყენონ იქ განთავსებული მასალები და იქვე რჩებიან აქტივობის დასრულებამდე. ბავშვებს შორის უფრო პოზიტიური ურთიერთობები მყარდება იმ შემთხვევაში, თუკი ცენტრში შედარებით ნაკლები რაოდენობის ბავშვი მოიყრის თავს. კარგად გამოყოფილ სივრცეში ბავშვები უკეთესად ერთვებიან აქტივობებსა და კომპლექსურ თამაშებში.

ცენტრები იძლევა მრავალფეროვანი საქმიანობების ერთდროულად წარმართვის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, ბავშვებს ასწავლის არჩევანის გაკეთებასა და დამოუკიდებლობას, უვითარებს სოციალურ-ემოციურ უნარებს ცენტრებში მიმდინარე ინტერაქციის მეშვეობით.

რომელი ცენტრები?

პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი*-ს ჯგუფში ცენტრების რაოდენობა შესაძლოა 10-ს აღწევდეს. ეს ცენტრებია, კერძოდ:

1. ***სახელოსნოს სივრცე***

გამოიყენება პროექტებზე მუშაობის დროს. ცენტრში განთავსებულია მაგიდები, სკამები, თაროები. პროექტის შინაარსის შესაბამისი რესურსები, რომლებიც თაროებზეა განთავსებული, პერიოდულად იცვლება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ასევე მასალების გადმოტანა სხვა ცენტრებიდან.

2. ***წრეში შეხვედრების სივრცე***

ეს სივრცე იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ ყველა ბავშვს იტევდეს. ცენტრში განთავსებულია ხალიჩა. ცენტრი მდებარეობს კედლის ან დაფის მახლობლად, სადაც გამოფენილია სასწავლო მასალები.

3. ***ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს ცენტრი***

ეს სივრცე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა ჩაატარონ მარტივი ექსპერიმენტები, აწარმოონ დაკვირვება, გამოთქვან ვარაუდები და სხვ. ამის გამო ცენტრში აუცილებელია მაგიდის, სკამებისა და ცალკეული სათავსოების არსებობა. სათავსოებში შეინახება სათანადოდ ორგანიზებული ბუნებრივი მასალები, აგრეთვე გამჭვირვალე პლასტმასის ჭიქები, რომლებშიც ბავშვები დარგავენ და გაზრდიან სხვადასხვა მცენარეს. სასკოლო მზაობის ზოგიერთ ჯგუფში ამ კუთხეში შეიძლება ჰყავდეთ ცოცხალი არსებაც (მაგ, კუ, ლოკოკინა, თევზი და სხვ.), რომლის მოვლაზე თავად ბავშვები იზრუნებენ (აღმზრდელის ზედამხედველობით).

4. ***სოციალური და კულტურული სამყაროს ცენტრი***

აღნიშნული სივრცე განკუთვნილია სხვადასხვა სახის აქტივობების, პროექტებისა და ჯგუფური თამაშებისთვის, ამიტომ მისი ორგანიზება სასურველია იმგვარად, რომ რაც შეიძლება მეტ შესაძლებლობებს იძლეოდეს განსხვავებული ტიპის საქმიანობების შესარულებლად. გარდა ამისა, ვინაიდან აქ მიმდინარე აქტივობები ბავშვს წარმოდგენას უქმნის კულტურული თუ სხვა სოციალური მრავალფეროვნების შესახებ, სასურველია ცენტრში თავმოყრილი იყოს ისეთი წიგნები, თვალსაჩინოებები თუ ნივთები, რომლებიც ბავშვებს შეუქმნის სათანადო წარმოდგენებს (ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა და ტიპის ქუდები, მუსიკალური საკრავები და ა.შ.).

5. ***რაოდენობრივი წარმოდგენების ცენტრი***

ცენტრში მოთავსებულია სხვადასხვა ავეჯი: მაგიდები, სკამები, თაროები. თაროებზე განთავსებული მასალები ბავშვებს აძლევს რაოდენობრივი წარმოდგენების ფორმირების შესაძლებლობას. აქვე შესაძლოა გვქონდეს პატარა დაფა საწერი მარკერებით. სათავსოებში

შეიძლება ინახებოდეს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები: გეომეტრიული ფიგურების ასაწყობი ჩხირების ნაკრები, კუბურები, სხვადასხვა ბრტყელი თუ სივრცული გეომეტრიული ფიგურის მოდელები და ა.შ.

6. ***კონსტრუქციის ცენტრი***

ხმაურის შესამცირებლად ცენტრში სასურველია ხალიჩა იყოს დაფენილი. ცენტრისთვის საჭიროა შედარებით ღია სივრცე, რომელიც ბავშვებს მისცემს საშუალებას, ააშენონ კონსტრუქციები დიდი და პატარა ზომის კუბურებით. ცენტრში განთავსებული იქნება სხვადასხვა ზომის კუბურები, აგრეთვე მასალები, რომლებსაც დამატებით შემოიტანენ სასწავლო თემის შესაბამისად: მაგალითად, სათამაშო ტრანსპორტი (მსუბუქი და სატვირთო მანქანები), პატარა ზომის ცხოველებისა და ადამიანების ფიგურები და სხვ.

7. ***მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრი***

სასურველია, რომ ეს სივრცე მაქსიმალურად იყოს გამოყოფილი სხვა „აქტიური“ ცენტრებისგან და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ბავშვებმა მშვიდად დაათვალიერონ წიგნები. ცენტრში თავმოყრილია წიგნები, რომლებსაც აღმზრდელი პერიოდულად ცვლის თემის შესაბამისად. წიგნებთან ერთად ცენტრში მოთავსებულია პლაკატები, დაფისა და მაგნიტური ასოები და წიგნიერების განმავითარებელი სხვა რესურსები.

8. ***სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი***

სასურველია ცენტრში იყოს მაგიდა, სკამები, სხვადასხვა სახის სათავსოები, სადაც შესაძლებელი იქნება სახატავი საშუალებების, თიხის, ქსოვილის პატარა ნაჭრების თუ ხატვის დროს გამოსაყენებელი „საშინაო ტანისამოსის“ შენახვა. აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ალბომები მხატვართა ნამუშევრებით.

9. ***საშემსრულებლო ხელოვნებისა და როლური თამაშების ცენტრი***

ეს სივრცე საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ ბავშვებმა თამაშის დროს შეზღუდულად არ იგრძნონ თავი. სივრცე უნდა იძლეოდეს ცვლილებების შეტანის საშუალებას თემის მიხედვით. მაგალითად, სივრცე, თემის შესაბამისად, შეიძლება გადაკეთდეს წყალქვეშა სამყაროდ, სამზარეულოდ ან ტყედ. მასალები შეიძლება აღმზრდელმა თავად დამზადოს ან გამოიყენოს მეორადი მასალა. შესაძლებელია აგრეთვე ბავშვების მიერ სხვა ცენტრებში შექმნილი ნამუშევრების მოტანა და გამოყენება.

10. ***წყნარი სივრცე***

ერთი ან ორი ბავშვისთვის განკუთვნილი პატარა სივრცე, რომელიც რბილი ხალიჩითა და მუთაქებით არის გაწყობილი. საჭიროების შემთხვევაში ეს სივრცე ბავშვებს დასვენების საშუ-

ალებას უნდა აძლევდეს. შესაძლებელია ეს სივრცე გავაერთიანოთ წიგნიერების ცენტრთან ან მის მახლობლად მოვაწყოთ.

ცენტრების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს ჯგუფისთვის გამოყოფილი სივრცის გათვალისწინებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გარკვეული ტიპის აქტივობები აღარ ჩატარდება. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ცენტრები, უბრალოდ, გაერთიანდება ერთ ცენტრად. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, თუ რა ტიპის სივრცე ესაჭიროება ამა თუ იმ ცენტრს- მაგიდები თუ ხალიჩით მოწყობილი ღია სივრცე. მაგალითად, წრეში შეხვედრები და კონსტრუქციული აქტივობები შესაძლებელია ერთ ცენტრში ჩატარდეს; წყნარი სივრცე გაერთიანდეს მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრთან; ერთ ცენტრად მოეწყოს ისეთი ცენტრები, რომლებიც სამაგიდო სამუშაოს მოითხოვენ: სახელოსნო, სახვითი ხელოვნებისა და რაოდენობრივი წარმოდგენების ცენტრები. ორი ან მეტი ცენტრის შეერთებისას რეკომენდებულია მასალების სხვადასხვა თაროზე გადანაწილება და ორგანიზება აქტივობების ტიპის მიხედვით. თუ ოთახში დიდი სივრცეა, სასურველია, რომ აღმზრდელები შემოქმედებითად მიუდგნენ სივრცის მოწყობის პროცესს -მოიფიქრონ და დაამატონ ახალი ცენტრები.

უსაფრთხოების მიზნით, ყველა ცენტრი აღმზრდელებს უნდა აძლევდეს ზედამხედველობის საშუალებას. სივრცეზე დაკვირვება შესაძლებელი უნდა იყოს ოთახის ერთი ადგილიდან მაინც. ამდენად, სივრცეების გამოყოფის დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ცენტრები ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: ერთი მხრივ, ისინი კარგად უნდა იყოს ერთმანეთისგან გამოყოფილი, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას აძლევდეს აღმზრდელს, რომ დააკვირდეს ცენტრებში მიმდინარე საქმიანობებს.

ცენტრების შერჩევის წესები

ვინაიდან დროის ყოველი კონკრეტული მონაკვეთისთვის ცენტრში ბავშვთა რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს (*წრეში შეხვედრების სივრცის* გარდა), საჭიროა შევიმუშაოთ სამართლიანი „როტაციის“ სისტემა, რათა ყველა ბავშვს შეეძლოს სხვადასხვა ცენტრში მიმდინარე აქტივობებში ჩართვა.

ჯგუფის ფიზიკური გარემოს ცვლილებები

სასკოლო მზაობის ჯგუფის გარემო კარგად ორგანიზებული და სტაბილური უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, გარემოს რადიკალურად გარდაქმნა მიზანშეწონილი არ არის. მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში შესაძლოა საჭირო გახდეს გარემოში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ცვლილებას, ძირითადად, მოითხოვს ცენტრის შინაარსობრივი მხარე, რომელიც ახალი თემების შესაბამისად მცირედით იცვლება. ცენტრებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ამას გარდა, ცვლილებები საჭიროა იმ

შემთხვევაშიც, თუკი რაიმე პრობლემის მოგვარება ფიზიკური სივრცის შეცვლით შეიძლება. იმისათვის, რომ ასეთი ცვლილებები ბავშვებისთვის ადვილად შესაგუებელი იყოს, წინასწარ დაელაპარაკეთ მათ, აუხსენით, რა შეიცვლება და რა მიზეზის გამო. მაგალითად, აღმზრდელი ამჩნევს, რომ სახვითი ხელოვნების ცენტრში ბავშვები ხშირად კამათობენ და ერთმანეთს ეჯახებიან, რის გამოც ის გადაწყვეტს ცენტრის ფართობის გაზრდას. ვინაიდან არსებული სივრცე არ იძლევა ცენტრის გაფართოების საშუალებას, აღმზრდელი პრობლემას აგვარებს სახვითი ხელოვნებისა და სახელოსნოს ცენტრების გაერთიანების გზით.

სახვითი ხელოვნების ამ ჯგუფური აქტივობისთვის სამი ოთხკუთხედი მაგიდა გაერთიანებულია ერთ დიდ მაგიდად

ჯგუფის ესთეტიკა

ის, რაც ლამაზია ერთი ადამიანისთვის, შესაძლოა მეორისათვის სულაც არ იყოს მიმზიდველი. გემოვნება ინდივიდუალურია, თუმცა ესთეტიკის ცნება უფრო ზოგადია, ვიდრე გემოვნება ან სტილი, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებთ. ესთეტიკურობას გარკვეული უნივერსალური პრინციპები ახასიათებს, რომლებიც ყველანაირ სტილს მიესადაგება.

წარმოვიდგინოთ ერთ ბაღში არსებული სასკოლო მზაობის ორი ჯგუფი. დავუშვათ, რომ ერთი ჯგუფის აღმზრდელმა ოთახი პასტელის ფერებში გააწყო და აღჭურვა მომრგვალებული ფორმებისა და დაბოლოებების მქონე ნივთებით; იქვე, სასკოლო მზაობის მეორე ჯგუფში კი აღმზრდელმა სივრცის მოსაწყობად გამოიყენა, ძირითადად, მკვეთრი ფერები, მყარი მასალები და ოთხკუთხედისა და კვადრატის ფორმის ნივთები. ორივე ოთახი ესთეტიკურადაა მოწყობილი, თუმცა პრაქტიკის თვალსაზრისით მათი სტილი ურთიერთსაპირისპიროა. სტილი აღმზრდელისთვის მიმზიდველი უნდა იყოს. ჯგუფის მოწყობისას დაცული უნდა იყოს თანამიმდევრულობა, ყურადღება მიექცეს დეტალებს.

იატაკის თამამი, მაგრამ მარტივი მოხატულობა, რომელსაც მეტი სინათლე შემოაქვს ოთახში, იმავდროულად მონიშნავს სათამაშო სივრცეს. მსგავსი მოხატულობის ხალიჩა სხვა სივრცეშიც იმავე ეფექტს შექმნის და უფრო მეტად „დაათბობს“ სივრცეს. განსაკუთრებული, ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოს შექმნა შეუძლიათ მასალებსა და მათ განლაგებას: ქაღალდის პეპლებს ფანჯარაზე, ფერად ღობეს, რომელიც ფანჯარაში მოჩანს, დიდი ფანჯრებიდან შემოსულ სინათლეს და მოწესრიგებულ, სწორად განლაგებულ ავეჯს.

არსებობს კიდევ ორი უნივერსალური პრინციპი ესთეტიკურობის მისაღწევად - სისადავე და წესრიგი. სისადავე გულისხმობს, რომ სივრცე და მისი შემადგენელი ნაწილები არ არის მოუწესრიგებელი, გადატვირთული ან ზედმეტად სტიმულის მიმცემი. მოწესრიგებული, კარგად ორგანიზებული სივრცე ამცირებს არეულობას და ქმნის სისადავის განცდას. მოწესრიგებული გარემო არა მხოლოდ სასიამოვნო აღსაქმელია, არამედ ემოციურად დამამშვიდებელიც. ის ეხმარება ბავშვებს სწავლასა და განვითარებაში. ამგვარად მოწყობილ გარემოში ნივთების მოძებნა და უკან დაბრუნება მარტივია. ნივთების მოძებნის/დაბრუნების დროს ბავშვები აჯგუფებენ და ახარისხებენ ნივთებს სხვადასხვა მახასიათებლისა და დანიშნულების მიხედვით, სწავლობენ ნივთების მოვლას; მათ უვითარდებათ აგრეთვე თვითმომსახურების უნარ-ჩვევები.

ამ ფოტოზე ნათლად იკვეთება კავშირი წესრიგსა და ესთეტიკას შორის

კედლის დეკორაცია

ესთეტიკურობის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია კედლებზე გაკრული პლაკატები და სურათები. ისინი მიმზიდველი და მხატვრული დატვირთვის მქონე უნდა იყოს და არა ზედაპირული ან კომერციული. ბავშვების ფოტოების გამოყენება თითქმის ყოველთვის კარგი საშუალებაა კედლის გაფორმებისთვის.

მოცემული „წესების პლაკატი“ ლამაზად არის გაკეთებული. ის ფერადია, მაგრამ ფერები ზომიერადაა გამოყენებული. პლაკატი ვიზუალურად მდიდარია, ასე რომ ბავშვები შეძლებენ მის „წაკითხვას“. პლაკატი ამასთანავე მარტივია აღსაქმელად - შეიცავს რამდენიმე სიტყვას და ხუთ სურათს, თანამიმდევრულია და კარგად ორგანიზებული, წარწერები ერთ სტილშია გაკეთებული, მათი განლაგება კი სიმეტრიულია.

ქვემოთ მოცემული „დღის განრიგის“ პლაკატი იმავე პრინციპების დაცვით არის შექმნილი - მარტივია და ვიზუალურად მდიდარი. ის კარგადაა ორგანიზებული და მორგებულია ბავშვების ცოდნასა და უნარებზე. როდესაც ბავშვებს უკვე შეეძლებათ საათების გარჩევა, განრიგში უნდა დაემატოს რიცხვებით ან საათის ნახატებით გამოხატული დრო. „ჯიბეები“ იძლევა იმის საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში გადავანაცვლოთ აქტივობების თანამიმდევრობა (იხ. მეორე ილუსტრაცია). დღის განრიგი კედელზე უნდა იყოს გაკრული, რათა ბავშვებს შეეძლოთ მისი დანახვა.

დღის განრიგი

პირველი შეხვედრა წრეში 9:30 – 9:50	
საუზმე 9:50 – 10:15	
კვლევის და აღმოჩენების დრო 10:15–11:15	
წიგნის დრო 11:15–11.30	
მოძრავი თამაშების დრო 11:30 – 12:15	
საქმიანობები მცირე ჯგუფებში 12:15– 12:35	
მუსიკა, ცეკვა, მოძრაობა 12:35– 12:50	
სადილი 12:50 – 13:15	
შემაჯამებელი შეხვედრა წრეში/ მომზადება სახლში წასასვლელად 13:15 –13:30	

ბავშვების ნამუშევრები, განსაკუთრებით კი პროექტების შედეგად შექმნილი ნამუშევრები, კედლებზე უნდა იყოს გამოფენილი ესთეტიკურობის ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად. ჯგუფში ბავშვების საქმიანობების ვიზუალურად წარმოჩენას სხვადასხვა დანიშნულება აქვს, კერძოდ: გამოფენის მოწყობის გზით შესაძლებელია ხელი შევუწყოთ ბავშვებში ჯგუფისადმი მიკუთვნილობის გრძნობის განვითარებას - ამ გზით ბავშვები დაინახავენ, რომ მათ აფასებენ და პატივს სცემენ; გამოფენა შესაძლებელია გამოვიყენოთ სასწავლო რესურსის სახით; დაბოლოს, გამოფენის მოწყობა იძლევა საშუალებას, რომ ოჯახის წევრებსა და სხვა სტუმრებს გავაცნოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. რეკომენდაციები პროექტების მიმდინარეობისა და განვითარების დოკუმენტირებისთვის, ასევე ფოტოგამოფენების მოწყობისთვის წარმოდგენილია წინამდებარე სახელმძღვანელოს 27-ე თავში („ბავშვების საქმიანობის და განვითარების დოკუმენტირება“).

თავი 6. ჯგუფის რესურსები

მოცემულ თავში წარმოდგენილია არა მხოლოდ ის მასალები და რესურსები, რომელთაც ტრადიციულად იყენებენ სკოლამდელ დაწესებულებებში (მაგ., საკანცელარიო ნივთები, პლასტმასის კუბურები და ა.შ.), მასში განხილულია ასევე ისეთი მასალა და რესურსები, რომლებიც არ გვხვდება სასწავლო რესურსების ტრადიციულ ჩამონათვალში, მაგრამ ძალიან ეფექტურია ბავშვებთან მუშაობისას, სასწავლო რესურსები და სათამაშოები ისეა შერჩეული, რომ წაახალისოს ბავშვების მოქმედება, მოძრაობა, შემოქმედებითობა, შემეცნება და მისცეს მათ ყველა სფეროს განვითარების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ არსებული მასალა და რესურსები ხელს უწყობდეს მრავალმხრივ განვითარებას, შეესაბამებოდეს ადგილობრივ კულტურას, პასუხობდეს ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს. ამისათვის კი ხშირად საუკეთესო რესურსს წარმოადგენს შედარებით იაფი მეორადი (გადამუშავებული) ხელნაკეთი მასალა.

მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაღში არსებული მასალა და რესურსები იძლეოდეს მათი მრავალმხრივი გამოყენების საშუალებას. რესურსი მით უფრო ღირებულია, რაც უფრო მეტ და სხვადასხვაგვარ აქტივობასა თუ თამაშში შევძლებთ მის გამოყენებას. ამ ტიპის რესურსები მნიშვნელოვანია იმით, რომ ხელს უწყობს ბავშვების სრულფასოვან განვითარებას და მდგრადი გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე საბავშვო ბაღის რესურსების დაზოგვას. მაგალითად, დიდი

ზომის ცარიელი ყუთების გამოყენება შეიძლება „ავეჯის“ ან დახლების ნაცვლად ნებისმიერ ცენტრში, ასევე „სახლის“ ან სხვა შენობის ასაშენებლად, გასატიხრად და ა.შ. შესაძლებელია ყუთების გამოყენება შესანახ სივრცედ, აგრეთვე როლური თამაშებისთვის საჭირო სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების (მანქანა, ავტობუსი, მატარებლის ვაგონი) დასამზადებლად.

პროგრამაში ტერმინი „თავისუფალი ნაწილები” გამოიყენება ისეთი მასალის აღსანიშნავად, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ერთი კონკრეტული ფუნქცია ან შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალი სხვადასხვა გზით.. ეს შეიძლება იყოს როგორც ძალიან მცირე ზომის ნივთები (მაგალითად, სხვადასხვა სახის შუშის ან სხვა მასალის პატარა ბურთულები/მძივები), ისე დიდი ზომის ნივთები/საგნები (მაგალითად, სხვადასხვა სიგრძის ხის დაფები როლური თამაშებისთვის). „თავისუფალი ნაწილები” ბავშვებს აძლევს კვლევის, აღმოჩენების, შექმნისა და წარმოსახვის გამოყენების შესანიშნავ საშუალებას, აღმზრდელს კი ეხმარება აქტივობებისა და თამაშების შექმნაში, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ცნებების ახსნასა და დემონსტრირებაში.

კულტურული კონტექსტი

ბავშვები ყველაზე კარგად სწავლობენ და ვითარდებიან მაშინ, როდესაც გრძნობენ, რომ ბაღის გარემო ნაცნობია და კომფორტული; როდესაც იციან, რომ აქ მზად არიან მათ დასახმარებლად. ჩვენ უკეთ ვსწავლობთ, როდესაც ჩვენგან ელოდებიან იმით დაწყებას, რაც უკვე ვიცით. ამის გამო მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში წარმოდგენილი მასალა შეესაბამებოდეს იმას, რასაც ხშირად ვხედავთ საქართველოში და ადგილობრივად, კონკრეტულ თემში. ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ აღსაზრდელებმა კარგად გაიცნონ საკუთარი კულტურა და იამაყონ მისით. მაგალითად, როლური თამაშების დროს სასურველია, რომ გამოსაყენებელი მასალა (ტანსაცმელი, სხვადასხვა აქსესუარი და ა.შ.) შეირჩეს იმ ნივთებისაგან, რომლებიც ყოველდღიურად გამოიყენება ბავშვების სახლებში და ამასთანავე ატარებს ადგილობრივი კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს. ეს შეიძლება იყოს ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი თექის მასალა, რომელსაც ბავშვები იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებსა თუ პროექტებში; ქართული საკრავი ინსტრუმენტები (მაგალითად, ფანდური, სალამური, დოლი და სხვ.); ქვეყანაში თუ ადგილობრივ თემში გავრცელებული ნივთები. ბავშვები სწავლობენ ტრადიციულ სიმღერებსა და ცეკვებს ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის გამოყენებით. ამ დროს ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული წარმოდგენებსა და ზეიმებზე. კედლებზე გაკრული ადამიანების სურათები და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი თოჯინები ადგილობრივი მცხოვრებლების მსგავსად უნდა გამოიყურებოდნენ, აქვე უნდა იყოს გამოფენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ცალკეული ადგილების სურათები.

უფრო მოგვიანებით, სასწავლო წლის განმავლობაში, ბავშვებს თანამიმდევრულად უნდა წარვუდგინოთ უცხოეთში მცხოვრები ადამიანებისა და უცნობი ადგილების სურათები. ამ გზით ბავშვები ნელ-ნელა გაეცნობიან მსოფლიოში არსებულ მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, ბავშვებს უნდა შევთავაზოთ ისეთი თემები, როგორიცაა, მაგალითად: „რას და როგორ ჭამენ ადამიანები?”. ამ თემის გაცნობისას ბავშვები შეადარებენ ქართულ და სხვადასხვა ქვეყნის პურის ნაირსახეობებს; აგრეთვე ჭამის დროს გამოყენებულ ჭურჭელსა და სხვა დამხმარე მასალებს.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული სახეობის პური, საჭმელი ან ჭურჭელი კონკრეტულ გარემოსა და კონკრეტული ქვეყნის კულტურას (მათ შორის, საქართველოს მაგალითის გამოყენებით).

შესაბამისობა ბავშვის საჭიროებებთან და ინტერესებთან

მრავალფეროვანი მასალა და რესურსები, მათ შორის "თავისუფალნაწილებიანი" მასალა (მასალა, რომლის ტრანსფორმაცია ბავშვს შეუძლია საკუთარი სურვილით, ნიმუშის გამოყენების გარეშე), გვეხმარება თითოეული ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაში. ძირითადი მასალითა და რესურსებით სიამოვნებით ისარგებლებენ როგორც გოგონები, ისე ბიჭები, თუმცა აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი მასალაც, რომელიც შესაძლოა ერთ-ერთ სქესს ეფრო მეტად იზიდავდეს: გოგონებისა და ბიჭების კოსტიუმები როლური თამაშებისთვის, თოჯინები, მსუბუქი და სატვირთო მანქანები, სხვა ნივთები.



ისეთი მასალები, როგორებიცაა ასაწყობი „ფაზლები" (იხ. ილუსტრაცია) და სხვა სამაგიდო თამაშები, არ უნდა იყოს ძალიან რთული 5 წლის ბავშვებისთვის. ეს არა მხოლოდ პასუხობს სხვადასხვანაირი შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებებს, არამედ ძალზე ეხმარება ცალკეულ ბავშვებს პროგრესის მიღწევაში. ბავშვმა, რომელსაც 10-ნაწილიანი „ფაზლის" აწყობა რთულად ეჩვენება წლის დასაწყისში, წლის ბოლოს შეიძლება 50- ნაწილიანიც ააწყოს.

ხელნაკეთი რესურსები

ვინაიდან აღმზრდელი ყველაზე უკეთ იცნობს ჯგუფის საჭიროებებს, ინტერესებსა და ბავშვების განვითარების დონეს, მას შეუძლია თავად დაამზადოს საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განსაკუთრებულად სასარგებლო, ეფექტური და ბავშვებისთვის მოსაწონი იქნება. აღმზრდელებს შეუძლიათ ბავშვებთან ერთადაც დაამზადონ ნივთები და შემდეგ გამოიყენონ ისინი ამა თუ იმ საქმიანობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელნაკეთი ნივთების დამზადება ერთდროულად მრავალი უნარის განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები უკეთ თამაშობენ და სწავლობენ ხელნაკეთი მასალებითა და სათამაშოებით, განსაკუთრებით, თუ ისინი თავად არიან ჩართულნი ამ მასალის მომზადებაში. მაგალითად, წიგნიერების განვითარებისთვის გამოიყენება ასოები, რომლებიც ხშირად ნაბეჭდი სახით (პლაკატზე ან ბარათებზე) არის მო-

წოდებული, მაგრამ ბავშვებს შეუძლიათ თავად დაამზადონ ასოები მუყაოს, ფანქრების, საღებავების ან წებოსა და სხვადასხვა მასალის (ქვიშა, ბრინჯი, წიწიბურა) გამოყენებით. ამ შემთხვევაში ვითარდება როგორც სენსო-მოტორული და შემოქმედებითი უნარები, ისე წიგნიერების უნარები.

მეორადი (გადამუშავებული) მასალა

აღმზრდელს შეუძლია მეორადი (გადამუშავებული) მასალა თვითონ შეაგროვოს ან ბავშვებსა და მშობლებს სთხოვოს ზოგიერთი მეორადი მასალის სახლებიდან მოტანა. ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად აღმზრდელი დეტალურად უხსნის მშობლებსა და ბავშვებს, რა სახის (და რა მდგომარეობაში) მეორადი მასალის გამოყენებაა შესაძლებელი სასკოლო მზაობის ჯგუფში. უმნიშვნელოვანესია, რომ ნივთი იყოს ცარიელი და არ ჰქონდეს წვეტიანი კუთხეები. მეორად მასალად დაუშვებელია ასევე ტოქსიკური ნივთიერებების (მაგ., ქლორის) შემცველი კონტეინერების გამოყენება.

მეორადი მასალის ჩამონათვალი განუსაზღვრელი შეიძლება იყოს, ამიტომ აქ შემოგთავაზებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ესენია: მაქმანები, ღილები, სხვადასხვა ქსოვილის ნაჭრები/ნაკუწები, ძველი ტანსაცმელი, საჭმლის (არაჟანი, მაწონი, რძე, წვენი ან სხვა) პლასტმასის კონტეინერები, წყლის ან წვენის პლასტმასის ბოთლები, ბოთლების თავსახურები და კორპის საცობები, მუყაოს ყუთები (ფეხსაცმლის, ჭურჭლის, სათამაშოების, ტექნიკის), ცელოფნის ერთჯერადი პარკები, არატოქსიკური ჰიგიენური და სანიტარული საშუალებების ჭურჭელი (კრემების, შამპუნების, თხევადი საპნის, ჭურჭლის სარეცხისა და სხვ.), მძივები, ლენტები, ფერადი ჟურნალები და გაზეთები, A4 ფორმატის ფურცლები, დალეული ფანქრები და ფლომასტერები და სხვა მრავალი.

საჭმლისა და ჰიგიენურ-სანიტარული საშუალებების ცარიელი კონტეინერები წარმატებით გამოიყენება სამშენებლო აქტივობებში, მით უმეტეს, თუ მანამდე ბავშვები შეღებავენ ან სხვადასხვა მასალით დაფარავენ კონტეინერებს. მათი გამოყენება კარგადაა შესაძლებელი ასევე პასტების, საღებავების, ფანქრებისა და ხელოვნების სხვა მასალის ჩასალაგებლად. დალეული ფანქრებით, ღილებით, ცელოფნებით, ქსოვილებითა და ფერადი ჟურნალებით მზადდება ლამაზი აპლიკაციები, რაც ძალიან სახალისოა ბავშვებისათვის.

იაფი და ბუნებრივი მასალა

ისეთი ნივთები, როგორებიცაა ერთჯერადი ჭურჭელი, წვენის საწრუპები, კბილის ჩხირები, ნაყინის ჩხირები, მძივები, ძაფები, ნაჭრები და თასმები, ზონრები, ბამბა, შესაფუთი ქაღალდი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი იყოს ისეთი საქმიანობების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან, საშემსრულებლო ხელოვნებასთან, რაოდენობრივ წარმოდგენებთან, ბუნებასა და ფიზიკურ სამყაროსთან. გარდა ჩამოთვლილი მასალისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში წარმოდგენილი იყოს ბუნებრივი მასალა, რომელიც ასევე წარმატებით გამოიყენება მრავალ აქტივობა-

სა თუ პროექტში და ემსახურება მრავალი უნარის (სენსორული, შემოქმედებითი, მოტორული და სხვა) განვითარებას. ბუნებრივ მასალაში იგულისხმება სხეულები, რომლებსაც ბავშვები ბუნებაში ყოფნისას ხვდებიან და თავად შეუძლიათ მათი შეგროვება. ბუნებრივი მასალის მაგალითებია: გირჩები, რკოები, ნიჟარები, ტოტები, ფოთლები, კენჭები, ხის ნაფოტები და სხვა.

მრავალფეროვანი და მიმზიდველი მასალა

ბავშვებში გარემოს ესთეტიკური აღქმისა და თვითგამოხატვის ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური გარემო და ჯგუფში არსებული რესურსები მაქსიმალურად ესთეტიკური და მოწესრიგებული უნდა იყოს. მაგალითად, რესურსების დალაგება ფერების მიხედვით ხელს უწყობს ბავშვის გემოვნების ჩამოყალიბებას და ეხმარება მას ფერების ამოცნობაში. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ზრუნავს იმაზე, რომ ჯგუფში მასალა ესთეტიკურად მიმზიდველად და ლამაზად იყოს წარმოდგენილი.

ნაწილი III: ყოველდღიური საქმიანობები და პროცესები

თავი 7. დღის განრიგი

დღის განრიგი წარმოადგეს ყოველდღიური საქმიანობების გარკვეულ თანამიმდევრობას. განრიგის სტაბილური შესრულება ხელს უწყობს დაცულობის განცდის გამომუშავებას, აჩვევს ბავშვებს წესრიგს, გეგმაზომიერებას, დროის გადანაწილებას და სხვ., ხოლო აღმზრდელებს ეხმარება უფრო ადვილად, გართულებებისა და დაძაბულობის გარეშე წარმართონ დღე. ამდენად, განრიგის დაცვა მნიშვნელოვანია ბავშვებისთვისაც და აღმზრდელებისთვისაც. სასკოლო მზაობის პროგრამა დღის განმავლობაში, სულ მცირე, სამი საათი გრძელდება.

განრიგის მნიშვნელოვანი კომპონენტებია: ბავშვების მიღება და დილის შეხვედრა, თამაშები და აქტივობები დიდ და მცირე ჯგუფებში, ეზოს აქტივობები, კვებისა და დასვენების დრო. ასევე მნიშვნელოვანია ერთი საქმიანობიდან მეორეზე გარდამავალი პერიოდები - სწრაფი და მარტივი გადასვლა ერთი საქმიანობიდან მეორეზე ხელს უწყობს ჯგუფში მშვიდი განწყობის შენარჩუნებას და დღის განრიგის შეუფერხებელ შესრულებას.

ეფექტური განრიგი ბავშვების საჭიროებებზეა მორგებული: ერთმანეთს ენაცვლება აქტიური და მშვიდი, ფიზიკური და გონებრივი აქტივობები, საქმიანობები ეზოსა და ოთახში, დიდი და მცირე ჯგუფების აქტივობები.

გამოკრული დღის განრიგი, რომელიც ასახავს დღის ძირითად აქტივობებს, ეხმარება ბავშვებს იმის ცოდნაში, თუ რომელი საქმიანობა იქნება შემდეგი. განსაკუთრებით ეფექტიანია განრიგი იმ შემთხვევაში, თუკი მასში ჩამოთვლილ საქმიანობებს თან ერთვის შესაბამისი ფოტო ან ნახატი. დღის განრიგი უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და მოქნილი. ბავშვებმაც და უფროსებმაც კარგად უნდა იცოდნენ საქმიანობების თანამიმდევრობა, თუმცა მკაცრი დროითი ლიმიტების დაწესება მიზანშეწონილი არ არის - აღმზრდელები არ აწყვეტინებენ ბავშვებს საქმიანობებს, არ აჩქარებენ მათ. ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დღის განრიგის შეცვლაც. მაგალითად, თუ ბავშვები აქტიურად არიან ჩართული დიდი მაკეტის დამზადებაში, აღმზრდელს შეუძლია ჯგუფური შეხვედრა მოგვიანებით გადაიტანოს და ა.შ. დღის განრიგის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია შემდეგი ტიპის საქმიანობებისა და მათი მონაცვლეობის გათვალისწინება:

საქმიანობები დიდ და მცირე ჯგუფებში

ჯგუფურ საქმიანობაში იგულისხმება მოქმედება, რომელშიც მონაწილეობს ყველა ბავშვი ან ბავშვების უმრავლესობა. ეს შეიძლება იყოს ხატვა მაგიდასთან, მოძრავი თამაში, წაკითხულის მოსმენა, ცეკვა ან ნამცხვრის გაკეთება, ასევე ყველა რუტინული საქმიანობა, როგორებიცაა საადილი, ხელ-პირის დაბანა, დასვენება და სხვა.

დიდ ჯგუფში საქმიანობები საჭიროებს მთელი დღის ნახევარზე ნაკლებს. აღმზრდელები საშუალებას აძლევენ ბავშვებს, რომ ხშირად იმუშაონ მცირე ჯგუფებში, წყვილებში ან ინდივიდუალურად. რუტინული საქმიანობების დროსაც აღმზრდელები ბავშვებს პატარ-პატარა ჯგუფებად ყოფენ (მაგალითად, ხელების დასაბანად ან ჩასაცმელად გაყვანის დროს). ამასთან, აღმზრდელები მინიმალურად იყენებენ სიტყვიერ (ვერბალურ) მიმართვას მთელი ჯგუფის მისამართით და ინდივიდუალურად ესაუბრებიან აღსაზრდელებს.

აქტიური და წყნარი საქმიანობები

დატვირთულ ფიზიკურ აქტივობებს ენაცვლება წყნარი საქმიანობები დიდ და მცირე ჯგუფებში. ამგვარ აქტივობებს მიეკუთვნება, მაგალითად, წიგნების „კითხვა“, აღმზრდელის წაკითხულის ან მონაყოლის მოსმენა, სამაგიდო თამაშები, სხვ.

ბავშვის ან აღმზრდელის მიერ არჩეული საქმიანობები

დღის განრიგში თანაბრად არის წარმოდგენილი ბავშვისა და აღმზრდელის მიერ არჩეული საქმიანობები. ბავშვის „არჩეულია“ საქმიანობა იმ შემთხვევაში, როდესაც ის თავად აირჩევს, რა და როგორ უნდა გააკეთოს - ირჩევს მასალას, სათამაშოს, მეწყვილეს, ბავშვების ჯგუფს ან თამაშობს მარტო. ეს შეიძლება იყოს ხატვა ან წიგნის თვალიერება, „ფაზლის“ აწყობა, კუბურებით მშენებლობა ან ნებისმიერი როლური თამაში. აღმზრდელი ამ დროს აქტიურია - ის უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის მონაწილეობას პოზიტიურ და პროდუქტიულ თამაშში, სტიმულს აძლევს მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას კითხვების დასმით და რჩევების მიცემით. ის ასევე ეხმარება ბავშვებს, რომლებიც დახმარებას ითხოვენ ან საჭიროებენ. კვლევის და აღმოჩენების დროს აღმზრდელები ბავშვებს აძლევენ შესაძლებლობას, რომ თავად გადაწყვიტონ, რა ურჩევნიათ - დაგეგმილ საქმიანობებში ჩართვა თუ სხვადასხვა ცენტრში არსებული რესურსებით თამაში. აღმზრდელების მიერ არჩეული საქმიანობები მოიცავს აქტივობებს დიდ და მცირე ჯგუფებში. ეს აქტივობებია: ბავშვებისათვის წიგნის კითხვა, მუსიკა, ცეკვა და სხვ., თუმცა ამ საქმიანობების დროსაც ბავშვებს აქვთ გარკვეული თავისუფლება და იჩენენ აქტიურობას. მათ შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტული წიგნი წასაკითხად, სიმღერა და ცეკვა, რომელსაც შეასრულებენ ან ისწავლიან. თავის მიერ არჩეული საქმიანობების დროს აღმზრდელი სვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას და საშუალებას მისცემს ბავშვებს, საკუთარი წვლილი შეიტანონ საქმიანობის პროცესში, განახორციელონ თავიანთი იდეები.

დღის განრიგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

თამაში

განრიგი ისეა დაგეგმილი, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში გატარებული დროის ნახევარი ბავშვების აქტიური თამაშისთვისაა გამიზნული. ეს მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელ-

თა დროსაც ბავშვები აქტიურად მოძრაობენ ან საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედებენ. ამ დროში არ შედის დილის შეხვედრა და რუტინული საქმიანობები, როგორებიცაა ხელ-პირის დაბანა, სადილი ან დასვენება.

კვლევისა და აღმოჩენების დრო

კვლევისა და აღმოჩენების დროს აღმზრდელები გეგმავენ თემასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (პროექტი, როლური თამაში, აქტივობა და წესებიანი თამაში). ბავშვებს აქვთ საშუალება თვითონ აირჩიონ, ვისთან ერთად, სად და რით დაკავდებიან. მათ შეუძლიათ აირჩიონ დაგეგმილ აქტივობაში მონაწილეობა ან გამოიყენონ სხვადასხვა ცენტრში არსებული ნებისმიერი მასალა. აღმზრდელები აკვირდებიან ბავშვებს და ეხმარებიან მათ საჭიროების მიხედვით. კვლევისა და აღმოჩენების დროისთვის დღის მანძილზე გამოყოფილია, სულ მცირე, 45 წუთი (3-საათიანი პროგრამის შეთხვევაში).

ეზოს მოძრავი თამაშები

ეზოში სუფთა ჰაერზე ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის. დღის განრიგში ეზოში თამაშს, სულ მცირე, ნახევარი საათი ეთმობა (3-საათიანი პროგრამის შეთხვევაში). ეზოში აღმზრდელები საშუალებას აძლევენ ბავშვებს, თავისუფლად აირჩიონ თამაში, მაგრამ იმავდროულად გეგმავენ მოძრავ და დრამატულ თამაშებსაც, რომლებიც ბავშვისგან ფიზიკურ აქტიურობას მოითხოვს. ბავშვების გარეთ გაყვანა შესაძლებელია უამინდობისა და სიცივის დროსაც, თუკი მათ სათანადოდ ჩავაცმევთ. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ბავშვების გარეთ გაყვანა შეუძლებელია (ეს შეიძლება იყოს წელიწადში რამდენიმე დღე), ბავშვებს მაინც დასჭირდებათ აქტიური ფიზიკური თამაში. ასეთ დროს ეზოს თამაშების ჩანაცვლება შეიძლება დარბაზში (ან დარბაზის არქონის შემთხვევაში, ჯგუფის ოთახში) ორგანიზებული მოძრავი თამაშებით. მოძრავი თამაშები ბავშვებისგან უნდა მოითხოვდეს შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი და ამავდროულად უსაფრთხო მოძრაობების შესრულებას: სირბილს, ხტუნვას, ცოცვას, ჩამუხვლებს, გადახტომას, ტრიალს, მკლავების მოძრაობებს, მისთ.

რუტინული აქტივობები

რუტინული აქტივობებია: ჯგუფში მიღება, კვება, დასვენება, ჩაცმა, ხელის დაბანა და სხვა. აღმზრდელები აქტიურად რთავენ ბავშვებს ამ რუტინული საქმიანობების ორგანიზებაში. მაგალითად, ბავშვები ეხმარებიან აღმზრდელებს სუფრის გაშლასა და ალაგებაში, დასვენების დროს კი საწოლების მომზადებაში. ამისთვის შეიძლება სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაც. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა მორიგეობის ცხრილის შექმნა. ცხრილში მითითებული უნდა იყოს, რა ყოველდღიური საქმიანობა აქვს შესასრულებელი ამა თუ იმ ბავშვს. კვირის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში ბავშვებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ გამოსცადონ სხვადასხვა როლი და შეასრულონ შესაბამისი საქმიანობები.

დილით, მიღების დროს, მნიშვნელოვანია ბავშვების აღრიცხვა, სიის ამოკითხვა და ყურადღების გამახვილება იმ ბავშვებზე, რომლებიც ჯგუფში არ არიან. აღმზრდელები ხშირად იყენებენ ამ დროს დათვლის სწავლების მიზნით. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ითვლის იმ ბავშვებს, რომლებიც ბაღში არიან, ამასთანავე ითვლის მათ, ვინც იქ არ იმყოფება. თვალსაჩინო და სახალისოა წასვლა-მოსვლის დაფის გამოყენება, რომელზეც ბავშვები თვითონ აღნიშნავენ ბაღში მოსვლასა და წასვლას.

კვების დროს აღმზრდელები სხედან ბავშვებთან ერთად, ეხმარებიან მათ, რომ გადაიღონ და დამოუკიდებლად მიირთვან საკვები და მშვიდად ესაუბრებიან პატარებს. პოზიტიური განწყობა კვების დროს ეხმარება ბავშვებს შეიყვარონ კვების პროცესი. არეულობის თავიდან ასაცილებლად აღმზრდელებმა წინასწარ უნდა მოამზადონ ყველა საჭირო ნივთი და საკმარისი დრო მისცენ ბავშვებს კვების დასასრულებლად. აღმზრდელებმა შეიძლება ეს დროც გამოიყენონ ბავშვის სხვადასხვა უნარის გასავითარებლად, მაგალითად, სუფრის გაწყობისას შესთავაზონ მორიგეებს მაგიდასთან მდგარი სკამების დათვლა და შესაბამისი რაოდენობის თეფშებისა და კოვზების მოტანა, ხელსახოცების დაკეცვა და სხვა.

სრული დღის პროგრამის შემთხვევაში განრიგი ითვალისწინებს ბავშვების დასვენების დროსაც. ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს, აღმზრდელები სთავაზობენ ბავშვებს დასვენებასა და დაძინებას (წახალისების ფორმით, დაძალების გარეშე). იმ ბავშვებს, რომლებიც არ იძინებენ, აღმზრდელები აძლევენ საშუალებას დაისვენონ ისე, როგორც არიან მიჩვეულნი, ჩაურთავენ წყნარ მუსიკას, მისცემენ საყვარელ სათამაშოს საწოლში ან საგებზე წოლის დროს ჩასახუტებლად, შესთავაზებენ წიგნის დათვალიერებას და ა.შ. თუ ბავშვებს სძინავთ, მათ აძლევენ საშუალებას ეძინოთ მანამდე, სანამ თვითონ არ გაეღვიძებათ.

გარდამავალი პერიოდები

„გარდამავალ პერიოდებში“ იგულისხმება ის დრო, რომელიც საჭიროა ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად. მაგალითად, სადილის შემდეგ ეზოში გასვლისას ,,გარდამავალ პერიოდში“ მოიაზრება ის დრო, როდესაც ბავშვები ხელებს იბანენ და იცვამენ. ეს დრო იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ბავშვებს არ უწევთ სამ წუთზე მეტხანს ლოდინი. ამისათვის აღმზრდელები ბავშვებს ყოფენ პატარა ჯგუფებად. მაგალითად, ის ბავშვები, რომლებიც ადრე მორჩებიან სადილს, გადიან ხელების დასაბანად, შემდეგ ეზოში სათამაშოდ. აღმზრდელმა ამ დროს შეიძლება დაიხმაროს თანაშემწე, რომელიც გაართობს რიგში მდგომ ბავშვებს რაიმე სახალისო თამაშით.

გარდამავალი პერიოდების დროს გამოიყენება სპეციალური სიმღერები, გათვლები და ლექსები, მაგალითად, „ალაგების სიმღერა“, „ხელების ბანის სიმღერა“, რომლებიც თავისუფლად შეიძლება შეიქმნას ნაცნობი მელოდიის საფუძველზე. ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად აღმზრდელები იყენებენ რაიმე ხმოვან ან ვიზუალურ ნიშანს, ჯიბის ფანარს, ფერად ბარათებს, საყვირს ან ზარს.

დღის განრიგი ნახევარდღიანი პროგრამისთვის. ნიმუში I (კვების გარეშე)

9:30 - 9:50	პირველი შეხვედრა წრეში
9:50-10:35	კვლევისა და აღმოჩენების დრო
10:35- 10:50	წიგნის დრო
10:50 – 11:30	ეზოს მოძრავი თამაშები
11:30- 12:00	საქმიანობები მცირე ჯგუფებში
12:00- 12:15	მუსიკა, ცეკვა, რიტმიკა
12:15 -12:30	მეორე შეხვედრა წრეში; ალაგება, მომზადება სახლში წასასვლელად

დღის განრიგი ნახევარდღიანი პროგრამისათვის. ნიმუში II (კვების გათვალისწინებით)

9:30 - 9:50	მიღება, პირველი შეხვედრა წრეში
9:50 - 10:15	საუზმე
10:15-11:15	კვლევისა და აღმოჩენების დრო
11:15- 11:30	ეზოს მოძრავი თამაშები
11:30 – 12:15	წიგნის დრო
12:15- 12:35	მუსიკა, ცეკვა, რიტმიკა
12:35- 12:50	საქმიანობები მცირე ჯგუფებში
12:50 – 13:15	სადილი
13:15 -13:30	მეორე შეხვედრა წრეში; ალაგება, მომზადება სახლში წასასვლელად

დღის განრიგი სრული დღის პროგრამისათვის. ნიმუში I

9:00 - 9:15	მიღება, პირველი შეხვედრა წრეში
9:15-10:00	კვლევისა და აღმოჩენების დრო
10:00 - 10:30	საუზმე
10:30-11:10	კვლევისა და აღმოჩენების დრო (გაგრძელება)
11:10- 11:30	წიგნის დრო
11:30 – 12:30	ეზოს მოძრავი თამაშები
12:30- 13:00	საქმიანობები მცირე ჯგუფებში
13:00- 13:30	მუსიკა, ცეკვა, რიტმიკა
13:30- 14:00	სადილი
14:00-15:00	დასვენება
15:00-16:15	კვლევისა და აღმოჩენების დრო 2 და/ან ეზოს მოძრავი თამაშები
16:15 -16:45	წიგნის დრო 2 და/ან სიმღერა და/ან ჯგუფური წესებიანი თამაშები
16:45-17:15	სამხარი
17:15-17:35	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
17:35-18:00	ალაგება, მომზადება სახლში წასასვლელად

დღის განრიგი სრული დღის პროგრამისათვის -ნიმუში II

9:00 - 9:15	მიღება, პირველი შეხვედრა წრეში
9:15 - 10:00	ეზოს მოძრავი თამაშები
10:00-10:30	საუზმე
10:30- 11:00	მუსიკა, ცეკვა, რიტმიკა
11:00 – 12:15	კვლევისა და აღმოჩენების დრო
12:15- 12:35	წიგნის დრო
12:35- 13:00	საქმიანობები მცირე ჯგუფებში
13:00-13:30	ეზოს მოძრავი თამაშები 2
13:30- 14:00	სადილი
14:00-15:00	დასვენება
15:00-15:30	წიგნის დრო 2 და/ან სიმღერა და/ან ჯგუფური წესებიანი თამაში
15:30 -16:45	კვლევისა და აღმოჩენების დრო 2
16:45-17:15	სამხარი
17:15-17:35	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
17:35-18:00	ალაგება, მომზადება სახლში წასასვლელად

თავი 8. საქმიანობები

აღმზრდელი ისე გეგმავს საქმიანობებს, რომ ბავშვებს ყოველდღიურად მიეცეთ საშუალება, ჩაერთონ თემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ერთ საქმიანობაში მაინც. *საქმიანობების ტიპებია: აქტივობები, წესებიანი თამაშები, როლური თამაშები და პროექტები.* აუცილებლი არ არის ყოველდღე ახალ-ახალი საქმიანობის წამოწყება. პირიქით, სასურველია, რომ თითოეული საქმიანობა რამდენიმე დღის განმავლობაში გამეორდეს, ისე რომ ყველა ბავშვს ერთხელ მაინც (ან მეტჯერ, სურვილის შემთხვევაში) მიეცეს მასში მონაწილეობის საშუალება.

საქმიანობები ეფუძნება თამაშს ან მოიცავს თამაშის ელემენტებს და სახალისოა; ფარავს განვითარების ყველა სფეროს, აქტიური და ინტერაქტიულია და ხელს უწყობს ბავშვებს შორის თანამშრომლობას.

აქტივობა ხორციელდება დროის განსაზღვრულ, შედარებით მცირე მონაკვეთში, მცირე ჯგუფებში მუშაობის ან *კვლევისა და აღმოჩენების* დროს. აქტივობა შესაძლებელია იყოს როგორც ზედმიწევნით ორგანიზებული (მაგალითად, ქაღალდის თვითმფრინავების დამზადება და გამოცდა), ისე სრულიად თავისუფალი და შემოქმედებითიც (მაგალითად, თავისუფალი ხატვა აკვარელის საღებავებით). ბავშვები აქტივობაში მონაწილეობენ მას შემდეგ, რაც *კვლევისა* და *აღმოჩენების* დროს შეარჩევენ და გამოიყენებენ მასალებს; მაგალითად, ააწყობენ „ფაზლებს“, ააგებენ შენობას პლასტმასის კუბურებით და სხვა. იდეები აქტივობებისთვის შესაძლებელია

ავარჩიოთ სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოდან, მაგრამ ხშირად შეიძლება დაგვჭირდეს მათი შეცვლა და ბავშვების შესაძლებლობებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგება. ცვლილება შეიძლება განვახორციელოთ ასევე იმ მიზნითაც, რომ აქტივობა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს ბავშვებისთვის ან უფრო აქტიურად „იმუშაოს“ მათი სააზროვნო უნარების განვითარებაზე.

წესებიან თამაშებს აქვთ წესები, დასაწყისი და დასასრული, წაგებული და მოგებული მხარეები. თამაში ორ ან მეტ ბავშვს შორის ინტერაქციის დამყარებას გულისხმობს. თამაშის დროს ხშირად გამოიყენება კონკრეტული თამაშისთვის საჭირო სპეციალური მასალა (მაგ. ბურთები, კამათელი, ბარათები რიცხვებით, სურათებიანი ბარათები და ა.შ.).

წესებიან თამაშებს მიეკუთვნება როგორც სპორტული თამაშობები, ისე სამაგიდო თამაშები. სამაგიდო თამაშები უფრო მეტად შემეცნებითი ხასიათისაა და ძირითადად მაგიდასთან მიმდინარეობს, თუმცა არსებობს ისეთი ფიზიკურად აქტიური თამაშებიც, რომლებსაც ამავდროულად შემეცნებითი ელემენტებიც აქვს. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, თამაში „კუნძულები“, რომელიც აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართში (იხ. „ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში“). იგი ასწავლის ბავშვებს თანამშრომლობას და ხელს უწყობს ბავშვებში ყურადღების კონცენტრირებისა და რეაგირების უნარების განვითარებას. საუკეთესო წესებიანი თამაშები, როგორც წესი, თავად აღმზრდელის მიერაა მოგონილი, რადგან ის ყველაზე კარგად იცნობს თავის ჯგუფს და შეუძლია თამაში მოარგოს ბავშვების ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. შეძენილი მზა თამაშები (მაგ., დაფის თამაშები, ბარათებით თამაშები) თითქმის ყოველთვის საჭიროებს მოდიფიკაციას ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. მას შემდეგ, რაც ბავშვები წარმატებით დაეუფლებიან თამაშს, აღმზრდელი დაამატებს ახალ-ახალ გამოწვევებს მანამდე, სანამ ამ თამაშს სხვა თამაშით არ ჩაანაცვლებს. აღმზრდელის ამგვარი მიდგომა კარგი მაგალითია პატარებისთვისაც: ისინი ხვდებიან, რომ შესაძლებელია წესების შეცვლა და ამ გზით თამაშის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებისთვის მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი მრავალი სხვადასხვა სახის წესებიანი თამაშები, მათ შორის ისინიც, რომლებიც შეიქმნა (ან გადასხვაფერდა) კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. ამ გზით შესაძლებელია სხვადასხვა თემატური მიმართულების დაფარვა. ზოგიერთი თამაში შეიძლება ორიენტირებული იყოს რაოდენობრივი წარმოდგენების ფორმირებაზე, ზოგი კი უფრო აქტიურად „მუშაობდეს“ ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, წიგნიერებისა თუ სააზროვნო უნარების განვითარებაზე ან ბუნების შესახებ ცოდნის შეძენაზე. ნებისმიერი წესებიანი თამაშის დროს ერთდროულად რამდენიმე უნარი ვითარდება. წესებიანი თამაშის შინაარსი ხელს უწყობს ბავშვების შემეცნებით განვითარებას, ხოლო ფორმატი - სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას (ხელშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება, მაგ., რიგითობის დაცვა, მეწყვილესთან ერთად თამაში, წაგებისა და მოგების ღირსეულად მიღება). წესებიანი თამაშების რიცხვს მიეკუთვნება მეხსიერების ლოტო (ე.წ. „მემო“). მისი გამოყენება თამამად შეიძლება სასკოლო მზაობის ჯგუფში, რადგან მარტივი წესები აქვს და ამასთანავე იძლევა მრავალი ცვლილების შეტანის საშუალებას.

როლური თამაში - როლური თამაში, ანუ სოციალური წარმოსახვითი თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოიდგინოს საკუთარი თავი კონკრეტულ როლში და შესაბამისად მოირგოს იგი. ამ წარმოსახვას თან სდევს ამბავი, რომლის მონაწილე თავად ბავშვია. ამბის განვითარების პროცესში იგი თავადვე იგონებს სიტუაციებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვითარდება სიუჟეტი. ბავშვები ვერ მოირგებენ როლს და ვერ ჩაერთვებიან იმ აქტივობებში, რომლებიც მათთვის უცხო, უჩვეულო ამბავს უკავშირდება. ამის გათვალისწინებით აღმზრდელებს ბავშვები მიჰყავთ სხვადასხვა ადგილისა და პროფესიის გასაცნობად (შესაძლებლობის მიხედვით). ამგვარი გასვლებით აღმზრდელები ბავშვებს დაეხმარებიან კონკრეტული როლების იდენტიფიცირებაში, რადგან ყოველი „სტუმრობისას" პატარები გაიაზრებენ კონკრეტული სფეროს სპეციალისტების სამუშაოს სპეციფიკას, ნახულობენ მათ მიერ გამოყენებულ მასალებს, ეცნობიან პროფესიულ ტერმინებსა და ცნებებს.

როლური თამაშების დაგეგმვა ხდება თემის შესაბამისად, თუმცა ამ პროცესში ბავშვები თავად ირჩევენ სიუჟეტს. მაგალითად, თემის: „როგორ ავაშენოთ სახლი" (დეტალურად იხ. თავი 26) ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ბავშვებისთვის დახმარების გაწევა იმ მიზნით, რომ მათ გაიაზრონ და მოირგონ არქიტექტორის, პროექტის მენეჯერის, მშენებლის, სანტექნიკოსის, ელექტრიკოსების, დურგლების, მშენებლობის ხარისხზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვათა როლები. ამისათვის აღმზრდელს მომზადებული უნდა ჰქონდეს შემდეგი რესურსები: სახლებისა და მშენებლობის ადგილების ფოტოები, არქიტექტურული ნახაზების ნიმუშები, გრაფიკების შესადგენი ქაღალდები, სახაზავები, მაკეტის ნიმუშები, ფანქრები, პლასტმასის მილები, „ინსტრუმენტები" (ჩაქუჩების, ხერხების, ბურღების, სახრახნისების უსაფრთხო მოდელები). ბავშვები სახლის „ასაშენებლად" გამოიყენებენ დიდ და პატარა კუბურებს, „ლეგოს" ნაწილებს, ბრტყელ დაფებსა და ნაჭრებს. შემდეგ კი, როლური თამაშის დროს, უკვე თავად ბავშვების ნებაზე იქნება დამოკიდებული, რა მოხდება, როგორ განვითარდება ამბის სიუჟეტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად მოითხოვენ დახმარებას).

პროექტი შეიძლება მიმდინარეობდეს შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მოიცავდეს მრავალ აქტივობას, რომელთა განხორციელების შედეგად შეიქმნება მნიშვნელოვანი პროდუქტი. პროექტები კარგი საშუალებაა სხვადასხვა თემატური მიმართულების ინტეგრირებული სწავლებისთვის, ბავშვთა უნარების განვითარებისთვის, მათ ქცევასა და უნარებზე დაკვირვებისთვის, პატარების მიერ შექმნილი ნამუშევრებისა და მიღწევების დოკუმენტირებისთვის ფოტოების, ვიდეოებისა და ჩანაწერების საშუალებით. აღმზრდელები გეგმავენ საბოლოო პროდუქტს, მაგრამ შეუძლიათ მისი შეცვლა, თუ ბავშვებს სხვა პროდუქტზე მუშაობა ურჩევნიათ. მას შემდეგ, რაც გადაწყდება, რა უნდა იყოს საბოლოო პროდუქტი, საჭიროა დაიგეგმოს მის შესაქმნელად საჭირო აქტივობები.

თემისთვის „როგორ ავაშენოთ სახლი" (იხ. თავი 26) ერთ-ერთი პროექტი შესაძლოა იყოს თითოეული ბავშვის მიერ სახლის დიზაინის შექმნა და შემდეგ მისი მაკეტის დამზადება მუყაოს, თიხის, კენჭების, ხის პატარა ნაჭრების, სათამაშო პლასტმასის კუბურებისა და სხვა მასალის გამოყენებით. სახლის მაკეტები დაახლოებით ერთი ზომისა უნდა დამზადდეს, რათა შესაძლებელი იყოს მათი განლაგება ერთმანეთის გვერდით. პროექტის შესასრულებლად მიზანშე-

წონილი იქნება შემდეგი აქტივობების განხორციელება: სხვადასხვანაირი სახლების სურათების დათვალიერება, რამდენიმე ტიპის სახლის ნახატების შექმნა და ასაშენებლად ერთ-ერთის შერჩევა, მაკეტის შესაბამისი მასშტაბის ნახაზის შექმნა, სახლის აშენება (სახლის სხვადასხვა ნაწილების, მაგ., სახურავის, კედლების გამოჭრა; კარებისა და ფანჯრების მოხატვა, სახლის შეწებება და აწყობა) და სხვა ბავშვებთან თანამშრომლობა სამეზობლოს მოსაწყობად. თემისა და პროექტის ეს ნიმუში დეტალურად არის წარმოდგენილი აგრეთვე თვისა და კვირის გეგმის ნიმუშებში (იხ. 26-ე თავი).

თავი 9. პირველი შეხვედრა წრეში

წრეში პირველი შეხვედრის მიზანია სახლიდან სასკოლო მზაობის ჯგუფში მოსვლის გარდამავალი ეტაპის გამარტივება, ყველა ბავშვის ერთად შეკრება გამოცდილების გასაზიარებლად, ჯგუფის ერთობის ხელშეწყობა და დღის დაწყება პატარებისთვის პოზიტიური და ხალისიანი განწყობის შექმნით.

ამ აქტივობის დამატებით დანიშნულებას წარმოადგენს ბავშვებისთვის მიმდინარე დღის ძირითადი საქმიანობების გაცნობა, დღის „სამუშაოების“ განაწილება ბავშვებს შორის და მოკლე ინფორმაციის მიწოდება იმ დღეს დამატებით შესასწავლი ახალი საკითხის ან საქმიანობის შესახებ. ზოგიერთ აღმზრდელს ასევე უყვარს დასწრების სიის ამოკითხვა და კალენდრის აქტივობის გაკეთება. ჩვენს პროგრამაში ეს აქტივობები არჩევითია, თუმცა ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები მათი ეფექტურად ჩატარებისთვის. შემდგომში წარმოდგენილი აქტივობების ნიმუშები აღმზრდელებს შეუძლიათ გამოიყენონ წრეში პირველი შეხვედრის დროს და მოახდინონ მათი ადაპტირება საჭიროების მიხედვით.

სასურველია აღმზრდელებმა მოიფიქრონ სხვა აქტივობებიც, რომლებიც წარმატებული და ეფექტიანი იქნება კონკრეტული ჯგუფისთვის. ეს უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას ბავშვების ინტერესის შესანარჩუნებლად.

მისალმება და კავშირის დამყარება

ბაღში მოსულ თითოეულ ბავშვს აღმზრდელი სახელით მიმართავს და ესალმება, პირველი წრის შეკრებისას კი აღმზრდელი ბავშვებს ისე ესალმება, როგორც ერთ ჯგუფს. შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს ეხმარება სხვა ბავშვებთან პოზიტიური, სასიამოვნო კომუნიკაციის დამყარებაში. ეს შეიძლება მოხდეს ერთობლივი სიმღერით, მარტივი ლექსის თქმით, ერთხმად ღიღინით და/ან მოკლე აქტივობის ჩატარებით. ერთ ასეთ აქტივობაში, „გადაეცი შემდეგს“, ბავშვები გულ-მკერდთან გადაიჯვარედინებენ ხელებს და ჩაკიდებენ ხელის მტევნებს ორივე მხარეს გვერდით მდგომ ბავშვებს. ერთ–ერთი ბავშვი მსუბუქად უჭერს ხელს მის მარჯვენა მხარეს მდგომ მეგობარს. იგრძნობს თუ არა ხელის მოჭერას, ეს ბავშვი თვითონაც მოუჭერს ხელს მისგან მარჯვნივ მდგომ ჯგუფელს და ასე გრძელდება მანამდე, სანამ წრე სრულად არ შეიკვრება.

მნიშვნელოვანი ახალი ამბავი

სასკოლო მზაობის ჯგუფში მოსვლისას, განსაკუთრებით, შაბათ–კვირის შემდეგ, ბავშვებს ხშირად აქვთ იმის სურვილი, რომ მოუყვნენ მეგობრებს ან აღმზრდელს რაიმე სიახლის შესახებ. ამის გათვალისწინებით აღმზრდელი დაახლოებით სამ ბავშვს აძლევს საშუალებას, რომ მეგობრებს გაუზიარონ „მნიშვნელოვანი ახალი ამბავი“. ბავშვი მიმართავს მთელ ჯგუფს. აღმზრდელი სთხოვს სხვა ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ მოსაუბრეს, ვინაიდან მათ ექნებათ შეკითხვების დასმის საშუალება. საჭიროების შემთხვევაში აღმზრდელი ეხმარება ბავშვს, რათა მან შეძლოს ამბის სწრაფად მოყოლა და აზრების ნათლად გადმოცემა. ამის შემდეგ რამდენიმე ბავშვს უნდა მიეცეს თითო-თითო შეკითხვის დასმის შესაძლებლობა. აღმზრდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ჯგუფში არ აღმოჩნდეს ბავშვი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ მისცემია აზრის გამოთქმის ან შეკითხვის დასმის შესაძლებლობა.

სახლიდან მოტანილი რაიმე ნივთი

ყოველდღე ერთ ბავშვს სახლიდან შეუძლია მოიტანოს რაიმე ნივთი, რომელსაც აჩვენებს მთელ ჯგუფს და ჯგუფელებთან ერთად იმსჯელებს მასზე. ეს არ უნდა იყოს სათამაშო ან კომერციული პროდუქტი. ბავშვს შეუძლია მოიტანოს საყვარელი წიგნი, ფოტოსურათი, ნახატი, მშობლის მიერ გაკეთებული რაიმე ნივთი და ა. შ. მას შემდეგ, რაც ბავშვი მოყვება ნივთის შესახებ და ახსნის, რატომაა ეს მისი საყვარელი ნივთი, რამდენიმე ბავშვს შეუძლია მისთვის თითო-თითო შეკითხვის დასმა.

წყვილებში გაზიარება

ბავშვები წყვილდებიან და რიგრიგობით ესაუბრებიან ერთმანეთს იმ თემაზე, რომელსაც აღმზრდელი შესთავაზებს. თითოეულს აქვს დაახლოებით წუთ ნახევარი, თუმცა უკვე გამოცდილ ბავშვებთან, რომლებიც გაწაფული არიან დისკუსიაში, აღარ არის საჭირო დროის ათვლა. აღმზრდელის მიერ შეთავაზებული მსჯელობის საკითხი ხშირად კითხვის ფორმით ისმება. საკითხი შესაძლოა უკავშირდებოდეს მიმდინარე თემას ან სხვა ნებისმიერ რელევანტურ პრობლემას.

- მოყევით, რისი გეშინოდათ ადრე, მაგრამ ახლა უკვე აღარ გეშინიათ;
- პირველი რამ, რაც თქვენი პატარაობიდან გახსოვთ;
- მოყევით სასაცილო რამ, რაც თქვენი ოჯახის წევრს გაუკეთებია;
- აღწერე დედაშენი, მოყევი ყველაფერი მის შესახებ;
- როგორია ყველაზე საუკეთესო დაბადების დღე? რა უნდა ხდებოდეს ასეთ დაბადების დღეზე?

ჯგუფის „სამუშაო“ (მორიგეობა)

სამუშაოს ცხრილი		
მარიამი		ბიბლიოთეკარი
სანდრო		ოფიციანტი
ანიტა		ზოოლოგი
ლუკა		აღმზრდელი
საბა		დამლაგებელი

ყოველდღე ყველა ან თითქმის ყველა ბავშვს შესასრულებლად აქვს კონკრეტული „სამუშაო“. სამუშაოები დღეების მიხედვით იცვლება, ასე რომ წრეში პირველი შეხვედრის დროს საჭიროა ბავშვები გაეცნონ „სამუშაოს ცხრილს“ და გაიგონ, რისი გაკეთება ევალებათ იმ დღეს. ქვემოთ წარმოდგენილია საქმიანობების ცხრილის ერთი ნიმუში.

შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი სამუშაოები:

- ბიბლიოთეკარი – თაროებზე აწყობს და/ან ასწორებს წიგნებს;
- ბოტანიკოსი – რწყავს მცენარეებს;
- გარემოს დამცველი – აქრობს შუქს, როდესაც ბავშვები ტოვებენ საკლასო ოთახს; უზრუნ-ველყოფს იმ ნარჩენების გადარჩევას, რომლებიც შეიძლება გადამუშავდეს;
- აღმზრდელი – დღის განმავლობაში იღებს სხვადასხვა გადაწყვეტილებას და დამატებით ითავსებს ლიდერის სხვა ფუნქციებს;
- ოფიციანტი – სადილობისას ეხმარება აღმზრდელს მაგიდის გაწყობაში;
- დამლაგებელი – ზედამხედველობს ალაგების პროცესს, ზრუნავს იმაზე, რომ ძირს ნაგავი არ ეყაროს;

- ზოოლოგი – აჭმევს და უვლის ჯგუფის პატარა ცხოველებს;
- ამინდის რეპორტიორი – აკვირდება მიმდინარე დღის ამინდს, წარმოადგენს მასზე ინ-ფორმაციას;
- ფოტოგრაფი – იღებს ფოტოებს დღის განმავლობაში მიმდინარე მუშაობის, თამაშისა და სხვა საქმიანობების დროს.

ყველა „სამუშაოს“ ბავშვები ახორციელებენ აღმზრდელის დახმარებითა და ზედამხედველობით.

დასწრება

თუ ბავშვები მონაწილეობენ დასწრების შემოწმებაში, ეს სწრაფად და აქტიურად უნდა ხდებო-დეს. მაგალითად, ყველა ბავშვი შეიძლება იდგეს ფეხზე, სიის ამოკითხვის პროცესში ბავშვები სათითაოდ სხდებიან - ჯდება ის ბავშვი, ვის სახელსაც ამოიკითხავენ. გოგონებისა და ბიჭე-ბის რაოდენობის დათვლის ნაცვლად, აღმზრდელები ითვლიან ჯგუფში მოსული ბავშვების რაოდენობას და განსაზღვრავენ, რამდენი ბავშვი აკლიათ. აღმზრდელი ბავშვებს ყოფს ჯგუ-ფებად არა სქესის, არამედ სხვა ნიშნების მიხედვით. ასეთი ნიშნებია მაგალითად, მაისურის ფერი, სახელის პირველი ასო, დაბადების თვე.

კალენდარი

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის კალენდარზე აღნიშნული დროითი ერთეულების აღ-ქმა ძალზე აბსტრაქტული ხასიათის ოპერაციაა - მათი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი პერსპექტივიდან, რაც პატარებს ჯერ არ გააჩნიათ. ერთი წელი მათი ცხოვ-რების ერთი მეხუთედია. ბავშვები დროს მოვლენებით საზღვრავენ, უფროსები კი-სიტყ-ვებისა (კვირის დღეები, წელიწადის თვეები, წელიწადის დროები) და რიცხვების (მაისი მეხუთე თვეა, სამშაბათი 30–ია, 2015 წელიწადია, კვირაში შვიდი დღეა) კომბინაციით. სკო-ლამდელი ასაკის ბავშვების უმრავლესობას, რომელმაც თითქოს იცის კვირის დღეები ან შეუძლია დაასახელოს რომელი თვეა, სინამდვილეში არ ესმის, რას ამბობს, მხოლოდ სიტყ-ვები აქვს დამახსოვრებული.

იმისათვის, რომ კალენდარს აქტივობის მნიშვნელობა შევძინოთ, აღმზრდელს შეუძლია აქცენტი გააკეთოს დროის იმ ცნებებზე, რომლებიც ბავშვისთვის შედარებით უფრო გა-საგებია. ესენია: გუშინ, დღეს და ხვალ; დიდი ხნის წინ, ახლა და ბევრად უფრო გვიან; აქამდე, ამის დროს და შემდეგ. თითოეული დღის დასაწყისში სიტყვა „დღეს“ გადაიშლება იმ კვადრატში, რომელიც წინა დღეს ასახავს და ჩაიწერება იმ კვადრატში, რომელიც მიმ-დინარე დღეს ასახავს; სიტყვა „ხვალ“ წაიშლება და ჩაიწერება მომდევნო დღის ამსახველ კვადრატში. სიმბოლოები და სიტყვები კალენდარში განთავსდება მნიშვნელოვანი დღე-ების ასახვის მიზნით (მაგ., შესაძლებელია აღინიშნოს ის დღეები, როდესაც სკოლამდელი დაწესებულება დაკეტილია და ბავშვები სახლში არიან, ბავშვების დაბადების დღეები, ექ-სკურსიების დღეები და ა.შ.).

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
7	8	9	10	11	12	13
	მათეს დაბადების დღე		ექსკურსია მუზეუმში			
~~ხვალ დღეს გუშინ~~	~~ხვალ დღეს გუშინ~~	~~ხვალ დღეს გუშინ~~	~~ხვალ დღეს~~ გუშინ	~~ხვალ~~ დღეს	ხვალ	**2** დღეში

დამატებით შესაძლებელია კალენდრის დამზადება ამინდების მიხედვით. ამ აქტივობის აღწერა და შესაბამისი ილუსტრაცია მოცემულია მე-17 თავში „ბუნება და ფიზიკური სამყარო“.

თავი 10. კვლევა და აღმოჩენა

ეს დრო დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში იკვეთება ყველაზე ნათლად პროგრამა *თ-ა-მ-ა-შ-ი*-ს არსი. ნახევარდღიან პროგრამაში კვლევისა და აღმოჩენების დრო უნდა გაგრძელდეს, სულ მცირე, ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში, სრულდღიან პროგრამებში კი მას უფრო მეტი დრო (ან ორი სესია) უნდა დაეთმოს.

კვლევისა და აღმოჩენების დროს სხვადასხვა ცენტრში ერთდროულად მიმდინარეობს შემდეგი საქმიანობები:

- ბავშვები თამაშობენ და მუშაობენ მასალით, რომელიც თავად შეარჩიეს; ერთვებიან მათ მიერ არჩეულ წესებიან თამაშებში ან აქტივობებში სასურველი ტემპით;
- ბავშვები მუშაობენ თემასთან დაკავშირებულ პროექტზე;
- ბავშვები ჩართულნი არიან თემასთან დაკავშირებულ აქტივობაში, რომელიც აღმზრდელის მიერაა დაგეგმილი;
- ბავშვები მონაწილეობენ თემასთან დაკავშირებულ როლურ თამაშში.

კვლევისა და აღმოჩენების დროს ჯგუფის ყველა რესურსი ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის.

მას შემდეგ, რაც ბავშვები მასალებით სარგებლობას დაასრულებენ, ისინი აბრუნებენ სათამაშოებსა და მასალებს სათანადო ადგილზე. ახალ აქტივობაზე გადასვლამდე ბავშვები ალაგებენ და ასუფთავებენ ტერიტორიას, სადაც თამაშობდნენ ან მუშაობდნენ.

აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე წინასწარ გეგმავენ „დავალებებს“. როგორც წესი, ერთ-ერთი მუშაობს პროექტზე მომუშავე ბავშვებთან, მეორე კი ოთახში მიდი-მოდის და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას შინაარსიან საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში კი ეხმარება ბავშვებს პრობლემის გადაჭრაში და ხელს უწყობს სწავლისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროცესს. დაგეგმილი საქმიანობის საწყის ეტაპზე ხშირად აუცილებელია, რომ აღმზრდელმა განუმარტოს ბავშვებს შესასრულებელი სამუშაოს არსი.

კვლევისა და აღმოჩენების პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები:

- „საქმიანი“ ხმაური, რომელიც არ არის მეტისმეტად ძლიერი;
- მოძრაობა და აქტიურობა, რომელიც არ არის ქაოტური;
- თანამშრომლობა კონფლიქტის გარეშე;
- ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან საქმიანობაში საკმაო დროის განმავლობაში, სანამ სხვა საქმიანობაზე გადავლენ;
- აღმზრდელები, რომლებიც აკვირდებიან და ურთიერთობენ ბავშვებთან, წაახალისებენ (მაგრამ არ აკონტროლებენ) მათ მოქმედებებს.

კვლევისა და აღმოჩენების დროს გარეშე დამკვირვებელს შეუძლია ნათლად დაინახოს და შეიგრძნოს აღმზრდელებისა და ბავშვების მოქმედებების მიზნობრივი და ნებაყოფლობითი ხასიათი.

თავი 11. ეზოს მოძრავი თამაშები

ყოველდღიურად ბავშვებს სჭირდებათ საკმარისი დრო იმისათვის, რომ თავისუფლად იმოძრაონ: ირბინონ, იხტუნაონ, იძრომიალონ, გამოსცადონ საკუთარი ძალები. ეს თითქმის ყოველთვის ეზოში უნდა ხდებოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ძალიან ცუდი ამინდია (ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, ყინვა). აღმზრდელებსა და ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ყველა ამინდის შესაფერისი ტანსაცმელი, წვიმისა და თოვლის ჩათვლით. როდესაც გარეთ გასვლა შეუძლებელია, ეზო უნდა ჩაანაცვლოს სპორტულმა ან მუსიკის დარბაზმა, ხოლო თუ ასეთი სივრცე შენობაში არ არის, შესაძლოა სასკოლო მზაობის ჯგუფის ოთახის სივრცის მოწყობა აქტიური თამაშისათვის. როდესაც ფიზიკური აქტივობები დახურულ სივრცეში მიმდინარეობს, ბავშვების

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აქტივობა უკეთ სტრუქტურირებული უნდა იყოს. ტანვარჯიში, ჯგუფური მოძრავი თამაშები, სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებები გვთავაზობს ჯგუფში ჩასატარებელი აქტივობებისთვის საჭირო სტრუქტურას და ამავდროულად აძლევს ბავშვებს იმის საშუალებას, რომ იმოძრაონ და შეასრულონ ფიზიკური აქტივობები. ერთ-ერთი ასეთი თამაშია „კუნძულები“ (იხ. დანართი „ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში“). აღმზრდელები უნდა იცნობდნენ მრავალ განსხვავებულ თამაშსა და აქტივობას, რომლებიც პასუხობს აქტიური ფიზიკური თამაშის მოთხოვნილებას და ტარდება როგორც ეზოში, ისე სკოლამდელი დაწესებულების შენობაში.

ეზოში თამაშისას ბავშვებს ეძლევათ საშუალება:

- ბუნებრივად გამოხატონ საკუთარი თავი, იმოძრაონ და იხმაურონ;
- ისუნთქონ სუფთა ჰაერი და შეიგრძნონ სხვადასხვა ამინდი;
- კავშირი ჰქონდეთ ბუნებასა და ცოცხალ არსებებთან;
- ისაუბრონ ერთმანეთთან და დაისვენონ;
- დახარჯონ ენერგია;
- ითამაშონ წესებიანი და როლური მოძრავი თამაშები, რომლებიც საჭიროებენ დიდ სივრცესა და სამალავ ადგილებს.

ეზოს გარემო და საქმიანობები

ეზოს სივრცე უნდა მოიცავდეს მყარ, ბრტყელ ზედაპირებს, რომლებზეც ბავშვები დარბიან, ატარებენ ბორბლებიან ტრანსპორტს, თამაშობენ მოძრავ თამაშებს. ეზოს სივრცე უნდა მოიცავდეს ასევე რბილ ზედაპირებს, რომლებზედაც მოთავსდება დიდი სათამაშო მოწყობილობები - სასრიალოები და სხვადასხვა ტიპის საძრომიალოები. ეზოში უნდა იყოს ასევე უსწორმასწორო ზედაპირის მქონე ბუნებრივი ადგილები: ბალახი, დიდი ქვები, ქვიშა და ხის კუნძები, რაც ბავშვებს მისცემს წონასწორობის დაცვის უნარების გავარჯიშების საშუალებას.

იდეალურ ეზოს აქვს პატარა გორაკი, საიდანაც ბავშვებს შეუძლიათ ისრიალონ თოვლში, აირბინონ და ჩამოირბინონ კარგ ამინდებში, გამოიყენონ სხვადასხვა სიუჟეტის წარმოსადგენად როლური თამაშების დროს. ეზოში არის ხეები, რომლებიც მზიან ამინდში ჩრდილის წყაროა. შემოდგომაზე ეზოში უამრავი ფოთოლია, რომლებსაც ბავშვები სათამაშოდ იყენებენ. ეზოშივე აგროვებენ სხვადასხვა უსაფრთხო მცენარის თესლებს, უვლიან მცენარეებს და სხვა.

ბავშვების სხვადასხვანაირ მოძრაობას წაახალისებს მიხვეულ-მოხვეული ბილიკები და ხიდები, გადასაბიჯებელი ბილიკები, რომლებიც შეიძლება დამზადდეს ქვისგან ან ხის კუნძებისგან; დაბალი კედლები (ბორდიური) ან ფიქსირებული ძელები წონასწორობის დასაცავად, საფეხურები, მოწყობილობები (მაგ., საბავშვო ბორბლებიანი ტრანსპორტი: ველოსიპედები, სკუტერები და სხვ.). ზემოთ აღნიშნული ბილიკები, კუნძები და სხვ. შესაძლებელია ბაღის ადმინისტრაციამ თავად მოაწყოს/დაამზადოს ზედმეტი ფინანსური დანახარჯის გარეშე, სასურველია, რომ ეზოს მოწყობის პროცესში მშობლებიც ჩაერთონ.

კარგ ამინდში ჯგუფის განრიგი უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ბავშვებმა მეტი დრო გაატარონ ეზოში. ბევრი ტრადიციული საქმიანობა, მაგალითად, ხატვა, როლური თამაში, მისთ. შეიძლება გადავიტანოთ გარეთ. ეზოში როლური თამაშის თემები შეიძლება იყოს: ლაშქრობა, პიკნიკი, პლაჟი, ავტოგასამართი სადგური, მანქანების სამრეცხაო, სახანძრო, პოლიცია, სასწრაფო, მეკობრეები, განძის მაძიებლები, რკინიგზა, აეროპორტი და სხვა. ეზოში თამაში ბავშვებს აძლევს ამინდის, ბუნების, მცენარეებისა და მწერების გამოკვლევის შესანიშნავ შესაძლებლობას, წყლითა და მიწით თამაშის საშუალებას. ეზოში თამაშისას ბავშვებს შეუძლიათ ილაპარაკონ ხმამაღლა, გამოსცენ ხმამაღალი ბგერები, იმოძრაონ ენერგიულად და სხვა.

ეზოში არსებული საფრთხეებისა და ფიზიკური დაშავების თავიდან ასარიდებლად სისტემატურად უნდა შემოწმდეს ეზოს მოწყობილობები და მასალები, სახიფათო და დაზიანებული ნივთები კი ეზოდან უნდა გავიტანოთ ან შევაკეთოთ.

ეზოში ბავშვებს საშუალება აქვთ შექმნან დიდი კონსტრუქციები. მუყაოს დიდი და საშუალო ზომის ყუთების, პლასტმასის ბოთლების კონტეინერების, ხისა და ბამბუკის ჯოხების, დიდი სამშენებლო კუბურების, პლასტმასის მილების, დიდი ზომის ქსოვილების, თოკებისა და სხვა მასალის საშუალებით. ბავშვებმა იციან, სად ინახება ეს მასალა და მათი გამოყენების წესები. ასეთი დიდი კონსტრუქციების ასაშენებლად ბავშვებს სჭირდებათ საკმაოდ დიდი დრო, რაც ეზოში ხანგრძლივი პერიოდის გატარებას მოითხოვს. კონსტრუირების დროს ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი და თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ისინი იყენებენ სხვადასხვა მასალას, შეისწავლიან მათ თვისებებს, ზომავენ, ითვლიან, გადაჭრიან სხვადასხვა პრობლემას ჩანაფიქრის განსახორციელებლად. აღმზრდელების წახალისებით, ბავშვები აღწერენ საქმიანობის პროცესსა და ნამუშევრებს, პასუხობენ აღმზრდელების მიერ დასმულ კითხვებს, რაც ხელს უწყობს ბავშვების მეტყველების უნარების განვითარებას.

ინდივიდუალიზება

აქტიური ფიზიკური თამაშის დროს, შენობის შიგნით თუ გარეთ, აღმზრდელებს საშუალება აქვთ დააკვირდნენ ბავშვების მსხვილ მოტორულ უნარებს- მათი კუნთების სიძლიერეს, ამტანობას, მოქნილობას, კოორდინაციისა და ბალანსირების უნარებს. ამ დაკვირვებების შედეგად აღმზრდელებს შეუძლიათ დაგეგმონ თამაშები და აქტივობები ბავშვების საჭიროებების მიხედვით. აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს სხვადასხვა გზით. მაგალითად, ხის კუნძზე მოძრაობისა და გადახტომისას მას უჭირავს ბავშვის ხელი თავდაპირველად ძლიერად, შემდეგ კი ნელ-ნელა უშვებს ხელს და გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა დაინახავს, რომ ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად გავლა და დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, საბოლოოდ გაუშვებს მას ხელს. დამფრთხალ ბავშვს, რომელიც ზემოთ მიძვრება, აღმზრდელმა შეიძლება, უბრალოდ, ურჩიოს: „არ ჩაიხედო ქვემოთ, იყურე იქით, საითაც მიდიხარ“, ან შესთავაზოს ხელთათმანები, რომ უკეთესად ჩაეჭიდოს ასაძრომ კონსტრუქციას. ზოგჯერ მას უბრალოდ შეუძლია წააქეზოს ბავშვები: „მგონი, დღეს შეგიძლია ორი საფეხურით მაღლა სცადო”.

თავი 12. საქმიანობები მცირე ჯგუფებში

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში აქვთ ერთად თამაშის საშუალება, მათ შორის, მცირე ჯგუფებში, დღის სხვადასხვა მონაკვეთში დამატებითაა გამოყოფილი მცირე ჯგუფების დრო (15-20 წუთი). ამ დროს აღმზრდელებს აქვთ შესაძლებლობა, დაეხმარონ ბავშვებს კონკრეტული უნარების განვითარებაში და ცოდნის შეძენაში აქტივობებისა და თამაშების, ასევე მოკლე სტრუქტურული როლური თამაშების შესრულების გზით. საქმიანობა მცირე ჯგუფებში ხშირად თემატურია, მაგრამ იგი ასევე ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორებიცაა: პირადი უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება, განსხვავებულის მიმღებლობა, სიბრაზის მართვა.

ბავშვების მცირე ჯგუფებში გადანაწილება ხდება სიფრთხილით და ყურადღებით, გათვალისწინებული უნდა იყოს პატარების შესაძლებლობები და გენდერული ბალანსი. ჯგუფის შემადგენლობა ყოველდღიურად იცვლება. დროის ეს მონაკვეთი საკმარის დროს აძლევს ბავშვებს იმისათვის, რომ განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები და დაამყარონ ურთიერთობები სხვადასხვა ბავშვთან. მცირე ჯგუფების მუშაობის ხელშესაწყობად აღმზრდელები ამხნევებენ ბავშვებს და მოუწოდებენ მათ სხვების დახმარებისა და მხარდაჭერისკენ.

ჯგუფებს ენიჭებათ სახელები (მაგალითად: 1, 2, 3, ან წითელი, ლურჯი, ყვითელი), რომლებსაც ბავშვები თავად აირჩევენ იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ჯგუფის იდენტობა და მოგვარდეს ტექნიკური საკითხები. ამის შემდეგ აღმზრდელს შეუძლია მხოლოდ თქვას: „წითელი ჯგუფი შეიკრიბება წრეში მუშაობის ადგილზე“ და ა.შ.

იმისათვის, რომ მცირე ჯგუფებში მუშაობა კარგად და ეფექტიანად წარიმართოს, აღმზრდელები წინასწარ გეგმავენ შესასრულებელ სამუშაოს. მუშაობის დაწყებამდე აღმზრდელებმა უნდა მოიმარაგონ ყველა საჭირო მასალა და ხელსაწყო, დაახარისხონ ისინი და განათავსონ იქ, სადაც ბავშვები იმუშავებენ.

მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს აღმზრდელებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა, დააკვირდნენ ბავშვებს, ინდივიდუალურად გაესაუბრონ თითოეულ მათგანს, განსაზღვრონ აღსაზრდელების ინტერესები, ძლიერი მხარეები და საჭიროებები. მცირე ჯგუფებში მუშაობისას აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს სწავლასა და სხვადასხვა უნარის განვითარებაში.

თავი 13. კვება

სასკოლო მზაობის 4-საათიან ან სრულდღიან ჯგუფში ჩვენ ვალდებულნი ვართ ბავშვებს შევთავაზოთ მათი ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი, მრავალფეროვანი, გემრიელი საკვები და განვუვითაროთ ჯანსაღი კვების ჩვევები, რომლებიც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ.

კვების დრო დღის განრიგის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს. ამ დროს ბავშვები მიირთმევენ საჭმელს, ესაუბრებიან მეგობრებს, ამავდროულად განივითარებენ სოციალურ და თვითმომსახურების ჩვევებს: აწყობენ მაგიდას, გადაიღებენ საჭმელს, აალაგებენ ნარჩენებს, დაიბანენ ხელებს ჭამის წინ და შემდეგ.

კვების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი ოჯახისთვის, ამიტომ მშობლებს უნდა გავესაუბროთ მათი შვილების ჩვევებზე. აღმზრდელები წინასწარ არკვევენ, აქვს თუ არა ბავშვს ალერგია ან არის თუ არა რაიმე სახის დიეტაზე და ითვალისწინებენ ამ ინფორმაციას მენიუს დაგეგმვის პროცესში. ინფორმაცია ალერგიაზე შეტანილი უნდა იყოს დოკუმენტაციაში ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც შედგენილია სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში. აღმზრდელები კარგად უნდა იცნობდნენ ყველაფერს, რაც ჩაწერილია თითოეული ბავშვის დოკუმენტაციაში.

კვების დროს აღმზრდელები ქმნიან პოზიტიურ, მეგობრულ ატმოსფეროს, რათა ეს პროცესი სასიამოვნო იყოს ბავშვებისათვის. ისინი წინასწარ ამზადებენ ყველა საჭირო ნივთს, აწყობენ სუფრას ბავშვების დახმარებით, ბავშვებთან ერთად სხედან მაგიდასთან, თავისი ქცევით აჩვენებენ მაგალითს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ჭურჭელი და დაიცვან კარგი მანერები; წაახალისებენ ბავშვებს, რომ გადაიღონ, ერთმანეთს გადააწოდონ და მიირთვან ახალი საკვები, რომელიც ჯერ არ გაუსინჯავთ.

აღმზრდელები ზრუნავენ იმაზე, რომ აღსაზრდელებს საკვები არ მიეწოდოთ ულუფების სახით - ბავშვებმა თავად უნდა შეძლონ საკუთარი ულუფის განსაზღვრა და გადმოღება. ამისთვის აღმზრდელები საწყის ეტაპზე ბავშვებს შესაბამის დახმარებას უწევენ და ცდილობენ გაზარდონ მათი დამოუკიდებლობა აღნიშნული აქტივობის განხორციელებისას.

ბავშვები თავს გრძნობენ თავისუფლად და საუბრობენ მათთვის საინტერესო სხვადასხვა თემაზე, განიხილავენ დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს, საუბრისას იცავენ რიგითობას, არ ჩქარობენ.

კვების დროს აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვების სხვადასხვა უნარის განვითარებას: საუბრობენ საკვებთან დაკავშირებულ ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა ცილები, ცხიმები, ულუფები, რაოდენობები, ინგრედიენტები, სუნელები, გემო, საკვების მომზადება, ახალი/გაფუჭებული პროდუქტი, მადა და ა.შ. აღმზრდელები ესაუბრებიან ბავშვებს საკვების წარმომავლო-

ბასა და მომზადების წესზე, ხელს უწყობენ მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას კითხვების დასმის გზით. მაგალითად: „როგორ ფიქრობ, რამდენი კოვზი წვნიანი დაგრჩა ჯამში?“, „მოდი, ვნახოთ, თუ გამოვიცნობთ, რა ინგრედიენტები გამოიყენა მზარეულმა ამ კერძში“.

კვების დროს აღმზრდელებს ზოგჯერ აქვთ იმის შესაძლებლობაც, რომ ხელი შეუწყონ პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. თუკი, მაგალითად, ორ ბავშვს უნდა დარჩენილი ერთი ნაჭერი ვაშლი, აღმზრდელს შეუძლია იკითხოს: „აქ მხოლოდ ერთი ვაშლის ნაჭერი დარჩა. როგორ მოვიქცეთ, რომ ორივე კმაყოფილი დარჩეთ?“

აღმზრდელები არასოდეს იყენებენ საკვებს დასჯისა ან წახალისების მიზნით, არასოდეს აძალებენ ბავშვებს ჭამას. ისინი უყალიბებენ ბავშვებს დადებით განწყობას საკვების მიმართ.

აღმზრდელები საშუალებას აძლევენ ბავშვებს, ახლოს გაეცნონ სამზარეულოსთან და საკვების მომზადებასთან დაკავშირებულ აქტივობებს. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სადილის მომზადების პროცესში. მაგალითად, აღმზრდელი სამზარეულოში აწყობს ჯგუფურ აქტივობას - ესაა ბოსტნეულის ან ხილის სალათის მომზადება. აღნიშნული აქტივობის დროს ბავშვები ეცნობიან სამზარეულოს გარემოს, ჰიგიენას, უსაფრთხოებას, პროდუქტისა თუ სამზარეულოს ნივთების შესანახ ადგილს. დამზადებულ სალათას ბავშვები და თანამშრომლები ერთად მიირთმევენ.

შესაძლებელია აღმზრდელმა მზარეულთან თანამშრომლობით ბავშვებს მონაწილეობა მიაღებინოს მენიუს შექმნის პროცესში. მაგალითად, კვირაში ერთხელ აღმზრდელი ბავშვებს სთავაზობს ორ კერძს, რომელთაგანაც მათ შეუძლიათ ერთი ამოირჩიონ. აღმზრდელი ამზადებს ორივე კერძის - მაგალითად, მაწვნის წვნიანისა და ბოსტნეულის წვნიანის ფოტოს. იგი ჯგუფში ყველას მისცემს აზრის გამოხატვის საშუალებას იმაზე, თუ რომელი კერძი სურს სადილად. შემდეგ ყველანი ერთად ითვლიან, თუ რამდენი ხმა მიიღო ბოსტნეულის წვნიანმა, რამდენი ხმა - მაწვნის წვნიანმა. მზადდება ის კერძი. რომელიც მეტ ხმას მიიღებს.



აღმზრდელებს შეუძლიათ მოიფიქრონ მრავალფეროვანი საქმიანობები (როლური თამაშები, აქტივობები, პროექტები, წესებიანი თამაშები), რომლებიც საკვებსა და ჯანსაღ კვებას უკავშირდება. მაგალითად, ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ თემა „ახალ-ახალი საკვები: ჯანსაღი და თან გემრიელი!“. თემის ფარგლებში ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ გასინჯონ ახალი საკვები, სხვადასხვა თვისების მიხედვით შეადარონ და დაახარისხონ საკვები, შეადგინონ მარტივი დიაგრამა საყვარელ ბოსტნეულთან და ხილთან დაკავშირებით, გაითამაშონ როლური თამაშები საკვების მომზადებისა და ყიდვა-გაყიდვის შესახებ, განახორციელონ პროექტი, რომლის შესრულებისას: გაეცნობიან სხვადასხვა საკვებს, დაამზადებენ „კვების პირამიდას“, შექმნიან საკუთარ მენიუს „გემრიელი და ჯანსაღი“. პროექტზე მუშაობისას ბავშვები გამოჭრიან სხვადასხვა საკვები პროდუქტის სურათებს, კვების პირამიდაზე დაკვირვებით და მათი საყვარელი საკვების გათვალისწინებით შეარჩევენ საკვებს ბალანსირებული სადილისთვის, რომელიც ერთდროულად გემრიელიცაა და ჯანსაღიც. აღმზრდელი კითხვების დასმით ეხმარება ბავშვებს ჯანსაღი საკვების შერჩევაში. ამორჩეული საკვები პროდუქტებით ამზადებენ აპლიკაციებს ქაღალდის „თეფშზე“ და პროექტის დასრულების შემდეგ აწყობენ გამოფენას.

თავი 14. გარდამავალი პერიოდები

გარდამავალ პერიოდებში იგულისხმება ის დრო, რომელიც ბავშვებს სჭირდებათ ერთი აქტივობიდან მეორე აქტივობაზე გადასასვლელად ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასანაცვლებლად. ბავშვისთვის ორი ძირითადი გარდამავალი პერიოდია შინიდან ბაღში/სასკოლო მზაობის ჯგუფში მოსვლა და ბაღიდან შინ წასვლა. გარდამავალ პერიოდებს მიეკუთვნება ასევე ის დრო, როდესაც ბავშვები ემზადებიან ეზოში გასასვლელად, ბრუნდებიან ეზოდან ან საუზმის შემდეგ ემზადებიან წრეში შეხვედრისთვის.

გარდამავალ პერიოდებში შეიძლება წარმოიქმნას გარკვეული პრობლემები იმ შემთხვევებში, თუკი ბავშვებს მოუწევთ: დიდხანს ლოდინი; იმ საქმიანობის შეწყვეტა, რომელშიც იყვნენ ჩართულნი; დიდი დროის დახარჯვა სათამაშოებისა და მასალების ასალაგებლად ან შემდეგი საქმიანობისთვის მოსამზადებლად. ეს მდგომარეობა ბავშვებისათვის სტრესულია და შეიძლება სტრესისგან გასათავისუფლებლად მიუღებელი ქცევაც გამოიწვიოს. ზოგიერთ ბავშვს ბუნებრივად უჭირს ახალ სიტუაციებთან ან ნივთებთან შეგუება. ამ ბავშვებს შესაძლოა მეტი დახმარება დასჭირდეთ გარდამავალ პერიოდებში. გარდამავალ პერიოდებთან გამკლავება უმეტესწილად მრავალრიცხოვან ჯგუფებში უფრო რთულია, ვიდრე შედარებით პატარა ჯგუფებში. ქვემოთ მოყვანილია სტრატეგიები, რომლებიც აღმზრდელს ამ პროცესების უკეთ მართვაში დაეხმარება:

აქციეთ დღის პირველი გარდამავალი პერიოდი პოზიტიურ გამოცდილებად

შემოსვლისთანავე მიესალმეთ თითოეულ ბავშვს და მიმართეთ მათ სახელით. დამატებითი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს, რომლებსაც მეტი ემოციური მხარდაჭერა სჭირდებათ და გამოიჩინეთ მზრუნველობა მანამდე, ვიდრე ისინი არასასურველი გზით შეეცდებიან ყურადღების მიქცევას. შეიმუშავეთ დილის ხანმოკლე რუტინული საქმიანობები და ბავშვების მოსვლამდე მოამზადეთ და დაალაგეთ ყველაფერი. მაგალითად, ბავშვები ეძებენ საკუთარ სახელს მაგიდაზე დალაგებულ სახელის ბარათებს შორის, პოულობენ და მიამაგრებენ მას დასწრების ცხრილს. შემდეგ ისინი მიემართებიან „სამუშაოს ცხრილთან“, რომ შეამოწმონ, აქვთ თუ არა იმ დღეს რაიმე „სამუშაო“ და აზუსტებენ, კონკრეტულად რა სამუშაო უნდა შეასრულონ. ამის შემდეგ ბავშვები აარჩევენ სასურველ აქტივობას მათთვის შეთავაზებული რამდენიმე ვარიანტიდან. ამ დროს აქტივობების რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, რათა გამარტივდეს და დიდხანს არ გაგრძელდეს ალაგების და წრეში შეხვედრაზე გადასვლის პერიოდი. წრეში პირველი შეხვედრა თავისთავად მნიშვნელოვანი გარდამავალი აქტივობაა წინა დღესა და დღევანდელ დღეს შორის, აგრეთვე სახლსა და ბაღს შორის. ის აერთიანებს ჯგუფს და ბავშვებს აძლევს იმის საშუალებას, რომ ერთმანეთს გაუზიარონ შინიდან მოტანილი „ახალი ამბები“.

ყურადღებით დაგეგმეთ თითოეული გარდამავალი პერიოდი

აღმზრდელები წინასწარ განსაზღვრავენ გარდამავალ პერიოდებს და ჩამოაყალიბებენ, რა უნდა გააკეთონ ბავშვებმა და უფროსებმა, რა პასუხისმგებლობები და მოვალეობები ეკისრებათ აღმზრდელსა და მის თანაშემწეს. მაგალითად, მიღების დროს აღმზრდელი ესალმება ბავშვებს შემოსასვლელთან, თანაშემწე კი წიგნებს ათვალიერებინებს მათ. სასარგებლო სტრატეგიაა წყნარი აქტივობის გამოყენება ახალმოსული ბავშვების ჩასართავად. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს მივცეთ მშობელთან (ან სხვასთან, ვინც ბავშვი ბაღში მოიყვანა) დამშვიდობების დრო. ბავშვებისთვის სასარგებლოა შემდეგი რუტინული საქმიანობაც: ნივთების (მაგ., ქურთუკის) შენახვა კარადაში, შემდეგ კი წასვლა ჯგუფში არსებულ რომელიმე ცენტრში.

შეატყობინეთ წინასწარ

აღმზრდელები ბავშვებს აძლევენ ვიზუალურ, სიტყვიერ ან სხვა სახის მინიშნებებს საქმიანობის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე. მაგალითად, მას შემდეგ, რაც დარეკავს ზარს ან დაუკრავს რაიმე მიმანიშნებელ მელოდიას, აღმზრდელი ამბობს: „კიდევ ხუთი წუთი შეგვიძლია ვითამაშოთ, სანამ სადილისთვის მზადებას დავიწყებთ“ და აჩვენებს ბავშვებს მომდევნო საქმიანობის სიმბოლოს ან ნახატს, რომელზედაც გამოსახულია დალაგებული თაროები, ხელების დაბანა და კერძით სავსე თეფში.

შეძლებისდაგვარად შეამცირეთ საქმიანობებს შორის გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა

აღმზრდელები ბავშვებისგან მოელიან ურთიერთდახმარებას, იქნება ეს კუბურების ალაგება თუ ფეხსაცმელების თასმის შეკვრა. ხანდახან აუცილებელია აღმზრდელებმა შეახსენონ და ასწავლონ ბავშვებს, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს, სასარგებლოა ალაგების დროს საქმიანობების გადანაწილებაც. აღმზრდელი ზედამხედველობას უწევს პროცესს და ამასთანავე ყოველთვის მონაწილეობს ალაგებაში, რათა წაახალისოს ბავშვების ჩართულობა.

ნუ შექმნით რიგებს

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის დროს აღმზრდელები საშუალებას აძლევენ ბავშვებს, იმოძრაონ ჯგუფში თავისუფლად, მაგრამ მიზანმიმართულად. აღმზრდელები დამატებით გეგმავენ გარკვეულ საქმიანობებს იმ ბავშვებისათვის, რომლებიც სხვებზე მალე ამთავრებენ სამუშაოს ან სადილს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ბავშვი დაასრულებს ჭამას, აალაგებს თავის ჭურჭელს და დაიბანს ხელებს, მას შეუძლია მივიდეს წიგნიერების ცენტრში, დაათვალიეროს წიგნები და იქ დაელოდოს ზღაპრის კითხვის დროს.

ხშირ შემთხვევაში რიგში დგომა არ არის აუცილებელი, მაგრამ რიგის დაცვა ითვლება ერთ-ერთ „სკოლისათვის საჭირო უნარად“, რომელიც ბავშვმა უნდა განივითაროს. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სახალისო და აქტიურ სწავლებაში გატარებული დრო უფრო კარგი მომზადებაა დაწყებითი სკოლისთვის, ვიდრე დრო, რომელსაც ბავშვი რიგში ატარებს.

თუკი რიგებს თავიდან ვერ ავიცილებთ, წამოაწყებინეთ ბავშვებს მხიარული სიმღერები და თამაშები, რომელთაც არ სჭირდება მასალები ან მოძრაობა.

როდესაც ბავშვები რიგში დგანან, აღმზრდელები იყენებენ სახალისო გათვლებსა და სიმღერებს, თითების თამაშებსა თუ ამბებს, რაც არა მარტო დროის გაყვანის საშუალებაა, არამედ ხელს უწყობს მეტყველებისა და მუსიკალური უნარების განვითარებას. აღმზრდელები იყენებენ აგრეთვე გამოცანებსა და საინტერესო კითხვებს. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებსა და თანაშემწეებს კარგად ახსოვდეთ ამ ტიპის სიმღერების, თამაშებისა თუ გამოცანების რეპერტუარი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ მათი გამოყენება.

შესძინეთ სიხალისე გარდამავალ პერიოდებს

მუსიკა ყოველთვის არის დროის გაყვანის შესანიშნავი საშუალება და მეტი სიხალისე შეაქვს ერთფეროვან და მოსაწყენ საქმიანობებში. ბევრი აღმზრდელი თავად თხზავს სპეციალურ სიმღერებს ნაცნობ მელოდიებზე სხვადასხვა შემთხვევისთვის. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, სიმღერა ალაგებისთვის ან ხელების დაბანისთვის. ბავშვების გასახალისებლად შესაძლებელია სხვადასხვა მიბაძვითი მოძრაობების გამოყენებაც: მაგალითად, როდესაც ბავშვები ჯგუფურად მიდიან სადმე, მათ შეიძლება მიბაძონ თაგვებს და იმოძრაონ ძალიან ჩუმად დერეფანში, რომ კატამ არ გაიგოს მათი ხმა. აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ „ჯადოსნური ჯოხი“ ყველა ბავშვის პეპლებად ან ბაჭიებად გადასაქცევად ან მოაფრქვიონ ბავშვებს „ჯადოსნური“ ბრჭყვიალა მტვერი, რის შემდეგაც ისინი შეძლებენ „ფრენას“ ან „ღრუბლებზე სიარულს“.

მიეცით პოზიტიური უკუკავშირი

აღმზრდელები ყურადღებას ამახვილებენ იმ ბავშვებზე, რომლებიც სწრაფად და კარგად ალაგებენ (და არა მათზე, ვინც ასე არ იქცევა), წაახალისებენ მათ, იძლევიან კონკრეტულ და პოზიტიურ უკუკავშირს, მაგალითად: „ლაშა და ნინიკო, გმადლობთ, რომ ასე უცებ აალაგეთ კუბურები და თავის ადგილზე დააწყვეთ თაროზე“.

ბაღიდან წასვლა

ბევრი ბავშვისთვის შესაძლოა რთული იყოს დღის ბოლოს შინ წასვლა ან სხვა ცენტრში გადასვლა. შემაჯამებელი შეხვედრა წრეში ბავშვებს ეხმარება ამ გარდამავალი პროცესის დროს. შემაჯამებელი შეხვედრისას აღმზრდელს შეუძლია ბავშვებთან ერთად იმსჯელოს შემდეგი დღის გეგმებზე და შეახსენოს მათ, რომ თუ რამეზე მუშაობა ვერ დაამთავრეს, ხვალ მიეცემათ მისი დასრულების შესაძლებლობა. ბავშვებს, თავის მხრივ, შეუძლიათ ისაუბრონ თავიანთი გეგმების შესახებ. ბავშვების მომზადება დღის დასასრულისთვის შესაძლებელია ზემოთ უკვე აღწერილი გზით: ვიზუალური ან აუდიომინიშნებებით, ასევე წინასწარი შეტყობინებით დარჩენილი დროის მონაკვეთის შესახებ.

თავი 15. შემაჯამებელი შეხვედრა წრეში

შემაჯამებელი წრის ძირითადი მიზანია, მისცეს ბავშვებს დღის განმავლობაში მიღებული ახალი გამოცდილების გააზრების შესაძლებლობა. შემაჯამებელი წრე ბავშვებს საშუალებას აძლევს, შინ წასვლამდე შეიკრიბონ, როგორც ერთი ჯგუფის წევრები, დაასრულონ დღე და მოემზადონ სამომავლო საქმიანობებისთვის.

დღის განმავლობაში აღმზრდელები იმახსოვრებენ და/ან ჩაინიშნავენ (ჩაიწერენ) ისეთ საკითხებსა თუ მოვლენებს, რომლებიც გამოდგება დღის განმავლობაში შესრულებულ საქმიანო-

ბებზე დასაფიქრებლად, დასკვნების გამოსატანად. ჩანაწერების კეთება დაეხმარება აღმზრდელებს, რომ ადვილად გაიხსენონ საჭირო ინფორმაცია დღის ბოლოს, წრეში შემაჯამებელი შეხვედრის დროს. მაგალითად, აღმზრდელმა, დავუშვათ, შეამჩნია, რომ ორი ბავშვი ხიდის გაკეთებას ცდილობდა კუბურებით. მათ ბევრი სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენეს, აქტიურად იმსჯელეს ამ საკითხზე და წაკამათდნენ კიდეც, თუმცა ბოლოს წარმატებით მიაღწიეს მიზანს. „რეფლექსიის“ დროს აღმზრდელი ამ ბავშვებს სთხოვს, გაუზიარონ ჯგუფის სხვა წევრებს, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ხიდის შენებისას, როგორ გადაჭრეს ისინი, რა გამოცდილება მიიღეს და რა განიცადეს. აღმზრდელი აძლევს მათ ინფორმაციულ და წამახალისებელ რჩევას: „თქვენ დიდხანს მუშაობდით და სხვადასხვა იდეა გამოსცადეთ მანამდე, სანამ გონივრულ შეთანხმებას არ მიაღწიეთ. ეს არის შეუპოვრობა, რომელიც პრობლემის მოგვარების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუ სურვილი გექნებათ, ხვალ შეგიძლიათ სცადოთ უფრო დიდი და გრძელი ხიდის აგება ისე, რომ დღევანდელი გამოცდილებაც გაითვალისწინოთ“.

გააზრების პროცესი (რეფლექსია) შეიძლება ნაკლებად ფორმალური იყოს და მომდინარეობდეს უფრო მეტად ბავშვებისგან, ვიდრე აღმზრდელისგან. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შეკითხვა, რომლებსაც აღმზრდელები სვამენ რეფლექსიის წახალისებისთვის. ერთი შემაჯამებელი წრის დროს შესაძლებელია მხოლოდ ერთი ან ორი მათგანის გამოყენება:

- რა გააკეთეთ დღეს ისეთი, რითიც ამაყობთ?
- გააკეთეთ დღეს რამე ისეთი, რაც სხვა დროს არასდროს გაგიკეთებიათ?
- შეგიძლიათ გვითხრათ დღეს თქვენ ან სხვის მიერ გაკეთებული კეთილი საქმის შესახებ?
- რა იყო დღეს ყველაზე მეტად გასაოცარი?
- შეგიძლიათ მოგვიყვეთ დღევანდელი საქმიანობების დროს მომხდარი ისეთი ამბის შესახებ, რომელიც ყველას გაგვახარებს?
- გააკეთეთ თუ არა დღეს ისეთი რამ, რაც გინდათ, რომ გაიმეოროთ?
- ხვალ რომ დაფიქრდებით დღევანდელ დღეზე, რა გაგახსენდებათ?
- თქვენს მშობელს რომ ენახა ყველაფერი, რაც თქვენ დღეს დამოუკიდებლად ან ერთად გავაკეთეთ, რას იტყოდა იგი?

აღმზრდელმა უნდა დასვას დამატებითი შეკითხვები იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ კითხვებზე სრულად და აზრიანად პასუხის გაცემა.

შემდეგ აღმზრდელებს საუბრის თემა გადააქვთ სამომავლო გეგმებზე: „ხვალ ჩვენ გვეყოლება განსაკუთრებული სტუმარი, რომელმაც ბევრი რამ იცის ქვებისა და ქანების შესახებ. ის პროფესიით გეოლოგია. სტუმარი ჩვენ გვიჩვენებს ძალიან ლამაზ და უცნაურ ქვებს. მოიფიქრეთ შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამთ მას ქვების შესახებ“. მომდევნო დღეს, წრეში პირველი შეხვედრის დროს, ბავშვები გაუზიარებენ ჯგუფს იმ კითხვებს, რომლებიც გეოლოგს უნდა დაუსვან, ხოლო დღის ბოლოს, შემაჯამებელი წრის დროს, მათ უნდა მივცეთ საშუალება გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, მიიღეს თუ არა პასუხი ყველა შეკითხვაზე.

აღმზრდელი ეუბნება ბავშვებს, საჭიროა თუ არა მომდევნო დღისთვის რაიმეს მოტანა ან რაიმე დავალების შესრულება: „დათო, ხვალ შენი ჯერია, შენ უნდა მოიტანო სახლიდან რაიმე ნივთი“; „ყველას გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ, რომ მშობლებს შეატყობინოთ მომდევნო სამშაბათს დაგეგმილი ექსკურსიის შესახებ“.

შემაჯამებელი წრე სრულდება სახალისო რუტინული აქტივობით, როგორიცაა სიმღერა, ლექსი ან მარტივი აქტივობა. ეს ჯგუფს დღის ბოლოს კიდევ ერთხელ გააერთიანებს. დროთა განმავლობაში ეს აქტივობა უნდა განვითარდეს და შეიცვალოს, რათა ბავშვებს მის მიმართ ინტერესი არ გაუქრეთ.

აღმზრდელს შეუძლია ბავშვებთან ერთად მოიფიქროს ახალი ტექსტი მათთვის ნაცნობ და საყვარელ მელოდიებზე.

როდესაც ბავშვები უკვე კარგად აითვისებენ სიმღერას, მას შეიძლება დაემატოს გართულებული მოძრაობებიც. მაგალითად, ერთი ბავშვი დგება და სიმღერით ამბობს „ერთი“. მის გვერდით მჯდომი ბავშვი დგება და სიმღერით ამბობს „ორი“ და ასე შემდეგ. ეს უნდა მოხდეს ძალიან სწრაფად, რათა შენარჩუნდეს სიმღერის ტემპი. იმავე პრინციპით შეიძლება სიმღერის შექმნა რიცხვებსა და ფერებზე წრეში მოძრაობით. ერთობლივი მისამღერის შესრულებისას ბავშვებმა შეიძლება დოინჯი შემოიდონ წელზე, იმოძრაონ და მიმართულება შეიცვალონ თითოეული წინადადების დაწყებისას.

თავი 16. უსაფრთხოება

ფიზიკური უსაფრთხოება

აღმზრდელები სიფრთხილით აკვირდებიან ბავშვებსა და გარემოს, რათა უზრუნველყონ პატარების უსაფრთხოება და დაიცვან ისინი ყოველგვარი დაშავებისა თუ დაზიანებისგან, იქნება ეს გაუმართავი დანადგარი თუ ფიზიკური აგრესიით გამოწვეული ზიანი. აღმზრდელები ყურადღებას ამახვილებენ პრევენციაზე - ქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც ამცირებს ზიანის მიყენების პოტენციალს. ნებისმიერი პრობლემური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში (ეს შეიძლება იყოს ორ ბავშვს შორის დაწყებული კამათი ან ბავშვი, რომელიც საკმაოდ მაღალი სიმაღლიდან ცდილობს ჩამოხტომას) აღმზრდელები მაშინვე უნდა ჩაერიონ და შეეცადონ სიტუაციის განმუხტვას.

ბავშვები გარკვეულ რისკზე უნდა წავიდნენ იმისათვის, რომ გაზომონ თავიანთი შესაძლებლობების არეალი და შეიძინონ ახალი უნარები. აღმზრდელები ასწავლიან მათ გონივრული რისკების გაწევას და შესაძლო ზიანის შემცირების ხერხებს. მაგალითად, ბავშვებს, რომელთაც სურთ დიდი სიმაღლიდან გადმოხტომა, აღმზრდელი სთავაზობს გადმოხტომას არცთუ ისე მაღალი ადგილიდან ან განათავსებს გადმოხტომის ადგილზე რბილ საგებს (მაგალითად,

რბილ ლეიბს ან ფოთლების გროვას). სასკოლო მზაობის ჯგუფის შენობა უნდა იყოს მყარი, ოთახები - სუფთა და გარემონტებული, ავეჯი - კარგ მდგომარეობაში, წვეტიანი და ბასრი კუთხეების გარეშე. ისეთი ავეჯი, როგორებიცაა კარადა და თაროები, მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული (მიჭედებული ან ჭანჭიკებით დამაგრებული კედელზე). დაზიანებული ავეჯი აუცილებლად უნდა გამოიცვალოს ან შეკეთდეს. კიბეებს უნდა ჰქონდეს მყარი მოაჯირები; იატაკზე არ უნდა იყოს ბარიერები, რომელზეც ბავშვები შეიძლება წაიქცნენ; სველ იატაკზე უნდა განლაგდეს გამაფრთხილებელი ნიშნები; დაფები კედელზე კარგად უნდა იყოს დამაგრებული; დენის წყაროები სპეციალური დამცავებით უნდა დაიფაროს ან განთავსდეს ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ხელმისაწვდომი არ იქნება ბავშვებისათვის; ჭაღებს უნდა ჰქონდეთ დამცავები; საწმენდი საშუალებები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას უნდა ინახებოდეს; ბავშვების ოთახში ყოფნის დროს ფანჯრები ფართოდ არ უნდა გავაღოთ.

ეზო ღობითაა დაცული; იქ არ არის ისეთი სახიფათო ადგილები, როგორებიცაა დანგრეული ღობე ან რაიმე გადასავარდნი, ქვემოთ დაშვებული ხის ტოტები, ეკლიანი და შხამიანი მცენარეები ან დაგუბებული წყალი. მშობლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ბავშვებს უსაფრთხო შესასვლელი აქვთ ბაღში. მისასვლელი გზები კარგადაა განათებული, ბავშვებს უსაფრთხოდ შეუძლიათ ფეხით მისვლა, თუ ახლოს ცხოვრობენ. მიწის ზედაპირი ეზოში რბილი და გლუვია, გარეთ გამართულია სათამაშო დანადგარი, რომელსაც არ აქვს გამოშვერილი რკინის ან ხის დეტალები. საქანელას ადგილი დაცულია: ბავშვებს არ აქვთ მოძრაობის საშუალება მის წინ და უკან.

სათამაშოები არ არის ბასრი, ხშირად მოწმდება და ირეცხება. ჯგუფში არ არის დამტვრეული სათამაშოები სახიფათო დეტალებით. აღმზრდელები ყურადღებით ამოწმებენ ასევე მშობლების მიერ სახლიდან მოტანილი ნივთების, მაგალითად, ძველი ტელეფონის ან საათის უსაფრთხოებას: მათ უნდა გადაჭრან ელექტრონული მავთულები, ამოიღონ ბატარეები და სხვა საშიში დეტალები, რომელთაც ეს ნივთი შეიძლება შეიცავდეს. ბავშვების მიერ სახატავად გამოყენებული ნივთები, საღებავები, მარკერები, წებო არ უნდა შეიცავდეს მომწამვლელ ნივთიერებებს.

არსებობს გარკვეული მასალა, რომელიც სახიფათოა ბავშვებისათვის, მაგრამ მათი გამოყენება საჭიროა სხვა მნიშვნელოვანი უნარების გასავითარებლად. ასეთი ნივთებია მაკრატელი, დანა, ჩანგალი, კარტოფილის სათლელი და ა.შ. ბლაგვი მაკრატელი შეიძლება მჭრელზე უფრო ზიანისმომტანი იყოს. ზიანის რისკის შესამცირებლად აღმზრდელები ბავშვებს აძლევენ სათანადო ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ მჭრელი დანები და თან ყურადღებით აკვირდებიან მათ მოქმედებებს.

აღმზრდელები გეგმავენ სახალისო თამაშებსა და აქტივობებს, რომლებიც აცნობს ბავშვებს სხვადასხვა ბუნებრივ კატასტროფას და საშუალებას აძლევს მათ, რომ პრაქტიკაში, თამაშით გამოსცადონ სხვადასხვა საგანგებო სიტუაციაში სწორად მოქცევის გზები. აღმზრდელები უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს აქტივობები არ არის სტრესული ბავშვებისთვის და ისინი ხალისით მონაწილეობენ თამაშებში. წყალდიდობის, მიწისძვრის, ღვარცოფის, ქარიშხლის, ზვავის, გვალვის, მეწყრისა თუ ხანძრის შესახებ ინფორმაცია ინტეგრირებულია თემებში, პროექტებ-

ში, აქტივობებში, როლურ თამაშებსა და წესებიან თამაშებში. თემატური მიმართულება - *ბუნება და ფიზიკური სამყარო* ამ საკითხების შესწავლის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. ბავშვებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით აღმზრდელები წინასწარ ეცნობიან შესაბამის დამხმარე ლიტერატურას სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფებისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ.

კატასტროფებისგან გამოწვეული ზარალის შემცირებისა და უსაფრთხოების მიზნით შენობაში უნდა არსებობდეს საევაკუაციო გასასვლელი და შენობის ევაკუაციის გეგმა, რომელიც თვალსაჩინო ადგილას იქნება გამოკრული. გარდა ამისა, შენობას უნდა გააჩნდეს სახანძრო უსაფრთხოების საბაზისო აღჭურვილობა (ცეცხლმაქრი და ა.შ). ასევე მნიშვნელოვანია შეიქმნას კატასტროფების რისკის მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება, ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრება და ვინ როგორ უნდა მოიქცეს სხვადასხვა კატასტროფის დროს. აღმზრდელები რეგულარულად ამოწმებენ უსაფრთხოების მოწყობილობებს და მათ მდგომარეობას. მაგალითად, უნდა შემოწმდეს პირველადი დახმარების ყუთი (რომელშიც მოთავსებულია ლეიკოპლასტი, თერმომეტრი, სტერილური საფენები, ბამბა, სამედიცინო ხელთათმანი და ა.შ), ცეცხლმაქრი, ფანრები და ა.შ. ისინი წელიწადში ორჯერ ატარებენ სიმულაციურ სავარჯიშოებს (მაგალითად, სიმულაციურ ევაკუაციას) კატასტროფების დროს მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

პირადი უსაფრთხოება

ბავშვის პირადი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც ის დაცულია ექსპლუატაციისგან, ემოციური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობისგან და/ან არ არის უგულებელყოფილი. რამდენადაც აღმზრდელები კარგად იცნობენ თავისი ჯგუფის ბავშვებს, ზრუნავენ და მხარში უდგანან მათ, შესაძლოა, ისინი იყვნენ პირველი ზრდასრულები, რომლებიც შეამჩნევენ ბავშვზე ძალადობის ნიშნებს ან გაიგებენ ამას ბავშვისგან.

მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა იცოდნენ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ნიშნების ამოცნობა (იგულისხმება ბავშვის მიმართ ფიზიკური, ემოციური, სექსუალური ძალადობა, ექსპლუატაცია თუ უგულებელყოფა) და იცავდნენ ძალადობის გაცხადებისა და ასევე ხელმძღვანელისთვის შეტყობინების ყველა საჭირო და სამართლებრივ წესს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვთან მომუშავე ყველა პროფესიონალი (და, შესაბამისად, დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს) ვალდებულია განაცხადოს სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, შეუტყობინებლობა ჯარიმით ისჯება. დაუსაბუთებელი ეჭვის გაცხადება მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ რეალურად განხორციელებული ძალადობის შეუტყობინებლობა კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემას და სამართალდარღვევას წარმოადგენს.

ბავშვის დაცვა ექსპლუატაციისა და ძალადობისგან პასუხისმგებელი ხელმძღვანელების მოვალეობაა, მაგრამ ბავშვებს შეუძლიათ თავადაც გამოიმუშაონ რამდენიმე ძირითადი უნარი სა-

კუთარი თავის დასაცავად. ეს სამწუხარო აუცილებლობაა, რადგან ძალადობის გამოვლინების ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვი იცნობს მოძალადეს, რომელიც შეიძლება ბავშვის ახლობელიც კი იყოს. აღმზრდელმა წინასწარ უნდა მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბავშვებთან ამ თემების შესახებ აპირებს საუბარს და მიიღოს მათგან ნებართვა.

სურათებით, მარტივი სცენარებით, მოკლე როლური თამაშებით, დემონსტრირებით, შეკითხ-ვებისა და დისკუსიების საშულებით აღმზრდელები ბავშვებს ასწავლიან:

1.*„ყოველთვის იკითხონ“*, თუ ვინმეს რაიმეს მიცემა სურს მათთვის. მაგალითად, თუკი ბავშვს შესთავაზებენ სათამაშოს, ტკბილეულს ან სადმე გასეირნებას, ის არ უნდა დათანხმდეს ამ შემოთავაზებას მანამდე, სანამ ნებართვას არ მიიღებს მშობლებისგან ან ადამიანისგან, ვინც ზრუნავს მასზე (აღმზრდელისგან, უფროსი დისგან/ძმისგან, ბებიისგან/ბაბუისგან და ა.შ.).

2. არსებობს „კარგი“ და „უსიამოვნო“ ფიზიკური შეხება. კარგი შეხებისას ბავშვი გრძნობს, რომ იგი უყვართ და მასზე ზრუნავენ. „უსიამოვნო“ შეხებისას მას სტკივა, უხერხულ მდგომარე-ობაში ვარდება ან ეშინია. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს არ სიამოვნებს შეხება, ყოველთვის უნდა თქვას: „არა“.

3. უფროსი ადამიანი არასდროს არ უნდა შეეხოს მისი სხეულის „დაფარულ“ ნაწილებს, გარ-და ექიმისა ან მედდისა. ამ პირებსაც მისი სხეულის „დაფარულ“ ნაწილებზე შეხების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედა, მამა, ოჯახის წევრი იმავე ოთახში არიან.

4. არასდროს არ უნდა შეინახოს საიდუმლოდ უსიამოვნო შეხების ფაქტი და ამაზე მანამდე უნდა ისაუბროს, სანამ ვინმე არ დაეხმარება.

იგივე მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დავიცვათ ბავშვები თანატოლების ან უფროსების მხრიდან დაშინების ან მანიპულაციის სხვა ფორმებისგან. უფროსმა ან უფრო ძლიერმა ადამიანმა მათ არასდროს არ უნდა სთხოვოს ისეთი რაიმეს გაკეთება, რაც მათ ტკი-ვილს მიაყენებს ან შეაშინებს. ბავშვებმა უარი უნდა თქვან ამაზე და შეატყობინონ ნდობით აღჭურვილ უფროსს.

ნაწილი IV: შინაარსის ორგანიზება: თემა და თემატური მიმართულებები

მოცემულ ნაწილში ნაჩვენებია სასკოლო მზაობის პროგრამის შინაარსის ორგანიზების გზები. მე-17 თავში თემა განმარტებულია, როგორც შინაარსის ორგანიზების ფორმა და წარმოდგენილია ეფექტური თემის მახასიათებლები. მომდევნო თავები ეთმობა შვიდ თემატურ მიმართულებას. ესენია:

- ბუნება და ფიზიკური სამყარო;
- სოციალური და კულტურული სამყარო;
- რაოდენობრივი წარმოდგენები;
- მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- ჯანმრთელობა და ჰიგიენა.

თითოეულ თავში წარმოდგენილია: კონკრეტული თემატური მიმართულების აღწერა, ამ მიმართულებათა შესაბამისი ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას, საჭირო რესურსების ჩამონათვალი, საქმიანობების ნიმუშები (აქტივობები, წესებიანი თამაშები, როლური თამაშები, პროექტები), თემების ნიმუშები და კავშირები სხვა თემატურ მიმართულებებთან.

თავი 17. თემა

ბავშვის განვითარებისა და სწავლების შედეგების მისაღწევად აქტივობები, თამაშები და სხვა საქმიანობები იგეგმება თემების მიხედვით. ეს აღმზრდელს მისცემს საშუალებას, გაამახვილოს ბავშვების ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე და ამ გზით მოახდინოს სწავლისა და განვითარების ინტეგრირება.

როგორი უნდა იყოს ეფექტური თემა?

კარგი თემა ეხმარება აღმზრდელს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი, შინაარსობრივად მდიდარი, საინტერესო, ბავშვებისთვის გასაგები, აქტიური და ინტერაქტიული საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. თემა ხშირად ბავშვების ყოველდღიურობიდან აღმოცენდება და მიმართულია მათ მრავალმხრივ განვითარებაზე. თემა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის შეესაბამება ბავშვების შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. ცნებების, საკითხების, ცოდნისა და სხვადასხვა უნარის ათვისება თემის ფარგლებში ხორციელდება. ასე ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ, რადგან მათ აქვთ მიზანი და სწავლის მოტივაცია.

ხშირად თემა ყალიბდება ჯგუფში, ბავშვების ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, ამიტომ აღმზრდელი ყოველთვის ყურადღებით უსმენს და აკვირდება ბავშვებს მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით. მაგალითად, აღმზრდელი ამჩნევს, რომ სურათებიანი წიგნი აფრიკის ცხოველებზე ბავშვების საყვარელი წიგნია. პატარებს განსაკუთრებით მოსწონთ ლომების, ვეფხვების და კატისებრთა ოჯახის სხვა დიდი ზომის ცხოველების სურათები, რომლებიც მათ იმავდროულად აშინებთ კიდეც. ბავშვების ინტერესების საპასუხოდ აღმზრდელი გეგმავს თემას „გარეული ცხოველები". ზოოპარკში ექსკურსიის შემდეგ ბავშვები იწყებენ თამაშს, რომელშიც ზოგი ლომია, ზოგი - ვეფხვი, ზოგიც - გეპარდი. მათი თამაში ძირითადად ფოკუსირებულია გარეულ მოთვინიერებულ ცხოველებზე. თამაშის მიმდინარეობისას ზოგი ბავშვი ცდილობს „მოათვინიეროს" სხვა ბავშვები, რომლებიც გარეულ ცხოველებს ასახიერებენ. შემდეგ მოთამაშეები როლებს ცვლიან. ხშირად „გარეული ცხოველები" აძლევენ სხვებს მათი „მოთვინიერების" უფლებას, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ისევ იბრუნებენ ველურ ხასიათს. ეს თამაში საშუალებას აძლევს ბავშვებს უსაფრთხოდ გამოხატონ ძლიერი იმპულსების კონტროლის დროს აღძრული შინაგანი ბრძოლა. თემა, რომელიც შეირჩა გარეული ცხოველებით დაინტერესების შედეგად, პასუხობს თვითკონტროლის მოთხოვნილებას და უსაფრთხო გზით „ათავისუფლებს" ბავშვებს მოჭარბებული ენერგიისგან.

ეფექტური თემა პირდაპირ უკავშირდება ბავშვების **ყოველდღიურ გამოცდილებას და გარემოს.** ნაცნობი სიტუაციები და გამოცდილება, როგორებიცაა სადილის მომზადება, სუფრის გაწყობა და ჭამა, ბაზარში საყიდლებზე წასვლა, მგზავრობა და ა.შ., აადვილებს როლურ თამაშებს. აღმზრდელს შეუძლია სხვადასხვაგვარად განავრცოს ეს გამოცდილება. ის ქმნის სხვადასხვა სახის აქტივობებს, წესებიან თამაშებს, როლურ თამაშებსა და პროექტებს ისეთი თემების ფარგლებში, როგორებიცაა: „რა გვაქვს სადილად?", „ბაზარი: ყიდვა, გაყიდვა და ბევრი სხვა", ან „ექსკურსია სანაპიროზე".

ცოდნისა და უნარების განვითარება ხდება თემის ფარგლებში დაგეგმილ ყველა საქმიანობაში. ბაზრის თემის ფარგლებში აღმზრდელი ბავშვებს ახარისხებინებს გასაყიდ ნივთებს დახლებზე ისე, რომ დაინახოს, რამდენად იცნობენ ბავშვები საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, იმავდროულად კი დაეხმაროს მასაც, ვისაც ნაკლებად ესმის აღნიშნული ცნებები. ნივთები დახარისხებულია ერთი ან ორი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე მახასიათებლით: დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე, მძიმე და მსუბუქი, ძველი და ახალი. ბავშვებს ასევე სთხოვენ დაალაგონ ნივთები მითითების საპირისპიროდ. როდესაც აღმზრდელი ამბობს: „თუ შეიძლება, დაალაგეთ კანფეტების ყუთები ყველაზე ზედა თაროზე", ბავშვებმა უნდა დაალაგონ ყუთები ყველაზე ქვედა თაროზე. იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა ტიპის ცნებების შემთხვევაში. ეს ცნებებია: წინ და უკან, ზემოდან და ქვემოდან, მაღლა და დაბლა. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვები თვითონ წამოიწყებენ ამ თამაშს უფროსების დახმარების გარეშე. როდესაც ბავშვების უმრავლესობა შეძლებს ამ დავალების შესრულებას, აღმზრდელი აძლევს მათ ორ ადგილმდებარეობას. მითითება „თუ შეიძლება, დააწყვეთ რძის ბოთლები მაგიდის ზემოთ, წინა მხარეს", სინამდვილეში ბავშვებისგან ითხოვს ბოთლების დაწყობას მაგიდის ქვეშ, უკანა მხარეს.

ეფექტური თემა ემსახურება **ბავშვის მარავალმხრივ განვითარებას** სხვადასხვა თემატური მიმართულებით ცოდნის შეძენისა და მრავალი სხვადასხვა უნარის გამომუშავების გზით. ეს გულისხმობს, რომ ერთი თემის ფარგლებში ჩართულია საქმიანობები, რომლებიც ემსახურება ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, მეტყველებისა და კომუნიკაციის, ასევე წიგნიერების უნარების განვითარებას. ამ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითოეული საქმიანობის დაგეგმვისას ფოკუსირება ხდება განვითარების ერთ რომელიმე სფეროზე. პირიქით, ახალი ცნებები ბავშვებს ინტეგრირებულად უნდა მივაწოდოთ, რათა მათი განხილვა და ათვისება სხვადასხვა კუთხიდან იყოს შესაძლებელი. თემა „სიჩქარე“ მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, ამასთან, ყოველი საქმიანობა ეხმარება ბავშვს ერთდროულად სხვადასხვა უნარის განვითარებასა და ცოდნის შეძენაში. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივობა შემდეგი სახისაა: ბავშვები ყვებიან, რომელი სატრანსპორტო საშუალების მართვა იქნებოდა მათთვის ყველაზე სახალისო, შემდეგ კი აღმზრდელი ეხმარება მათ ამ ინფორმაციის ორგანიზებაში. ბავშვებს შეუძლიათ დახატონ განხილული სატრანსპორტო საშუალებები ერთ ფურცელზე ან მუყაოზე და თითოეულმა დააწებოს სტიკერი ან სხვა მასალა იმ ტრანსპორტის გასწვრივ, რომლის მართვაც მისთვის ყველაზე სახალისო იქნებოდა. შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ დათვალონ, რომელმა სატრანსპორტო საშუალებამ რამდენი ხმა მიიღო.

ერთი შეხედვით, შეიძლება რთულად მოგვეჩვენოს მოცემული განვითარების სფეროებისა და ქვესფეროების ერთი თემის ფარგლებში მოქცევა, თუმცა ეს დამოკიდებულია სწორად დაგეგმილ და შერჩეულ საქმიანობებზე. ეფექტური თემა არის **წინასწარ კარგად დაგეგმილი**. წინასწარ დაგეგმვა აუცილებელია, რათა აღმზრდელებს საკმარისი დრო ჰქონდეთ მასალების მომარაგებისთვის და მომზადებისთვის, ასევე კვლევის ჩასატარებლად და საქმიანობების შესასრულებლად საჭირო იდეების შერჩევისთვის. თემის ხანგრძლივობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მისაღწევი შედეგები, დაგეგმილი საქმიანობები და ბავშვების ინტერესები. მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია საქმიანობების ნიმუშები თემისათვის „რა ხდება ექიმის კაბინეტში?”

საქმიანობათა ნიმუშები

აქტივობები

სიმაღლის გრაფიკი - აღმზრდელი კედელზე აკრავს მუყაოს ფურცელს, ბავშვები რიგრიგობით ზომავენ ერთმანეთს, აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს მათი შესაბამისი სიმაღლის ნიშნულის გაკეთებაში, სახელის დაწერასა ან სტიკერის დაწებებაში.

ბარათები „მალე გამოჯანმრთელდი” - ბავშვები ამზადებენ ბარათებს “მალე გამოჯანმრთელდი” თავიანთი ნაცნობებისა თუ ადგილობრივი საავადმყოფოს პაციენტებისთვის. თუ ბაღის სიახლოვეს არ არის საავადმყოფო, შესაძლებელია ერთი კოლაჟის ტიპის პლაკატის დამზადება ნაცნობისათვის, ვინც ავად არის.

ექიმმა გამოგვიწერა - აღმზრდელი ბავშვებს უხსნის, რატომ არის ფიზიკური ვარჯიში სასარგებლო ჯანმრთელობისათვის. შემდეგ კი ყველა ბავშვი რიგრიგობით „გამოუწერს" დანარჩენ ბავშვებს რაიმე ერთ ფიზიკურ აქტივობას. აღმზრდელი ამბობს: - „ექიმი დათო გვირჩევს...", წინადადებას კი ბავშვი ამთავრებს: - „სამ ბუქნს!".

როლური თამაში

„ექიმობანა". როლური თამაშისთვის ოთახის სივრცე ეწყობა საავადმყოფოს ან ექიმის კაბინეტის მსგავსად. ბავშვები ინაწილებენ პაციენტების, ექიმების თუ ექთნების როლებს და თამაშობენ „ექიმობანას". თამაშის დროს პატარები იყენებენ მათ მიერ დამზადებულ ნივთებს (მაგ. „ექიმის ჩანთას") და სხვა მასალებს, ფურცლებსა და საწერ საშუალებებს რეცეპტებისა და დანიშნულებების დასაწერად, ექიმის ტანსაცმელს (ამ სამოსის არსებობის შემთხვევაში) და სხვ.

პროექტი

„ექიმის ჩანთა". პროექტის ფარგლებში ბავშვები ამზადებენ „ექიმის ჩანთას", რომელშიც ჩაიდება მათივე დამზადებული სამედიცინო ხელსაწყოები. აღნიშნული ჩანთები ბავშვებს როლური თამაშისა და სხვა საქმიანობებისთვის გამოადგებათ. იმისთვის, რომ ბავშვებმა გაიგონ, როგორი უნდა იყოს ექიმის ჩანთა და რა ხელსაწყოები შეიძლება მოთავსდეს მასში; ეწყობა ექსკურსია ადგილობრივი ექიმის კაბინეტში ან სტუმრად იწვევენ ექიმს სასკოლო მზაობის ჯგუფში. პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპზე ბავშვები ადგენენ, რა უნდა იყოს ექიმის ჩანთაში, შემდეგ იწყება მუშაობა ხელსაწყოებისა და ჩანთის დამზადებაზე. შეიძლება დამზადდეს ერთი ან რამდენიმე ჩანთა სხვადასხვა სახის ხელსაწყოებით. ჩანთა მზადდება მუყაოსგან ან ნაჭრისგან, ხოლო ხელსაწყოები სხვადასხვაგვარი მასალისგან. ფონენდოსკოპისთვის შეიძლება ძველი კვერცხის ყუთების, რბილი მავთულებისა და თოკების გამოყენება. ქაღალდისა და ნაჭრისგან მზადდება ექიმის ქუდი და ნიღაბი, მუყაოსგან კი - ყელის გასასინჯი ჩხირები. დამზადებულ ნივთებთან ერთად ჩანთაში ასევე უნდა მოთავსდეს ბამბის ბურთულები, ბამბის ჩხირები, ლეიკოპლასტი, ბინტი, რეზინის ხელთათმანები და სხვა სამედიცინო ხელსაწყოები, რომლებიც ხელმისაწვდომია და უსაფრთხოა ბავშვებისთვის.

წარმოდგენილი საქმიანობების დროს ხდება რამდენიმე სფეროს/ქვესფეროს განვითარება (განვითარების სფეროებისა და ქვესფეროების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ *სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტში*).

რა თქმა უნდა, მოცემულ თემაში კიდევ ძალიან ბევრი და მრავალფეროვანი აქტივობა, თამაში თუ პროექტი შეიძლება განხორციელდეს. ზემოთ მოყვანილია მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. ეს თემა 2-3 კვირა გრძელდება, თუ ბავშვების ინტერესი ან სხვა საჭიროება არ მოითხოვს თემის შემოკლებას ან გახანგრძლივებას.

თემა „რა ხდება ექიმის კაბინეტში?" იძლევა მრავალი უნარის განვითარებისა და ცოდნის დაუფლების საშუალებას განვითარების შემდეგ ქვესფეროებში:

- ფიზიკური განვითარება;
- ჯანმრთელობა;
- უსაფრთხოება;
- მოტივაცია;
- სასწავლო და სააზროვნო უნარები;
- სოციალური უნარები;
- რაოდენობრივი წარმოდგენები;
- მეტყველება;
- კომუნიკაცია;
- წიგნიერება.

თემების ნიმუშები

მოცემული თემების ჩამონათვალი წარმოადგენს ნიმუშებს, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. შესაბამისად, ამ თემების გამოყენება ჯგუფში მუშაობისას სავალდებულო არ არის. ნიმუშების მიზანია უკეთესად წარმოვიდგინოთ, რა თემების შერჩევა შეუძლიათ აღმზრდელებს და რატომ არის ამა თუ იმ თემის განხორციელება მიზანშეწონილი. აღმზრდელი თავად არჩევს თემებს ჯგუფში ჩართული ბავშვების თავისებურებების, გარემოს, სასკოლო მზაობის ჯგუფის მახასიათებლებისა და პერიოდის გათვალისწინებით. შესაძლო თემებია:

- როგორ ავაშენოთ სახლი?
- დავდგათ შოუ და გადავიღოთ ფილმი.
- ნადირობა დინოზავრის ძვლებზე.
- ცირკის დროა!
- რაინდი და მეფის ასული ქორწინდებიან.
- ვინ გვიცავს და როგორ?
- კურდღელი ავად არის.
- რატომ წვიმს?
- რას და როგორ ჭამენ საქართველოში და მსოფლიოში?
- როგორ იზრდებიან ადამიანები და სხვა ცოცხალი არსებები?

თემა წარმატებითაა შერჩეული, თუ ჩართული აქტივობები, წესებიანი თამაშები, როლური თამაშები და პროექტები ავითარებს მრავალ უნარს და იძლევა ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას სხვადასხვა სფეროში. თემის დაგეგმვისას უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მიზანია ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

თავი 18. ბუნება და ფიზიკური სამყარო

აღმზრდელებს უამრავი საშუალება აქვთ იმისათვის, რომ დაეხმარონ ბავშვებს ბუნების მშვენიერებასა და საიდუმლოებებზე, სხეულებსა და ნივთიერებებზე დაკვირვებისა და სხვადასხვა სახის "აღმოჩენების" კეთების პროცესში. ასეთი საქმიანობების მაგალითებია: წელიწადის სხვადასხვა დროს ხეებზე, ფოთლებზე, მცენარეებზე ხშირი დაკვირვება და მათი შეხება; სხვადასხვა ზომის ჭიქებით, ძაბრებითა და მილებით თამაში წყლიან კონტეინერში; ბაღის გაშენება; მცირე და დიდი ზომის კუბურებით კონსტრუქციების აგება; ნიჟარების, ქვებისა და თესლის მარცვლების შეგროვება, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დახარისხება და სხვა. როდესაც აღმზრდელი ყურადღებით უძღვება ასეთ საქმიანობებს, ბავშვებს უვითარდებათ დაკვირვების უნარები, მდიდრდება მათი შთაბეჭდილებები. ისინი ხალისით სწავლობენ ახალ ლექსიკასა და მნიშვნელოვანი კითხვების დასმას, იწყებენ ბუნებისმეტყველების ძირითადი კანონზომიერებების გაგებას და შემეცნებას.

აღმზრდელები სწავლების პროცესში ხშირად სვამენ ისეთ კითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მაღალი დონის საარზროვნო უნარების განვითარებას (ბავშვებს შეუძლიათ არა მხოლოდ დაასახელონ სხეულები ან ნივთიერებები, არამედ შეადარონ, გამოყონ მათი თვალსაჩინო თვისებები, დააკავშირონ ეს თვისებები შესაბამის შეგრძნების ორგანოებთან და ა. შ.). აღმზრდელები ინტერაქტიული და უშუალო გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების გზით ხელს უწყობენ ბუნებაში მიმდინარე მოვლენებზე სწორი წარმოდგენების შექმნას. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა შეძლოს ცოცხალი არსებებისა და სხეულების განსხვავება არაცოცხალისგან და მათი ზოგადი დახარისხება. ბავშვების პასუხებით აღმზრდელები იგებენ, რა იციან მათ და როგორ ფიქრობენ ისინი. მაგალითად, თუკი ბავშვი იტყვის, რომ ცოცხალი სხეულები მოძრაობენ, ხოლო არაცოცხალი სხეულები -არა, აღმზრდელს შეუძლია მომდევნო კითხვა ისე დაუსვას, რომ არაცოცხალი სხეულის ნიმუში მისცეს დაკვირვებისთვის: „ნახე, ეს სათამაშო მანქანა მოძრაობს. როგორ ფიქრობ, ცოცხალია?" და სხვ.

რეალური ცოცხალი სამყაროსა და ბუნების მოვლენების კვლევა-ძიება და კითხვა-პასუხი მანამდე გრძელდება, სანამ ბავშვი უკეთ (ან სრულად და ნათლად) არ გაიგებს აღნიშნულ საკითხს; კერძოდ, იმას, რომ ცოცხალი არსებები იბადებიან, იზრდებიან, გადაადგილდებიან, სუნთქავენ, იკვებებიან და ა.შ.

ბუნება და გარემო იძლევა მდიდარ და მრავალფეროვან საშუალებას მიზეზშედეგობრივი კავშირის გაგებისთვის. ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ თამაშის დროს დააკვირდნენ მიზეზშედეგობრივ კავშირებს. მაგალითად, ლურჯი და წითელი საღებავების შეზავებას იისფერის მისაღებად და ა.შ. ასეთი გამოცდილების საშუალებით ბავშვებს შეუძლიათ მიზეზშედეგობრივი კავშირების განზოგადება (მაგ., წითლისა და ლურჯის შერევით იისფერი მიიღება) და ამის შესაბამისად ცოდნის ახალ კონტექსტში გამოყენება. მიზეზშედეგობრივ კავშირებზე ხელახალი დაკვირვების დროს პირობების ცვლილების გზით ბავშვმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ შედეგის შეცვლა შესაძლებელია მიზეზის ცვლილებით და რომ ხანდახან, როდესაც მოველით გარკვეულ შედეგს, ის შესაძლოა არ მივიღოთ - ჩვენ მიერ განხორციელებულ ცვლილებას შეიძლება საერთოდ არ მოჰყვეს შედეგი ან მოჰყვეს მოსალოდნელისგან განსხვავებული

შედეგი. მაგალითად, საღებავების შეზავებისას ბავშვი ცვლის წითლისა და ლურჯის პროპორციებს და იღებს სხვადასხვა ტონალობის იისფერს. შემდეგ წითელს ჩაანაცვლებს ყვითლით და იღებს მწვანეს. ამის შემდეგ, იმ იმედით, რომ ახალ ფერს მიიღებს, ის აზავებს იისფერს მწვანესთან, მაგრამ მოსალოდნელი ფერის სანაცვლოდ იღებს ყავისფერს. აღმზრდელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს მიმდინარე პროცესებზე შეკითხვებით: „რა მოხდა? როგორ მოხდა? რა დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ?" და ა. შ.

მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეწოდოთ ინფორმაცია ბუნებრივი მოვლენებისა და კატასტროფების შესახებ. ბავშვები თამაშით სწავლობენ მათზე რეაგირების გზებს. აღმზრდელები იყენებენ სხვადასხვა საშუალებას (ვიდეოფილმი, სურათები, ბუტაფორია, ნახატები და ა. შ.), რათა ბავშვებს გააცნონ სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი მოვლენები (ელვა, ხანძარი, ძლიერი ქარი, სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვ.) და გაუვარჯიშონ პატარებს ის ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც შეამცირებს მათი დაშავების რისკს სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფის დროს.

რესურსები

სასკოლო მზაობის ჯგუფში შეიძლება მოეწყოს ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს ცენტრი, სადაც განთავსებული იქნება ბუნებრივი რესურსები: -მცენარეები, ნიჟარები, კრისტალები, ქვები, ფრინველების ბუმბულები, ჩიტების ბუდეები, გამხმარი ყვავილები, ფოთლები, ტოტები, სხვადასხვანაირი ხის მერქანი, სხვადასხვა მცენარის თესლის მარცვლები და ა.შ.

ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს ცენტრში უნდა იყოს აგრეთვე სხვადასხვა სახის ხელსაწყოები და საგნები. მაგალითად, მაგნიტი, გამადიდებელი შუშა, ფერადი ლინზები, პრიზმა, პლასტმასის ქილები და კონტეინერები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ცარიელი ბოთლები დახარისხებისთვის, ბოთლის საცობები, ქაღალდები, მარკერები, ფანქრები და სხვა. აქ შეიძლება იყოს ასევე პატარა ზომის აკვარიუმი თევზებისთვის, პატარა გალია ჩიტებისთვის ან სხვა პატარა ცხოველისთვის. ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ ცხოველების მოვლაში. ცენტრისათვის მნიშვნელოვანი მასალაა აგრეთვე ილუსტრირებული წიგნები ბუნების შესახებ, ბარათები და პოსტერები სხვადასხვა სახის ადგილობრივი მცენარეების, ხეებისა და ცხოველების (შინაურისა და გარეულის) გამოსახულებებით. ცენტრისთვის საჭირო მასალის შეგროვების და შეცვლის პროცესი მთელი წელი გრძელდება და მასში აქტიურად არიან ჩართული აღმზრდელები, თანაშემწეები, ბავშვები, მშობლები და თემის სხვა წევრები.

საქმიანობები

აქტივობები

ამინდი: ამინდის ცვლილებაზე დაკვირვება

ამინდზე დაკვირვება ყოველდღიურ აქტივობას წარმოადგენს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამინდის კალენდარი. აღმზრდელი წინასწარ ეხმარება ბავშვებს ამინდის ნიშნების მომზადე-

ბაში. ეს ნიშნებია: მზიანი, ღრუბლიანი, ნაწილობრივ ღრუბლიანი, წვიმიანი, თოვლიანი. მაგალითად:



უმჯობესია, რომ ბავშვები წინასწარ შეთანხმდნენ სიმბოლოებთან დაკავშირებით და დამოუკიდებლად მოამზადონ ეს ნიშნები. ბავშვებს შეუძლიათ დახატონ სიმბოლოები პატარა ზომის ოთხკუთხედ ქაღალდზე, რომელიც შეიძლება მოგვიანებით კალენდარზე დამაგრდეს. სიმბოლოების მომზადება შეიძლება ყოველი თვის დასაწყისში, რათა ბარათები წინასწარ მოვიმარაგოთ კალენდრისათვის. სიმბოლოების მომზადების შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ მათი შენახვა მცირე კონტეინერში, რომელშიც ისინი დახარისხებული იქნება ამინდის ტიპის მიხედვით. ის ბავშვი, რომელიც მოცემულ დღეს პასუხისმგებელია „ამინდის პროგნოზზე“, კალენდარზე განათავსებს შესაბამის სიმბოლოს. როგორც აღინიშნა, ეს აქტივობა ყოველდღიურად ტარდება ბავშვების მონაცვლეობით. ყოველთვიური კალენდარი ყოველი თვის მეთერთმეტე დღეს ქვემოთ წარმოდგენილ სახეს მიიღებს:

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
	1 ~~ხვალ დღეს გუშინ~~	2 ~~ხვალ დღეს გუშინ~~	3 ~~ხვალ დღეს გუშინ~~	4 ~~ხვალ დღეს გუშინ~~	5 ~~ხვალ 2 დღის წინ~~	6 ~~2 დღის მერე გუშინ~~
7 ~~ხვალ დღეს გუშინ~~	8 ~~ხვალ დღეს~~ **გუშინ**	9 ~~ხვალ დღეს~~ **გუშინ**	10 ~~ხვალ~~ **დღეს გუშინ**	11 ~~ხვალ~~ **დღეს**	12 **ხვალ**	13 **2 დღეში**
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ყოველი კვირის ბოლოს ამინდის მონაცემები გადადის კვირის შემდგომ გრაფაში და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ მთელი თვის ყოველი დღე არ შეივსება. ბავშვები ითვლიან მზიანი, ღრუბლიანი, ნაწილობრივ ღრუბლიანი, წვიმიანი და თოვლიანი დღეების რაოდენობას თვის განმავლობაში; განსაზღვრავენ, ყველაზე ხშირად როგორი ამინდი იყო მოცემულ თვეში, როგორი - ყველაზე იშვიათად. ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე თვის შედეგები შედარდება წინა თვის შედეგებთან: „იყო თუ არა ამ თვეში ყველაზე ხშირად ის ამინდი, რომელიც წინა თვისთვის იყო დამახასიათებელი?“, „წვიმიანი ამინდი ამ თვეში უფრო მეტჯერ იყო თუ წინა თვეში?“, „წინა თვესთან შედარებით, რამდენით მეტი წვიმიანი დღე იყო ამ თვეში?“

თესლის დათესვა, ყვავილების გაზრდა

ბავშვებს ურიგდებათ სწრაფად მზარდი მცენარეების თესლები, რომლებსაც ისინი რგავენ გამჭვირვალე პლასტმასის ჭიქებში. ჭიქაში თავდაპირველად მოვათავსებთ მიწას, მასში გავაკეთებთ ღრმულს და შიგნით ჩავდებთ თესლს. სასურველია, რომ ბავშვი დააკვირდეს თესლის გაღვივებას, ზრდასა და განვითარებას.

ჭიქებს უნდა დავაწეროთ ბავშვების სახელები და დავდგათ ფანჯარასთან. აღმზრდელები ასწავლიან და უხსნიან ბავშვებს, თუ რა სჭირდებათ მცენარეებს გაზრდისათვის და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის: „პირველად თესლიდან მცენარის რომელი ნაწილი გაიზარდა?“, „რა ნაწილებისაგან შედგება მცენარე?” და სხვ. აღმზრდელი ბავშვებს აძლევს სხვადასხვა სახის მცენარეებს ან მის ნაწილებს და სთხოვს დააკვირდნენ და ერთმანეთს შეადარონ ისინი (მაგ., ფოთლები ფორმის მიხედვით, ღეროები - სისქის, სიმაღლისა და სიმაგრის მიხედვით და ა. შ.).

ეს აქტივობა შეიძლება გაფართოვდეს და გადაკეთდეს მცირე ან სრულყოფილ პროექტად. მაგალითად, თითოეულმა ბავშვმა შეიძლება მოუაროს საკუთარ მცენარეს და დააფიქსიროს მისი ზრდა და განვითარება, ასევე ერთმანეთს შეადაროს მცენარეები სიმაღლის მიხედვით. სხვადასხვა სახის მცენარეები შეიძლება დაითესოს ერთდროულად იმისათვის, რომ ბავშვი დააკვირდეს, რომელი მცენარე იზრდება უფრო სწრაფად. ბავშვებს შეუძლიათ ერთი და იმავე მცენარის თესლი ერთდროულად დათესონ, მაგრამ ერთ მათგანს ორჯერ მეტი წყალი დაუსხან, ვიდრე მეორეს და ერთმანეთს შეადარონ მათი ზრდის ტემპი.

შესაძლებელია აგრეთვე ბაღის გაშენება ან სხვადასხვა სახის ბოსტნეულის დათესვა ყველა ბავშვის მონაწილეობით. ეს საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ზემოთ აღწერილი აქტივობების მსგავსი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს სხვა საინტერესო აქტივობებში, როგორებიცაა, მაგ., საუბრები კვებაზე, ბავშვებთან ერთად საკვების მომზადება და სხვა ისეთი საქმიანობები, რომლებიც აფართოებს ცოდნას (როგორ ცვლის ხარშვა ზოგიერთ საკვებს, როგორ იცვლება საკვების გემო სხვადასხვა ინგრედიენტის შერევით), ავითარებს ნატიფ მო-

ტორულ უნარებს (დაჭრა), მოცულობის აღქმას (რამდენი ჩაეტია ამ ქვაბში და რამდენი დარჩა ხარშვის დასრულების შემდეგ) და სტიმულს აძლევს მსჯელობას -საკვების გემოსა და ფაქტურაზე.

წესებიანი თამაშები

„არ თქვა სიტყვა ბუნება“

მცირე ჯგუფი იყოფა ორ გუნდად. აღმზრდელი უჩვენებს ბუნების ამსახველ სურათს ან რაიმე სხეულს ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენელს, რომელმაც თავის გუნდს უსიტყვოდ და ჟესტებით უნდა აუხსნას ის, რაც აღმზრდელმა მას აჩვენა. ეს თამაში წამმზომის/ქვიშის საათის გამოყენებით მიმდინარეობს. თუ ბავშვს წამოსცდება სიტყვა ან მისი გუნდის წევრები ვერ გამოიცნობენ სიტყვას წუთ-ნახევრის განმავლობაში, მაშინ დგება მეორე გუნდის ჯერი. მეორე გუნდის წევრმა აღმზრდელის მიერ ნაჩვენები ახალი სურათი უნდა აუხსნან თანაგუნდელებს. თამაშის წესები იგივეა. ის გუნდი, რომელიც სწრაფად გამოიცნობს სურათს, იღებს 1 ქულას, თუ ვერცერთი გუნდი ვერ გამოიცნობს, მაშინ თამაშის ახალი რაუნდი იწყება. მოგებულია ის გუნდი, რომელიც პირველი მოაგროვებს 4 ქულას.

გამოსაცნობ სურათზე შეიძლება გამოსახული იყოს, მაგალითად, ჩიტი, ჩიტის ბუდე, ხე, ჟირაფი, სპილო, მაიმუნი, მდინარე, მთა, ჩანჩქერი, ფოთოლი, ქვა, ყვავილი, ვაშლი (ან სხვა ხილი), რკო (ან სხვა მცენარის თესლი), სტაფილო, თხილი, სხვ.

ლომები და ვეფხვები

ეს თამაში ბავშვებმა შეიძლება ითამაშონ გარეთ, ასევე დიდ სპორტულ ან მუსიკალურ დარბაზში. ბავშვები იყოფიან ორ ტოლ ჯგუფად. ერთ ჯგუფში არიან „ვეფხვები“, მეორეში - „ლომები“. ჯგუფები დგებიან ერთ ხაზზე, ერთმანეთის პირისპირ, დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით.

თამაშის დაწყებამდე აღმზრდელი ყვება ისტორიას ლომებისა და ვეფხვების შესახებ. ამ ტიპის ინფორმაციის ამოკითხვა შესაძლებელია, მაგალითად, საბავშვო ენციკლოპედიაში.

ამბავი შეიძლება მოიცავდეს ფაქტობრივ ინფორმაციას ლომებისა და ვეფხვების შესახებ, ასევე ინტერესის აღმძვრელ შეკითხვებს.

დასაწყისში აღმზრდელს შეუძლია ბავშვებს დაუსვას შემდეგი კითხვები: „გინახავთ თუ არა ზოოპარკში ლომი? როგორია ის? რა იცით ლომის შესახებ? ვეფხვი თუ გინახავთ? რითი ჰგვანან ან განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?“, სხვ. თუ ბავშვები ვერ უპასუხებენ კითხვებს, აღმზრდელს შეუძლია აჩვენოს მათ ამ ცხოველების განმასხვავებელი ნიშნები და მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად: „მამა ლომებს, რომლებსაც ხვადი ლომები ეწოდებათ, აქვთ ფაფარი თავისა და კისრის გარშემო; ვეფხვებს ფაფარი არ აქვთ, მაგრამ აქვთ შავი ზოლე-

ბი სტაფილოსფერ ბეწვზე. თურმე ზოლები ვეფხვებს დაბურულ ტყეში დამალვაში ეხმარება. ხვადი ლომი შესაძლოა ძალზე შიშისმომგვრელად გამოიყურებოდეს. ამის მიუხედავად, საჭმლის მოსანადირებლად დედა ლომები - ძუ ლომები დადიან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მათ პატარა ლომები ჰყავთ გამოსაკვები. ამ პატარა ლომებს ჩვენ ბოკვრებს ვუწოდებთ“.

ამის შემდეგ აღმზრდელი შეიძლება ბავშვებს გაესაუბროს ლომებისა და ვეფხვების საცხოვრებელ გარემოზე. მაგალითად: „აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში არის ვრცელი სივრცეები, რომლებსაც სავანა ეწოდება. ამ ტერიტორიებზე სხვადასხვა სახის დიდი ცხოველები ცხოვრობენ, მათ შორის არიან სპილოებიც. აქ ასევე ცხოვრობენ ცხოველები, რომლებიც დიდ კატებს ჰგვანან (ჩვენ მათ ასეც ვეძახით)... და მათი მეფეები არიან ლომები. ლომები თურმე მხოლოდ აფრიკაში ცხოვრობენ (ამ დროს აღმზრდელს შეუძლია ბავშვებს უჩვენოს აფრიკა გლობუსზე), ვეფხვები კი თურმე მათგან შორს, აზიაში, ცხოვრობენ (ამჯერად აზიას უჩვენებს გლობუსზე), ასე რომ მათი ერთად თამაში მხოლოდ ჩვენს ჯგუფში ყოფილა შესაძლებელი”.

ამის შემდეგ აღმზრდელი აცნობს ბავშვებს მოძრავი თამაშის წესებს. როდესაც აღმზრდელი იტყვის სიტყვას „ვეფხვი“ ან „ვეფხვები“, ბავშები „ვეფხვების” გუნდიდან გარბიან უკან, კედლისკენ ან ხაზიდან დაახლოებით 10 მეტრით უკან. „ლომები” ცდილობენ დაიჭირონ „ვეფხვები” იქამდე, სანამ ისინი მივლენ კედელთან ან მიუახლოვდებიან ხაზს. თუ ”ლომი” დაიჭერს „ვეფხვს”, მაშინ იგი იქცევა „ლომად” და ხდება „ლომების” გუნდის წევრი. იგივე, ოღონდ ქმედებების ჩანაცვლებით, ხდება მაშინ, როდესაც აღმზრდელი დაიძახებს „ლომი“ ან „ლომები“. ამ დროს „ვეფხვები” ცდილობენ „ლომების” დაჭერას, სანამ ისინი მიუახლოვდებიან კედელს ან მათთვის განკუთვნილ ხაზს. იმ შემთხვევაში თუ მათ „ვეფხვების” გუნდის წევრი დაიჭერს, მაშინ „ლომი” გადაიქცევა „ვეფხვად”. თამაშის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთის შემდეგ ის გუნდია გამარჯვებული, რომელშიც მეტი მოთამაშე იქნება ან თუ ერთი გუნდის წევრები მთლიანად დაიჭერენ მეორე გუნდის წევრებს.

რასაკვირველია, ეს თამაში ბევრჯერ შეიძლება ვითამაშოთ. თამაშისას შეგვიძლია შევცვალოთ ცხოველების სახელები, რომელთაც დავარქმევთ ორ გუნდს და ამბავიც გადავაკეთოთ. ცხოველების სახელების გამოყენება აუცილებელი არ არის. შეგვიძლია გუნდებს დავარქვათ ხეების სახელები, ან: „მზე” და „მთვარე”, ან: „სიცხე” და „სიცივე”.

როლური თამაშები

- „ვეტერინარი და ცხოველების საავადმყოფო” - ამ თამაშის დროს შეიძლება გვყავდეს 2 ან 3 „ვეტერინარი” (ეს დამოკიდებულია იმაზე, სულ რამდენი ,,ცხოველი'' ან ,,ფრინველი'' გვეყოლება) და რამდენიმე ბავშვი, რომლებიც გაითამაშებენ მათთვის საყვარელი ცხოველის ან ფრინველის როლებს. „ცხოველებს“ ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ და „ვეტერინართან” მიდიან სამკურნალოდ. მოგვიანებით ბავშვებმა შეიძლება გაითამაშონ გარეული ცხოველებისა და ფრინველების როლები. თამაში შეიძლება განმეორდეს რამდენიმეჯერ, რათა ყველას მოუწიოს ვეტერინარის როლის შესრულება;
- ცხოველების გადარჩენა;

- ზოოპარკი და ზოოპარკის მომვლელები;
- ბუნების ფოტოგრაფი;
- მოგზაურობა კარვებით;
- ველოსიპედის შეკეთების ცენტრი;
- მშენებლები (მარტივი დანადგარების, მაგ., მაზიდის, ბორბლის, საქაჩის, სხვ. გამოყენებით);
- ასტრონავტი და მოგზაურობა კოსმოსში;
- მფრინავი/თვითმფრინავის პილოტი და აეროპორტი.

პროექტები

გადავარჩინოთ ჩვენი ხეები

პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის აღმზრდელებს უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ბაღის ტერიტორიის ირგვლივ არსებულ ხეებთან დაკავშირებით. აღზრდელს შეუძლია ბავშვებს შესთავაზოს შემდეგი წარმოსახვითი სიტუაცია: მუნიციპალურმა სამსახურმა გადაწყვიტა ბაღის გარშემო არსებული ხეების მოჭრა მანქანების სადგომის მოსაწყობად. რატომ? ისინი ამბობენ, რომ ხეები აბინძურებენ გარემოს, როდესაც ფოთლები სცვივათ.

თანაშემწეს, დირექტორს ან მშობელს შეუძლიათ ითამაშოს მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლის როლი. „წარმომადგენელმა“ უნდა დაიხუროს ქუდი, ჩაიცვას პიჯაკი, შეიცვალოს საუბრის სტილი და ხმის ტემბრი. აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს იმის გაგებაში, რომ ხეები არ არის უსარგებლო, პირიქით, ისინი ძალიან ღირებულია. აღმზრდელი უძღვება ხეებისა და მცენარეების კვლევის პროცესს, რომელიც დასრულდება სპეციალური საგამოფენო დაფის მომზადებით და წიგნის შექმნით. წიგნში ასახული იქნება ხეების მრავალფეროვნება, მათი საჭიროებები და სასარგებლო თვისებები. ხეები ფასეულია მრავალი თვისების გამო: ისინი თავისთავად კარგი და აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის, თვალისთვის მიმზიდველია, სასიამოვნო სურნელი აქვს და ძალიან ახარებს ბავშვებს. გარდა ამისა, ხეები ეხმარება პატარებს გართობაში (ხეზე ცოცვა და მის უკან დამალვა), ზაფხულში იძლევა ჩრდილს, რაც სიგრილეში ამყოფებს ადამიანებს. როლური თამაშის ბოლოს ბავშვებმა უნდა დაარწმუნონ მუნიციპალური სამსახურის „წარმომადგენლები”, რომ შეიცვალონ მოსაზრება და არ მოჭრან ხეები ან სხვა მცენარეები. როლური თამაში სრულდება გამარჯვების აღნიშვნით.

წყლის ძალა

ეს პროექტი ფოკუსირებულია წყლის ძალაზე, რომელიც სხვადასხვა სახის ზეგავლენას (როგორც დადებითს, ისე უარყოფითს) ახდენს გარემოსა და ადამიანზე.

ადამიანებს შეუძლიათ წყლის ძალა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ამისთვის ისინი აგუბებენ მდინარის წყალს, რომელსაც შემდეგ მიმართავენ ბორბალზე. ბორბალი ტრიალებს, მისი დახმარებით ტრიალს იწყებს წიქვილის ქვა და ფქვავს სიმინდის მარცვლებს.

წყლის გამოყენება ჩვენ შეგვიძლია დასაბანად, ჭურჭლისა და ტანსაცმლის გასარეცხად, სხვ. აქ შეგვიძლია ბავშვებს ვკითხოთ: "როდის გვჭირდება წყლის უფრო ძლიერი ნაკადი - ბორბლის დატრიალებისას თუ ჭურჭლის რეცხვისას?".

წყლის ძალა ბუნებაშიც იგრძნობა, ამაზე მიგვანიშნებს, მაგალითად, ჩანჩქერი, მდინარის მიერ გაჭრილი ულამაზესი ხეობები და ადიდებული მდინარით დატბორილი ადგილები. ზღვაზე არსებობს ტალღები, რომლებსაც ადამიანები სერფინგისთვის იყენებენ (ლამაზია და სახალისო), მაგრამ არსებობს ასევე ცუნამი, რომლის დროსაც ტალღები ძალიან მაღალია (საშიშია და სახიფათო).

წყლის ძალის დემონსტრირება და თამაში ბავშვებთან შეიძლება დიდი, განიერი ავზის ან ბავშვის პატარა აუზის, ადამიანებისა და სახლების პატარა ფიგურების გამოყენებით. ბავშვებმა შეიძლება ვიდეოები გადაიღონ იმისათვის, რომ მოდელი რეალურ სამყაროს მიამსგავსონ. პროექტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს ფოტოგამოფენა და ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ვიდეომასალის ნახვა. გამოფენილია ერთი ან ორი თვალსაჩინოება, რომლებიც პროექტის მიმდინარეობისას მომზადდა (მაგ., წყლის ბორბალი, დამბა ან წყლითა და ქვიშით მომზადებული კალაპოტი). სტუმრებს უმასპინძლდებიან ლამაზ ჭიქებში ჩასხმული წყლით და უკრავენ გ. ჰენდელის „წყლის მუსიკის" ჩანაწერს.

თემის ნიმუშები

- სიჩქარე: რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რაღაც ნივთი ან საგანი უფრო სწრაფად და შორს წავიდეს?
- უფრო ძლიერი: როგორ უნდა ავწიოთ და გადავაადგილოთ ძალიან მძიმე ნივთები?
- ძალა: როგორ მივიღოთ ენერგია მზიდან, ქარიდან და წყლიდან?
- გადამუშავება: როგორ გავალამაზოთ და გავაჯანსაღოთ გარემო?
- ფრენა: როგორ დაფრინავენ ძალიან მძიმე ნივთები?
- წყლის საოცარი თვისებები
- ბუნების საჩუქრები: თიხიდან ბრილიანტამდე.

ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება - ბავშვები აკვირდებიან შინაურ ცხოველებს და თხზავენ მათზე ამბებს; ისინი ხატავენ და ქმნიან წიგნს ღრუბლებისა და ამინდის შესახებ. ბავშვები ასევე ეცნობიან წიგნებს და სხვა დოკუმენტურ მასალებს ცხოველების, მცენარეების, ამინდისა და ბუნების შესახებ.

რაოდენობრივი წარმოდგენები – ბავშვები ითვლიან ცხოველების, ფრინველებისა და სხვა სხეულების რაოდენობას; შეუძლიათ დაითვალონ, რამდენი წიწილა ჰყავს ქათამს ან რამდენი ჭუკი ჰყავს იხვს, შეადარონ მათი რაოდენობები; დააჯგუფონ ცოცხალი სხეულები ცხოველებად და მცენარეებად, შეადარონ რაოდენობები ან დაასახელონ მათი თვისებები.

თავი 19. სოციალური და კულტურული სამყარო

ეს თემატური მიმართულება ხელს უწყობს ბავშვის იდენტობისა და თვითშეფასების, ემოციებისა და ქცევის მართვის, თანატოლებთან, უფროსებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის განვითარებას. თემატური მიმართულება ხელს უწყობს ასევე განსხვავებულის პატივისცემისა და დაფასების უნარის განვითარებას. შესაბამის კულტურულ გარემოში აღმზრდელები ბავშვებს ეხმარებიან შეისწავლონ და პატივი სცენ ოჯახურ ტრადიციებს, სამოქალაქო საზოგადოების ძირითად „წესებს“ და ქვეყნის კულტურულ გამოცდილებას. ამ პროცესში ისინი სწავლობენ სხვა ოჯახების, კულტურებისა თუ ქვეყნების ტრადიციებსა და გამოცდილებას, ადარებენ მათ საკუთარ გამოცდილებას.

აქტივობები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების განვითარებას შემდეგი მიმართულებებით:

- **ბავშვის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება -** იმის გასარკვევად, თუ რა მოსწონთ, რა უჭირთ და რა აინტერესებთ ბავშვებს, აღმზრდელი აკვირდება ბავშვების თამაშს, მათ დამოკიდებულებას გამოწვევების მიმართ, აქტივობებს, რომელშიც ბავშვები არიან ჩართული, ასევე პატარების ურთიერთობას ერთმანეთთან.

- **სხვების მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერება და გულისხმიერება -** აღმზრდელი იყენებს სხვადასხვა ბუნებრივად წარმოქმნილ სიტუაციას თამაშის, ვარჯიშის, რუტინული აქტივობების დროს. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პატარებს შორის უთანხმოება/კონფლიქტი წარმოიშობა. აღმზრდელის სტრატეგიები ეხმარება ბავშვებს გაიგონ, თუ რას გრძნობენ სხვა ბავშვები და მოძებნონ გამოსავალი, რითაც ერთმანეთის გრძნობებისა თუ მოსაზრებების პატივისცემასაც სწავლობენ. აღმზრდელები რეაგირებენ ნებისმიერი სახის უთანხმოებაზე, იქნება ეს გარეგნული, ასაკობრივი, გენდერული, შესაძლებლობებითა თუ სხვა მახასიათებლებით გამოწვეული; ასწავლიან ბავშვებს, პატივი სცენ ყველას და დააფასონ განსხვავებები.

- **ემოციების ამოცნობა და მართვა** - აღმზრდელი ბავშვებს აძლევს საშუალებას, ითამაშონ ბარათებით, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ტიპის ემოციები. ამ თვალსაჩინოებების გამოყენებით ბავშვებს შეუძლიათ ამოიცნონ ემოციები, შეადარონ და შეუსაბამონ ისინი სიტუაციებს, გამოხატონ გრძნობები პანტომიმით, „გაამხიარულონ“ მოწყენილი სათამაშო, უთხრან მას თბილი სიტყვები, დაუხატონ მხიარული ნახატები და ა. შ. აღზმრდელი ბავშვებს გაესაუბრება იმაზე, თუ რას შეიძლება გრძნობდეს მათი ჯგუფელი, რომელიც ავად არის ან საავადმყოფოშია და შესთავაზოს ბავშვებს (წახალისების ფორმით), რომ ნახატები დაუხატონ მას.

- **უთანხმოების გადაჭრა მოლაპარაკებების გზით** - აღმზრდელს შეუძლია ბავშვებს უამბოს ამბავი ორი მეგობრის შესახებ, რომლებიც ბურთის გამო წაკამათდნენ. იგი დაეხმარება ბავშვებს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში, შესთავაზებს მათ სი-

ტუაციის მოგვარებისა და ერთი ბურთით თამაშის სხვადასხვა საშუალებას, კერძოდ, შესთავაზებს თამაშს „ტკბილი პრობლემა“ - ბავშვები აიღებენ ერთ „ორცხობილას“ და თამაშის წესების შესაბამისად, მანამდე არ ახლებენ მას ხელს, სანამ არ მორიგდებიან. აღმზრდელი უნდა დაეხმაროს ბავშვების ერთ ჯგუფს „მშვიდობის“ ნიშნის დიდ ქაღალდზე დახატვაში (☮). თამაშის დროს თითოეული ბავშვი უნდა დაელოდოს თავის ჯერს, ჩაეტიოს მისთვის გამოყოფილ დროში და დაემორჩილოს წესებს (აღმზრდელი უნდა დაეხმაროს ბავშვებს ქვიშის საათის გამოყენებით).

- **საკუთარი კულტურის სხვებისთვის გაზიარება** - ნახატების შექმნა საოჯახო დღესასწაულებთან დაკავშირებით, კულტურაში გავრცელებული სიმღერების შესრულება, როლური თამაში ტრადიციული სამოსის გამოყენებით, ოჯახის ტრადიციული სადღესასწაულო კერძის მოტანა.

- **სხვა კულტურების გაცნობა** - პროექტი „რას ჭამენ ადამიანები და რატომ?“ (იხ. გვ. 105) იძლევა მაგალითს, თუ როგორ შეგვიძლია გავაცნოთ ხუთი წლის ბავშვებს სხვა კულტურები ისე, რომ ეს პროცესი კონკრეტული, შინაარსიანი და სახალისო იყოს მათთვის.

რესურსები

თვალსაჩინოებები და წიგნები: ფოტოები, პლაკატები, მისალოცი ბარათები, წიგნები, რომლებიც ასახავს საქართველოს ღირსშესანიშნაობებს, ბუნებას, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ტრადიციულ სამოსში ჩაცმულ ადამიანებს, ტიპურ საქმიანობაში ჩართულ ადამიანებს, ასევე ქართველი მხატვრების ნახატებს (წიგნიერების ცენტრში ან სხვა სივრცეში კედელზე გამოსაფენად); წიგნები და ფოტოები სხვა ქვეყნის ბავშვების (და ზრდასრულების) შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთი წიგნები, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე: რას ჭამენ და რა აცვიათ, როგორ სახლებში ცხოვრობენ და რას თამაშობენ; რეცეპტების წიგნები ან ბარათები, რომლებზედაც სხვადასხვა საკვებია გამოსახული; სასკოლო მზაობის ჯგუფში და ოჯახში გადაღებული ბავშვების ფოტოები (კედელზე გამოსაფენად);

მუსიკალური ინსტრუმენტები: ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვადასხვა ტიპის ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები (საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი);

ტრადიციული ტანსაცმელი (საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი);

საოჯახო ნივთები: საქართველოში მცხოვრებ ოჯახებში არსებული ყოველდღიური საოჯახო ნივთები როლური თამაშებისთვის (საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი).

საქმიანობები

მომდევნო ნაწილში მოცემულია თემატურ მიმართულებასთან დაკავშირებული ორი თემის ნიმუში. თითოეული თემის ფარგლებში მოყვანილია პროექტების, აქტივობების, წესებიანი

თამაშებისა და როლური თამაშების მაგალითები. ისინი წარმოდგენილია თანამიმდევრულობის დაცვით, რადგანაც ყოველი მომდევნო საქმიანობა წინამავალ საქმიანობას ეფუძნება.

თემა: რით ვგავართ ჯგუფელები ერთმანეთს და რით განვსხვავდებით ერთმანეთისგან?

აქტივობები

გერბი

ინდივიდუალური და ჯგუფური გერბის შექმნის გზით ბავშვები გამოხატავენ საკუთარ ინდივიდუალობას და მსგავსებებს. აღმზრდელმა შეიძლება ბავშვებს აჩვენოს სხვადასხვა ადამიანის ფოტოები, მათ შორის, რაინდების გამოსახულებები (რაინდებს თავზე ახურავთ მუზარადი, სახე დაფარული აქვთ). შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს ეკითხება: „როგორი შეიძლება იყოს ეს ადამიანი?'' იგი უსმენს ბავშვების მოსაზრებებს, შემდეგ აჩვენებს მათ რაინდის გერბს და უხსნის, რომ მუზარადიანი რაინდების ცნობა და მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღება თურმე მათი გერბით იყო შესაძლებელი. ვიზუალური მასალის სახით აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს ილუსტრაციები წიგნიდან ,,ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი''.

ჩემი გერბი

რაინდის გერბის წარდგენის შემდეგ აღმზრდელი მაგიდაზე ათავსებს გერბების ნიმუშებს და აძლევს ბავშვებს საშუალებას, თავად აირჩიონ სასურველი ფორმის გერბი. ნიმუშები დაყოფილია 2 ნაწილად. აღმზრდელი უხსნის ბავშვებს, რომ ერთ მხარეს უნდა დახატონ საყვარელი საჭმელი, მეორე მხარეს კი -საყვარელი მულტფილმის გმირი (შესაძლოა პატარებს მივცეთ საყვარელი საქმიანობისა ან სათამაშოს დახატვის საშუალებაც). აღმზრდელი ბავშვებს ეხმარება გერბის თავზე სახელის დაწერასა და ნახატების დასათაურებაში.

წესებიანი თამაშები

რა გვაქვს ჩვენ საერთო?

აღმზრდელი ეუბნება ბავშვებს, რომ როგორც მათ უკვე იციან, რაინდებს ჰქონდათ გერბები. მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი რაინდის გერბი გადაიქცა მათი გვარის, სამეფოს ან ქვეყნის გერბად. აღმზრდელმა შეიძლება ბავშვებს აჩვენოს სახელმწიფო გერბების გამოსახულებები სხვადასხვა წიგნში.

ბავშვებს ხელში უჭირავთ მათ მიერ შექმნილი გერბები (ისე, რომ ყველა ხედავდეს გერბების გამოსახულებებს) და ეძებენ სხვა ბავშვებს, რომლებსაც იგივე ელემენტები აქვთ გამოსახული თავიანთ გერბებზე. ამოცნობილი საერთო ელემენტების მიხედვით ბავშვები ქმნიან ჯგუფებს. ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან ბავშვები, რომელთა გერბების ორივე შემადგენელი ელემენტი

დაემთხვევა ერთმანეთს; მეორე ჯგუფში - ბავშვები, რომელთა გერბებს მხოლოდ ერთი ელემენტი ექნებათ საერთო, მესამე ჯგუფში კი - ბავშვები, რომელთა ნახატებს არცერთი საერთო ელემენტი არ ექნებათ. შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს, რომელია მათი ჯგუფის საყვარელი ცხოველი. მათ მოეთხოვებათ დაფიქრდნენ, გააანალიზონ სხვადასხვა ცხოველი, იმსჯელონ, შეთანხმდნენ და თუ საჭირო იქნება კენჭი ყარონ. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ხატავს ცხოველს ახალ ფურცელზე. შემდეგ ეს ჯგუფი ეძებს სხვა ჯგუფს, რომელსაც იგივე ცხოველი ჰყავს არჩეული. ორივე ჯგუფი გაერთიანდება უფრო დიდ ჯგუფში. პროცესი მეორდება სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს: ჯგუფის საყვარელი სასმელი, საყვარელი სიმღერა, საყვარელი სპორტი და აშ. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ არ ჩამოყალიბდება ერთი დიდი ჯგუფი, რომელშიც ყველა გაერთიანდება. ეს ჯგუფი შეიძლება შემდეგ დაიშალოს იმავე კრიტერიუმებით, რომლებითაც ბავშვები გაერთიანდნენ. მაგალითად, თუ ჯგუფის ბოლო გამაერთიანებელი კრიტერიუმის წინა კრიტერიუმი იყო საყვარელი სიმღერა, აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, დაჯგუფდნენ ისევ საყვარელი სიმღერის მიხედვით. ამის შემდეგ აღმზრდელი თანდათანობით ყოფს ბავშვებს სულ უფრო მცირე ჯგუფებად ადრე გამოყენებული კრიტერიუმების მიხედვით (მათ აღმზრდელი ასახელებს შეცვლილი თანამიმდევრულობით, უკუღმა რიგით) მანამდე, სანამ ბავშვები საკუთარ გერბებს არ დაუბრუნდებიან.

როლური თამაში

სატელევიზიო ინტერვიუ

აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს, უნახავთ თუ არა, რას აკეთებენ ტელევიზიის წამყვანები და ჟურნალისტები. აღმზრდელი ისმენს ბავშვების მოსაზრებებს; მან შეიძლება ბავშვებს აჩვენოს ნაწყვეტიც სატელევიზიო პროგრამიდან, რომელშიც წამყვანი ინტერვიუს ართმევს სხვას. შემდეგ აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს ინტერვიუ ჩამოართვან ერთმანეთს იმ მიზნით, რომ გაიგონ თავიანთი ჯგუფელების საყვარელი საკვები, მულტფილმი, ცხოველი და ასე შემდეგ. ამისათვის აღმზრდელმა შეიძლება გააკეთოს მუყაოს „ტელევიზორი". „ტელევიზორში" დადგება „ჟურნალისტი" მიკროფონით, „რესპონდენტი" კი გასცემს პასუხებს დასმულ შეკითხვებზე. თამაშში მონაწილეობას იღებს ასევე აღმზრდელიც, რომელმაც შეიძლება პირველი შეკითხვა დაუსვას ბავშვს. თითოეულ ბავშვს მოეთხოვება აჩვენონ ბავშვებს საკუთარი გერბი, ჟურნალისტიც მათ შეკითხვებს უსვამს გერბის შესახებ. პროცესის უკეთ წარსამართავად აღმზრდელი ადგენს წესებს, ზღუდავს შეკითხვების რაოდენობას და ადგენს დროის ფარგლებს, რათა ყველა ბავშვს მიეცეს როგორც შეკითხვების დასმის, ისე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

პროექტი

ჩვენი გერბი

აღმზრდელი ყოფს ბავშვებს 2 ან 3 ბავშვისგან შემდგარ მცირე ჯგუფებად. ჯგუფების დაყოფისთვის შეიძლება ფერადი ქაღალდების გამოყენება. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა მთელი ჯგუ-

ფის სამ გუნდად დაყოფა, უნდა ავიღოთ სამი სხვადასხვა ფერის ქაღალდი და დავყოთ ისინი თანაბარ ნაწილებად. ქაღალდის ნაწილები უნდა მოთავსდეს პატარა ყუთში და ბავშვებმა რიგ-რიგობით უნდა ამოიღონ ეს ნაწილები ყუთიდან. ერთი ფერის ქაღალდის მქონე ბავშვები ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან. თითოეული ჯგუფი შექმნის საკუთარ გერბს.

ბავშვებმა უკვე მიიღეს ერთად მუშაობისა და ჯგუფისათვის „საყვარელ საკითხზე“ შეთანხმების გამოცდილება. ახლა უკვე თითოეული ჯგუფი ქმნის საკუთარ გერბს შედარებით უფრო რთული კრიტერიუმების საფუძველზე. მაგალითად, „რას შევიძენდით, ბევრი ფული რომ გვქონდეს?“, „რას ვაჩუქებდით ჩვენს მშობლებს?“, „ნებისმიერ ადგილას რომ შეგვეძლოს წასვლა, სად წავიდოდით?“, „ხვალ რომ გავიღვიძოთ და უკვე დიდები ვიყოთ, რას გავაკეთებდით პირველ რიგში?“, „როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს მოწყენილ მეგობარს?“ და სხვ.

შესაძლოა ჯგუფებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შექმნან საკუთარი ნამუშევრები აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და სასკოლო მზაობის ჯგუფში მოეწყოს შემაჯამებელი გამოფენა.

თემა: რით ვგავართ ქართველები ერთმანეთს და რით განვსხვავდებით სხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხებისგან?

გამოიყენეთ წიგნები სერიიდან „მსოფლიო კულინარია” (ჩინური, ქართული, ფრანგული, იტალიური სამზარეულო), თუკი გაქვთ ამის საშუალება. წიგნებში, ჟურნალებსა და ინტერნეტში მოიძიეთ ფოტოები და ვიდეოკლიპები, სადაც ასახულია, თუ რას ჭამენ და როგორ აცვიათ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ბავშვებს. ქვემოთ შემოთავაზებულ საქმიანობებში ბავშვები აქცენტს აკეთებენ მრავალფეროვან საკვებზე, რომლითაც იკვებებიან სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები. მსგავსი მიდგომის გამოყენებით შეიძლება დაიგეგმოს პროექტები, აქტივობები, წესებიანი და როლური თამაშები ადამიანების ჩაცმულობასთან დაკავშირებით. აღმზრდელმა შეიძლება საქმიანობები ორივე საკითხთან დაკავშირებით დაგეგმოს. იგივე შეიძლება გაკეთდეს სხვა კულტურულ პროდუქტებთან თუ აქტივობებთან დაკავშირებითაც (მაგალითად, „სახლები, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ“, „საბავშვო თამაშები“, „საბავშვო სიმღერები“ და ა.შ.).

პროექტი

წებოვანი ბრინჯი და გოგრის ნამცხვარი: რას ჭამენ ადამიანები და რატომ?

პროექტი მოიცავს საჭმლის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის აქტივობებს, რაც კარგად უნდა იყოს დოკუმენტირებული ფოტოებით, ვიდეოებით, ბავშვების ნათქვამებით (რომლებსაც აღმზრდელი ჩაიწერს), აღმზრდელის მოკლე ჩანაწერებითა და აღწერილობებით. პროექტი სრულდება საოჯახო წვეულებით. წვეულების დროს ოჯახის წევრები დაათვალიერებენ დიდ გამოფენას, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება მათი შვილების მიერ საკვების მომზადების ამსახველი ფოტოები, ბავშვების გამონათქვამები, მათი რეაქციები იმაზე, რაც ისწავლეს. აქვე გამოიფინება სხვადასხვა ქვეყნის საკვების ნიმუშები, რომლებიც ბავშვებმა

მოამზადეს. ოჯახის წევრებს მოსვლისას გადაეცემათ ბავშვების მიერ მომზადებული „მენიუ“. ბავშვები აწარმოებენ გამოკითხვას საკვების რეიტინგებზე: „რომელი იყო ყველაზე ტკბილი? ყველაზე ბევრი ბოსტნეულით/ხილით? რომელს შეჭამდით კიდევ ერთხელ მომავალ კვირას?“. გამოკითხვის შედეგებს ბავშვები ასახავენ წინასწარ მომზადებულ, ვიზუალურად მიმზიდველ ცხრილზე. თითოეულ ოჯახს გადაეცემა ბავშვის მიერ მომზადებული რეცეპტების წიგნი და მადლობის წერილი იმის აღნიშვნით, თუ რამდენად კარგ საკვებს ამზადებენ ისინი ყოველდღიურად. წერილში აგრეთვე იქნება თხოვნა იმის თაობაზე, რომ ოჯახის წევრებმა მოამზადონ ბავშვის საყვარელი საკვები რეცეპტების წიგნიდან.

აქტივობა

ნაწილი 1: რას ჭამენ ქართველები?

აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ, მოყვნენ და დახატონ, თუ რა ჭამეს წინა საღამოს ვახშამზე და ეკითხება ბავშვებს, უნახავთ თუ არა, რისგან და როგორ მზადდება მათი საყვარელი საჭმელი, ვინ ამზადებს მას და ა.შ.

ნაწილი 2: რას ჭამენ სხვები?

აღმზრდელი კითხულობს: „როგორ ფიქრობთ, სხვა შორეულ ქვეყნებში ბავშვები იმავე საჭმელს ჭამენ? როგორ ფიქრობთ, რით იკვებებიან ისინი?“, მისთ. აღმზრდელს შესაძლოა წინასწარ ჰქონდეს გამზადებული სხვადასხვა ქვეყნის კერძების სურათები და ბავშვებმა ფოტოებზე მიუთითონ.

აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს, რომელი საკვები ჰგავს და/ან რომელი განსხვავდება იმ საკვებისგან, რომელსაც საქართველოში ჭამენ ბავშვები. იგი კითხულობს წიგნს ან აჩვენებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების ფოტოებს ან ვიდეოებს, რომლებზედაც ასახულია, როგორ მიირთმევენ ბავშვები ადგილობრივ ტიპურ საკვებს. თითოეული სურათის შემდეგ უნდა გაიმართოს დისკუსია მსგავსებებსა და განსხვავებებზე. აღმზრდელი ხაზავს ორსვეტიან ცხრილს. ცხრილის მარცხენა სვეტს აწერია „განსხვავებული“, მარჯვენას - - „იგივე“. ამის შემდეგ აღმზრდელი თითოეული კერძის სახელს ჩაწერს შესაბამის სვეტში და იქვე დახატავს მას ისე, რომ ბავშვებმა შეძლონ მისი „წაკითხვა“.

წესებიანი თამაში

მეხსიერების ლოტო (მემო): საკვების სამყარო

აღმზრდელი ქმნის 12 წყვილ ლოტოს ბარათს (სულ 24 ბარათს). თითოეული წყვილის ცალკეულ ბარათზე თითო-თითო ფოტოა წარმოდგენილი: პირველი ბარათის ფოტოზე გამოსახულია საკვები, წყვილის მეორე ბარათზე კი ამ საკვების წარმომავლობის ადგილი (წყარო). ორივე ბარათს უკანა მხარეზე მიწერილი აქვს იმ ქვეყნის სახელი, რომელთანაც ეს საკვები ასოცირდება. მაგალითად, მოხარშული ბრინჯით სავსე ჯამი, გამოსახული პირველი ბარათის ფოტოზე და მეორე ბარათის ფოტოზე გამოსახული ბრინჯის მდელოები ასოცირდება ჩინეთთან. შესაბამისად, წყვილში შემავალ ორივე ბარათს აწერია „ჩინეთი“. სხვა წყვილის ერთ-ერთ ბარათზე ჩურჩხელას ფოტოა წარმოდგენილი, მეორეზე -ყურძნის ფოტო. ორივე ბარათს კი აწერია „საქართველო“.

თამაშის დაწყებამდე აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ათვალიერებს და განიხილავს ყველა ბარათის წყვილს. თითოეული წყვილის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მათ დააკავშირებინებს საკვებსა და მის წყაროს შესაბამის გარემო პირობებთან, ქვეყნის კლიმატთან/გეოგრაფიულ მდებარეობასთან. მაგალითად, ჩინეთში ბევრ ადგილას დიდი ხნის განმავლობაში მოდის წვიმა, რომელსაც მოსდევს ხანგრძლივი მშრალი ამინდები. ბრინჯი ერთ-ერთი ისეთი მცენარეა, რომელიც კარგად იზრდება ამგვარ გარემო პირობებში. ვინაიდან ის ჯანმრთელი საკვებია, აკმაყოფილებს შიმშილს და დიდი რაოდენობით იზრდება, ჩინელი ხალხი მას ნებისმიერ საკვებთან ერთად მიირთმევს, ისე როგორც ჩვენ ვჭამთ პურს ყველაფერთან ერთად. შემდეგ ბავშვებს აქვთ რამდენიმე დღე იმისათვის, რომ ითამაშონ ბარათებით და კარგად გაეცნონ მათ.

აღმზრდელი თამაშს იწყებს ბარათების ექვსი წყვილით და ეხმარება მცირე ჯგუფებად დაყოფილ ბავშვებს, რათა მათ სათანადოდ დაიცვან თანამიმდევრულობა, ამოატრიალონ მხოლოდ ორი ბარათი, ხოლო შემდეგ გადააბრუნონ ბარათი და დადონ იმავე ადგილას, თუკი ვერ იპოვიან მის შესაბამის წყვილს. თამაშის წესების დაუფლებასთან ერთად შეიძლება ნელ-ნელა დავამატოთ სხვა დაწყვილებული ბარათებიც. თამაშის გასართულებლად შესაძლებელია სხვა ვარიაციების მოფიქრებაც. ბარათების 12 წყვილი ერთად ინახება მცირე ზომის ყუთში და თავსდება თაროზე.

როლური თამაში

რესტორანი

თუკი შესაძლებელია, აღმზრდელს ჯგუფი მიჰყავს ბავშვებისთვის შესაფერის რესტორანში, სადაც ბავშვებს საშუალება მიეცემათ დაათვალიერონ სამზარეულო და გაეცნონ რესტორნის მუშაობის დეტალებს. აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს შექმნან გარკვეული სახის რესტორანი - სწრაფი კვების, ჩვეულებრივი ან უფრო ოფიციალური და ძვირადღირებული. ამის შემდეგ ყველანი უნდა შეთანხმდნენ, რა ტიპის საკვები იქნება ამ რესტორანში: ქართული, ჩინური, იტალიური თუ...? შემდეგ აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ჩამოთვლის ყველაფერს, რაც საჭიროა რესტორნისთვის - მენიუ, თეფშები, დანა-ჩანგალი, შეკვეთის ლანგარი მიმტანებისთვის, ჩეკები მომხმარებლების მიერ ფულის გადასახდელად, საკრედიტო ბარათები მომხმარებლებისთვის; ასევე ადამიანები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ფუნქცია:- მზარეულები, მენეჯერი, სტუმრები, მიმტანები, მოლარე, პალტოების ჩამბარებელი/ზედამხედველი.

ბავშვები ამზადებენ ან მოიძიებენ მარტივ რეკვიზიტებს როლური თამაშის დასაწყებად. მათი თამაში გრძელდება რამდენიმე კვირის განმავლობაში. თანდათანობით ისინი კიდევ უფრო დეტალურ და დახვეწილ რეკვიზიტებს ამზადებენ, ამატებენ როლებს, მოქმედებებს და თამაშიც ვითარდება (მაგალითად, შეიძლება სამზარეულოში გაჩნდეს „ხანძარი”).

აქტივობა 2

კერძის მომზადება

აღმზრდელი ირჩევს მარტივ რეცეპტს სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული სამზარეულოდან ინგრედიენტების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ის ამზადებს რეცეპტის დიდ ბარათებს ფოტოებითა და სურათებით, ისე რომ ბავშვებმა შეძლონ მათი „წაკითხვა“. კერძების მომზადების შემდეგ ბავშვები ქმნიან საკუთარი რეცეპტის ბარათს და ხატავენ კერძს. ეს იქნება რეცეპტების წიგნი საოჯახო წვეულებისთვის, რომელიც ზემოთ აღვწერეთ. კერძის მომზადების დროს აღმზრდელი ბავშვებს აჩვენებს იმ ქვეყნის სურათებს, სადაც საკვები მზადდება, აღწერს ქვეყნის რამდენიმე მახასიათებელს, მის კულტურას და განმარტავს, რატომ არის შერჩეული საკვები პოპულარული იმ ქვეყანაში. საკვების მომზადების თითოეული ეტაპი აისახება ფოტოებზე, ამბებით, ბავშვების ციტატებით, მათი რეაქციებით საკვების მომზადებისა და ჭამის დროს.

მარწყვის კოქტეილი

შემადგენლობა:

1 ჭიქა მარწყვი

1 ბანანი

1 ჭიქა ვაშლის წვენი

როგორ ვაკეთებთ:

1. ვთლით და ვჭრით ბანანს

2. ბლენდერში ვათავსებთ ბანანს, მარწყვსა და ვაშლის წვენს

3. სურვილისამებრ შეგვიძლია დავამატოთ ერთი ჩაის კოვზი ვანილის ნაყინი

4. ავთქვიფავთ ბლენდერში და ვასხმათ ჭიქებში

თემის ნიმუშები

- „ეს არ არის სამართლიანი!” - რას ნიშნავს სწორი საქციელი?
- მეგობრობა: ვინ არის მეგობარი? როგორ შევიძინოთ და შევინარჩუნოთ მეგობარი? რა არის საჭირო მეგობრობისთვის?
- ქოხები და ცათამბჯენები: სახლები, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ - რატომ ცხოვრობენ იქ?

- თავიდან ფეხებამდე: ფეხსაცმელები და ქუდები, რომლებიც ადამიანებს აცვიათ - რატომ აცვიათ ასე?

- საგანგებო სიტუაცია! - ადამიანები, რომლებიც სხვებს ეხმარებიან.

სოციალური და კულტურული სამყაროს დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

ზემოთ აღწერილი რეცეპტის ბარათების გამოყენება ხელს უწყობს რაოდენობრივი და წიგნიერების უნარების დაუფლებას. ზოგიერთი ბავშვი კარგად ისწავლის „ნახევრის“ მნიშვნელობას, თუკი ამ ცნებას ასეთი სახალისო და საინტერესო ფორმით გავაცნობთ. წიგნიერების უნარები ვითარდება იმ დროს, როდესაც ბავშვები „კითხულობენ“ თითოეულ ხაზს მარცხნიდან მარჯვნივ, ბევრჯერ ხედავენ და აკვირდებიან დაბეჭდილ სიტყვას ნახატის გვერდით. ამ გზით ისინი ხვდებიან, რომ ის კონკრეტული სიმბოლოები (ასოები), მოწოდებული გარკვეული თანამიმდევრულობით, გამოხატავს იმავეს, რაც სურათზეა გამოსახული.

როდესაც ბავშვები ხედავენ სურათებს და ისმენენ ამბებს მათი ქვეყნის ბუნების შესახებ (ბუნება და ფიზიკური სამყარო), ისინი ეცნობიან ადგილობრივი ბუნების სილამაზესა თუ უნიკალურ მახასიათებლებს და უყალიბდებათ საკუთარი ქვეყნით სიამაყის განცდა. როდესაც ისინი სწავლობენ მშობლიური და სხვა ქვეყნების ტრადიციულ ცეკვებსა და სიმღერებს (საშემსრულებლო ხელოვნება), ისინი შეიგრძნობენ როგორც მათ შორის არსებულ მსგავსებებს, ისე სხვადასხვა კულტურის უნიკალურ მახასიათებლებს.

თითოეული ბავშვის მოსაზრებების, ფიზიკური მახასიათებლების, ოჯახის წევრების რაოდენობის ან მათი ფეხსაცმლის ფორმების შესახებ მონაცემების შეგროვება და გრაფიკული გამოსახვა (რაოდენობრივი წარმოდგენები) ეხმარება ბავშვებს დაინახონ და დააფასონ განსხვავებები და ამასთანავე იგრძნონ ერთიანობა. მათ უჩნდებათ ჯგუფის ერთობისა და ამ ჯგუფის წევრობის განცდა, თუმცა იმავდროულად ინარჩუნებენ ინდივიდუალობასაც.

თავი 20. რაოდენობრივი წარმოდგენები

რაოდენობრივ წარმოდგენებს - მათემატიკურად აზროვნებისა და რიცხვების საშუალებით ამოცანების გადაჭრის უნარებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისთვის. ისინი ხელს უწყობს ისეთი სააზროვნო უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია სკოლასა და მომავალ ცხოვრებაში წარმატებისთვის. ადრეულ ასაკში ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ საწყის მათემატიკურ ცოდნას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს რაოდენობის აღქმა უადვილდებათ ერთგვაროვანი საგნების გროვის ურთიერთშედარებით, მათი დათვლითა და დახარისხებით. ამიტომ ისინი მათემატი-

კურ ცნებებს მანიპულატივებით (თვალსაჩინო დამხმარე რესურსებით) თამაშის დროს ეუფლებიან.

რაოდენობრივი წარმოდგენების გასავითარებლად გამიზნული რესურსები შეიძლება განთავსდეს რაოდენობრივი წარმოდგენების ცენტრში. ასეთებია: პლასტმასის კუბურები, ჯოხები, ნიჟარები, სხვადასხვანაირი მძივები, ქვები, „მოძრავი'' ციფრები, თეფშებიანი სასწორები, ქვიშისა და სასწავლო საათები, „სათამაშო ფული", ნამდვილი მონეტები, მოზაიკა, ლოტო და ა. შ.

რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარების მიზნით აღმზრდელი ზრუნავს ჯგუფის გარემოს შექმნასა და იმ მრავალფეროვანი მასალის შეგროვებაზე, რომელიც ბავშვების მათემატიკური აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, აღმზრდელი განსაზღვრავს სწავლების მეთოდს - ის მოიფიქრებს ისეთ თამაშებს, რომლებიც ბავშვებს დაეხმარება გააზრებაშიც, ანუ ხელს შეუწყობს კანონზომიერებების აღმოჩენისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას.

აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს კონკრეტული გამოცდილებით მიღებული ცოდნის განმტკიცებაში. მაგალითად, სუფრის გაშლისას ეკითხება ბავშვებს: „რამდენი ბავშვია დღეს?'', „რამდენი ხელსახოცი/სკამი დაგვჭირდება?" ან „რამდენი ადამიანისათვის გვაკლია კოვზები?", სხვ. როლური თამაშისას ბავშვები აქტიურად ვარჯიშობენ „ერთი-ერთს" მიმართების დაუფლებაში. მათ ყველა თოჯინა თავის საწოლში უნდა ჩააწვინონ ან სუფრა გააწყონ „დედებისათვის" ისე, რომ თითო „დედას" თითო ყავის ფინჯანი დაუდგან. „მაღაზიობანას" თამაშის დროს ბავშვები ანგარიშს ეჩვევიან სათამაშო ფულის გამოყენებით და ა.შ.

რაც უფრო ყურადღებით აკვირდება აღმზრდელი ბავშვებს, მით უკეთ შეუძლია ყოველი სიტუაციის გამოყენება მათემატიკური ცნებების სწავლებისთვის.

ჩვენი მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებს გავუღვიძოთ ინტერესი რაოდენობრივი წარმოდგენებისადმი, შევუქმნათ წარმოდგენები შედარებაზე, თვლაზე, შეკრება-გამოკლებაზე, მარტივ გეომეტრიულ ფიგურებზე და სხვ.

რაოდენობრივი უნარების სტიმულირება შესაძლებელია თანაბარი და არათანაბარი რაოდენობის საგნების შედარების, დახარისხებისა და დაკავშირების საშუალებით.

5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განსაზღვრული მიზნებია: ციფრების ცნობა, მათი რაოდენობასთან დაკავშირება, შეკრებისა და გამოკლების ოპერაციების შესრულება 10-ის ფარგლებში სხვადასხვა საგნის გამოყენებით, საგნების შედარება, საგნების დახარისხება და კლასიფიცირება მათი ზომის, წონისა და სიგრძის მიხედვით (ერთ ან მეტ მახასიათებელზე დაყრდნობით).

სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელები ბავშვებს სთავაზობენ შესაძლებლობას, რომ აქტიურად ჩაერთონ რაოდენობრივი წარმოდგენების სხვადასხვა უნარის განვითარების ხელშემწყობ საინტერესო საქმიანობებში.

თვლა - ნიშნავს რიცხვისა და მისი შესატყვისი რაოდენობის ცოდნას. ბავშვს შეუძლია პასუხი გასცეს კითხვებს:„ეს რა ციფრია?“, „ამ რიცხვს რომელი რიცხვი მოსდევს?“. ბავშვისათვის თვლას მაშინ აქვს აზრი, როცა კონკრეტულ საგნებს ითვლის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვი კონკრეტულ ამოცანას დაისახავს და თვლის საშუალებით გადაწყვეტს. ამგვარ შემთხვევებს მიეკუთვნება, მაგ., ბარათებით თამაშის დასრულებისას ბარათების რაოდენობის გადათვლა იმისათვის, რომ დაადგინონ, ვის აქვს მეტი ბარათი, ვის - ნაკლები; ან ხილის გადათვლა ისე, რომ ყველას შეხვდეს ერთი ცალი. კიბის მსგავსი გრაფიკული გამოხატულება ეხმარება ბავშვებს იმის უკეთ გააზრებაში, რომ რიცხვებს შედარებითი მნიშვნელობა აქვთ (ერთი რიცხვი შეიძლება მეორეზე მეტი ან ნაკლები იყოს).

გაზომვა - გაზომვა ნიშნავს საგნის ზომის (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე, წონა) შედარებას თვალით ან არასტანდარტული საზომი ხელსაწყოებით. არასტანდარტულ საზომ ხელსაწყოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ნაბიჯი, მტკაველი, საწრუპი ჯოხები და ა.შ. ამ ტიპის არასტანდარტული საზომი ინსტრუმენტის გამოყენება ბავშვებს ეხმარება გაზომვის არსისა და დანიშნულების უკეთ გაგებაში. შეიძლება გამოვიყენოთ შეკითხვები, მაგ., „რამდენი ნაბიჯია მაგიდიდან ხალიჩამდე?“, „რამდენი მტკაველია ჩემი ენციკლოპედიის ყდა?“, სხვ. კარგ საშუალებას წარმოადგენს ასევე ბავშვების მიერ დარგული მცენარის ზრდაზე დაკვირვება. ბავშვებს შეუძლიათ მცენარის სიმაღლე კედელზე მონიშნონ ფანქრით კვირაში ერთხელ.

შედარება - შედარება ნიშნავს სხვადასხვა ნივთის, საგნის განსხვავებებისა და მსგავსებების გამოვლენას რაიმე თვისებების/ნიშნების მიხედვით (მაგ., სხეულების შედარება ფორმის, ზომის, ფერის მიხედვით). შესაძლო შეკითხვებია: „რით განსხვავდება ვაშლი მსხლისაგან? საზამთროსგან?“, სხვ.

კლასიფიკაცია - კლასიფიკაცია ნიშნავს საგნების დაჯგუფებას მათი ნიშან-თვისებების (მაგ., ფერის, ფორმის, ზომის) მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი უნარია საგნებისა და მოვლენების შესახებ ცოდნის გააზრებისა და ორგანიზებისთვის. თამაშებისა და ყოველდღიური რუტინული აქტივობების (რუტინა არის დღის განმავლობაში მოსალოდნელი განსაზღვრული საქმიანობებისა და პროცედურების განხორციელების თანამიმდევრობა) საშუალებით აღმზრდელები ხელს უწყობენ რამდენიმე ნიშნით დახარისხების (კლასიფიცირების) უნარის გავითარებას ბავშვებში. სასწავლო ცენტრებში მასალები თავმოყრილია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად, შესაძლებელია იყოს განსხვავებული ყუთები/ჭიქები ამა თუ იმ ფერის ან სახეობის საწერი საშუალებისთვის: ლურჯი მარკერებისთვის, წითელი ფანქრებისთვის, წითელი მარ-

კერებისთვის, ლურჯი ფანქრებისთვის და სხვ., პასტელები კი განაწილებული იყოს სხვადასხვა ყუთში ზომის მიხედვით (პატარები, საშუალოები და დიდები).

დრო - დროის ელემენტების ცოდნა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინონ მოვლენების თანამიმდევრობის ორგანიზება. ეს ეხმარება მათ მიყვნენ დღის გეგმას, შეეჩვიონ დროის გაზომვა-განაწილებას და საათის ცნობას. აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს, რათა მათ განივითარონ დროის „შეგრძნება“, სწორად განასხვავონ გუშინდელი დღევანდელისგან და დღევანდელი ხვალინდელისგან, „დიდი ხნის წინ“ და „დიდი ხნის შემდეგ“; ჰქონდეთ იმის შეგრძნება, თუ დაახლოებით რა ხანგრძლივობისაა 5 წუთი, ნახევარი საათი და ერთი საათი. სასკოლო მზაობის ჯგუფში შესაძლებელია გვქონდეს სხვადასხვა სახის საათები და დროის საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც გამოვიყენებთ მიზნის შესაბამისად. მაგ.: ისრიან საათზე ბავშვები სწავლობენ წუთების ცნობას. კარგია, თუ გვექნება წამმზომები, სამზარეულოს „ტაიმერი“, სამწუთიანი ქვიშის საათი, რომელსაც გამოვიყენებთ რიგის მონაცვლეობისთვის, მცირე შესვენების მოწყობისთვის ან ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისთვის.

მათემატიკური მოქმედებები -კონკრეტული საგნებისა და სიტუაციების მაგალითებზე მარტივი ცნებების, მაგალითად, შეკრებისა და გამოკლების მოქმედებების გაცნობა სათანადო შეკითხვების დასმის გზით. მაგალითად: „შენ ორი კუბი გქონდა, მე თუ კიდევ ერთს მოგცემ, რამდენი გექნება?“, „თუ შენ 5 ვაშლი გაქვს, ხოლო მე კიდევ ერთს მოგცემ, რამდენი გექნება?“, “როდესაც ორი მეგობარი იყოფს ერთ ნამცხვარს, საჭიროა თუ არა, რომ ის შუაზე, ორ თანაბარ ნაწილად გაიყოს?“, სხვ. ბარათების დასამზადებლად ვიღებთ A4 ზომის ქაღალდს, შუაზე გადავკეცავთ და მივიღებთ ორ ტოლ მართხკუთხედს, რომლებსაც გამოვჭრით გადაკეცის ადგილების შესაბამისად. თითოეული მათგანი ფურცლის ერთი ნახევარია.

გეომეტრია - გეომეტრია სივრცულ მიმართებებს შეისწავლის. სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფორმების დასახელებების, აღწერისა და მახასიათებლების შემოტანა ყოველდღიურობაში საკმაოდ მარტივია, რადგან ჩვენ გარშემო მრავლადაა სხვადასხვა ფორმის ბრტყელი საგნები. აღმზრდელი ურჩევს ბავშვს, რომელიც თეფშებს ეძებს: „მრგვალი თეფშები შეგიძლია ნახო თაროზე, ჩვენი ბაღის კვადრატული ფოტოს ქვეშ“. იმისათვის, რომ დაეხმარონ ბავშვებს ფორმასა და მის დანიშნულებას შორის არსებული კავშირის გააზრებაში, აღმზრდელებს შეუძლიათ მათ აჩვენონ სხვადასხვა ფორმის ნივთები და დაუსვან სათანადო კითხვები. ამ კითხვების მეშვეობით ბავშვები თავად მიხვდებიან, რომ თითოეულ ფორმას გარკვეული დანიშნულება აქვს. საბურავები იმიტომ ტრიალებს, რომ მრგვალია, სახურავები ხშირად სამკუთხედის ფორმისაა იმიტომ, რომ სახლი დაცული იყოს წვიმისა და თოვლისგან.

რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება - ბავშვებს შეუძლიათ მონაცემები შეაგროვონ თანაჯგუფელების საყვარელი ფერების, საჭმელების, ნაყინის არომატის შესახებ, აგრეთვე ოჯახის წევრთა რაოდენობის, სახლის ცხოველების რაოდენობისა და სახეობების თაობაზე და სხვ. აღმზრდელები ამ მონაცემებით შეადგენენ სხვადასხვა სახის ცხრილებს, თანდათანობით, წლის განმავლობაში კი ბავშვები თავად შეძლებენ ამგვარი ცხრილების შედგენას. აღმზრდელები სვამენ ისეთ კითხვებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს მონაცემების გაანა-

ლიზებაში: „რომელი ცხოველი უყვარს ყველაზე ბევრ ბავშვს ჩვენს ჯგუფში?“,„რამდენით მეტია ძაღლების რაოდენობა კატების რაოდენობაზე?“, „რომელი შინაური ცხოველი არ ჰყავს არავის?“, სხვ.

საქმიანობები

აქტივობები

ჩემი ოჯახი

აღმზრდელი რიგრიგობით ეკითხება ბავშვებს: „რამდენი წევრისაგან შედგება შენი ოჯახი? შეგიძლია შენი ოჯახის წევრების ჩამოთვლა? რამდენი და გყავს? რამდენი ძმა გყავს?”, სხვ. შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი (ცხრილში შევიყვანთ ყველა ბავშვის მონაცემებს) –ჩამოთვალეთ ოჯახის წევრები:

№	ბავშვის სახელი	დედა	მამა	ბებია	ბაბუა	ძმა	და	
								სულ
1	დათო	1	1	1		1	1 1	111111 =6
2	ბაია	1	1			1		111 =3
3	დანიელი	1	1	1	1			1111 =4
4	ქეთი	1	1			1	1	1111 =4
და.ა.შ.								

ცხრილზე მუშაობა: რამდენი წევრისაგან შედგება დათოს ოჯახი? ბაიას ოჯახი? დანიელის ოჯახი? ქეთის ოჯახი? და ა. შ.

აღწერე ფორმა, დახატე ფორმა

დაწყვილებული ბავშვები მაგიდასთან სხედან ერთმანეთის პირისპირ. თითოეულს აქვს ფანქარი და ფურცელი. მათ შორის, მაგიდის შუაში, ტიხარია აღმართული, ასე რომ ბავშვები მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ვერ ხედავენ. ერთ-ერთი მათგანი, სურვილისამებრ, ირჩევს და ხატავს რომელიმე ფორმას/გეომეტრიულ ფიგურას, შემდეგ უხსნის თავის მეწყვილეს, როგორ უნდა დახატოს იგი, მაგრამ არ ასახელებს ფორმის სახელს (ეს საკმაოდ რთული იქნება). ამის შემდეგ მაგიდიდან იღებენ ტიხარს და ერთმანეთს ადარებენ ფორმებს. ბავშვები ცვლიან როლებს და იმეორებენ აქტივობას.

წესებიანი თამაშები

ზოგიერთი ფორმა სხვებზე უფრო გამძლეა

თითოეულ მცირე ჯგუფში მუშაობს ოთხი-ექვსი ბავშვი. ჯგუფები შერეულია, მასში შედიან გოგონები და ბიჭები, ასევე განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. ყველა ჯგუფს აქვს თანაბარი რაოდენობის ჯოხები, ბარათები ან სხვა მსგავსი მასალები, შესაძლებელია მასალების შერევაც. თითოეულმა ჯგუფმა უნდა ააგოს მყარი სადგამი, რომელიც „დედოფლის ძვირფას ქვას“ გაუძლებს, სულ მცირე, 6 წამის განმავლობაში და არ დაიშლება („ძვირფასი ქვა“ იქნება ლამაზი ქვა, რომელიც დაახლოებით 150 გრამს იწონის). სადგამის ასაგებად ბავშვებს 5 წუთი ეძლევათ. 5 წუთის შემდეგ ყველა ჯგუფმა უნდა აღწეროს ის ფორმები, რომლებიც გამოიყენეს. თითოეულ ჯგუფში სადგამზე „ძვირფასი ქვის“ დადებას აკვირდება ყველა ბავშვი. აღმზრდელი განიხილავს ფორმებს, რომლებიც მყარ და არამყარ სადგამებზე იყო გამოყენებული. თუკი მხოლოდ ერთი ჯგუფი მიაღწევს სასურველ შედეგს, იგი გამარჯვებულად ჩაითვლება; თუ ვერცერთი ჯგუფი ვერ შექმნის „გამძლე“ სადგამს, ბავშვები ხელმეორედ წამოიწყებენ თამაშს დამატებითი მასალით, რომელიც სადგამის აშენებისთვის შეუძლიათ გამოიყენონ. თუ რამდენიმე ჯგუფი მიაღწევს წარმატებას, ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან მომდევნო ეტაპზე და შეეცდებიან ააშენონ ყველაზე მაღალი სადგამი, რომელიც „დედოფლის ძვირფას ქვას“ გაუძლებს. იმავდროულად ყველა ის ჯგუფი, რომელმაც პირველ ეტაპზე ვერ შეძლო მყარი სადგამის გაკეთება, ხელმეორედ ცდილობს მის აგებას. თამაში მეორდება გამარჯვებული ჯგუფის გამოვლენამდე, ხოლო შემდეგ გრძელდება მანამდე, სანამ თითოეული ჯგუფი არ ააგებს „დედოფლის ქვის მყარ სადგამს“. გამარჯვებული ბავშვები ეხმარებიან იმ ჯგუფს, რომელმაც წარმატებას ვერ მიაღწია.

იპოვე თქვენი სახლი

აქტივობის დასაწყისში აღმზრდელი მთელ ჯგუფს დაყოფს ორ მცირე ჯგუფად, რომლებშიც 8-10 ბავშვი გაერთიანდება. აქტივობის დაწყებამდე აღმზრდელი გაესაუბრება ბავშვებს თამაშის დროს გამოსაყენებელი რესურსების თაობაზე: „მაგიდაზე დევს ყუთი; მასში აწყვია იმდენი ფიგურა, რამდენიც ბავშვია. იმავე ფერისა და ფორმის ფიგურები დამაგრებულია კედელზე, ოთახის ბოლოში. ფიგურები ერთმანეთს ჰგვანან ფორმებით, მაგრამ განსხვავდებიან ფერებით ან პირიქით, ერთმანეთს ჰგვანან ფერებით, მაგრამ განსხვავდებიან ფორმებით”. შემდეგ აღმზრდელი კონკრეტულ დავალებას აძლევს ბავშვებს: „როდესაც გეტყვით: „ყველა სახლში“, უნდა მიხვიდეთ მაგიდასთან, ამოიღოთ ერთი ფიგურა და მიხვიდეთ კედელთან იმ ადგილას, სადაც მსგავსი ფიგურაა გამოკრული. დავალების შესასრულებლად გაქვთ ერთი წუთი (დროის შემცირება ან გაზრდა შესაძლებელია საჭიროების შესაბამისად). თუ ბავშვი სწორად მიუახლოვდება ფიგურას, ერთი ქულა ექნება. ამის შემდეგ ადგილს უცვლიან კედელზე დამაგრებულ ფიგურებს და აქტივობა მეორდება კიდევ ორჯერ. აღმზრდელი ჩაიწერს ქულებს. ჯგუფის მეორე ნაწილი, ე. წ. „ექსპერტები“ ანუ შემფასებლები, აკვირდებიან აქტივობის მიმდინარეობას და შეაფასებენ ბავშვების მიღწევებს.

შემდეგ ბავშვები ცვლიან როლებს: „ექსპერტები“ აქტივობაში ერთვებიან, ხოლო მოთამაშეები „ექსპერტებად“გადაიქცევიან და აქტივობა გაგრძელდება. დასასრულს აღმზრდელი გამოავლენს მოგებულ ჯგუფს ქულების რაოდენობის მიხედვით. აქტივობის შეჯამებისთვის შეიძლება შემდეგი კითხვების დასმა:

- როგორ მოგეწონათ თამაში? ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?
- რამ შეგიშალათ ხელი? როგორ მოახერხეთ წარმატების მიღწევა?
- შეცვლიდით თუ არა რაიმეს?

როლური თამაშები

ბაიას დაბადების დღე

ბაიას 5 წელი შეუსრულდა. ჯგუფმა გადაწყვიტა მისი დაბადებისდღის აღნიშვნა. ბავშვები ჯერ ისაუბრებენ, როგორ აღნიშნონ ეს დღე, რა საკვები მოამზადონ და რა რაოდენობით. შემდეგ თავად გაინაწილებენ დავალებებს - შეთანხმდებიან, ვინ რას გააკეთებს, განსაზღვრავენ დროს (აქ შეიძლება რამდენიმე აქტივობის განხორციელება, მაგ.: ერთმა ნაწილმა დაამზადოს იმდენი ნამცხვარი, რამდენი ბავშვიცაა ჯგუფში, ხოლო მეორე ნაწილმა მოიმარაგოს იმავე რაოდენობის სხვადასხვა სახეობის ხილი). როდესაც ყველა საჭირო რესურსი გამზადდება, ბავშვები შეუდგებიან დაბადების დღის აღნიშვნას.

მშენებლები

ეს როლური თამაში უნდა ჩატარდეს მშენებლობაზე ექსკურსიის შემდეგ. ბავშვები თავად გადაწყვეტენ, რისი აშენება სურთ და რატომ, ვის როლებს განასახიერებენ (არქიტექტორების, ინჟინრების, ზედამხედველების, მუშებისა და სხვ.). თამაშის დროს შესაძლებელია დიდი და მცირე კუბურებისა და ბრტყელი ფიცრების გამოყენება. თამაშის მიმდინარეობისას შესაძლებელია მოქმედი პირების დამატებაც (მაგ. ტრავმის შემთხვევაში დაემატოს ექიმი და ა. შ.).

პროექტი

ჩვენი საყვარელი კერძები

პროექტის მიზანია ბავშვების საყვარელი კერძების რეცეპტების წიგნის დამზადება. ეს პროექტი შესანიშნავი საშუალებაა ოჯახებთან თანამშრომლობისთვის, აგრეთვე იმისთვის, რომ ერთმანეთს დავუკავშიროთ სახლსა და ბაღში მიღებული გამოცდილება, სახლში განხორციელებული საყვარელი აქტივობები და ბაღის აქტივობები. ბაღში მზადდება რამდენიმე მარტივი კერძი. ამ აქტივობაში მშობლებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, თუკი ამის შესაძლებლობა ექნებათ. წიგნში თითოეულ რეცეპტს თან

უნდა ახლდეს ბავშვის მიერ დახატული შესაბამისი კერძი, კერძის ინგრედიენტები და ინგრედიენტების ,,საზომი საშუალებები'' (მაგალითად, ორი კოვზი, ნახევარი ჭიქა, სხვ.). აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს რეცეპტების „ენის“ უკეთ გააზრებასა და გამოყენებაში. შეგროვებული რეცეპტები წიგნივით აიკინძება, ბავშვებს კი უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ის („წიგნი“) მეორე დღემდე ითხოვონ შინ წასაღებად. შესაძლებელია მომზადდეს „რეცეპტების წიგნის“ ელექტრონული ვერსიაც, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ოჯახებისთვის (ან „წიგნის“ ქსეროასლების დამზადება, თუკი ოჯახში კომპიუტერით არ სარგებლობენ).



თემის ნიმუშები

როგორ ავაშენოთ სახლი?
ბაზარი: ყიდვა-გაყიდვა და კიდევ ბევრი რამ.
ზრდა: როგორ იზრდებიან ადამიანები, მცენარეები და ცოცხალი ორგანიზმები?

რაოდენობრივი წარმოდგენების დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

წიგნიერება -წიგნიერების ცენტრში მრავალი დასურათებული წიგნია რიცხვების შესახებ. წიგნებში მოცემულია რიცხვი და დახატულია რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგნები, რომლებიც ბავშვმა უნდა დაითვალოს. წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპრები, მაგალითად, „კულულა და სამი დათვი“. რაოდენობრივი წარმოდგენების გასავითარებლად დასვით სათანადო კითხვები, მაგალითად: „რამდენი ცხოვრობს სახლში?“, „რამდენი ადამიანი იყო სახლში?“, „რამდენი ცხოველი იყო იქ?“, სხვ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-ესკიზები, ნახატები და დიზაინი გეომეტრიის ელემენტებს შეიცავს.

ბუნება და ფიზიკური სამყარო -ბავშვებს შეუძლიათ გაზომონ მათ მიერ დარგული მცენარე. ზრდის პროცესში გარკვეული პერიოდულობით გამოსახონ კედელზე მცენარის სიმაღლის შესაბამისი ხაზები და მათზე დაყრდნობით დაადგინონ, აცდა თუ არა ხაზს (გაიზარდა თუ არა) მათი მცენარე კვირის განმავლობაში.

მოძრავი თამაშები -ბავშვებს შეუძლიათ დაინიშნონ დრო რომელიმე აქტივობის განხორციელებისას, მაგალითად, სათამაშო მოედნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გარბენისა და უკან გამობრუნებისას ან რაიმე ბარიერის გადალახვისას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მათ შეუძლიათ თვალი მიადევნონ საკუთარ მიღწევებს და შეეცადონ შედეგების გაუმჯობესებას, ანუ მიზნის მიღწევაზე დახარჯული დროის შემცირებას. დროის ჩანიშვნა შესაძლებელია აღმ-

ზრდელის მიერ წინასწარ მომზადებული ფორმის გამოყენებით, ბავშვებს კი შეუძლიათ დააკვირდნენ საკუთარ შედეგებს.

თავი 21. მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება

ბავშვები დაბადებისთანავე იწყებენ ურთიერთობას ჟესტების, ხმების, მეტყველებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. ჩვენ ვართ სოციალური არსებები, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი მოტივაცია, ერთმანეთს გაუზიარონ აზრები, იდეები, კითხვები და გრძნობები. ჩვენ ამას ძირითადად ზეპირი (ან ჟესტური) და წერითი კომუნიკაციის მეშვეობით ვახერხებთ. წიგნიერებასთან, მეტყველებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული უნარები ურთიერთობის საკვანძო ასპექტს წარმოადგენს და მათი განვითარება უმნიშვნელოვანესია მომავალში ბავშვის აკადემიური წარმატებისათვის.

წიგნიერება გულისხმობს მომზადებას კითხვისა და წერითი მეტყველების დასაუფლებლად, კითხვისა და წერის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ბავშვის გათვითცნობიერებას იმ საკითხებში, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება ნაბეჭდი მასალა. წიგნიერება აერთიანებს კითხვისა და წერის მიმართულებებს.

სკოლამდელ ასაკში ბავშვებს სწრაფად უვითარდებათ მეტყველებასა და წიგნიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა უნარი, ისინი სწრაფად ითვისებენ შესაბამის ცოდნას. სასკოლო მზაობის პროგრამის განმავლობაში აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური (მიმიკისა და ჟესტების) მეტყველების გაგების უნარის განვითარებაში, ასევე იმ უნარების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია საკუთარი აზრების ნათლად გადმოსაცემად და სწორი გრამატიკული ფორმების გამოსაყენებლად. აღმზრდელების დახმარებით ბავშვები იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, შეუძლიათ თავიანთი სახელების ამოცნობა და დაწერა, ნაცნობი ამბის/ზღაპრის გაგება და გადმოცემა.

მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარებისას მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა იზრუნოს კითხვისა და წერის წინარე უნარების განვითარებაზე. ამ დროს განსაკუთრებით ღირებულია, რომ აღმზრდელმა გამოუმუშავოს ბავშვებს წიგნთან მუშაობის უნარ-ჩვევები (ასწავლოს/აჩვენოს, როგორ დაიჭირონ და გადაფურცლონ წიგნი), დაეხმაროს მათ წიგნის შემადგენელი ნაწილების (გარეკანისა და წიგნის ძირითადი ნაწილის, ილუსტრაციის, ტექსტისა და სათაურის) ამოცნობაში; ნაბეჭდ ფურცელზე კი ტექსტის, ცარიელი სივრცისა და აბზაცის ერთმანეთისაგან გარჩევაში.

წინასასკოლო ასაკში მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელი დაეხმაროს ბავშვებს სიტყვის გრაფიკულ (ანუ გრაფემულ) და აკუსტიკურ (ანუ ფონემურ) ხატებს შორის არსებული მიმართებების გაგებაში. ამ მიმართულებით მუშაობა მას შეუძლია მაშინაც, როდესაც ბავშვებს წაუკითხავს ჯგუფში მოქცევის წესებს - ამ დროს აღმზრდელმა უნდა მიანიშნოს ბავშვებს ვიზუალურ გამოსახულებაზე, დაწერილ ტექსტზე და მათ შორის არსებულ მიმართებაზე. ამგვარად ბავშვები

შეძლებენ იმის გაგებას, რომ ყველაფერი, რასაც გამოვთქვამთ, შეიძლება არსებობდეს წერილობითი სახითაც და რომ დაწერას აქვს გარკვეული აზრი.

აუცილებელია ასევე ზრუნვა ბავშვებში ფონოლოგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე, რადგანაც ითვლება, რომ ბავშვი, რომელსაც განვითარებული აქვს ფონემური ცნობიერება, უფრო წარმატებულად ეუფლება კითხვას. ამ ასაკში ძალზე სასარგებლოა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა სიტყვის ბგერებად დაშლა, ბგერების სიტყვად გამთლიანება და მისთ., რადგან ბავშვი მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს იმის გაცნობიერებას, რომ ასო ბგერის გრაფიკული გამოსახულებაა.

იმავდროულად საჭიროა ზრუნვა ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავებაზე. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც აღმზრდელები უკითხავენ ბავშვებს ლამაზად ილუსტრირებულ წიგნებს. კითხვის დროს აღმზრდელები თვალსაჩინოდ მიანიშნებენ ილუსტრაციებზე, იყენებენ ჟესტებს, უჩვენებენ ბავშვებს წიგნში მოხსენიებულ საგნებს, რათა მათ (ბავშვებმა) უკეთ აღიქვან ახალი სიტყვები. აღმზრდელი უნდა დარწმუნდეს, რომ თითოეული ბავშვი ხედავს წიგნის ნახატებსა და სიტყვებს. ის პერიოდულად ჩერდება წიგნის კითხვის დროს, რათა შეამჩნიოს ბავშვების რეაქციები ან მათი ნაკლებობა და სათანადოდ უპასუხოს მათ.

ამ მიზნით აღმზრდელს შეუძლია „ზღაპრის ყუთების“ გამოყენება. ,,ზღაპრის ყუთებში'' ინახება სხვადასხვა სახის ნივთები, ფიგურები, სათამაშოები და სხვა რეკვიზიტები, რომლებიც ცალკეული ზღაპრისა თუ მოთხრობის შინაარსს უკავშირდება. ამ ნივთებთან ერთად ყუთში ზღაპრის წიგნიცაა მოთავსებული, ასე რომ ამა თუ იმ ზღაპრის კითხვის დაწყებისას ბავშვებს იქვე ექნებათ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საგანი/ნივთი. ბავშვებს შეუძლიათ „წაიკითხონ“ თავიანთი საყვარელი წიგნები „ზღაპრის ყუთში“ მოთავსებულ საგნებზე თანამიმდევრული შეხებით. ეს მნიშვნელოვნად გაუიოლებს მათ ზღაპრის/მოთხრობის შინაარსის გაგებას და მეტ შესაძლებლობას შექმნის სასაუბრო ურთიერთობებისთვის.

ჯგუფის გარემო უნდა შეესაბამებოდეს ბავშვების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. აღმზრდელი ამზადებს და ჯგუფში შესაბამის ადგილებში განათავსებს საგნების იარლიყებს, პლაკატებს, სურათებსა და მინიშნებებს.

აღმზრდელები მიმართავენ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ბავშვებს მოსწონთ. ისინი აგროვებენ ტაქტილურ (შეხების ორგანოების მასტიმულირებელ) მასალას, რომელიც ბავშვების საყვარელ საქმიანობებთან ასოცირდება. ამგვარად ბავშვს საშუალება ექნება, მიუბრუნდეს და კვლავ „გადაიკითხოს“ ამბავი. ფოთოლმა, ქვამ ან ტოტმა ბავშვებს შეიძლება მოაგონოს პარკში გასეირნება, ნიჟარამ - ექსკურსია ზღვის სანაპიროზე, საწრუპმა, ჭიქამ ან ხელსახოცმა კი გაახსენოთ ვახშამი რესტორანში და ა.შ. ამდენად, ეს მასალა ერთგვარ დღიურს წარმოადგენს. ასეთი ყუთი შესაძლოა მრავალი სასიამოვნო საუბრის წამოწყების მიზეზი გახდეს და ბავშვებს შესანიშნავი შესაძლებლობა მისცეს წიგნიერების უნარების განვითა-

რებისთვის. ამის მსგავსადვე შეიძლება დამზადდეს „მეხსიერების წიგნი“,რომელშიც საგნებს წიგნის გვერდებზე მივაწებებთ.

იმისათვის, რომ ბავშვებს დაეხმარონ ტექსტის გააზრებაში, აღმზრდელები იყენებენ აგრეთვე „ხმამაღლა ფიქრის” სტრატეგიას, როგორც კითხვისა და წერის უნარების განვითარების ხელშემწყობ საშუალებას.

„ხმამაღალი ფიქრის’’ გამოყენებისას აღმზრდელი „შეაბიჯებს“ ტექსტის სამყაროში და შინაგან დიალოგს წარმართავს ტექსტთან. ტექსტის გააზრების ძირითადი სტრატეგიებია: ვიზუალიზება (მე წარმოვიდგინე, რომ...), ვარაუდების ჩამოყალიბება და გადამოწმება (ჩემი აზრით..., ალბათ...), ახსნა-განმარტება (არ ვიცი, რას ნიშნავს..., მე დამაბნია...), პირადი დამოკიდებულების გამოხატვა (მე მომწონს..., ეს ჩემი საყვარელი მონაკვეთია ამ წიგნში...), შეკითხვების დასმა და პასუხის ძიება (რატომ? როგორ?), კავშირის დამყარება (ეს მაგონებს...,, ეს ჰგავს...) შეჯამება (მთავარი აქ არის...), რეფლექსია (მე გავიგე, რომ....). წაკითხვის შემდეგ აღმზრდელი ცდილობს გაუზიაროს ბავშვებს საკუთარი აზრი წიგნის შესახებ. „ხმამაღალი ფიქრის’’ მოდელირებით აღმზრდელი უჩვენებს პატარებს, თუ როგორ გაიაზრებს კარგი მკითხველი ტექსტს. ეს დიდად დაეხმარება ბავშვებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, 2011).

მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარების მიზნით ბავშვებს უნდა შევუქმნათ პირობები, რათა მათ ხშირად დასვან და უპასუხონ შეკითხვებს, იმსჯელონ და ითამაშონ იდეებით. მაგალითად, მოთხრობის წაკითხვის შემდეგ აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს მოსმენილი ამბის გადმოცემაში სხვადასხვა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის პერსპექტივიდან.

იმისათვის, რომ წიგნების დათვალიერებისას დავეხმაროთ ბავშვებს წიგნის სწორად დაჭერასა და „წაკითხვაში“, შეიძლება მუყაოსგან დავამზადოთ მარტივი წიგნის სადგამები. შეგვიძლია აგრეთვე გამოვიყენოთ „სანიშნები“, რომლებიც წიგნის ფურცლებზე მაგრდება, ასე რომ წიგნის გადაფურცვლისას სასურველი გვერდი არ „დაიკარგება“. აღმზრდელებს მოაქვთ ისეთი საწერი საშუალებები, რომელთა ხელში დაჭერა მყარად და თავისუფლად შეუძლიათ ბავშვებს. მაგალითად, ფლომასტრის გარშემო მიწებებული ლენტი (ან გლუვზედაპირიანი სკოჩი) ბავშვებს მიანიშნებს, სად უნდა მოკიდონ ხელი წერის პროცესის უკეთ გასაკონტროლებლად. ამ დამხმარე საშუალებების გამოყენებით იქმნება ერთგვარი გლუვი ზედაპირი, რაც დაეხმარება ბავშვს ფანქრის უკეთ დაჭერაში. შესაძლებელია ფურცლების სკოჩით მიმაგრება მაგიდაზე, რათა ფურცლები ძირს არ გადმოცვივდეს.

ქვემოთ ჩამოთვლილია მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარების სტრატეგიების რამდენიმე ნიმუში:

- ზღაპრების, მოთხრობების, ამბების, ლექსებისა და სხვა ლიტერატურის კითხვა;
- სიმღერა, რითმული ღიღინი და სხვა;

- ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც წაახალისებს მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას და ბავშვებისგან მოითხოვს მეტყველების კომპლექსური უნარების გამოყენებას პასუხის გაცემისას;
- წიგნიერი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ქართულ და/ან სხვა მშობლიურ ენაზე ბეჭდური მასალისა და ბავშვებისათვის საინტერესო მრავალფეროვანი წიგნების წარმოდგენას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას;
- თამაშები სიტყვებსა და ბგერებზე;
- მოთხრობების მოყოლა და განხილვებში/დისკუსიებში ბავშვების ჩართვა;
- ბავშვის დახმარება საკუთარი სახელის ამოკითხვასა და დაწერაში (მაგალითად, როდესაც ბავშვს სურს მიაწეროს საკუთარი სახელი თავის ნამუშევარს);
- როლური თამაშები.

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელები უზრუნველყოფენ, რომ წიგნიერების განვითარება იყოს თამაშის, სასკოლო მზაობის ჯგუფის ნებისმიერი საქმიანობისა და ყოველდღიური რუტინის ნაწილი. კომუნიკაციისა და წიგნიერების უნარების განვითარებისთვის ბავშვები ასევე იყენებენ როლურ თამაშს, მუსიკას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, სათანადო ტექნიკურ საშუალებებს. აღმზრდელები უკითხავენ და უზიარებენ ბავშვებს მრავალფეროვან წიგნებს და სხვა ტექსტურ მასალას; მღერიან რითმულ სიმღერებს; წარმართავენ თამაშებს სიტყვებზე, მარცვლებსა და ბგერებზე, რათა ბავშვებმა შეძლონ ზეპირად მიწოდებულ სიტყვათა ნაკადში ჯერ სიტყვების, შემდეგ კი მარცვლებისა და ბგერების გამოცალკევება.

როლური თამაშებისას ბავშვები იყენებენ მეტყველების უნარებს საერთო წარმოსახვითი სიუჟეტების შესაქმნელად. წარმოსახვითი თამაში არის კომუნიკაციის ფორმა, რომელიც ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ მეტყველება და აზროვნება სხვადასხვა საქმიანობის დროს. თამაშის დროს მათ შეიძლება დასჭირდეთ ერთმანეთთან შეთანხმება სიუჟეტზე, მის განვითარებაზე, რეკვიზიტებზე.

სასკოლო მზაობის პროგრამის ყველა თანამშრომლისათვის ღირებულია ბავშვების ენობრივი მემკვიდრეობა. შესაბამისად, ისინი ეხმარებიან არაქართულენოვან ბავშვებს მშობლიური და ქართული ენის ათვისებაში ოჯახისა და თემის წევრებთან ერთად.

რესურსები

მეტყველების, წიგნიერებისა და კომუნიკაციის რესურსები რაც შეიძლება მეტ საქმიანობაში უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, ბავშვები უნდა წავახალისოთ, რომ აეროპორტის აშენებამდე გაეცნონ წიგნს სატრანსპორტო საშუალებების შესახებ; საგზაო ნიშნების ან რესტორნის მენიუს შექმნისას მათ შეუძლიათ საწერი საშუალებების გამოყენებაც.

მეტყველების, წიგნიერებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის სასურველია გამოვიყენოთ შემდეგი მასალა:

- ბავშვების ინტერესების, მშობლიური ენის, ღირებულებების, კულტურისა და ეთნიკური ჯგუფების ამსახველი წიგნები (ბავშვებისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა იყოს მრავალფეროვანი წიგნები, როგორებიცაა: მოთხრობების, ზღაპრებისა და ლექსების კრებულები, ანბანი, ბავშვთა ენციკლოპედია. აქვე უნდა იყოს მოთავსებული კლასიკური, მარტივ თავებად დაყოფილი წიგნები, როგორებიცაა ასტრიდ ლინდგრენისა და როალდ დალის ნაწარმოებები, რომლებსაც აღმზრდელები უკითხავენ ბავშვებს დასვენების ან სხვა შესაფერის დროს);
- სიები - სახელების სია, ასოებისა და რიცხვების გრაფიკები და ა.შ.;
- მინიშნებები - „დაიბანეთ ხელები", „სამუშაოს ცხრილები" და სხვა;
- განრიგები - სასწავლო გეგმა, კვირის გეგმა და ა.შ.;
- „იარლიყები" - ბავშვების სახელები, სხვადასხვა სახის აქტივობებისა და მასალების „იარლიყები";
- საწერი მასალა - პლასტმასის ასოები, კალმები, ფანქრები, პასტელები, საღებავები, ქაღალდი და ა.შ.;
- სათამაშოები ასოებისა და სიტყვების გამოსახულებებით- კუბურები, პირამიდა და სხვა;
- სამაგიდო თამაშები;
- სხვა ბეჭდური მასალა, გრაფიკები, პოსტერები და სხვა.

წიგნიერების ცენტრთან ერთად მთელი ჯგუფის გარემოც ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ხელი შეუწყოთ ბავშვების მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების უნარების განვითარებას. „იარლიყები" და მინიშნებები („ტუალეტი მარცხნივაა", „სათამაშო სივრცე", „ხელოვნების ცენტრი") გაკრული უნდა იყოს ბავშვების თვალის სიმაღლეზე. ამ მასალის შექმნასა და განთავსებაში ბავშვებმა თავადაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

საქმიანობები

მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარება სხვადასხვა ტიპის საქმიანობების მეშვეობით ხორციელდება. სწორი შეკითხვების დასმის შემთხვევაში ნებისმიერი გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარებისთვის. მაგალითად, როდესაც ბავშვები სხვადასხვა მასალისგან ქმნიან ნამუშევრებს, აღმზრდელმა შეიძლება მათ სთხოვოს საკუთარი სახელების დაწერა ნახატებზე ან დაუსვას სხვადასხვა შეკითხვა: „რაიმეს ხომ არ მომიყვები შენს ნახატზე?", „რატომ აირჩიე ეს ფერი და მასალა?", „როგორ ფიქრობ, როგორი იქნება ნახატი, როდესაც დაასრულებ?", „როგორ დაიწყე ამ ლამაზი ნახატის შექმნა?" და ა.შ. ამ ტიპის შეკითხვების საშუალებით ბავშვები სწავლობენ საკუთარი აზრების გამოხატვას და სხვა უნარებთან ერთად ივითარებენ მეტყველებასთან, კომუნიკაციასა და წიგნიერებასთან დაკავშირებულ უნარებსა და ცოდნას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს ისეთი საქმიანობები, რომელთა უმთავრესი მიზანი მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარებაა. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ამგვარი საქმიანობის ნიმუში.

აქტივობები

მაგნიტური/პლასტმასის სახელები

ბავშვები აწყობენ თავიანთ სახელებს მაგნიტური და/ან პლასტმასის ასოებისგან. თუ ჯგუფში არ არის ასეთი მასალა, აღმზრდელმა თავად უნდა დაამზადოს ასოები, მაგალითად, დახატოს ისინი დაჭრილ მუყაოზე ან სხვა პატარა ნივთებზე.

სახელებით თამაში

ბავშვები ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც ერითმება მათ სახელებს. ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, დაახასიათონ საკუთარი თავი ზედსართავი სახელით, რომელიც იწყება მათი სახელის პირველი ასოთი (მაგალითად, ნუცა - ნაზი).

ნაგულისხმევი მნიშვნელობა

აღმზრდელი შეადგენს ქვემოთ მოყვანილი წინადადების მსგავს წინადადებას, რათა ბავშვებს დაანახოს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს წინადადების ნაგულისხმევი მნიშვნელობა კონკრეტული სიტყვის ხაზგასმით ან სხეულის ენის გამოყენებით. მაგალითად, მიიტანოს ხელი თვალებთან, როდესაც წარმოთქვამს სიტყვას „ხედავს" ან ხელში „დაიჭიროს" წარმოსახვითი პატარა ნივთი, როდესაც წარმოთქვამს სიტყვას „პატარა". ქვემოთ მოცემული ნიმუშის მსგავსად, შეგვიძლია ავაწყოთ წინადადება ნახატებისგან და მისი წაკითხვისას ვთხოვოთ ბავშვებს, მიუთითონ ხაზგასმულ სიტყვაზე.



ანა ხედავს პატარა ლეკვს.

ანა ხედავს პატარა ლეკვს. იგულისხმება, რომ სხვა ვერ ხედავს ლეკვს.

ანა ***ხედავს*** პატარა ლეკვს. იგულისხმება, რომ ანა მხოლოდ ხედავს ლეკვს, მაგრამ შეიძლება არ ესმოდეს მისი ხმა.

ანა ხედავს ***პატარა*** ლეკვს. იგულისხმება, რომ ლეკვი, რომელსაც ანა ხედავს, არ არის დიდი.

ანა ხედავს პატარა ***ლეკვს.*** იგულისხმება, რომ ანა ხედავს სწორედ ლეკვს და არა რაიმე სხვა ცხოველს.

ამ აქტივობის დროს აღმზრდელი თვალსაჩინოდ აცნობს ბავშვებს წინადადებაში ნაგულისხმევ მნიშვნელობას ინტონაციისა და სხეულის ენის გამოყენებით. მას შემდეგ, რაც ბავშვები რამდენიმეჯერ მიიღებენ მონაწილეობას აღნიშნულ აქტივობაში, ისინი ცდილობენ თავად მოიფიქრონ წინადადება და დაგვანახონ, როგორ იცვლება წინადადების მნიშვნელობა. სასურველია, რომ მოფიქრებული წინადადება უკავშირდებოდეს სასწავლო თემას. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი სანიმუშო წინადადება შეიძლება მოწოდებული იყოს მაშინ, როდესაც ბავშვები სწავლობენ თემას: „როგორ მოვუაროთ ცხოველებს?".

წესებიანი თამაშები

ასოების „ბინგო" (ლოტო)

ამ თამაშისთვის აღმზრდელმა ყველა ბავშვს უნდა დაურიგოს ბარათები, რომლებზეც დახატული იქნება 10-უჯრიანი ცხრილი. ცხრილის ყველა უჯრაში შემთხვევითი პრინციპით ჩაწერილია ასოები.

გ	რ	ც	კ	ა
მ	ჯ	ო	პ	დ

თამაშის დროს ბავშვებს ასევე დასჭირდებათ პატარა ნივთები (პლასტმასის კუბურების ნაწილები, ღილები, კენჭები) ბარათებზე დაწერილი ასოების დასაფარად. აღმზრდელი ბავშვებს უსახელებს და უჩვენებს ერთ ასოს, მათ კი ეს ასო თავიანთ ბარათებზე უნდა მოძებნონ და ზედ პატარა ნივთი დაადონ. აღმზრდელს შეუძლია გაართულოს თამაში და ასოს დასახელების ნაცვლად რაიმე სიტყვა წარმოთქვას. ამ შემთხვევაში ბავშვებმა უნდა მოძებნონ დასახელებული სიტყვის პირველი ასო. თუ რომელიმე მოთამაშე დაფარავს 5 ასოს ერთ რიგში, ის წამოიძახებს: "ბინგო!" და თამაშიც დასრულდება.

კარგი შეკითხვაა

ბავშვები ნაწილდებიან მცირე ჯგუფებში. აღმზრდელი წერს დაფაზე ერთ სიტყვას და დააფარებს მას რაიმეს. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი სიტყვა, მაგალითად, „ყვითელი", „მანქანა" ან „ხატვა". შემდეგ, აღმზრდელი გამოაჩენს და წაიკითხავს სიტყვას. ყველა ჯგუფს

აქვს 3 წუთი იმისათვის, რომ მოიფიქრონ შეკითხვა, რომლის პასუხის გაცემაც შესაძლებელი იქნება დაწერილი სიტყვის გამოყენებით. მაგალითად, სიტყვა „ყვითელის" შესაბამისი შეკითხვები შეიძლება იყოს: „რა ფერისაა ლიმონი?", „როგორ უნდა მიხვდე, რომ ბანანი მწიფეა?", მისთ. ;„მანქანის" დაწერის შემთხვევაში ბავშვებმა შეიძლება იკითხონ: - „რა არის მგზავრობის საუკეთესო საშუალება?", „რა არის ავტობუსზე პატარა, მაგრამ მოტოციკლეტზე დიდი?"; სიტყვა „ხატვის" დაწერის შემთხვევაში კი შეიძლება იკითხონ: - „რას ვაკეთებთ ფანქრით?", „როგორ შეიძლება გააკეთო სურათი ფოტოაპარატის გარეშე?".ბავშვები მუშაობენ ჯგუფებში. ჯგუფი, რომლის შეკითხვაც ყველაზე მეტად შეესაბამება სიტყვას, ყველაზე ჭკვიანური ან ორიგინალურია, იღებს ერთ ქულას. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც პირველი მოაგროვებს 5 ქულას.

როლური თამაშები

ვინაიდან ყველა როლური თამაში გულისხმობს მოთამაშეებს შორის ინტერაქციას, შეიძლება ითქვას, რომ როლური თამაშები მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარების შესანიშნავი საშუალებაა. „სახლობანას" თამაშის დროს ბავშვები ირგებენ ოჯახის წევრების როლებს და საუბრობენ ერთმანეთში ყოველდღიურ საკითხებზე.

აღმზრდელს შეუძლია შესთავაზოს ბავშვებს ისეთი როლური თამაშები, რომლებიც მიზნად ისახავს მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების უნარების განვითარებას. ასეთი თამაშების მაგალითებია:

სატელევიზიო ახალი ამბები

ამ თამაშში ბავშვები არიან წამყვანები, მოწვეული სტუმრები, ჟურნალისტები და რესპონდენტები. ყველა ბავშვი იქცევა საკუთარი როლის შესაბამისად: სვამს ან პასუხობს შეკითხვებს, ყვება სხვადასხვა ამბავს, იძლევა მითითებებს და ა.შ. ამ თამაშის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის შოუს მოწყობა (მაგ., „ნიჭიერი", „ჯეოსტარი", „ვარსკვლავი" და სხვა).

ექიმები

ბავშვები არიან "ექიმები", "ექთნები" ან "პაციენტები". შესაბამისად, ისინი ასახელებენ სხვადასხვა სახის დაავადებათა ნიშნებს, სვამენ შეკითხვებს, მკურნალობისთვის იძლევიან ზეპირ დანიშნულებას, რის შედეგადაც ეცნობიან სამედიცინო ტერმინოლოგიას. ამ აქტივობის დროს ისინი ეუფლებიან ასევე თვითგამოხატვის, მოსმენისა და წერის უნარებს, რაც მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ნაწილია.

პროექტები

ბიბლიოთეკა

პროექტი იწყება **ვმვ** (ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე) აქტივობით, რომელიც ხორციელდება ზეპირი შეკითხვების დასმის გზით. აქტივობა გულისხმობს პასუხების გაცემას ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ სამ შეკითხვაზე. ეს შეკითხვებია: 1. რა ვიცი ბიბლიოთეკის შესახებ? 2. რა მინდა ვიცოდე ბიბლიოთეკის შესახებ? 3. რა ვისწავლე ბიბლიოთეკაზე? ცხადია, რომ ეს აქტივობა ბიბლიოთეკაში ექსკურსიის შემდეგ უნდა ჩატარდეს (ექსკურსია მოეწყობა იმ შემთხვევაში, თუკი ბიბლიოთეკა ბაღის სიახლოვეს მდებარეობს). ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს ბიბლიოთეკის მუშაობის ყველა ასპექტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების საქმიანობის გაცნობაში.

ექსკურსიის შემდეგ ბავშვები ჯგუფში მოაწყობენ ბიბლიოთეკას და არსებულ ბეჭდურ მასალას გაამდიდრებენ მათ მიერ შექმნილი ხელნაკეთი წიგნებით. პირველ ეტაპზე ისინი ახარისხებენ წიგნებს თაროებზე ან ყუთებზე სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით (მაგალითად, ზღაპრები, წიგნები ბუნებაზე, ჟურნალები, ლექსების კრებულები, წიგნები მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე და ა.შ.). ბავშვები სხვადასხვა კატეგორიის წიგნებს ანბანის მიხედვით დაალაგებენ.

ამას გარდა, ბავშვები შექმნიან ახალ წიგნებსაც. ამ მიზნით აღმზრდელი ბავშვებთან ერთად შეარჩევს წიგნის თემას, რის შემდეგაც იწყება აღმზრდელის მიერ მოდელირებული წერის პროცესი: აღმზრდელი ბავშვებს თვალსაჩინოდ წარმოუდგენს წერის პროცესსა და მის ეტაპებს - გაესაუბრება იმაზე, რომ ადამიანი ჯერ ფიქრობს, აზრს აყალიბებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს წერას. ამის შემდეგ აღმზრდელი ამბობს მოთხრობის პირველ წინადადებას. მის მიერ წარმოთქმულ წინადადებას ყველა ბავშვმა სათითაოდ უნდა დაამატოს ერთი ან ორი წინადადება. აღმზრდელი იწერს ამ წინადადებებს. რამდენიმე ამბის შექმნის შემდეგ ბავშვები იწყებენ ამ მოთხრობების წიგნად „გამოცემას". ზოგიერთი ბავშვი ხატავს ილუსტრაციებს მოთხრობებისათვის, სხვები კი წერენ ამბებს წიგნების ფურცლებზე. როდესაც ყველა გვერდი მზად იქნება, აღმზრდელი დაეხმარება ბავშვებს წიგნების აკინძვაში. დასასრულ, ახალი წიგნი ბიბლიოთეკის შესაბამის „განყოფილებაში" მოთავსდება.

ბიბლიოთეკის ყველა „განყოფილებას" აქვს საკუთარი კოდი. მაგალითად, განყოფილებას, რომელშიც თავმოყრილია წიგნები დინოზავრებზე, ექნება კოდი "მდ" ("მ" არის მეცნიერების, ანუ ზოგადი ცნების აღმნიშვნელი, ხოლო "დ" მიგვითითებს დინოზავრებზე - მეცნიერების ზოგად ცნებაში შემავალ ერთ-ერთ კონკრეტულ, კერძო საკითხზე). ყველა წიგნს აქვს პატარა "ჯიბე", რომელშიც ბარათია მოთავსებული. წიგნის ბიბლიოთეკიდან „გატანისას" ბავშვმა ამ ბარათზე უნდა დაწეროს თავისი სახელი, გვარი და თარიღი. ამის შემდეგ მან უნდა მიუტანოს წიგნი „ბიბლიოთეკარს", რომელიც ბარათებს ანბანის მიხედვით აწყობს. როდესაც ბავშვი კითხვას მორჩება, „ბიბლიოთეკარი" დაუბრუნებს მას ბარათს. ამ ბარათს ბავშვი მოათავსებს წიგნის ჯიბეში და წიგნს დააბრუნებს ბიბლიოთეკის სათანადო თაროზე.

ოჯახური ამბები

ბავშვები სთხოვენ მშობლებს მათი პატარაობის დროინდელი საყვარელი ისტორიის ან თავგადასავლის, განსაკუთრებული გამოცდილების, ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი გმირული საქციელის მოყოლას, მშობლები კი ეხმარებიან ბავშვებს მოყოლილი ამბის წიგნაკში/ბლოკნოტში ჩაწერაში. ამის შემდეგ ბავშვები ასურათებენ ჩაწერილ ტექსტს. იმ შემთხვევაში, თუ აღმზრდელს არ შეუძლია პირადად მოუყვეს მშობლებს პროექტის შესახებ, ის მათ უგზავნის ბარათს, რომელშიც აღწერილი იქნება პროექტის შინაარსი. წიგნის შექმნის შემდეგ მშობელს ბაღში მოიპატიჟებენ ისტორიის წასაკითხად ან იმისათვის, რომ დაეხმაროს ბავშვს ამბის წაკითხვასა და თანაჯგუფელების შეკითხვებზე პასუხის გაცემაში, მომზადებულ ახალ წიგნებს კი ბიბლიოთეკაში განათავსებენ. ამის შემდგომ ბავშვები ირჩევენ ამბავს, რომელსაც გაათამაშებენ და წარმოუდგენენ მშობლებს *საოჯახო წვეულებაზე*. წარმოდგენის დღეს მოეწყობა შექმნილი ახალი წიგნების გამოფენაც. წარმოდგენის დასასრულს ბავშვები დადგებიან თავიანთ წიგნებთან, მშობლები ათვალიერებენ ბავშვების წიგნებს, ბავშვები კი პასუხობენ შეკითხვებზე.

თემის ნიმუშები

- ამბის მორალი: ქართული იგავები (ან/და ეზოპეს იგავები)
- წერილები ფოსტაში: ფოსტის საქმიანობა
- რესტორანი ღიაა!
- მოდი, გავხსნათ წიგნების მაღაზია!
- პატარა, მაგრამ ძლიერი! - ცეროდენა, ლომი და კურდღელი და სხვა მოთხრობების გმირები
- როგორ კეთდება წიგნები?

მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

მეტყველებასთან, კომუნიკაციასა და წიგნიერებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება ხდება ყველა იმ საქმიანობის დროს, რომლებიც გულისხმობს ინტერაქციას, საუბარს, კითხვასა და წერას. შესაბამისად, ამ უნარების დაუფლების საშუალებას ყველა თემატური მიმართულება იძლევა. მაგალითად, *რაოდენობრივ წარმოდგენებთან დაკავშირებული* საქმიანობები უზრუნველყოფს განსაკუთრებული და მდიდარი ლექსიკის დაუფლებას (ცნებები და ტერმინები: „სამკუთხა", „ვარაუდი", „გაზომვა" და სხვ.).

საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობების დროს ბავშვები იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს; სწავლობენ, როგორ გამოიყენონ სწორად გრამატიკა და სინტაქსი. მათ ესმით და სწავლობენ ფორმალურ ენას, განასხვავებენ მას სალაპარაკო ენისგან. ლექსების რითმა ეხმარება ბავშვებს ფონემების ამოცნობასა და სწავლაში.

როდესაც ბავშვები განიხილავენ ან აღწერენ მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს, ისინი

ასევე ეუფლებიან მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების უნარებს. შესაბამისად, ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებისას აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, რომ ჩაერთონ საუბარში შესრულებული ნამუშევრების შესახებ: როგორ შექმნეს ნამუშევარი, რა გამოუვიდათ კარგად და რა შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი; არსებობს თუ არა სხვა საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შეეძლოთ; რა არის გამოსახული ნამუშევარზე, რა ფერები გამოიყენეს მუშაობისას და სხვ.

სხვადასხვა თემატურ მიმართულებასთან დაკავშირებული ტექსტების კითხვისა და მოსმენისას ბავშვებს უჩნდებათ ინტერესი წიგნების მიმართ. ისინი იწყებენ წიგნთან ურთიერთობით სიამოვნების მიღებას, ეუფლებიან გრამატიკულ ცოდნას, ივსება და მდიდრდება მათი სპეციფიკური ლექსიკური მარაგი. ბავშვები შეიძლება გაეცნონ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, მაგალითად, მცენარეებისა და ხეების სახელები და სახეობები; მასალა, რომლის გადამუშავება შესაძლებელია (პლასტმასის ბოთლები, ქაღალდი, შუშა, მეტალი); სიტყვები, რომლებიც გამოიყენება კონფლიქტების მოგვარების დროს (კომპრომისი, გათვალისწინება, ალტერნატივა, გაცვლა); მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებები და სხვა.

თავი 22. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

ბავშვის ზიარება სახვით ხელოვნებასთან ძალზე მნიშვნელოვანია მისი ჰარმონიული განვითარებისათვის. ეს ხელს უწყობს ბავშვის წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და ესთეტიკური აღქმის განვითარებას, აგრეთვე ნატიფი მოტორიკის, თვალისა და ხელის კოორდინაციის, ტექნიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს სრულფასოვნად ჩაერთონ სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში. ხელოვნების მრავალფეროვანი მასალისა და საშუალების გამოყენებით ბავშვები გადმოსცემენ საკუთარ გრძნობებს, ნააზრევსა თუ შთაბეჭდილებებს. ისინი აკვირდებიან მათთვის მნიშვნელოვან მოვლენებს ირგვლივ არსებულ გარემოში და გამოხატავენ მათ ფერებისა და ფორმების საშუალებით.

ნამუშევრების შესაქმნელად ბავშვებს ვთავაზობთ სხვადასხვა სახის მასალას და სამუშაო ინსტრუმენტებს. საქმიანობის დასრულების შემდეგ ისინი აღწერენ საკუთარ ნამუშევრებს (რა შექმნეს და როგორ, რის შესახებ ფიქრობდნენ, რას გრძნობდნენ საქმიანობის დაწყებამდე, ნამუშევარზე მუშაობის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ). აღმზრდელები წაახალისებენ ბავშვებს, რომ პატივი სცენ სხვა ბავშვების მიერ შექმნილ ნამუშევრებს, ხელოვნების ნიმუშებს და მიიღონ შთაგონება მათგან.

სასკოლო მზაობის ჯგუფში მნიშვნელოვანია, რომ:

- ვასწავლოთ ბავშვებს ტექნიკური უნარ-ჩვევები, როგორებიცაა ფანქრისა და ფუნჯის გამოყენება; საღებავებით სხვადასხვა ფერისა და ტონალობების მიღება; სამუშაოს დას-

რულების შემდგომ საღებავის ქილების დახურვა, ფუნჯების გარეცხვა, თიხის დაცვა გამოშრობისგან და ა.შ.;

- მივცეთ ბავშვებს შემოქმედებითი თავისუფლება, რათა მათ შექმნან ნამუშევრები არა მხოლოდ რომელიმე მოდელის ან ნიმუშის გამოყენებით, არამედ ასევე საკუთარი სურვილის მიხედვით;

- აღმოვუჩინოთ ბავშვებს არაპირდაპირი დახმარება იმისათვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა ხელოვნების ნამუშევრის შექმნის პროცესში;

- გავაცნოთ ბავშვებს ხელოვანთა, განსაკუთრებით კი ქართველ ხელოვანთა ნამუშევრები;

- შევთავაზოთ ბავშვებს მრავალფეროვანი მასალა და ინსტრუმენტები, რათა მათ შეძლონ საკუთარი გამოცდილების, ემოციებისა და შთაბეჭდილებების ვიზუალურად გამოსახვა.

ხელოვნების ძირითადი აქტივობები და რესურსები

ხატვა ფერადი ფლომასტერების, კალმების, ფანქრების, ცარცისა და პასტელების გამოყენებით (ცალ-ცალკე ან შერეულად).

ფერწერა გუაშის, აკვარელის, აკრილის საღებავების გამოყენებით. შესაძლებელია საღებავით ხატვა „ღრუბლისა“ და სხვადასხვა ზომის ფუნჯების საშუალებით.

ძერწვა თიხით და თიხაზე სხვადასხვა ფორმის გაკეთება დანების, ჩანგლების, ჯოხების, ნამცხვრის გამოსაცხობი პატარა ფორმებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით. შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე პლასტილინი ან მარილიანი ცომი, რომელიც, როგორც წესი, ზედმეტად რბილია ძერწვისთვის, თუმცა კი ბავშვებისთვის სასიამოვნო სენსორული გამოცდილებაა.

სამგანზომილებიანი ნამუშევრების დამზადება სხვადასხვა სახის მასალის ერთმანეთზე მიწებების საშუალებით. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, „ქაფი“, ხის მცირე ზომის ტოტები და ნაფოტები; მუყაო, დაჭმუჭნილი ან დაკეცილი ქაღალდი, ნაჭრები, ჯოხები, მცირე ზომის სხვადასხვა ბუნებრივი მასალა.

აპლიკაციების დამზადება სხვადასხვა მასალის გამოჭრით და დაწებებით. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ჟურნალებისა და ბროშურების სურათები, ქაღალდისა და ფირების ნაკუწები, სხვადასხვა მასალის ნაწილები (იდეებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ნელი ოქროპირიძის წიგნი ,,ფანტაზია და მარჯვე ხელები'', რომელიც აპლიკაციების დამზადების მრავალფეროვან ნიმუშებს შეიცავს).

სხვა საჭირო მასალები: სხვადასხვანაირი ქაღალდები, სკოჩი, სხვადასხვა სახეობის წებო, სტეპლერები, საკმარისი რაოდენობის მაკრატლები გლუვი ბოლოებით (მაგრამ ბასრი პირით), პიპეტები, მუყაოს ან გამჭვირვალე კონტეინერები კვერცხის ჩასადებად, ლენტები, გამჭვირვალე ჯამი, პატარა ზომის სარკე (ცისარტყელას ექსპერიმენტებისთვის), მძივები, ღილები, ცნობილი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციები, კორპის საცობები, ნამცხვრის მუყაოს ყუთები ან სხვა; სხვადასხვა ფორმის ყუთები, კომპიუტერი ან პროექტორი მულტფილმის საჩვენებლად.

საქმიანობები

აქტივობები

ფერების შერევა



აღმზრდელი ბავშვების წინ დააწყობს სუფთა წყლით სავსე პლასტმასის ჭიქებსა და საღებავებს, შემდეგ ეხმარება ბავშვებს, რომ ჭიქაში გახსნან თითო-თითო ფერი და დააკვირდნენ, როგორ შეიფერება წყალი. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ასახელებს ფერებს. თუ აღმზრდელმა აღმოაჩინა, რომ ბავშვებმა იციან ძირითადი ფერები, დაეხმარება შერეული ფერების მიღებაში. მაგალითად, სთხოვს ბავშვებს, რომ ლურჯად შეფერილ წყალში შეურიონ ყვითელი საღებავი და დააკვირდნენ, რა ფერს მიიღებს ხსნარი. ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს შესთავაზებს, რომ პიპეტის გამოყენებით შექმნან ფერადი ნამუშევრები შემწოვ ქაღალდზე მიღებული ფერების დაწვეთებით. აღმზრდელს აგრეთვე შეუძლია ბავშვებს ასწავლოს პალიტრის გამოყენებაც. ბავშვები შეურევენ ფერებს პალიტრაზე და მათი გამოყენებით შექმნიან ნამუშევრებს.

ჩვენი ფერადი კედელი

ამ პროექტის განსახორციელებლად აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი მასალა: დიდი ზომის ფორმატის ქაღალდი, რომელსაც გააკრავს კედელზე და პატარა ჯამები, რომელშიც მოთავსებულია წყლით გაზავებული გუაში (ან საკვები საღებავი). ბავშვებს შეუძლიათ ,,სახატავად'' აირჩიონ მასალა - ღრუბელი ან ერთჯერადი ხელთათმანები.

ბავშვები, რომლებიც ხატავენ ,,ღრუბლით'', აწობენ ღრუბელს გუაშში და შემდეგ სასურველი მანძილიდან ესვრიან კედელს.

მეორე ჯგუფის წევრები ხელებზე წამოიცვამენ ერთჯერად ხელთათმანებს, ირჩევენ ორ ფერს და შემდეგ ხელებს ადებენ კედელზე. აღმზრდელი მიანიშნებს ბავშვებს, თუ სად ,,აკლია'' ფერი. მუშაობის დასრულების შემდეგ აღმზრდელი ბავშვებთან ერთად მსჯელობს იმაზე, თუ რას შეიძლება მივამსგავსოთ კედელზე გამოსახულ კომპოზიცია (რადგან ამ აქტივობის დროს ბავშვებს შეიძლება ტანსაცმელი დაესვაროთ, აღმზრდელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს მშობლები, რათა ბავშვებმა თან იქონიონ საშინაო მაისურები).

ცისარტყელები

აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს, უნახავთ თუ არა ოდესმე ცისარტყელა და იციან თუ არა, როდის ჩნდება ის? აღმზრდელი ისმენს ბავშვების პასუხს და უხსნის, რომ ცისარტყელა ჩნდება წვიმისა და მზის დროს. როდესაც წყლის წვეთს მოხვდება მზის სხივი, მაშინ მზის სხივი სხვადასხვაფრად აირეკლება წყლის წვეთში. ფერები ყოველთვის ერთნაირი თანამიმდევრობით ჩნდება: ცისარტელა ზემოდან იწყება წითლით და ქვემოთ მთავრდება იისფრით.

აღმზრდელი ბავშვებს აჩვენებს მარტივ ცდას: იღებს გამჭვირვალე მინის ჯამს, ჩაასხამს მასში წყალს და სარკის დახრის მეშვეობით ცდილობს მზის სხივი (ან ფანრის მკვეთრი შუქი) მიმართოს კედელზე. კედელზე სხივი დაიშლება შვიდ ფერად. აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს დაასახელონ კედელზე გამოსახული ფერები და მათი თანამიმდევრობა.



აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს ცისარტყელას ,,შექმნაში''. ბავშვები ირჩევენ პლასტმასის ბოთლსა და თეთრ ლენტს ან პლასტმასის ჭიქასა და საშრობ ქაღალდს. აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, რომ წვრილად მოჭრილ საშრობ ფურცელზე ან თეთრ ლენტზე დასვან ცისარტყელას შესაბამისი ფერის წერტილები ფლომასტერების საშუალებით. ამის შემდეგ საშრობს უშვებენ წყლით სავსე ჭიქაში ისე, რომ ფურცლის წერტილებიანი ბოლო ოდნავ შეეხოს წყლის ზედაპირს. საშრობი ისრუტავს წყალს, სხვადასხვა ფერის წერტილები იხსნება და მთელ საშრობზე ,,იხატება'' ცისარტყელა. ნაჭრის ზონარი იდება წყლიან ბოთლში. მას შემდეგ, რაც ზონარი შეისრუტავს წყალს, მივიღებთ ზონარს ,,ცისარტყელას'' ფერებში.

აღმზრდელს წინასწარ აქვს გაბმული თოკი, რომელზედაც პატარა სარჭებით ჩამოკიდებს ბავშვების მიერ შექმნილ „ცისარტყელებს“.

წესებიანი თამაშები

გამოიცანი ფერი

აღნიშნული თამაშისთვის გამოიყენება კვერცხის ყუთები (12-კვერცხიანი, მუყაოსგან ან პლასტმასისგან). თორმეტივე კვერცხის ჩასადებ ადგილზე შიგნიდან დაკრულია სხვადასხვა ფერის ფურცლები და მოთავსებულია პატარა კენჭი ან მისი მსგავსი ნივთი, კონტეინერი კი თავდახურულია. ყუთის შენჯღრევის შემდეგ ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, თუ რა ფერზე ,,გაჩერდა'' ღილი. ამისათვის ბავშვები წინასწარ დარიგებული სხვადასხვა ფერის ბარათებისგან ირჩევენ და სხვებს აჩვენებენ შესაბამისი ფერის ბარათს. ასეთი ბარათი სულ 12-ია (თითო ფერისთვის თითო ბარათია). შესაბამისად, ამ თამაშში ერთდროულად მონაწილეობის მიღება შეუძლია თორმეტ ბავშვს, თუმცა მეცამეტეს შეუძლია იყოს თამაშის „წამყვანი“, რომელიც ყუთს შეანჯღრევს ხოლმე სხვა ბავშვების სიმღერის ფონზე. სიმღერის ტექსტი ასეთია: „შეანჯღრიე, შეანჯღრიე, შეანჯღრიე, წითელი თუ ყვითელი, თუ მწვანე? გაიმარჯვა, ნეტავ, ვინ? გაიმარჯვე შენ!“ ყველა მიუთითებს გამარჯვებულზე. თუკი ვერავინ გაიმარჯვა იმის გამო, რომ თამაშში 12-ზე ნაკლები ბავშვი მონაწილეობს (თამაში შესაძლებელია მხოლოდ ორი მოთამაშის მონაწილე-

ობითაც), ბავშვები ერთხმად შესძახებენ: „არავინ!“ ნაცვლად იმისა, რომ თქვან: „შენ!“. ბავშვს, რომელიც სწორად გამოიცნობს ფერს, მომდევნო ეტაპზე შეუძლია იყოს „წამყვანი“. ბავშვებმა არ უნდა აიღონ ერთი და იგივე ფერი ორ ეტაპზე ზედიზედ. თამაში შეიძლება გაგრძელდეს მანამდე, სანამ თითოეული ბავშვი ერთხელ მაინც არ მოიგებს. იმისათვის, რომ ბავშვების ერთზე მეტ ჯგუფს შეეძლოს ერთდროულად ამ თამაშში ჩართვა, საჭიროა, სულ მცირე, ორი პაკეტი მასალის გამოყენება.

ოთხი ცალი

გაიმარჯვებს ის მოთამაშე, რომელიც პირველი შეაგროვებს ერთსა და იმავე ფერის ოთხ ბარათს და იტყვის „მე მაქვს ოთხი (ფერი) ბარათი!“.

აღმზრდელი მუყაოს ოთხკუთხედ ნაჭრებზე ერთ მხარეს აწებებს სხვადასხვა ფერის ფურცლებს ან ღებავს მათ ერთი მხრიდან. მუყაოს თითოეული ნაჭერი ერთნაირი, დაახლოებით სათამაშო კარტის/ბანქოს ზომისა უნდა იყოს. სულ მზადდება 48 ბარათი, 4 ცალი თითოეული ძირითადი, მეორადი და მესამეული თორმეტი ფერისთვის. მაქსიმუმ 6-ბავშვიან ჯგუფში, თითოეულ ბავშვს ურიგდება 4 გადაბრუნებული ბარათი. აღმზრდელი აწყობს დანარჩენ ბარათებს მაგიდის შუაგულში (ისე, რომ ფერი არ ჩანდეს). ბავშვები შეხედავენ ბარათების წინა მხარეს ისე, რომ ფერადი მხარე სხვა მოთამაშეებმა ვერ დაინახონ (თუმცა დასაწყისში თამაშის სწავლა ბავშვებს უფრო გაუადვილდებათ, თუკი შეხედავენ ერთმანეთის ბარათებს). ყველაზე უმცროსი ბავშვი პირველი იღებს მაგიდის შუაგულიდან ახალ ბარათს, რომელიც შეუძლია შეინახოს ან დააბრუნოს. თუკი ბავშვი ბარათს დაიტოვებს, იქვე უნდა დააბრუნოს რომელიმე სხვა ბარათი და ამოტრიალებული სახით (ისე, რომ ფერადი მხარე არ ჩანდეს) დადოს მაგიდაზე ბარათების დასტების გვერდით. ყოველ მოცემულ მომენტში თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ზუსტად 4 ბარათი (არც მეტი, არც ნაკლები). ამის მსგავსადვე ბავშვს შეუძლია დააბრუნოს ახლად აღებული ბარათიც. ამის შემდეგ სვლა გადადის შემდეგ ბავშვზე და ა. შ. თუკი ბარათების დასტა დაიცლება მანამდე, სანამ რომელიმე ბავშვი გაიმარჯვებს, ბავშვები თამაშს აგრძელებენ დაბრუნებული ბარათების დასტის საშუალებით. როდესაც ბავშვი შეაგროვებს ერთსა და იმავე ფერის ოთხ ბარათს, ამბობს: „მე მაქვს ოთხი (*ფერი*) ბარათი“. თამაში შეიძლება გაგრძელდეს მანამდე, სანამ მეორე, მესამე და ა.შ. ბავშვი არ გაიმარჯვებს.

იმისათვის, რომ ერთდროულად ერთზე მეტმა ჯგუფმა შეძლოს თამაში, საჭიროა 48-ბარათიანი ორი დასტა.

როლური თამაშები

ხელოვნების მასალების მაღაზია

ბავშვები გაითამაშებენ ხელოვნების მასალების მაღაზიის სიტუაციას. ხელოვნების მაღაზია პატარებს მისცემს შესაძლებლობას, შეარჩიონ მასალები შემდგომი აქტივობისთვის. აღმზრდელი შესაძლოა დაეხმაროს ბავშვებს „ფულის'' დამზადებაში.

მონაწილეები იყოფიან „მყიდველებად“ და „გამყიდველებად“. „გამყიდველებს“ შეუძლიათ გაყიდონ სხვადასხვა მასალა: ფანქრები, ფუნჯები, პასტელები, ფერადი ძაფები, ღილები, წებო, ნიჟარები, ჟურნალები და ა.შ.

„მყიდველებმა“ უნდა ,,შეიძინონ“ მათთვის საჭირო მასალები. შესაძლოა ჯერ გაიხსენონ ფრაზები, რომელთაც ვიყენებთ მაღაზიაში. მაგ., „რა ღირს პატარა ნიჟარა?”, „მომეცით, თუ შეიძლება, 2 ცალი”, სხვ. აქ შესაძლოა აღმზრდელმა ბავშვებს ჰკითხოს: „რა ეღირება ორი ნიჟარა, თუკი ერთი ცალი ღირს 1 ლარი?“ და ა.შ.

ხელოვნების მუზეუმი

აღნიშნულ თამაშს შესაძლოა წინ უსწრებდეს რეალური ვიზიტი რომელიმე მუზეუმში, სადაც ბავშვები დაათვალიერებენ კოლექციას და გაამახვილებენ ყურადღებას იმაზე, თუ როგორ არის განთავსებული სხვადასხვა ექსპონატი, რას აკეთებს გიდი და ა.შ.

სასკოლო მზაობის ჯგუფის სივრცეში ბავშვები მოაწყობენ გამოფენას და წარმოადგენენ ნამუშევრებს. ნამუშევრები შესაძლოა თავად ბავშვების მიერ იყოს შექმნილი. იმ შემთხვევაში, თუკი გვსურს ბავშვებს გავაცნოთ რომელიმე მხატვრის შემოქმედება, უნდა ამოვბეჭდოთ მის ნამუშევართა რეპროდუქციები და წარვუდგინოთ ისინი ბავშვებს.

აღმზრდელი შეიძლება დაეხმაროს ბავშვებს იმაში, რომ მათ ჯერ შექმნან „მუზეუმის ბილეთები“, შემდეგ კი მოაწყონ ადგილი, სადაც ისინი შეიძენენ ბილეთებს დარბაზში შესვლამდე. ზოგიერთი ბავშვი იქნება გიდი, რომელიც დამთვალიერებლებს მოუყვება წარმოდგენილი ნამუშევრების შესახებ (ვინ შექმნა ისინი და რა მასალის გამოყენებით). ერთი შესაძლოა იყოს მისი ნამუშევარი, მეორე კი - მეგობრის ნახატი. მეორე ეტაპზე დამთვალიერებლები და „გიდები'' როლებს გაუცვლიან ერთმანეთს.

თუ ჩვენ გამოვფენთ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს, მაშინ გიდის როლი შესაძლოა აღმზრდელმა შეითავსოს. ამ შემთხვევაში მას შეუძლია დაუსვას ბავშვებს შეკითხვები (რა მოსწონთ ნამუშევარში, როგორ ხასიათზე აყენებს და ა.შ.).

ალბომის დათვალიერების შემდეგ აღმზრდელმა შეიძლება ჰკითხოს ბავშვებს, რომელი ნამუშევარი მოეწონათ ყველაზე მეტად და მისცეს მათ მსგავსი ნამუშევრის შექმნის შესაძლებლობა (დასრულების შემდეგ ნამუშევარი უნდა გამოიფინოს), ან დაურიგოს ბავშვებს გასაფერადებლები, რომელსაც პატარები „ორიგინალის'' მსგავსად გააფერადებენ ან საკუთარ ვერსიას შექმნიან ორიგინალისგან განსხვავებული ფერების გამოყენებით. გასაფერადებლების დამზადება შესაძლებელი იქნება ამობეჭდილი ნამუშევრის „გადაშუშვით'' - აღმზრდელი ნამუშევარს დაადებს ცარიელ ფურცელს, შემდეგ ორივეს ფანჯრის მინას მიადებსდა ცარიელ ფურცელზე შემოავლებს ნამუშევრის კონტურებს.

ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ სასურველია „ჩანაწერების'' გაკეთება შთაბეჭდილების წიგნში. შესაძლოა ბავშვებმა ჩაწერონ თავიანთისახელი და ემოტიკონით (სმაილით/ღიმილაკით) აღნიშნონ საკუთარი ემოცია.

მხატვრის სტუდია და საგამოფენო-გასაყიდი გალერეა

აღნიშნული თამაშის დროს შესაძლოა ჯგუფის დაყოფა „მხატვრებად" და „დამთვალიერებლებად/მყიდველებად". აღმზრდელი დაეხმარება ბავშვებს, რომ მოაწყონ ,,მხატვართა'' კუთხე, სადაც ბავშვები გაუზიარებენ ერთმანეთს, რა დახატეს და რა მასალა გამოიყენეს. "დამთვალიერებლებმა" შეიძლება „შეიძინონ" „მხატვართა" ნამუშევრები.

ხელოვნების ნამუშევრებისა და ნაკეთობების ბაზრობა

ეს თამაში მიმდინარეობს მასალების ბაზრობის მსგავსად. შეგვიძლია დავამატოთ აუქციონის სცენა, სადაც გამოიფინება ნამუშევარი და გამოცხადდება საწყისი ფასი. ბავშვებს შეუძლიათ გამოცხადებული საწყისი ფასის გაზრდა. საბოლოოდ ნამუშევარი მას დარჩება, ვინც ყველაზე მაღალ რიცხვს დაასახელებს.

პროექტები

დავით კაკაბაძის ხელოვნება



დავით კაკაბაძის ნამუშევრების გაცნობით აღმზრდელებს მიეცემათ მრავალგვარი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ბავშვებს ასწავლონ სახვითი ხელოვნების ცნებები. ბავშვებს კი, თავის მხრივ, საშუალება ექნებათ გაეცნონ სხვადასხვანაირ, სახალისო და საინტერესო ნახატებს და შეიქმნან წარმოდგენა ფერწერული ნამუშევრების შექმნის პროცესზე. კაკაბაძე ნამუშევრებს სხვადასხვა სტილსა და ჟანრში ქმნიდა. თუ კაკაბაძის ნამუშევრების დასათვალიერებლად თბილისის ხელოვნების მუზეუმის მონახულება შეუძლებელია, აღმზრდელებს შეუძლიათ ბავშვებს აჩვენონ მისი ნახატების რეპროდუქციები ან ფოტოები.

კარგი იქნება, თუკი დავით კაკაბაძის ნამუშევრების გაცნობას მხატვრის ცნობილი ავტოპორტრეტით დავიწყებთ. ბავშვები გაეცნობიან მის გარეგნობას, რეალისტურად ხატვისა და იმავდროულად ხასიათის გადმოცემის უნარს. აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „თქვენი აზრით, რას გრძნობს ან რაზე ფიქრობს მხატვარი?", „რა ფერს იყენებს ყველაზე ხშირად?",„კარგად დააკვირდით, კიდევ რას ხედავთ სურათზე?", „დააკვირდით ჩრდილებს. თითქმის მთელი სახე ჩრდილშია, მაგრამ მისი თეთრი პერანგი ნათელია, ზედ უამრავი დეტალი და ნაკეცია, რომლებიც რთული დასახატია. შეგიძლიათ სხვა ფერებიც შეამჩნიოთ მის პერანგზე. საიდან ვიცით, რომ მან საკუთარი თავი სარკეში ყურების დროს დახატა? ნეტავ რატომ დახატა სარკე

ოდნავ დახრილად?“ ამის შემდეგ ბავშვები თავად შექმნიან ავტოპორტრეტებს. აღმზრდელი წაახალისებს მათ, რომ დახატონ რაც შეიძლება მეტი დეტალი და ნახატით შეავსონ მთელი ფურცელი.

აღმზრდელები ბავშვებს მოუყვებიან, რომ იმერეთი - მხარე, სადაც დავით კაკაბაძე ბავშვობაში ცხოვრობდა, მხატვრის აზრით, ძალიან ლამაზი იყო. ამიტომაც კაკაბაძემ იმერეთი ბევრ ნახატში ასახა. ასეთ ნამუშევრებს პეიზაჟები ეწოდება. მხატვარს მოსწონდა გლეხების მიწის ნაკვეთები, რომლებიც შორიდან ფერად-ფერად ოთხკუთხედ ფორმებად მოჩანდა. აღმზრდელი განაგრძობს ბავშვებისთვის კაკაბაძის პეიზაჟების ჩვენებას და ეხმარება მათ დეტალების აღმოჩენაში (იმგვარადვე, როგორც ავტოპორტრეტის შესწავლის პროცესში). ამ შემთხვევაშიც ბავშვები კაკაბაძის შთაგონებით დახატავენ პეიზაჟებს.



აღმზრდელი ბავშვებს ასეთივე მიდგომით გააცნობს კაკაბაძის კუბისტურ, აბსტრაქტულ და სხვა სტილის ფერწერულ ნამუშევრებს.

თითოეული ჟანრისთვის აღმზრდელი ჩაატარებს აქტივობას, რომლის დროსაც ბავშვები დაამზადებენ „ფაზლებს“ კაკაბაძის რეპროდუქციისაგან - გამოჭრიან 6-დან 50-მდე ნაწილს. ფაზლის დამზადებისთვის რეპროდუქცია შეიძლება დაწებდეს მუყაოზე ან სქელ ქაღალდზე, ზემოდან კი გაკეთდეს გამოსაჭრელი კონტურები, როგორც მარცხნივ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

პროექტის დასასრულს მოეწყობა გამოფენა, სახელად „დავით კაკაბაძის მიერ შთაგონებული ხელოვნება“. თითოეული ბავშვი გამოფენისთვის შეარჩევს მის მიერ შექმნილ ერთ ნამუშევარს, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს. დავით კაკაბაძის ნამუშევრების ჩვენება შეგვიძლია აქტივობა *„ფერების შერევის”* შემდეგაც (მაგ., „დეკორატიული მოტივები”. ბავშვებს ფერების პიპეტით დაწვეთების შემდეგ, კაკაბაძის ნამუშევრების მსგავსად, შეუძლიათ ზემოდან კონტურების დამატებაც).

მოძრავი სურათები

პროექტის მიზანია მულტიპლიკაციური და ანიმაციური ფილმების შექმნის ტექნოლოგიის გაცნობა და ანიმაციური „ფილმების“ დამზადება. აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს, იციან თუ არა, როგორ იქმნება მულტფილმი. თუ შესაძლებელია, ბავშვები მოინახულებენ კინოს მუზეუმს, სადაც საშუალება ექნებათ ნახონ, როგორ იქმნებოდა უწინ მულტფილმები; გაეცნონ იმ ეტაპებს, რომლებიც ნახატებმა უნდა გაიარონ „გაცოცხლებამდე“ და ა.შ. თუ ბავშვებს არ ექნებათ ასეთი შესაძლებლობა, აღმზრდელმა შეიძლება აჩვენოს მოკლე ვიდეო ანიმაციასთან დაკავშირებით.

ფანქრის ანიმაცია

აღმზრდელი ამზადებს პატარა ფურცლებს, სთავაზობს ბავშვებს მის ორად გადაკეცვას. (შესაძლოა ფურცელზე იყოს პატარა ოთხკუთხედი, რომელშიც უნდა ჩაიხატოს ნახატი. სასურველია, რომ ოთხკუთხედი გადაკეცილიდან 5 სანტიმეტრით იყოს დაშორებული, კიდიდან კი - ერთი სანტიმეტრით).



აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, რომ ფანქრის ძლიერი დაჭერით რაიმე ჩახატონ ოთხკუთხედში. ნახატის მოხაზულობა მომდევნო გვერდს კარგად დაემჩნევა. ბავშვები შემოატარებენ ფანქარს კონტურზე, ოღონდ მეორე ნახატი პირველისგან რაიმე დეტალით უნდა განსხვავდებოდეს.

ამის შემდეგ ფანქარზე დავახვევთ ზედა ფურცელს და ფანქრის მარცხნივ და მარჯვნივ ამოძრავებით ვქმნით მოძრაობის ილუზიას.

თუ აღმზრდელი ჩათვლის, რომ ნახატების მომზადება რთული იქნება ბავშვებისთვის, მან შეიძლება თავად დახა-

ტოს ფურცლის ორივე მხარეს კონტური და აღსაზრდელებს სთხოვოს მათი გაფერადება (ამ შემთხვევაშიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე ნახატი პირველისგან ცოტათი უნდა განსხვავდებოდეს. მაგ., მეორე ნახატზე პერსონაჟს პირველი ნახატისგან განსხვავებული ფორმის ულვაშები შეიძლება დავუხატოთ).

გაცოცხლებული წიგნი

აღმზრდელი ბავშვებს აძლევს ფურცელს, რომელზედაც გამოსახულია ნახატები მცირე განსხვავებებით. ბავშვები ჭრიან ფურცელს, ამაგრებენ მას ერთ მხარეს სტეპლერით და სწრაფი მოძრაობით ქმნიან გაცოცხლებული სურათების ილუზიას. იხ. ნიმუში



ზოოტროპი

აღმზრდელი უჩვენებს ბავშვებს ზოოტროპს და უხსნის, როგორ იქმნებოდა ადრე ანიმაციური ფილმები.

ზოოტროპის მომზადება იწყება მრგვალი ფორმის მუყაოს ყუთის დამზადებით (ამ შემთხვევაში შესაძლებელია ტორტის მრგვალი ყუთის გამოყენება). მუყაოს ყუთის ცენტრში დამაგრდება მარმარილოს ბურთულა ან მსგავსი ნივთი - ზოოტროპი, რომელიც ზედაპირზე უნდა დაბზრიალდეს. ამის შემდეგ ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით უნდა გამოიჭრას შავი ფერის ქაღალდი, რომლის მასშტაბი ყუთის ზომის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს. ნიმუშის ზედა მხარეს მოცემული ნაცრისფერი ოთხკუთხედები ამოჭრილ ნაწილებს აღნიშნავს.

ნიმუშის ქვედა ნაწილზე იხატება ნახატები, რომლებიც ამოძრავდება ზოოტროპის დაბზრიალების დროს.



აქტივობის ჩასატარებლად შესაძლებელია ძალიან მარტივი ნახატების გამოყენებაც (იმ შემთხვევაში თუ ისინი გარკვეული „მოძრაობის“ ეფექტს შექმნიან).



როდესაც ზოოტროპი ბავშვების თვალის სიმაღლეზე დაბზრიალდება, გამოჭრილ ნაწილებში ბავშვები დაინახავენ ამოძრავებულ ნახატებს.

მოგვიანებით ბავშვები ზოოტროპისთვის დაამზადებენ სხვადასხვა „ფირს“. გამოცდილების შეძენასთან ერთად ბავშვები მეტ სიფრთხილეს იჩენენ და უფრო რთულ ნახატებს ქმნიან. ამის შემდეგ ბავშვები ირჩევენ ან თავად იგონებენ ზღაპარს, დაამზადებენ „ფირებს“ მისი ანიმაციის მიზნით და ზოოტროპში „გაუშვებენ“ მოვლენების თანამიმდევრობის შესაბამისად.

პროექტის კულმინაციას წარმოადგენს ბავშვების ნამუშევრების ფოტოგამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დამზადებული ანიმაციური ნამუშევრებიც. ფოტოგამოფენაზე მოიწვევენ ოჯახის წევრებსაც.თუ სასკოლო მზაობის ჯგუფში იქნება სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ბავშვებთან ერთად უყურონ კლასიკურ ანიმაციურ ფილმებს, როგორებიცაა: არკადი ხინთიბიძის „ჩხიკვთა ქორწილი“ (1957) და „წუნა და წრუწუნა“ (1961), აგრეთვე უოლტ დისნეის „ორთქლის გემი უილი“ (Steamboat Willie), „უოლასი და გრომიტი: მოუხერხებელი შარვალი“ (Wallace and Grommit: the wrong trousers), ან ნაწყვეტები 1940 წლის დისნეის ფილმიდან „ფანტაზია“ (Fantasia), რომელთა ნახვა შესაძლებელია youtube-ზე.

თემის ნიმუშები

ცნობილი ხელოვანები/მხატვრები - ბავშვები გაეცნობიან რომელიმე მხატვრის ნამუშევრებს, ყურადღებას გაამახვილებენ ფერებსა და თემებზე, შექმნიან ან „დაასრულებენ'' ნამუშევრებს კონკრეტული მხატვრის სტილში. შეგვიძლია აგრეთვე მხატვრების ნამუშევრებისგან ფაზლების შექმნა იმ მიზნით, რომ ბავშვებს მივცეთ მათი აწყობის შესაძლებლობა.

თუ აღმოვაჩენთ, რომ ბავშვებს უჭირთ ამის გაკეთება, შეგვიძლია გამოვიყენოთ შედარებით დიდი ფორმატის რეპროდუქციები ან იმგვარი ნამუშევრები, რომლებიც კონტრასტული ფერებითაა შესრულებული (მაგ., შეგვიძლია გამოვიყენოთ ხუან მიროს „განთიადი'' ან ვასილი კანდინსკის „ქუჩა მურნაუში“).

რა ხდება ხელოვნების მუზეუმში? - მუზეუმში ვიზიტისა თუ ფოტოების დათვალიერების შემდეგ აღმზრდელი და ბავშვები გამოფენენ ნამუშევრებს, რომელზედაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იმუშავეს, მოიწვევენ დამთვალიერებლებს, გაუწევენ მათ გიდობას/მეგზურობას და ა.შ.

ნამუშევარი ჩვენი ქალაქისთვის ან ბაღისთვის - ბავშვები გეგმავენ და ქმნიან დიდ ნამუშევარს. ეს შეიძლება იყოს ქანდაკებების შექმნა სხვადასხვა ტექნიკისა და მასალის გამოყენებით, აგრეთვე ბაღის ეზოში არსებული ხეების მორთვა სხვადასხვა ფერის ძაფებით, ქუჩის ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და სპეციალურად გამოყოფილი ადგილის გაფორმება.

რას აკეთებენ მხატვრები? - ეზოში სეირნობისას აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს დააკვირდნენ მათთვის საინტერესო ადგილს, ხეებს, სკამებს, სხვ. და ჩაიხატონ ისინი. იგი ბავშვებს გააცნობს „ღრუბლით'' ხატვის ტექნიკას, ასევე კოლაჟების, პასპარტუების (მუყაო ან მყარი ქაღალდი, რომელზედაც ვამაგრებთ ილუსტრაციას) და მოსაწვევი ბარათების შექმნის ტექნიკას, რასაც ბავშვები გამოიყენებენ მშობლების გამოფენაზე მოსაწვევად ან სხვა მიზნით.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

რაოდენობრივი წარმოდგენები და წიგნიერება – საკუთარი ხელით შექმნილი ილუსტრაციების გამოყენებით ბავშვები ამზადებენ ილუსტრირებულ წიგნებს რიცხვებსა და თვლაზე.

საშემსრულებლო ხელოვნება - ბავშვები ამზადებენ რეკვიზიტებს როლური თამაშებისა და წარმოდგენებისთვის; აღმზრდელი თითოეულ ბავშვს სთავაზობს სხვადასხვა ზომის ფუნჯებს ან ღრუბლებს, სხვადასხვა ფორმატის ფურცლებს და ნაირფერ საღებავებს. ამის შემდეგ იგი ბავშვებს მოასმენინებს სხვადასხვა ტემპის მუსიკას (ჩქარი, ნელი და საშუალო ტემპისას) და შესთავაზებს, რომ თითოეული ტემპის მუსიკა გამოხატონ ერთი რომელიმე ფერით, რომელიც, მათი აზრით, „უხდება'' ამ მუსიკას. სამუშაოს დასრულების შემდეგ შეიძლება ყველამ ერთად დაათვალიეროს შესრულებული ნამუშევრები იმის სანახავად, თუ როგორ გამოხატა სხვადასხვა ბავშვმა ჩქარი ან სხვა ტემპის მუსიკა. აღმზრდელები შეიძლება დაეხმარონ ბავშვებს იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ მუსიკის გამოხატვა არა მარტო ფერების, არამედ სხვადასხვაგვარი ხაზებისა და ფიგურების გამოყენებითაც.

ბუნება და ფიზიკური სამყარო - ბავშვები ამზადებენ სურათებს ფოთლის ანაბეჭდებით, ქმნიან კოლაჟებს ბუნებრივი მასალების გამოყენებით.

თავი 23. საშემსრულებლო ხელოვნება

საშემსრულებლო ხელოვნება - მუსიკა, ცეკვა და თეატრალური ხელოვნება ძალზე მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რადგან ის სთავაზობს მათ სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობის ხალისიან შესაძლებლობებს თამაშის გზით. ბავშვები მუსიკის, ცეკვისა და თეატრალური ხელოვნების საშუალებით ეზიარებიან კულტურულ მემკვიდრეობას.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკის, ცეკვისა თუ თეატრალური (სამსახიობო) ნიჭის მიხედვით ცალკეული ადამიანები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თითოეული ბავშვისთვის მნიშვნელოვანია იმღეროს, დაუკრას, მოუსმინოს, იმოძრაოს სხვადასხვა სტილის მუსიკის ფონზე და ჩაერთოს ისეთ აქტივობებში, რომლებიც საშუალებას მისცემს მოუსმინოს მუსიკას და განივითაროს რიტმის, დროის, ტონალობის, ტემპის, დინამიკისა და მელოდიის შეგრძნება. აღმზრდელები უნდა ფლობდნენ საბავშვო და ტრადიციული სიმღერებისა თუ ცეკვების ფართო რეპერტუარს, იცნობდნენ მრავალ საბავშვო ლექსსა და მოთხრობას, რომელთაც გამოიყენებენ საშემსრულებლო აქტივობების დროს. სასარგებლოა ასევე ბავშვების მიერ გამოგონილი სხვადასხვანაირი სიუჟეტის გათამაშება როლურ თამაშებში და წაკითხული ზღაპრების ინსცენირება.

საშემსრულებლო ხელოვნების სწავლების ძირითადი ამოცანები. საშემსრულებლო ხელოვნების სწავლებამ უნდა დააინტერესოს ბავშვები და შეაყვაროს მათ მუსიკა, ცეკვა და თეატრი; დაეხმაროს ბავშვებს იმაში, რომ სიამოვნება მიიღონ ამ გამოცდილებისგან, გაეცნონ და დააფასონ ქართული ტრადიციული და კლასიკური საბავშვო მუსიკა, ცეკვა და თეატრალური ხელოვნება. გასათვალისწინებელია შემდეგიც: ცნობილია, რომ მუსიკა გავლენას ახდენს სწავლისა და განვითარების სხვა სფეროებზე, როგორებიცაა, მაგ., მათემატიკა, მოძრაობის სიზუსტე და სხვა. იმისათვის, რომ თითოეულმა ბავშვმა მაქსიმალურად ისარგებლოს საშემსრულებლო ხელოვნების აღნიშნული პოტენციალით, აღმზრდელები იყენებენ ვიზუალურ მასალას, სურათებს ან სიმბოლოებს სიმღერის ტექსტის ან ცალკეული ლექსიკური ერთეულების საილუსტრაციოდ; ვიზუალურ მიმანიშნებლებს, მაგალითად, წითელ და მწვანე ბარათებს, რათა ბავშვებს მიანიშნონ მუსიკის ან დოლის რიტმის დაწყებასა და დამთავრებაზე. ბავშვების მხედველობის არეალში მყოფი აღმზრდელი ურტყამს დოლს რიტმის შესაქმნელად, უკრავს პიანინოს ან ჩამოკრავს გიტარის სიმებს (ცხადია, აღნიშნული ინსტრუმენტების არსებობის შემთხვევაში). შემდეგ იგი სთავაზობს ბავშვებს, რომ მათაც გააკეთონ იგივე და შეიგრძნონ ინსტრუმენტების ხმის ვიბრაცია. ასევე შესაძლებელია „ზღაპრის ყუთების“ დამზადება ნაცნობი ზღაპრებისათვის. ზღაპრის კითხვის დროს, მოვლენების განვითარების შესაბამისად, აღმზრდელი ყუთიდან ამოიღებს სხვადასხვა ნივთს, რომლებიც ტაქტილურ და ვიზუალურ მინიშნებებს იძლევიან წაკითხულ ტექსტზე და ქმნიან ზღაპრის გათამაშების შესაძლებლობას.

ბავშვის განვითარების სრულად ხელშეწყობისთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ სკოლამდელ ასაკში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თავად შემოქმედებითი პროცესი (მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება, ჩართულობა, სიამოვნების მიღება ამ შესრულებისგან), ვიდრე საბოლოო პროდუქტი (მაგ., გაზეპირებული ტექსტით რაიმე როლის შესრულება, ლექსის თქმა ან ცეკვა). წარმოდგენების/ზეიმების დროს მშობლები და აღმზრდელები ამაყობენ ბავშვების მიღწევებითა და შესაძლებლობებით. ბავშვებს, რომლებსაც აქვთ სურვილი და თავდაჯერებულობა, ზეიმებზე ეძლევათ თავიანთი ნიჭის გამოვლინების საშუალება, თუმცა ბევრი მშობელი და განათლების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ზეიმები შესაძლოა მეტად სტრესული იყოს ბავშვებისთვის არა მხოლოდ ზეიმის დღეს, არამედ მათი მომზადების პერიოდშიც. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია ზეიმებთან დაკავშირებული სტრესის შემცირებისთვის:

- ზეიმებისთვის მზადება ბავშვზე ორიენტირებული და სახალისო უნდა იყოს. ბავშვებს ეკითხებიან თავიანთი მოსაზრებების შესახებ, სთავაზობენ აქტივობების სხვადასხვა ვარიანტს და არჩევანის თავისუფლებას. ის ბავშვები, რომელთაც განსაკუთრებული ნიჭი, ცოდნა ან უნარები აქვთ, ეხმარებიან სხვა ბავშვებს. აღმზრდელები, რომლებიც ზეიმისთვის ამზადებენ პატარებს, ხელს უწყობენ ჯგუფის ერთობას, ბავშვებს შორის თანამშრომლობას, რაც ამცირებს შეჯიბრებითობის განცდას;

- ბავშვები ზეიმზე წარმოადგენენ იმ სიმღერებს, ცეკვებსა და სცენებს (ყველა ბავშვის მონაწილეობით), რომელთაც მთელი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და ბევრჯერ

აქვთ გამეორებული სიამოვნების მიღების მიზნით. მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები უზრუნველყოფენ ყველა ბავშვის ჩართულობას სხვადასხვა სახის აქტივობებში და წამოაყენებენ იდეებს, რათა ზეიმი იყოს სახალისო და საინტერესო როგორც ბავშვებისათვის, ისე მაყურებლებისათვის;

- წლის საბოლოო ზეიმზე აჩვენებენ მთელი წლის განმავლობაში გადაღებულ ვიდეოებს, რომლებზედაც ასახულია სიმღერის, ცეკვის, თამაშის, პროექტებზე მუშაობისა და სხვა საქმიანობების მიმდინარეობა ჯგუფში, თითოეულ ოჯახს შეიძლება გადაეცეს დისკზე ჩაწერილი ვიდეოები შინ წასაღებად. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა წინასწარ გადაამოწმონ ეს ვიდეომასალა და დარწმუნდნენ, რომ: ყველა ბავშვის საქმიანობა მეტნაკლებად თანაბრად არის წარმოდგენილი; ცალსახად არ არის გამოკვეთილი ჯგუფის რომელიმე წევრი; თითოეული ბავშვი წარმატებით მონაწილეობს მისთვის სახალისო აქტივობაში;

- ზეიმები, სადღესასწაულო წვეულებები შეიძლება მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც მშობლები ჩაერთვებიან, წარმოაჩენენ ბავშვების ნამუშევრებს, მიღწევებს და გაიმართება არაფორმალური წარმოდგენა. მშობლები დაათვალიერებენ ბავშვების ნამუშევრების გამოფენას, პატარები კი გაუძღვებიან მათ გამოფენაზე, როგორც „გიდები“. მე-18 თავში მოცემულია პროექტის ნიმუში (იხ. „წებოვანი ბრინჯი და გოგრის ნამცხვარი: რას ჭამენ ადამიანები და რატომ?“). ამ პროექტის კულმინაციაა *საოჯახო წვეულება* - მშობლები მოდიან ბაღში, დაესწრებიან სხვადასხვა აქტივობას და დააგემოვნებენ ბავშვების მიერ მომზადებულ სხვადასხვა ქვეყნების კერძებსაც. ბავშვები მშობლებს ასწავლიან ერთ-ერთი ქვეყნის სიმღერას, მეორე ქვეყნის ცეკვას. ასეთი წვეულებები შესანიშნავია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დღესასწაულებს აღვნიშნავთ. მშობლები, აღმზრდელები და ბავშვები იამაყებენ გამოფენილი მიღწევებით და უკლებლივ ყველა მონაწილეს სასიამოვნოდ დაამახსოვრდება ეს გამოცდილება.

საშემსრულებლო ხელოვნების ძირითადი საქმიანობები

ცეკვა და მოძრაობა

- **სხვადასხვა რიტმზე მოძრაობა** - მოძრაობა სხვადასხვა ინსტრუმენტულ მუსიკაზე (მაგ: კლასიკური, ხალხურიდა ა.შ.); ისეთი თამაშების თამაში, როგორიცაა, მაგ., „მუსიკალური ქანდაკებები“ (გვ. 152); კონტრასტულ სიმძლავრეზე დაკვირვება (მძიმე/ნაზი, ძლიერი/მსუბუქი) ისეთი მოძრაობებით, როგორებიცაა: ფეხის ღონივრად/სუსტად დაბაკუნება, ტაშის დაკვრა, „ბუმბულივით“ ნაზად მოძრაობა, რობოტივით ხისტი მოძრაობა;

- **მარტივ თანამიმდევრულ მოძრაობებში მონაწილეობა და სხვადასხვა ტიპის მუსიკაზე ცეკვა** - მარტივი (2-3-ნაბიჯიანი) მოძრაობების იმიტირება (მაგ: ფეხის სამჯერ დაბაკუნება, შემდეგ ტაშის სამჯერ შემოკვრა); მარტივი მოძრაობების თანამიმდევრობა-

ში ერთი მოძრაობის შეცვლა მისი გართულების მიზნით; ნაცნობი თამაშების თამაში და ცეკვა;

- **დამხმარე ნივთების (მინიშნებების) გამოყენება სივრცისა და მოძრაობების შესასწავლად** - ხალიჩებზე დახატული კვადრატების გამოყენება; საიზოლაციო ლენტით პირადი სივრცის შემოსაზღვრა, რათა შესაძლებელი იყოს „კვადრატში“ მოძრაობა სხვების შეუხებლად; ლენტების, ყელსახვევების, ნაჭრების გამოყენება ჰაერში სხვადასხვა მოძრაობის შესასრულებლად (ჰაერში დიდი და პატარა წრეების მოხაზვა, ზიგზაგის, სხვადასხვა ფორმისა და ფიგურის „შესრულება“);

- **ცეკვისა და მოძრაობის საშუალებით გრძნობების ან რაიმე შინაარსის გადმოცემა -** ემოციების გამოხატვა (მაგ: ფეხის ბაკუნი ან ტაშის დაკვრა სიხარულის ან გაბრაზების გამოსახატავად); სხვადასხვა ნივთის, ცხოველის ან პერსონაჟის სხვადასხვა მდგომარეობაში გამოსახვა (მაგ., მოძრაობა კუსავით, კატასავით, სპილოსავით, ბაყაყივით, დინოზავრივით, ძალიან შემცივნებული ადამიანივით, ქარში მოლივლივე ფოთოლივით, ჯადოსნური ელფივით, სარეცხი მანქანასავით); აქტივობის განვრცობისათვის საინტერესო ვარიაციების დამატება (მაგ., მოძრაობა ძალიან შემცივნებული დინოზავრივით, მოწყენილი სპილოსავით, ქარის მიერ ატაცებული შეშინებული ფოთოლივით);

- **მაყურებლის ჩვევების განვითარება წარმოდგენების ყურებით, სხვადასხვა ხელოვანის საქმიანობაზე დაკვირვებით** - სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებს მიღმა სხვადასხვა სახის წარმოდგენებზე დასწრება (ადგილობრივ თეატრში რეპეტიციაზე ან წარმოდგენაზე დასწრება; თოჯინების თეატრის მონახულება); მაყურებლისთვის შესაფერის ქცევაზე საუბარი, დაკვირვება და სათანადოდ მოქცევა: მაგალითად, აღმზრდელის ან სტუმრის ცეკვის პატივისცემით ყურება/მოსმენა; ინსტრუმენტზე დაკვრის ან სიმღერის შესრულების ყურება და მოსმენა.

მუსიკა

- **ბავშვების ვოკალური შესაძლებლობების ფარგლებში სხვადასხვა სიმღერის შესრულება დამოუკიდებლად და/ან სხვებთან ერთად** - მარტივი მელოდიების მქონე სიმღერების შესრულება. ეს შეიძლება იყოს: სიმღერები თითების თამაშით, ჯგუფური სიმღერა, იავნანა; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სიმღერები; სიმღერები, რომლებიც სრულდება სახალისო მოძრაობებთან ერთად; სიმღერები დღესასწაულების შესახებ; სიმღერები სხეულის სხვადასხვა ნაწილის (მაგ., თავის, მხრების, მუხლების, ხელების, სხვ.) რიტმული მოძრაობებით და ა.შ.

- **სხვადასხვა ინსტრუმენტული მუსიკის მოსმენა და სხვადასხვა მელოდიური და რიტმული ინსტრუმენტის აღმოჩენა -**სხვადასხვა ინსტრუმენტის მიერ წარმოქმნილი ბგერების აღმოჩენა, ხელნაკეთი ინსტრუმენტების შექმნა, მშობლებისა და სხვა სტუმრე-

ბის დაპატიჟება შექმნილი მუსიკალური ინსტრუმენტების საჩვენებლად.

- **ინსტრუმენტების დაკვრა, სხვადასხვა ტიპის ბგერის აჟღერება -**ბგერის სხვადასხვაგვარად აჟღერება (სწრაფად/ნელა; ხმამაღლა/ხმადაბლა); მარტივი მელოდიებისა და რიტმის გამეორება; რიტმული ჯოხების ან ხის კუბურების გამოყენებით მკვეთრი რიტმის მქონე მუსიკის აყოლა (მაგალითად, მარშირებისას ან სამბას ცეკვისას).

- **მუსიკალური ინსტრუმენტის გამოყენება თხრობის გასახალისებლად -** ზარის დარეკვა კარის ზარის ან მატარებლის საყვირის აღსანიშნავად, სხვ.

- **ხმების, მელოდიების ან სიმღერების მოსმენა, იმიტირება და იმპროვიზაცია** - გარემოში არსებული ბგერებისა და ხმების (მაგ., კარის ჭრაჭუნის, კარის ზარის, ქარის სტვენის) იმიტირება საკუთარი ხმით ან მუსიკალური ინსტრუმენტებით; პირადი გამოცდილების შესახებ სიმღერების შექმნა ან ნაცნობ მელოდიებზე ახალი სიტყვების მოფიქრება.

თეატრალური ხელოვნება

- **მთხრობელის მოსმენა და თოჯინების თეატრის ყურება** -მოწვეულ მთხრობელთა მოსმენა; თოჯინების თეატრის პერსონაჟებზე საუბარი (რა თქვა ან გააკეთა თითოეულმა მათგანმა); მოთხრობების, ზღაპრების მოსმენა პატარა და დიდ ჯგუფებში და ერთმანეთისთვის მოყოლა.

- **მოთხრობების/ზღაპრების გათამაშება კოსტიუმებისა და რეკვიზიტების გამოყენებით -**მოთხრობებისა და ხალხური ზღაპრების მოყოლა და გათამაშება (მათ შორის თოჯინების გამოყენებით); პერსონაჟების შექმნა მოთხრობებზე ან იმპროვიზაციაზე დაყრდნობით; როლების შესრულება თოჯინებით, დამხმარე ყუთებით, კოსტიუმებით; ნაცნობი სიმღერების, მოთხრობებისა და საბავშვო ლექსების გმირების გათამაშება (მაგ., სამი დათვის ზღაპრის, სამი გოჭის ზღაპრის გათამაშება და ა.შ.).

- **პერსონაჟების წარმოდგენა მოძრაობით, ჟესტიკულაციით, ბგერებით, მეტყველებითა და სახის გამომეტყველებით** - სხვადასხვა პერსონაჟის პანტომიმით წარმოდგენა სხეულის მოძრაობის, სახის გამომეტყველებისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით; თოჯინების გამოყენებით სხვადასხვა ხასიათის შექმნის მცდელობა (მაგ., თოჯინის სხვადასხვანაირად დაჭერა, სხვადასხვა მოძრაობისა და ხმის მოსინჯვა); დიალოგების გათამაშება ნაცნობი ზღაპრებიდან (მაგ., ზღაპრებიდან „ოქროს თევზი“, „მგელი და შვიდი პატარა თხა“, „წითელქუდა“ და ა.შ.) თოჯინებისა და დრამატული თამაშის გამოყენებით.

- **სიუჟეტების, დეკორაციებისა და რეკვიზიტების შექმნა დრამატული დადგმებისთვის და როლური თამაშებისთვის -** სხვა ბავშვებთან ერთად მოგონილ წარმოსახვით თამაშში ჩართვა (მაგ: როლების გადანაწილება); ნაცნობი ლექსების წყვილებში ან პატა-

რა ჯგუფებში განსახიერება; მარტივი თოჯინების გაკეთება ღილებით, ნაჭრებით, ქაღალდით, ქაღალდის თეფშებით, ძაფებით, ძაფის გორგოლაჭებით; ავეჯის განლაგება „სცენაზე“ მიზანსცენის შესაქმნელად (მაგ: სკამების განლაგება ავტობუსის წარმოსადგენად).

რესურსები

სხვადასხვა სახის მუსიკალური და რიტმული ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ჯოხები და საჩხარუნოები, სხვადასხვა სტილის მუსიკის ჩანაწერები (საბავშვო მუსიკის, ტრადიციული ქართული მუსიკის, კლასიკური მუსიკის); მრავალფეროვანი კოსტიუმები; შარფები, ლენტები, ზონრები და სხვადასხვანაირი ქუდები. სასურველია 10-12 წლის ასაკის ბავშვების ზომის ტანსაცმლის (პერანგების, პიჯაკების, კაბების, ქვედატანების) მომარაგება დრამატული თამაშებისთვის, რადგან ზრდასრულთა ტანსაცმელი მეტისმეტად დიდია ბავშვებისათვის.

საქმიანობები

აქტივობები

რომელი ჟღერს ერთნაირად?

აღმზრდელი მოიმარაგებს დაახლოებით 20 პატარა თუნუქის (კონსერვის) ქილას, რომლებსაც თავსახურები მოყვება. თითოეული მათგანი ერთმანეთის იდენტური უნდა იყოს და შიგთავსის დანახვის საშუალებას არ იძლეოდეს. ბავშვები ერთობლივად არჩევენ და აგროვებენ სხვადასხვა მასალას, რომელსაც ქილებში ჩაყრიან განსხვავებული ხმების გამოსაცემად (ამისთვის შეიძლება გამოიყენონ, მაგალითად, ქაღალდის სკრეპი, მცირე ზომის მონეტები, პატარა კენჭები, მძივები, ქვიშა და ა.შ.). ამის შემდეგ ისინი დააწყვილებენ ქილებს. ყოველ წყვილში ერთი და იმავე რაოდენობის ერთნაირი მასალაა ჩაყრილი, რომელიც განსხვავდება სხვა წყვილების შიგთავსისაგან (ოდენობითა და რაობით). ბავშვები ასევე უნდა შეეცადონ, რომ თითოეული ქილა დაახლოებით ერთნაირი წონისა იყოს - მსუბუქ ნივთებს უფრო მეტი რაოდენობით ჩაყრიან, ვიდრე მძიმე ნივთებს. მას შემდეგ, რაც ქილებს თავსახურებს დაახურავენ და ერთმანეთში აურევენ, ქილაში მოთავსებული მასალის ამოცნობა შესაძლებელია მხოლოდ ხმით, რომელსაც ქილა მსუბუქი შერყევისას გამოსცემს. ბავშვები იწყებენ 10 ქილით (5 წყვილი) და ყურადღებით უსმენენ ხმებს, რომლებსაც სხვადასხვა ქილა გამოსცემს, შემდეგ ხმის მიხედვით აწყვილებენ ქილებს. ქაღალდზე დახატული სქემა დაეხმარება ბავშვებს დაწყვილებული ქილების სწორად დალაგებაში. აღმზრდელი თანდათანობით ზრდის ქილების რაოდენობას, ამატებს ახალ წყვილებს (და შესაბამისად, ამატებს წრეებს დახატულ სქემაზე).



ერთი და იგივე ხმის მქონე ქილების დასაწყობი სქემა

მოცეკვავეები

თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ საბავშვო ბაღში მოცეკვავე (ან მოცეკვავეები), რომელიც ბავშვებისთვის წარმოადგენს ცეკვას/ცეკვებს. თუ ამის საშუალება არ გაქვთ, აჩვენეთ პატარებს რაიმე ტიპის ცეკვის ვიდეოჩანაწერი. ეს შეიძლება იყოს ბალეტი, სალსა, ხალხური ცეკვა, ვალსი და ა.შ. ამის შემდეგ ჩართეთ მუსიკა და ბავშვებს მიეცით თავისუფლება, რომ დამოუკიდებლად შეასრულონ საცეკვაო მოძრაობები, მოახდინონ იმპროვიზაცია უფროსების ჩარევისა და მითითებების გარეშე. პერიოდულად ბავშვებს შეგიძლიათ უჩვენოთ სხვადასხვა ცეკვა, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ იმსჯელონ, რომელია მათი საყვარელი ცეკვა და რატომ მოსწონთ ის ყველაზე მეტად.

აღმზრდელი გასაცნობად იყენებს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ცეკვებს. შესაბამისად, მას შეუძლია გაუძღვეს დისკუსიას სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე. ამას გარდა, აღმზრდელებს შეუძლიათ ისაუბრონ, თუ როგორ ასახავს ხალხური ცეკვა ქვეყნის კულტურასა და ბუნებას.

ცეკვები ყელსახვევებით, ლენტებითა და ფერადი მოსართავებით

ბავშვებს ადრეულ ასაკში უყვართ მოძრაობა, ცეკვა და თითქმის ყოველთვის აქტიურნი არიან. ეს ენერგია შეგვიძლია რიტმსა და მუსიკას დავუკავშიროთ და მოძრაობის დროს გამოვიყენოთ ყელსახვევები, ლენტები, მოსართავები. აღნიშნული მასალის ჰაერში ამოძრავება, ტრიალი და სხვადასხვა ფორმების მოხაზვა შემოქმედებითობას შესძენს ბავშვების მოძრაობებს და გაალამაზებს ცეკვებს. ბავშვები შეძლებენ საკუთარი ემოციების გამოხატვას. აღმზრდელი რთავს/უკრავს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას.

ბავშვების დახმარებისა და მათი შემოქმედებითი მოძრაობების წახალისების მიზნით, აქტივობის დასაწყისში აღმზრდელები მარტივ ინსტრუქციებს აძლევენ ბავშვებს:

- ყელსახვევი დაიჭირე ერთი კუთხით და დააქნიე;
- დაახვიე ბურთივით/ბურთის მსგავსად;
- დროშასავით აფრიალე;
- ფრანივით აფრინე;
- შეგიძლია პატარა თევზივით აცურაო?
- შეგიძლია შენი ყელსახვევი ჩიტივით ან ფრანივით აფრინო ცაში?
- შეგიძლია ბურთივით დააგორგოლავო და გუნდასავით ისროლო?
- შეგიძლია ყელსახვევი ნაზად, ფანტელივით გააფრიალო იატაკისკენ?

ზამთრით შთაგონებული მოძრაობის შესწავლა



ამ აქტივობისთვის ყველაზე შესაფერისი იქნება ცოცხალი მუსიკა, როგორიცაა ჩაიკოვსკის „მაკნატუნას სუიტა“ ან სხვა მსგავსი მელოდია.

ფიფქების დეკორაციები: სასურველია თითო ბავშვისთვის თითო ფიფქის გამოყენება. ფიფქის დამზადება მარტივად შეიძლება თეთრი (ბადისებრი) ნაჭრისგან, რომელიც ორი ზონრით გაიკვანძება შუაში. ამ მარტივი რეკვიზიტის გამოყენება ცეკვის დროს ძალიან გაახალისებს ბავშვებს. აქტივობის დასაწყებად აღმზრდელი ეუბნება ბავშვებს: „გინახავთ თუ არა ოდესმე ნაფეხურები, რომლებსაც ფეხსაცმლით ვტოვებთ ტალახზე ან თოვლზე? წარმოიდგინეთ, რომ ვიცვამთ ქურთუკებს, ვიხურავთ ქუდებს, ვიკეთებთ ხელთათმანებს და ყელსახვევებს. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ნაფეხურებს ვტოვებთ სეირნობის დროს. ეცადეთ ზუსტად გამოყვეთ ჩემს ნაბიჯებს, თითქოს ნაფეხურები იყოს“. ბავშვები მიჰყვებიან აღმზრდელს, რომელიც მათ სთავაზობს სხვადასხვა წარმოსახვით სიტუაციას შემოქმედებითი მოძრაობების გასაკეთებლად:

- წარმოიდგინეთ, ვითომ ტალახში ვართ. მე ღონივრად უნდა ავწიო ჩექმები ტალახიდან ამოსაღებად. თქვენ შეგიძლიათ ჩექმების ტალახიდან ამოღება?

- შეხედეთ, რამდენი გუბეა. მოდით, ჩავდგათ ფეხები ტალახში! შეხედეთ, როგორ ვაშხეფებთ ტალახს!

- რა სიცივეა, ყველა გუბე გაიყინა! მოდით, ვიციგურაოთ! შეგიძლიათ გასრიალდეთ წინ, უკან, ერთ ფეხზე? შეგიძლიათ შემოტრიალდეთ? რა ფიგურების გაკეთება შეგიძლიათ ყინულზე ციგურებით?

- ახლა თოვლში ვართ. შეგიძლიათ გასრიალდეთ?

- ახლა კი ღრმა თოვლში ვართ. შეგიძლიათ მაღლა აწიოთ ფეხები სიარულისას? აბა, ვნახოთ, რა ფიგურებს გავაკეთებთ თოვლში ჩექმებით.

- წარმოიდგინეთ, რომ ფინჯნის ფორმის ციგა გაქვთ. დასხედით და დაბზრიალდით. ახლა მეორე მხარეს. ახლა კი გორაკიდან ჩავსრიალდეთ!

- გადმოცვივდით ციგიდან, დაწექით და თოვლის ანგელოზების ფიგურები გააკეთეთ! კიდევ რომელი ფიგურების გაკეთება შეგიძლიათ თოვლში?

- ახლა კი ყველამ დავაგორგოლავოთ გუნდა, რომ თოვლის კაცი გავაკეთოთ. ერთ გუნდას ვდებთ მეორეზე. შეხედეთ ჩვენს გიგანტურ თოვლის ბაბუს! სახეზე რა გავუკეთოთ? ბედნიერი თოვლის ბაბუ იყოს?

- ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ყველანი თოვლის ადამიანები ვართ. როგორ გამოიყურებით? როგორია, იყო თოვლის გოგონა ან თოვლის ბიჭი?

- მზე გამოდის! რა მოგვივა, თუ მზე ძალიან დააჭერს? მართალია, -დავდნებით. ყველა დადნით ნელ-ნელა! წარმოიდგინეთ, რომ იატაკზე არსებულ წყლის გუბედ გადაიქეცით!

აღმზრდელი განამტკიცებს იდეებს მუსიკაზე ცეკვის საშუალებით: სახალისო იყო მოგზაურობა გარეთ თოვლში. მოდით, ეს თამაში ფიფქების ცეკვით დავასრულოთ. მე ყველას მოგცემთ თოვლის ფიფქებს და თქვენ შეგიძლიათ იცეკვოთ. სანამ იცეკვებთ, იფიქრეთ ყველაფერზე, რაზეც ვისაუბრეთ: ნაფეხურები ტალახსა და თოვლში, ციგურებითა და ციგით სრიალი, თოვლის ანგელოზები, თოვლის ბაბუს გაკეთება, თოვლის ადამიანად ყოფნა და გადნობა. ახლა მოგაწვდით ახალ იდეებსაც: ფიფქით ცეკვისას იფიქრეთ, როგორ ბზრიალებს ის ჰაერში, სანამ მიწაზე დაეცემა. ქარს ის სხვადასხვა მიმართულებით მიაქვს - მაღლა, დაბლა, გვერდებზე, აბზრიალებს და ატრიალებს. არსებობს დიდი, მძიმე ფიფქები და ბუმბულივით მსუბუქი ფიფქები, თქვენ რომელი ხართ? იცეკვეთ და განასახიარეთ ყველა ეს იდეა! (აღმზრდელი ბავშვებს დაურიგებს ფიფქებს და დაუკრავს შერჩეულ მუსიკას).

დასასრული: ამ აქტივობის დასასრულებლად აღმზრდელი ამბობს, რომ სამ თვლაზე ის გამოიწვევს ქარიშხალს ფიფქების მაღლა აყრით, ხოლო ბავშვებმა უნდა დაიჭირონ ფიფქები. აღმზრდელი ამას რამდენჯერმე იმეორებს და სთხოვს ბავშვებს, რომ ყველამ მიიღოს ფიფქის ფიგურა, ნელა დაეშვას მიწაზე და რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს ფიგურა.

დაამზადეთ ინსტრუმენტები საკუთარი ხელით

ბგერისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლის მიზნით აღმზრდელები შეიძლება ბავშვებს დაეხმარონ სხვადასხვა ინსტრუმენტის საკუთარი ხელით დამზადებაში. ეს აქტივობა, ერთი მხრივ, ბავშვებს დაეხმარება მუსიკისა და ბგერების სამყაროს შესწავლაში, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს აზროვნებისა და დაკვირვების უნარის განვითარებას, ხელისა და თვალის კოორდინაციას, პრობლემის გადაჭრის, რაოდენობრივი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ა.შ.

დასაწყისისთვის აღმზრდელმა შეიძლება ბავშვებს აჩვენოს წიგნი, რომელშიც მოცემულია მუსიკალური ინსტრუმენტების სურათები. მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს იშვიათი ინსტრუმენტებიც, რომელთაც ბავშვები ხშირად ვერ ხედავენ. აღმზრდელმა ბავშვებს უნდა მოასმენინოს ამ ინსტრუმენტების ჟღერადობაც.

სურათების დათვალიერების დროს ბავშვები მსჯელობენ/საუბრობენ ინსტრუმენტებზე: რომელ მათგანს იცნობენ და სად უნახავთ ის, თუ მოსწონთ მათი ბგერები და რას ახსენებს მათ ეს ბგერები. ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს მისცემს სხვადასხვა მასალას და ჰკითხავს, რომელი ინსტრუმენტების დამზადებას შეძლებენ ამ მასალისგან. ამ გზით იგი წაახალისებს ბავშვების აზროვნების უნარს, ვიდრე დეტალურ ინსტრუქციებს გააცნობს მათ.

სხვადასხვა მასალით დამოუკიდებელი ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს სხვადასხვა შესაძლო ვარიანტს ინსტრუმენტების შესაქმნელად. ბავშვები აირჩევენ სასურველ ინსტრუმენტს შეთავაზებული ვარიანტებიდან და შეეცდებიან მის დამზადებას სხვადასხვა მასალის გამოყენებით. მარცხნივ მოცემულ სურათებზე ნაჩვენებია, თუ რა ინსტრუმენტების გაკეთება შეუძლიათ ბავშვებს სხვადასხვა ადვილად ხელმისაწვდომი მასალისგან, რომელიც აღმზრდელებმა შეიძლება მშობლებისგანაც ითხოვონ.

მუსიკის დახატვა

აღმზრდელი ირჩევს ემოციურად დატვირთულ მელოდიას. კარგი არჩევანი იქნება ნაწყვეტები კ. სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალიდან“; ვ. ა. მოცარტის მენუეტები; ი.ს. ბახის მენუეტები; ს. ცინცაძის საკვარტეტო მინიატურები ქართულ ხალხურ მელოდიებზე (მაგ., „საჭიდაო“, ან „ლალე“); ნაწყვეტები ი. შტრაუსის ვალსებიდან.

ბავშვები უსმენენ მუსიკას. აღმზრდელი ეუბნება მათ: „მოუსმინეთ მუსიკას, განსაკუთრებით კი გრძნობებს, რომელსაც ის გადმოსცემს. რას გრძნობთ თქვენ ამ მუსიკის მოსმენის დროს?

თქვენი აზრით, რის შესახებ არის მუსიკა? დახატეთ ის, რაც გესმით“.

როდესაც მუსიკა დამთავრდება, აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, რომ კედელზე ფრთხილად დაკიდონ შესრულებული ნახატები და დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს (თუმცა ხატვის პროცესში შესაძლებელია ჩანაწერის რამდენჯერმე გამეორებაც; ეს ბავშვებს დაეხმარება მუსიკის უკეთ აღქმაში).

დასასრულ, ბავშვები სათითაოდ მიდიან გამოფენის კედელთან და საუბრობენ, მოეწონათ თუ არა მუსიკა, აღწერენ საკუთარ ნახატებს.

შექმენით საკუთარი თოჯინები თქვენი თოჯინების თეატრისთვის

ბავშვებს შეუძლიათ აირჩიონ საყვარელი ზღაპრის გმირები, სხვადასხვა მასალისგან დაამზადონ თოჯინები და გამოიყენონ ისინი ზღაპრების გათამაშების დროს. ზღაპრების გმირების თოჯინების დამზადება შესაძლებელია იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი მასალით, რომლის მოტანა მშობლებსაც შეიძლება ვთხოვოთ (ეს შეიძლება იყოს საწრუპი ჩხირები, ქაღალდის თეფშები, ძველი წინდები და ა.შ.). ეს აქტივობა ხელს შეუწყობს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას. კერძოდ, იგი განავითარებს: ნატიფ მოტორულ უნარებს (როდესაც ბავშვები იმუშავებენ სხვადასხვა მასალაზე), პრობლემის გადაჭრის უნარს (როდესაც ბავშვებს მოუწევთ იმის გადაწყვეტა, თუ როგორ გააკეთონ სხვადასხვა ნივთი), შემოქმედებით უნარს (როდესაც ბავშვები ფიქრობენ ამა თუ იმ თოჯინის იერსახეზე) და სხვ. აქტივობის საშემსრულებლო ნაწილი განავითარებს ბავშვების ენობრივ კომპეტენციას, აამაღლებს მათ თვითრწმენას და ხელს შეუწყობს პატარების ემოციურ ზრდას. ქვემოთ წარმოდგენილია ნიმუშები იმის საჩვენებლად, თუ რა თოჯინების შექმნა შეიძლება სხვადასხვა მასალისგან.

თოჯინური სპექტაკლის გათამაშებისთვის აღმზრდელს შეუძლია ბავშვებს დაეხმაროს თოჯინების თეატრის შექმნაში. თეატრის მოსაწყობად გამოსადეგია გრძელი ქსოვილი, რომელიც სპეციალურად გამოიჭრება ამ მიზნით. გამოჭრილი ქსოვილი დაიკიდება ერთ კუთხეში და დაემატება დეკორაციებიც. თეატრის დასამზადებლად შეიძლება ასევე მუყაოს ყუთის გამოყენება. ორივე შესაძლო ვარიანტის ნიმუშები ქვემოთ არის წარმოდგენილი:

ზღაპრის ქვები

ეს აქტივობა ხელს უწყობს წიგნიერების, მეტყველების, მოსმენის, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სტიმულს აძლევს გონებრივ ვარჯიშს. „ზღაპრის ქვების“ გამოყენებით ბავშვებს შეუძლიათ გახდნენ მთხრობელები. ამ აქტივობის ფარგლებში არ არსებობს არასწორი პასუხი. ბავშვები ქმნიან საკუთარ მოთხრობებს/ზღაპრებს ქვებზე დახატული ნახატების მიხედვით და მოუთხრობენ მათ თანატოლებს. ეს იქნება ბავშვების მიერ შექმნილი მინი წარმოდგენა, რომელიც აამაღლებს მათ თავდაჯერებულობას და ხელს შეუწყობს მეტყველების უნარის განვითარებას. ქვების მომზადება/მოხატვა აღმზრდელს შეუძლია დამოუკიდებლად ან ბავშვებთან ერთად (ცალკე აქტივობის სახით). ამის შემდეგ აღმზრდელი ქვებს თაროებზე შეინახავს და გამოიყენებს შემოქმედებითი თხრობის დროს. ქვების მოხატვისთვის უმჯობესია აკრილის საღებავების გამოყენება, თუმცა ღია ფერის ქვების მოხატვა შესაძლებელია გუაშის ან მუდმივი (პერმანენტული) მარკერების საშუალებითაც.

წესებიანი თამაშები

წესებიანი თამაში „რომელი ჟღერს ერთნაირად?“

ეს არის მეხსიერების თამაში - მემო, რომელშიც გამოიყენება აქტივობის „რომელი ჟღერს ერთნაირად“ მიმდინარეობის დროს დამზადებული ქილები (იხ. გვ. 145). ბავშვებმა უნდა იპოვონ ორი ქილა, რომლებიც ერთნაირ ხმას გამოსცემს. ამ შემთხვევაში ბავშვები გამოიყენებენ წინასწარ დახატულ სქემას, რომელზეც 16 ერთნაირი რგოლია დახატული. თამაშში გამოიყენება ქილების 8 წყვილი.



დახატული სქემა მეხსიერების თამაშისთვის (ხმის მემო)

მუსიკალური ქანდაკებები

აღმზრდელი უკრავს მუსიკას. ბავშვები იწყებენ თავისუფალი სტილის ცეკვას, მაგრამ როგორც კი მუსიკა გაჩერდება, ბავშვებიც უნდა გაჩერდნენ (გაქვავდნენ, გაიყინონ) ქანდაკების ფორმაში. ის, ვინც გაინძრევა, გადის თამაშიდან და ხდება „მსაჯი“. ბავშვებმა უნდა გააკონტროლონ საკუთარი თავი და მოძრაობები, ეს კი არც ისე ადვილია, რადგან ისინი ხალისობენ ცეკვის დროს და გამოხატავენ ემოციებს. თუ ყველა ბავშვი კარგად იცავს თამაშის წესებს, აღმზრდელი თავიდან იწყებს მუსიკის დაკვრას. თანდათანობით ბავშვების უმრავლესობა გავა თამაშიდან, საბოლოოდ კი გამოვლინდება გამარჯვებული ბავშვიც.

„კატები“ და „თაგვები“

ეს თამაში უმჯობესია ეზოში ან დიდ ღია სივრცეში ჩატარდეს. ბავშვების ჯგუფი ორად იყოფა - „კატებად“ და „თაგვებად“. კატები წვებიან ოთახის შუაში, მცირე წრეში (ან ეზოს შესაბამისი ნაწილში, თუკი მიწა მშრალია); თაგვები კი სხდებიან ოთახის კიდეებში (ან ეზოს გარშემო) განლაგებულ სკამებზე. „კატებს” ჩაეძინებათ, წინასწარ შერჩეულ ხალისიან მელოდიაზე „თაგვები” ფრთხილად ტოვებენ თავიანთ ადგილებს, რაც შეიძლება ჩუმად მიდიან „კატებთან” და ამოწმებენ, სძინავთ თუ არა მათ. ოთხზე მდგარი „თაგუნიები“ სინქრონულად მოძრაობენ წრეზე „კატების” გარშემო. უცებ მელოდია ჩერდება, „კატებს“ ეღვიძებათ და ცდილობენ „თაგვების“ დაჭერას, სანამ ისინი საკუთარ სკამებს მიაღწევენ („თაგუნიებმა“, უბრალოდ, უნდა მოასწრონ სკამის შეხება მანამდე, სანამ „კატა“ შეეხებათ). თუ „კატა“ დაიჭერს „თაგვს“, იგი „კატად“ გადაიქცევა. თამაში მთავრდება მაშინ, როდესაც ყველა „თაგვი“გადაიქცევა „კატად“.

თუკი „კატებისთვის“ მეტისმეტად ადვილია „თაგვების“ დაჭერა, მაშინ „თაგვები“ შეიძლება დარჩნენ წრეზე ერთ ადგილას (ყველაზე მოკლე მანძილზე საკუთარი სკამიდან), შეიძლება გაიზარდოს მანძილი სკამებსა და წრეს შორის ან გაიზარდოს მანძილი წრესა და „კატებს“ შორის. ასევე შეიძლება „თაგუნიებს“ მოვთხოვოთ, რომ მანამდე, სანამ მათ „კატა“ შეეხებათ, მოასწრონ სკამზე დაჯდომა (და არა მხოლოდ სკამის შეხება). თუ „კატებს“, პირიქით, ძალიან გაუჭირდე-

ბათ „თაგვების“ დაჭერა, შესაძლებელია წრესა და სკამებს შორის მანძილის შემცირება ან/და წრის დაპატარავება და შესაბამისად, მანძილის შემცირება „კატებსა” და წრეს შორის.

როლური თამაშები

ცირკი - აღმზრდელებს შეუძლიათ მოიმარაგონ სათანადო რეკვიზიტები, როგორებიცაა: სათამაშო მატარებლები, ცხოველები, პლედი - დიდი კარვის დასამზადებლად, ბურთები საჟონგლიორად, ჯამბაზის კოსტიუმები, ქუდები, ნიღბები, სარკე, კლოუნის ცხვირი, სახის მოსახატი ფანქრები და სარკეები. ბავშვებს შეუძლიათ თავად მოიხატონ სახეები ცირკის ცხოველებივით და ჯამბაზებივით.

კონცერტი - შეაგროვეთ ყველა მუსიკალური ინსტრუმენტი, მოამზადეთ მიკროფონი, მოიმარაგეთ გამოსაპრანჭი ტანსაცმელი. დეკორაციებისა და შემოქმედებითი შთაგონებისთვის შესაძლებელია დამზადდეს პლაკატები.

რაინდები და პრინცესები - საყოფაცხოვრებო ტექნიკის (მაგ., მაცივრის) შესაფუთი დიდი ყუთი თავისუფლად შეიძლება გადავაქციოთ ციხე-სიმაგრედ. მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე შემოღობილი შენობის ან, უბრალოდ, გამყოფი კედლის ფუნქციით. ბავშვები სიხარულით გააფორმებენ მას. წითელი ნაჭრით გადაფარებული სკამი შეიძლება ტახტის ფუნქციით გამოვიყენოთ. დეკორაციებისთვის გამოიყენება ლენტები; სამკაულები და კაბები - პრინცესებისთვის, ხოლო რაინდებისთვის - გვირგვინები, მოსასხამები, დიდი ფეხსაცმელები და ქუდები.

კინოთეატრი - გააფორმეთ დიდი ფორმატის მუყაო ისე, რომ კინოთეატრის ეკრანს დაემსგავსოს; მოიტანეთ ბატი-ბუტის ცარიელი ყუთები, რამდენიმე ჭიქა, კინოს ბილეთები (ბავშვების მიერ დამზადებული); გააფორმეთ სივრცე რამდენიმე ფილმის პლაკატით, სალაროს აპარატით, ფულით, კანფეტების ცარიელი ყუთებით ან ქაღალდებით, ჭიქებითა და ბატი-ბუტის მანქანით.

პროექტები

თეატრი

პროექტი დაიწყება თეატრზე მსჯელობით, რომელიც გამოავლენს ბავშვების ცოდნას თეატრის შესახებ. აღმზრდელი დასვამს შეკითხვებს: „რა ვიცით თეატრზე და რა გვინდა, რომ ვიცოდეთ?“ აღმზრდელი განიხილავს თეატრთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ეს საკითხებია:

- მსახიობები;
- სპექტაკლები;
- დეკორაციები და კოსტიუმები;
- თოჯინები.

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ აღმზრდელი ჩამოწერს ბავშვების მიერ დასმულ ყველა კითხვას თეატრის შესახებ და სთხოვს გამოთქვან მოსაზრებები, სად შეიძლება მოვიძიოთ პასუხები ამ კითხვებზე. ბავშვები გამოხატავენ თავიანთ აზრებს (შესაძლო ვარიანტები: წიგნები თეატრის შესახებ, ინტერნეტი, თეატრის მონახულება, შეკითხვების დასმა ადამიანებისთვის, რომლებიც თეატრში მუშაობენ, სხვ.). ინფორმაციის შეგროვების ყველა წყაროს ჩამოთვლის შემდეგ ბავშვები იწყებენ კვლევას. ისინი აღმზრდელთან ერთად ნახულობენ წიგნებსა და ილუსტრაციებს ბიბლიოთეკაში. იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო მზაობის ჯგუფში მოიპოვება კომპიუტერი და ინტერნეტი, აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ინტერნეტში მოიძიოებს ინფორმაციას თეატრის შესახებ. საუკეთესო და ყველაზე სახალისო გზა ნამდვილი თეატრის მონახულებაა, თუ ის ბაღის სიახლოვეს მდებარეობს (აღმზრდელი წინასწარ შეუთანხმდება ადმინისტრაციას თეატრის მონახულებაზე და გააცნობს ამ ვიზიტის მიზანსაც).

თეატრის მონახულებამდე ბავშვები მოამზადებენ შეკითხვებს, რომლებიც უნდა დაუსვან თეატრის თანამშრომლებს. კარგი იქნება, თუ ბავშვები მოინახულებენ როგორც დრამატულ, ისე თოჯინების თეატრს (თუ ეს უკანასკნელი ბაღის მახლობლად მდებარეობს), რათა ერთმანეთს შეუდარონ ისინი.

თეატრის შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით აღმზრდელს შეუძლია სტუმრად მოიწვიოს მსახიობი (ეს შეიძლება იყოს მშობელი, რომელიც პროფესიით მსახიობია). სტუმარი ბავშვებს გაესაუბრება მსახიობის პროფესიასა და თეატრში მუშაობაზე.

კვლევა-ძიების შემდეგ იწყება განხილვის ეტაპი, რომლის დროსაც ბავშვები მსჯელობენ, რა შეისწავლეს თეატრთან დაკავშირებით, ხატავენ იმას, რაც მათთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო.

პროექტის კულმინაციაა როლების გადანაწილება (რეჟისორი, ასისტენტი, ტექნიკური პერსონალი, მსახიობები) და სპექტაკლის დადგმა ბავშვების საყვარელ ზღაპარზე. ბავშვებს ასევე შეუძლიათ შექმნან აფიშა ამ ღონისძიებისთვის; დაპატიჟონ მშობლები და სხვა სტუმრები, რომლებიც პროექტის შექმნაში იღებდნენ მონაწილეობას (ცხადია, თუკი ბავშვებს ამის სურვილი ექნებათ).

ყველაფერი ქართული ხალხური ცეკვის შესახებ

პროექტი დაიწყება ქართულ ხალხურ ცეკვაზე მსჯელობით. აღმზრდელი საუბარს დაიწყებს ტრადიციული შეკითხვით: „რა ვიცით ამ ცეკვებზე და რა გვინდა, რომ ვიცოდეთ“. შეიქმნება კითხვების „ქსელი“, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ქართული ხალხური ცეკვების კოსტიუმები;
- მოცეკვავეების ყოველდღიური ცხოვრება;
- ქართული ხალხური ცეკვების საბავშვო დასები;
- ქართული ხალხური ცეკვების მასწავლებლები.

კარგი იქნება, თუ დაიგეგმება სტუმრობა რომელიმე საცეკვაო დასთან და ბავშვები შეძლებენ რეპეტიციაზე დასწრებას. აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, რომ დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები ქართულ ხალხურ ცეკვაზე. შეიძლება ბაღში სტუმრად მოიწვიონ მოცეკვავე, რომელიც გაუზიარებს ბავშვებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

პროექტის კულმინაცია იქნება ქართულ ხალხურ ცეკვებთან დაკავშირებული ნახატების გამოფენა (ავტორების სახელების მითითებით), მშობლების დაპატიჟება და ისტორიების მოყოლა მოცეკვავეებზე, კოსტიუმებზე. სურვილის შემთხვევაში ბავშვებს შეუძლიათ დადგან ერთი ან ორი ქართული ხალხური ცეკვა და წარმოადგინონ ღონისძიების შემაჯამებელი ნაწილის სახით.

თემის ნიმუშები

- მუსიკალური ინსტრუმენტები;
- სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ცეკვები;
- ცნობილი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების ბიოგრაფიები;
- ბალეტი;
- ცირკი.

საშემსრულებლო ხელოვნების დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

წიგნიერება - ბავშვები სწავლობენ წიგნების მნიშვნელობას, მათი მეშვეობით ინფორმაციის მოძიებას. ბავშვებს ეძლევათ საკუთარი სახელის დაწერისა და აბრების დამზადების შესაძლებლობა, რაც ავითარებს წიგნიერების სხვადასხვა უნარს. სხვა აქტივობები, როგორებიცაა „ზღაპრის ქვები“ ან „თოჯინების თეატრი”, ასევე უწყობს ხელს წიგნიერების განვითარებას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - ბავშვები ქმნიან ნახატებს საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა აქტივობის დროს, როგორებიცაა, მაგ., მუსიკის ხატვა, ქვებზე ზღაპრების ასახვა ნახატების სახით, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და თოჯინების შექმნა.

ბუნება და ფიზიკური სამყარო – ბავშვები იკვლევენ სამყაროს ბგერითი ექსპერიმენტებით და სწავლობენ, როგორ წარმოიქმნება ბგერა (აქტივობა „ბგერის გამოკვლევა“).

სოციალური და კულტურული სამყარო – ბავშვები ეცნობიან ქართულ ხალხურ ცეკვებს, კოსტიუმებსა და ცეკვების სახეობებს. თემებისა და სხვადასხვა აქტივობის საშუალებით ისინი ეცნობიან ასევე სხვადასხვა ქვეყნის მუსიკას, ეროვნულ სამოსსა და ტრადიციებს.

თავი 24. ჯანმრთელობა და ჰიგიენა

კვების პროცესის მსგავსად, ჰიგიენა და ჰიგინასთან დაკავშირებული რუტინული საქმიანობები ეხმარება ბავშვებს იყვნენ ჯანმრთელნი და განივითარონ ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ. ჰიგიენის წესების დაცვა აფერხებს დაავადებების გავრცელებას. შესაბამისად, ბაღში იკლებს ბავშვთა ავადობისა და გაცდენის მაჩვენებელი.

როცა ბავშვი ხელებს ხშირად და გულდასმით იბანს, ეს იცავს მას ავადმყოფობისგან, ჯგუფს კი - დაავადების გავრცელებისგან. ბავშვებმა განსაკუთრებით გულდასმით უნდა დაიბანონ ხელები კვებისა და კულინარიული აქტივობების დაწყების წინ და შემდგომ; საპირფარეშოს მოხმარების შემდეგ; ეზოში ყოფნის, ქვიშაში, საღებავებითა და წებოთი თამაშის, ცხოველებთან ურთიერთობის შემდეგ.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს მიეჩვიონ საკუთარ თავზე ზრუნვას და განივითარონ თავის მოვლის ჰიგიენური უნარ-ჩვევები, როგორებიცაა:

- ხელების სწორად დაბანა;
- ჭამის შემდეგ კბილების სწორად გამოხეხვა, კბილის ჯაგრისის მოვლა/გამოცვლა;
- ფრჩხილების მოვლა და ჰიგიენა;
- თმების დავარცხნა საჭიროების შემთხვევაში, სავარცხლის მოვლა;
- ცემინებისა და დახველების დროს პირზე ხელის მაჯისზედა ნაწილის (წინამხრის) ან ერთჯერადი ხელსახოცის მიფარება;
- ცხვირის მოხოცვა ხელსახოცის/ცხვირსახოცის საშუალებით და ნახმარი ერთჯერადი ხელსახოცის გადაგდება;
- სისუფთავის დაცვა კვების დროს და კვების დასრულების შემდეგ.

თავის მოვლის უნარების განვითარების პროცესი სახალისო უნდა იყოს ბავშვებისთვის. აღმზრდელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საუბრით ან სიტყვიერი მითითებების მიცემით, აუცილებელია ვიზუალური მასალის - ვიდეოჩანაწერების, სურათების ჩვენება, მუსიკალური აქტივობების ჩატარება აღნიშნული თემის შესახებ. შესაძლებელია რომელიმე ზღაპრის გმირმა ან ცხოველმა "გაუზიაროს ბავშვებს თავისი ცოდნა" ხელის დაბანის პროცესის შესახებ, შეგვიძლია "გავაცოცხლოთ" მიკროორგანიზმები, დავარქვათ მათ სახელები და შევქმნათ მათზე ისტორია/ამბავი.

ჰიგიენის წესების სწავლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში არსებობდეს ჰიგიენის დასაცავად საჭირო ნივთები. თმის მოვლა-დავარცხნის, სავარცხლის მოხმარების, კბილების მოვლისა და სხვა მსგავსი საკითხების გაცნობისას ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ ჩაიხედონ სარკეში, იქონიონ საკუთარი სავარცხელი კარადაში, კბილის ჯაგრისი და პასტა.

ჯანრმთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა გულისხმობს არა მარტო საკუთარი თავის მოვლასა და პირად ჰიგიენას, არამედ ჩვენ გარშემო არსებული ფიზიკური გარემოს (მაგალითად, ჩვენი სამუშაო ოთახის, ეზოს) მოვლასა და დაცვას.

სამუშაო ოთახის სისუფთავისთვის აუცილებელია ჯგუფში იყოს ნაგვისა, და ნარჩენი ქაღალდების ყუთები, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას უნდა დაიდგას. სასურველია ყუთებს ჰქონდეს ვიზუალური ნიშანი მათი დანიშნულების აღსანიშნავად და შესაძლებელი იყოს მათი მიტანა სხვადასხვა მაგიდასთან. ხატვის, გამოჭრის და/ან გაფერადების დროს მორჩენილი ქაღალდები მაშინვე უნდა მოთავსდეს ნარჩენების ყუთში, რათა მაგიდა ძალიან არ გადაიტვირთოს. აღნიშნული მასალა შესაძლებელია ჯგუფში დარჩეს ხელახლა გამოსაყენებლად ან გადაეცეს რომელიმე ორგანიზაციას მეორადი მოხმარებისთვის.

სასურველია სანაგვე ყუთი იყოს ბაღის ეზოშიც, რათა ბავშვებმა შეძლონ ეზოში თამაშის დროს სისუფთავის შენარჩუნება. აღმზრდელებმა შეიძლება წაახალისონ ბავშვების ჩართულობა ეზოს დალაგების პროცესში. კარგი იქნება, თუკი ბაღის ეზოში, მიმდებარე ტერიტორიაზე ან ახლომდებარე პარკში მოეწყობა პიკნიკი, რაც საკმაოდ სახალისო იქნება ბავშვებისთვის. პიკნიკის დროს აღმზრდელი, სხვა უნარების განვითარებასთან ერთად, ზრუნავს იმაზეც, რომ ბავშვებმა დაიცვან სისუფთავე და შეაგროვონ ნარჩენები.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაში და კვებისა თუ ფიზიკური აქტივობების დროს თავად ავლენენ შესაბამის ჩვევებს პირადი ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით. მაგ., კვების დროს აღმზრდელები სხედან და მიირთმევენ ბავშვებთან ერთად. ამ დროს ისინი ბავშვებს აძლევენ სისუფთავის შენარჩუნების მაგალითს: ხმარობენ ხელსახოცებს, დახველების ან დაცემინების შეთხვევაში პირზე იფარებენ ხელის მაჯისზედა ნაწილს (წინამხარს).

სასურველია, რომ კვების დროს პური პატარა ნაჭრებად დაიჭრას. ამგვარად პურსაც ნაკლებად დავანამცეცებთ და ბავშვსაც გავუადვილებთ პურის ნაჭრის ხელში დაჭერას. პურისთვის სასურველია ცალკე იყოს გამოყოფილი პატარა თეფშები, რათა ნამცეცები მაგიდაზე არ დაიყაროს. კვების დასრულების შემდეგ თეფშზე დატოვებულ ნარჩენებს ყველა ბავშვი ნარჩენების კონტეინერში ათავსებს, თეფშებსა და კოვზებს კი შესაბამის ადგილას აწყობს.

იმის გამო, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვებს ერთმანეთთან ძალიან ახლოს უწევთ თამაში, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია გადამდები დაავადებების პრევენცია, თუმცა ყველა

საჭირო ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ჯგუფში დაავადებების გავრცელება. ამის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ხელების სწორად და ხშირად დაბანვით, ასევე დახველებისა და დაცემინების ეტიკეტის დანერგვით.

აღმზრდელებმა სასწრაფოდ უნდა მიმართონ მშობლებს, თუკი ბავშვს შეატყობენ ავადმყოფობის რაიმე ნიშანს. ესენია: ცხელება/ტემპერატურის აწევა, გულისრევა, დიარეა (ფაღარათი), გამონაყარი, მისთ. ინფორმაცია ჯგუფში არსებული ინფექციური დაავადებების შესახებ აღმზრდელმა უნდა გამოაკრას მშობელთა დაფაზე ან გაუგზავნოს მშობლებს შეტყობინების ბარათები. აღმზრდელები გარკვეული პერიოდულობით ანიავებენ ოთახს, რათა ჯგუფში მუდამ სუფთა ჰაერი იყოს.

ბავშვებს აცვიათ კომფორტული ტანსაცმელი, რომელიც არ შეზღუდავს მათ მოძრაობას ფიზიკური აქტივობების დროს და ამასთანავე შეესაბამება ამინდსა და სეზონს. რადგან ბავშვები ეზოში თითქმის ყველანაირ ამინდში გადიან, საჭიროა ვიმუშაოთ მშობლებთან, რომ მათ უზრუნველყონ ბავშვები ზამთრის შესაბამისი ტანსაცმლით, განსაკუთრებით, რეზინის ჩექმებით, საწვიმრით, ზამთრის კომბინეზონით წვიმიანი და თოვლიანი ამინდისთვის. ყველას უნდა ჰქონდეს გამოსაცვლელი ყოველდღიური ტანსაცმელი იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ბავშვი დაისვრება ან დასველდება. სასურველია, რომ ჯგუფში იყოს ყუთი ზამთრის ზედმეტი ტანსაცმლისათვის, რომელშიც შენახული იქნება ხელთათმანები, ქუდები, თბილი წინდები და ფეხსაცმელები. ამის მეშვეობით ყველა ბავშვს ექნება ეზოში გასვლის საშუალება ზამთრის ნებისმიერ ამინდში. იმის გამო, რომ შესაძლოა ყველა ბავშვს არ ჰქონდეს ბაღში დამატებითი ტანსაცმლის დატოვების შესაძლებლობა, ან მშობელს დაუგვიანდეს ბავშვისთვის სუფთა ტანსაცმლის მიწოდება დასვრილი ტანსაცმლის სანაცვლოდ, რეკომენდებულია, რომ ჯგუფში ინახებოდეს ყუთი ტანსაცმლით, რომლის გამოყენება შეეძლება ნებისმიერ ბავშვს. აღმზრდელმა უნდა იზრუნოს ამ ტანსაცმლის სუფთად შენახვაზე.

ჯანსაღი ჰაერი და ჯანმრთელი ფილტვები

მოწევა სერიოზული საფრთხეა ბავშვებისათვის. სასკოლო მზაობის პროგრამის ტერიტორიაზე არავის აქვს მოწევის უფლება არც შენობის შიგნით და არც მის გარეთ (საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ, მუხლი 10). აღმზრდელებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, დაეხმარონ ბავშვებს, რომ გაიზარდონ ჯანმრთელნი. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სუფთა ჰაერის სუნთქვის საშუალება; აღმზრდელებმა ამასთანავე უნდა წაახალისონ ბავშვები, რომ არ მოწიონ, როცა გაიზრდებიან.

სასურველია, რომ აღმზრდელები და დაწესებულების მენეჯერები გაესაუბრონ მწეველ მშობლებს პასიური მოწევის საფრთხეებზე მოზარდი ორგანიზმისთვის. იმის მიუხედავად, აპირებენ თუ არა მოწევისთვის თავის დანებებას, მშობლები ვალდებულნი არიან (და თითქმის ყველას შეუძლია) დაიცვას საკუთარი შვილების ფილტვები. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი არაჯანსაღი ქცევა მაგალითის მიმცემია საკუთარი შვილებისათვის.

მნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ ვასწავლოთ ბავშვებს სიგარეტის მავნებლობის შესახებ, ისევე როგორც ვასწავლით არაჯანსაღი საკვების შესახებ იმისდა მიუხედავად, რომ მისი (არაჯანსაღი საკვების) ნახვა შეიძლება თითქმის ყველა მაღაზიასა და სახლში. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც პასიური მწეველები არიან, სხვებზე უფრო ხშირად ავადმყოფობენ. ბავშვებს ასევე უნდა ავუხსნათ, რომ სიგარეტი შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ადამიანს აიძულებს, მოწიოს სულ უფრო და უფრო მეტი, რის გამოც მწეველებს ძალიან უჭირთ სიგარეტის მოწევისთვის თავის დანებება.

ახსნის დროს არ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ მწეველები „ცუდი“ ადამიანები არიან, აქცენტი უნდა გადავიტანოთ სიგარეტზე, როგორც „ცუდ“ პროდუქტზე. ჩვენ არ უნდა წავახალისოთ ბავშვები და არ უნდა მოველოდეთ, რომ ისინი გააკრიტიკებენ თავიანთ მშობლებს სიგარეტის მოწევის გამო ან მოითხოვენ თავიანთ წილ სუფთა ჰაერს (ამაზე პასუხისმგებლები უფროსები არიან). ჩვენ წავახალისებთ ბავშვების მცდელობას, თავი აარიდონ სიგარეტის კვამლით სავსე ადგილას ყოფნას.

წამლები და საწამლავი: აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს, რომ სხვისი წამლის დალევა არ შეიძლება - ამან შეიძლება ზიანი მოგვაყენოს. არსებობს ისეთი წამლები, რომლებიც ავადმყოფობის დროს დაგვჭირდება გამოსაჯანმრთელებლად. აღმზრდელები ეუბნებიან ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ მიირთვან მხოლოდ ის საკვები და სასმელი, რომლებიც იციან, რომ უსაფრთხოა ან რომლებსაც მათი ახლობელი უფროსი მიაწვდის. ბავშვებმა იციან, რომ არსებობს ისეთი პროდუქცია, რომელიც შესაძლოა საკვებს ან სასმელს ჰგავდეს, მაგრამ მისი მიღება დაუშვებელია და ძალიან მავნებელი ადამიანებისთვის (მაგალითად, საწმენდი საშუალებები, მწერების საწინააღმდეგო საწამლავი და სხვა).

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური. მაწავლებლები ესაუბრებიან ბავშვებს ემოციებზე, ეხმარებიან მათ ემოციების ამოცნობაში და მათთან ერთად განიხილავენ, რა ახარებს, ამწუხრებს, აბრაზებს, სხვ. თითოეულ ბავშვს. ბავშვებს ხელს უწყობენ, რომ ილაპარაკონ გრძნობებზე, გააცნობიერონ, თუ როგორ გრძნობენ თავს და ჩაერთონ იმ აქტივობებში, რომლებიც აამაღლებს მათ გუნება-განწყობას. საკუთარი მდგომარეობის გამოსახატავად და ინტერპერსონალური და პერსონალური პრობლემების გადასაჭრელად ბავშვები ხშირად იყენებენ როლურ თამაშებს, ხელოვნების აქტივობებს, თოჯინებით თამაშსა და სხვა თამაშებს. აღმზრდელებმა უნდა შეძლონ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის სწორი მოდელირება გრძნობების აღიარებით, მათი სწორად გამოხატვით და იმ გზებზე მსჯელობით, რომლებიც ეხმარება ადამიანებს უკეთ იგრძნონ თავი.

ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის ასევე მნიშვნელოვანია სხვების მიმართ პოზიტიური, გულისხმიერი დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება (როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან). სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასკოლო მზაობის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგია - ჯგუფის ერთობის მშენებლობა (იხ. თავი 2. *ჯგუფის ერთობა*).

საქმიანობები

აქტივობა

ბაქტერიების გავრცელება და ხელის სისუფთავე

აღმზრდელი ბავშვებს უხსნის, თუ **რატომ**, **როდის** და **როგორ** უნდა დაიბანონ ხელები.

რატომ ვიბანთ ხელებს? მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ, რატომ ვიბანთ ხელებს - ხელის დაბანით ვიშორებთ ბაქტერიებს. ბაქტერიების დანახვა ჩვენთვის მიკროსკოპის გარეშე შეუძლებელია. ამ შემთხვევაში სასურველია აღმზრდელმა ბავშვებს აჩვენოს ვიდეომასალა ან სურათები, რომლებზედაც შესაძლებელი იქნება ბაქტერიების დანახვა.

ბავშვებს მარტივად უნდა მოვუყვეთ ბაქტერიების შესახებ: „ბაქტერიებს უყვართ ჭუჭყი. თუ ხელებს არ დავიბანთ, ბაქტერიები გამრავლდებიან და გაავრცელებენ დაავადებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავად გავხდებით, შეიძლება აგვტკივდეს მუცელი და რამდენიმე დღე ვეღარ ვითამაშოთ“. იმის ახსნა, თუ როგორ ვრცელდება ბაქტერიები, საკმაოდ რთულია, ამიტომ აღმზრდელმა შეიძლება გამოიყენოს საღებავი, რომელიც წყლით საკმაოდ ადვილად გადადის. იგი ხელზე წაისვამს საღებავს, შემდეგ “დააცემინებს” (პირზე ხელსაც მიიფარებს) და საღებავიანი ხელით შეეხება ოთახში არსებულ ნივთებს. აღმზრდელი ამ გზით აჩვენებს ბავშვებს, თუ როგორ ვრცელდება ბაქტერიები ხელის სხვადასხვა ნივთზე შეხებით. ამის შემდეგ აღმზრდელმა შეიძლება ბავშვებს სთხოვოს ოთახის დათვალიერება და ინფორმაციის შეგროვება იმ ნივთების შესახებ, რომლებზედაც „ბაქტერიებია“.

აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, დახედონ ხელებს და ამოიცნონ, სუფთა ხელები აქვთ თუ ჭუჭყიანი. შემდეგ უხსნის: „მართალია, ხელებს ზოგჯერ ჭუჭყი არ ეტყობა, მაგრამ მაინც უნდა დავიბანოთ, რადგან მოვიცილოთ სწორედ ის ბაქტერიები, რომელთაც ჩვენ ვერ ვხედავთ”.

როდის ვიბანთ ხელებს? მნიშვნელოვანია ბავშვებმა იცოდნენ, რომ ხელების ხშირი დაბანა გვეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. აღმზრდელმა ბავშვებს უნდა უთხრას ისიც, თუ როდის არის აუცილებელი ხელების დაბანა ან რომელი აქტივობების შემდეგ ჭუჭყიანდება ხელები ყველაზე მეტად და დასძინოს: „თუმცა, როგორც შევთანხმდით, ჭუჭყს ხელზე ზოგჯერ ვერც კი ვამჩნევთ, ისევე როგორც ბაქტერიებს”.

აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „თქვენი აზრით, რომელი აქტივობები გვიჭუჭყიანებს ყველაზე მეტად ხელებს?”

აღმზრდელი ბავშვებთან ერთად განიხილავს იმ აქტივობებს, რომლებსაც ბავშვები ასახელებენ და საუბრობს ყველა აქტივობაზე, რომელთა დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა. ესენია, კერძოდ: ეზოში თამაში, საპირფარეშოს მოხმარება, ცხოველებთან თამაში. ხელების დაბანა აუცილებელია ასევე კვებისა თუ კულინარული აქტივობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ.

აღნიშნული პროცესი უფრო სახალისო რომ გახდეს, აღმზრდელს შეუძლია ბავშვებს აჩვენოს ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ თამაშობენ ბავშვები ქვიშაში ან როგორ აფერადებენ საღებავებით. აღმზრდელმა უნდა განიხილოს ეს აქტივობები და გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ როგორ გვესვრება ასეთი თამაშების დროს ხელები. ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ ფრჩხილების ჰიგიენაზეც - ვაჩვენოთ ბავშვებს, რომ ქვიშაში თამაში არა მარტო ხელებს, არამედ ფრჩხილებსაც გვიჭუჭყიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფრჩხილები მოსაჭრელი გვაქვს. რაც უფრო კარგად გვექნება ფრჩხილები მოჭრილი, მით უფრო ნაკლები ჭუჭყი და ბაქტერიები დაგროვდება მათში.

როგორ ვიბანთ ხელებს? ერთი შეხედვით, ხელების დაბანა ძალიან მარტივი პროცედურაა, თუმცა იგი 10 პატარა ნაბიჯისგან შედგება. აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „რა გვჭირდება ხელის დასაბანად?" (საპონი, თბილი წყალი); "იცოდით, რომ თურმე ხელის დაბანის დროს ყველაზე მეტად ცერა თითი „გვეჩაგრება? აბა, შეხედეთ თქვენ გვერდზე მჯდომს და აუწიეთ ცერა თითი. სწორედ თქვენს ცერა თითს ხვდება ყველაზე ნაკლებად საპონი და წყალი. ხელების დაბანის დროს ასევე „გვეჩაგრება" ფრჩხილები, რადგან ხშირად ისინიც გაუსაპნავი გვრჩება".

ხელების დაბანას მომზადება სჭირდება. აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „როგორ ვემზადებით ხელების დასაბანად?" (თუ გრძელსახელოიანი პერანგი გვაცვია, სახელოებს ვიკეცავთ). ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს წარმოუდგენს "10 ნაბიჯს", რომლებიც უნდა „გადაიდგას" ხელების დასაბანად. სასურველია, რომ ამას მუსიკალური აქტივობის სახე მიეცეს - აღმზრდელს შეუძლია „10 ნაბიჯი" სიმღერად აქციოს და ხელის დაბანის პროცედურა ბავშვებთან ერთად გაითამაშოს სიმღერის თანხლებით.

1. დავისველოთ ორივე ხელი;
2. დავისხათ/წავისვათ საპონი;
3. გავუსვათ ხელისგულები ერთმანეთს;
4. ერთი ხელის თითები მეორე ხელის თითებს შორის მოვაქციოთ;
5. ერთი ხელის გულით გავსაპნოთ მეორე ხელი;
6. გავუსვათ ფრჩხილები ხელისგულებს;
7. გავისაპნოთ ცერა თითები;
8. გავისაპნოთ მაჯები;
9. მოვიცილოთ საპონი წყლით;
10. გავიმშრალოთ ხელები.

ხელების დაბანა, სულ მცირე, 20 წამის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს. აღმზრდელი ბავშვებს სთავაზობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოკლე სიმღერას (20-30-წამიანს), რომელიც ბავშვებს შეუძლიათ იღიღინონ ხელების დაბანის დროს.

15 ოქტობერი მსოფლიოში ხელების დაბანის დღედ არის აღიარებული. ამ დღის აღნიშვნა აღმზრდელმა შეიძლება დაუკავშიროს კონკრეტულ პროექტს. პროექტის ნიმუში იხილეთ 165-ე გვ-ზე (პროექტი: აქცია "სუფთა ხელები").

კბილების მოვლა და ჰიგიენა

ხელების დაბანის სწავლების სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ ჰიგიენის სხვა საკითხების, კერძოდ, კბილების მოვლისა და პირის ღრუს ჰიგიენის წესების გაცნობისას. მნიშვნელოვანია, რომ ამ თემის შეთავაზებისას ბავშვებს ბაღში ჰქონდეთ საკუთარი ჯაგრისი და კბილის პასტა. აღნიშნული თემის ფარგლებში აღმზრდელი ბავშვებს აწვდის ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:



- კბილების მნიშვნელობა - აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „რისთვის გვჭირდება კბილები?" (ჭამა, ლაპარაკი). სასურველია აღმზრდელმა ამ დროს ბავშვებს შესთავაზოს სტაფილოსა ან ვაშლის ნაჭრის მირთმევა (ბავშვები თავად გადაწყვეტენ, რომლის მირთმევა სურთ) და შემდეგ მათთან ერთად განიხილოს, რაში გვეხმარება ამ დროს კბილები. აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, გაიმეორონ შემდეგი სიტყვები: **ტოტი, თათი, დედა.** მათი წარმოთქმის შემდეგ კი სთხოვს, კიდევ ერთხელ გაიმეორონ იგივე სიტყვები ისე, რომ ენა კბილებს არ შეახონ. აღმზრდელიც ბავშვებთან ერთად იმეორებს აღნიშნულ სიტყვებს და ამბობს: „არც ისე ადვილი გამოდგა. თურმე კბილები გვეხმარება ზოგიერთი სიტყვის სწორად წარმოთქმაში".

- სასურველია აღმზრდელმა ბავშვები ასაუბროს კბილების მახასიათებლებზე: „როგორია კბილი, მაგარი თუ რბილი? ბასრი, წვეტიანი თავები აქვს თუ მომრგვალებული?", მისთ. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა ბავშვებს უჩვენოს კბილის მოდელი, რომელსაც ისინი დაათვალიერებენ და ხელით შეეხებიან.

- რადგან ბავშვები 5-7 წლის ასაკში ხშირად იცვლიან კბილებს, აღმზრდელმა მათ ამის შესახებაც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. იგი ბავშვებს სთხოვს, ჩაიხედონ სარკეში, დააკვირდნენ კბილებს და ნახონ, კბილი ხომ არ აკლიათ. შემდეგ ყველანი ერთად განიხილავენ, რატომ იცვლიან კბილებს (იმიტომ, რომ პატარების კბილები სუსტია და ბავშვებს დიდობაში აღარ გამოადგებათ). სასურველია, რომ აღმზრდელმა ბავშვებს აჩვენოს ბავშვისა და მოზრდილი ადამიანის კბილის მოდელი ან სურათი, რათა ბავშვებმა ერთმანეთს შეადარონ ისინი (ვისი კბილებია უფრო დიდი, ვის უფრო მეტი კბილები აქვს).

- *კბილების სისუფთავე და სიჯანსაღე* - აღმზრდელი ეკითხება ბავშვებს: „რას აკეთებთ იმისთვის, რომ სუფთად გამოიყურებოდეთ?“ (ვბანაობთ, ვიბანთ ხელებს, გვაცვია სუფთა ტანსაცმელი). აღმზრდელი ბავშვებთან ერთად განიხილავს პასუხებს. შემდეგი შეკითხვა: „როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი კბილები სუფთად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს?“ (გამოვიხეხოთ კბილები და მივირთვათ ჯანსაღი საკვები). აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს: „რა გვჭირდება კბილების გამოსახეხად?“ (ჯაგრისი და კბილის პასტა) და ამასთანავე უხსნის ბავშვებს: „კბილის პასტა მხოლოდ კბილის გამოსახეხად გამოიყენება და არა საჭმელად, ამიტომ როგორც კი კბილების გამოხეხვას დავამთავრებთ, პირი/პირის ღრუ მაშინვე უნდა გამოვირეცხოთ წყლით. კბილის პასტა ჯაგრისზე მხოლოდ ერთი ბეწო გვჭირდება“. აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს, როგორ უნდა მოვათავსოთ ჯაგრისზე კბილის პასტა და ბავშვებსაც აძლევს ამ აქტივობის შესრულების საშუალებას.

აღმზრდელი უჩვენებს ბავშვებს, როგორ დაიჭირონ ჯაგრისი სწორად ხელში, შემდეგ კბილის მოდელზე ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ უნდა ვამოძრაოთ ჯაგრისი კბილებზე ისე, რომ ყველა კბილი გასუფთავდეს.

დავიწყოთ, მაგალითად, ზედა ყბით. ჯაგრისი კბილზე ისე მოვათავსოთ, რომ ცოტათი ღრძილსაც ეხებოდეს. ვამოძრაოთ ჯაგრისი ზემოდან ქვემოთ, სამჯერ გავიმეოროთ ეს მოძრაობა ერთსა და იმავე ადგილას და გადავიდეთ შემდეგ კბილზე. გავასუფთაოთ ყველა ზედა კბილის წინა ნაწილი და შემდეგ ქვედა ყბაზე გადავინაცვლოთ. ჯაგრისი ვამოძრაოთ ქვემოდან ზემოთ, შემდეგ ორივე ყბის კბილების შიდა მხარეც გავასუფთაოთ, ბოლოს კი კბილებს საღეჭი მხარეც გავუწმინდოთ ჯაგრისის წინ და უკან მოძრაობით.

ჯაგრისით მოძრაობების განსახორციელებლად აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს ე.წ. ხელით-ხელზე ტექნიკა - ბავშვთან ერთად დაიჭიროს ჯაგრისი და მასთან ერთად აამოძრაოს იგი კბილის მოდელზე, შემდეგ კი ხელი გაუშვას და დააკვირდეს, აგრძელებს თუ არა ბავშვი სათანადო მოძრაობებს. აღნიშნული პროცესი უფრო სახალისო რომ გახდეს, შეიძლება გამოვიყენოთ კვერცხის ჩასადები კოლოფები, რათა ბავშვები ჯაგრისზე კბილის პასტის დადებაში გავავარჯიშოთ და კვერცხის ჩასადები კბილების მსგავსად გავახეხინოთ.

სასურველია, აღმზრდელმა ბავშვებს აჩვენოს მულტფილმი, ვიდეოჩანაწერი ან მუსიკალური კლიპი კბილების მოვლასა და ჰიგიენაზე.

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ საუზმის შემდეგ ყოველდღე გაიხეხონ კბილები (საწყის ეტაპზე ეს საქმიანობა უფროსის ზედამხედველობით უნდა შესრულდეს).

აღმზრდელი ბავშვებს ინფორმაციას აწვდის კბილის ჯაგრისის ჰიგიენაზეც, აჩვენებს სხვადასხვა ფერის ჯაგრისებს და ეკითხება, რა ფერისაა თითოეული მათგანი. ჯაგრისების სხვადასხვა ფერი გვეხმარება, რომ ადვილად დავიმახსოვროთ ჩვენი ჯაგრისი და არ აგვერიოს სხვის ჯაგრისში, რადგან ჯაგრისი „ჩვენი კბილების საკუთრებაა". აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს, როგორ უნდა მოვათავსოთ ჯაგრისი ჭიქაში (ტარით ქვემოთ, თავით ზემოთ).

კბილების მოვლასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, აღმზრდელი ბავშვებს აწვდის ინფორმაციას როგორც ჯანსაღი საკვების, ისე იმ საჭმლის/ სასმელის შესახებ, რომელიც კბილებს აზიანებს; აჩვენებს მათ სხვადასხვა კერძის/საკვები პროდუქტისა თუ სასმელის სურათებს და ბავშვებს სთხოვს, ცალ-ცალკე დააჯგუფონ მავნე და უხიფათო პროდუქტები/სასმელები (რომლებიც აზიანებს / არ აზიანებს კბილებს); შემდეგ განიხილავს აღნიშნულ აქტივობას ბავშვებთან ერთად.

კბილის ექიმი/სტომატოლოგი, როგორც ჩვენი „კბილების მეგობარი"- აღმზრდელი ბავშვებს აწვდის ინფორმაციას სტომატოლოგის პროფესიის შესახებ. სასურველია, ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ეწვიონ სტომატოლოგის კაბინეტს, დაათვალიერონ ის ნივთები, რომლებიც სტომატოლოგის სამუშაო კაბინეტში აწყვია, გაიგონ მათი დანიშნულების შესახებ, დასვან კითხვები, სურვილის შემთხვევაში კი მოსინჯონ სტომატოლოგის სკამი და გაესაუბრონ კბილის ექიმს; შემდეგ კი სასკოლო მზაობის ჯგუფში ისაუბრონ აღნიშნულ ვიზიტზე და ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები.

პროექტები

აქცია "სუფთა ხელები"

აღმზრდელი უყვება ბავშვებს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ ხელის დაბანის დღეს, შემდეგ კი შესთავაზებს, რომ თავადაც შეუერთდნენ ამ დღესასწაულს.

აღმზრდელის დახმარებით ბავშვები თავად გეგმავენ აქციას და მსჯელობენ იმის შესახებ, თუ:

- სად გამართონ აქცია - ჯგუფის ოთახში, დარბაზში თუ ეზოში?
- რა მასალა დასჭირდებათ?
- როგორ მოაწყონ სივრცე?
- ვინ დაპატიჟონ?

აქციის მოსამზადებელი აქტივობების ნიმუში:

- „ფერადი ხელებისა და ბაქტერიების დამზადება" - ბავშვები ფერად ქაღალდებზე ხატავენ და გამოჭრიან ხელების გამოსახულებებს, შემდეგ ხატავენ ბაქტერიებს ან ამზადებენ ბაქტერიების მსგავს ფიგურებს ფერადი ქაღალდებისა და წებოს გამოყენებით.

- პლაკატების მომზადება - ბავშვები ჟურნალ-გაზეთებიდან ჭრიან ხელის სისუფთავისთვის საჭირო ნივთების ფოტოებს (საპნის სახეობები, ონკანი, წყალი, ნიჟარა, სხვ.) და აკრავენ დიდ ფურცელზე.

- ბუკლეტების დამზადება - ბავშვები თაბახის ფურცელს ყოფენ ორ ან სამ ნაწილად და ზედ დააკრავენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომლის ცოდნაც აუცილებელია ხელების სისუფთავის დასაცავად.

- ვიდეოს მომზადება - ბავშვები ერთმანეთს უღებენ ვიდეოს ხელის დაბანის პროცესში და ასახავენ ხელის დაბანის ყველა საფეხურს.

- მოსაწვევების დამზადება - ბავშვები ამზადებენ მოსაწვევებს აქციისთვის და ურიგებენ თავის ახლობლებსა თუ ბაღის თანამშრომლებს.

- ოთახის მომზადება აქციის მოსაწყობად- პლაკატების გაკვრა, თოკების გაბმა და მათზე ქაღალდისგან გამოჭრილი ხელების გამოსახულებების დაკიდება, ბავშვების მიერ გადაღებული ვიდეოების გაშვება კომპიუტერში ან პროექტორში.

- აქციის მიმდინარეობა - აქციაზე მოსულ დამსწრე საზოგადოებას ბავშვები ურიგებენ ბუკლეტებს და აცნობენ ხელის სისუფთავის მნიშვნელობას. ბავშვებს სტუმრები მიჰყავთ კომპიუტერთან და სთავაზობენ მომზადებული ვიდეოს ნახვას. ბავშვებსა და აღმზრდელებს ხელის დაბანის თემატიკაზე შეუძლიათ მოამზადონ სიმღერა (რიტმული მოძრაობების თანხლებით), რომლითაც დაასრულებენ აქციას და სთხოვენ დამსწრე საზოგადოებას, ჩაერთონ ამ მუსიკალურ აქტივობაში.

„ჰიგიენის სახელმძღვანელო"

აღმზრდელის დახმარებით ბავშვები ამზადებენ წიგნს ჰიგიენაზე. ისინი ერთად განიხილავენ, რა ინფორმაცია უნდა შეიტანონ წიგნში, როგორ დაასურათონ, სად მოიძიონ საჭირო ფოტოები და ა.შ. გეგმის შემუშავების შემდეგ ბავშვები აგროვებენ და ამზადებენ მასალას.

მომზადებული მასალა აიკინძება წიგნად (შესაძლებელია სტეპლერის გამოყენება ან ლენტით აკინძვა). წიგნის დასრულების შემდგომ ჯგუფი აწყობს წიგნის პრეზენტაციას.

როლური თამაში

სატელევიზიო შოუ „ჰიგიენა”

აღმზრდელი ბავშვებს სთავაზობს „სატელევიზიო გადაცემის” მომზადებას ჰიგიენის თემატიკაზე. მან შეიძლება ბავშვებს უჩვენოს რომელიმე სატელევიზიო შოუს ნაწყვეტი. ჩვენების შემდეგ კი, ნანახის გათვალისწინებით, უნდა მოეწყოს ერთობლივი განხილვა იმის თაობაზე, თუ რა ესაჭიროება ჯგუფს სატელევიზიო შოუს მოსაწყობად. ბავშვებმა უნდა გადაინაწილონ შემდეგი როლები: შოუს დამდგმელი რეჟისორი, ოპერატორი, შოუს დიზაინერი, დამსწრე აუდიტორია, წამყვანი, სტუმრები - ჰიგიენის სპეციალისტი, სტომატოლოგი, სტომატოლოგიური კაბინეტის ხშირი სტუმრები - „დათა” და „ქეთი”.

„წამყვანი” და „რეჟისორი” ერთად ამზადებენ კითხვებს მოწვეული სტუმრებისთვის, „დიზაინერი” შოუსთვის ადგილს აწესრიგებს - ალაგებს სკამებს, ცალკე ადგილს გამოყოფს წამყვანისთვის და სტუმრებისთვის, ამზადებს მიკროფონებს, რომლებსაც წამყვანსა და სტუმრებს მაისურზე დაუმაგრებს (დასამაგრებელი მიკროფონებისთვის შესაძლებელია სარეცხის სამაგრების გამოყენება). ყველა თავის ადგილს იკავებს და შოუც იწყება. აღმზრდელი ფასილიტაციას უწევს აღნიშნულ პროცესს და ეხმარება ბავშვებს საჭიროებისამებრ. ბავშვების გარდა, მაყურებელთა შორის შეიძლება იყვნენ ბაღის სხვა თანამშრომლებიც. რადგან შოუს ბევრი სტუმარი ეყოლება, აღნიშული აქტივობა შეიძლება რამდენიმე დღეც კი გაგრძელდეს.

„სტომატოლოგი”

ბავშვები აწყობენ სტომატოლოგიურ კაბინეტს, ინაწილებენ „სტომატოლოგის”, „თანაშემწის”, „პაციენტების” როლებს. თამაშის პროცესში შესაძლებელია როლების გაცვლა, რათა ყველა ბავშვს მიეცეს თამაშის შესაძლებლობა მათი სურვილის გათვალისწინებით.

წესებიანი თამაში

„გამოცნობანა“

აღმზრდელი ბავშვებს ორ ჯგუფად ყოფს, პატარა ტომარაში ათავსებს სურათებს, რომლებზედაც გამოსახულია ჰიგიენასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობა. თითოეული ჯგუფის წევრს ეძლევა საშუალება, ამოიღოს ერთი ბარათი ტომრიდან და სიტყვების გარეშე, მოძრაობებით აუხსნას საკუთარი გუნდის წევრებს ის აქტივობა, რომელიც ბარათზეა გამოსახული. აქტივობის გამოცნობის შემთხვევაში ჯგუფი ერთ „ღიმილს” მიიღებს, წარუმატებლობის შემთხვევაში კი მეორე ჯგუფს ეძლევა გამოცნობის საშუალება. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ბარათები არ გათავდება. იმარჯვებს ის გუნდი რომელიც მეტ „ღიმილს” აგროვებს, თუკი ორივე გუნდი თანაბარი რაოდენობით დააგროვებს „ღიმილებს”, გამარჯვებულად ჩაითვლება ორივე მათგანი.

შესალებელია ტომარაში მოვათავსოთ სხვადასხვა საკვების ფოტოები და გუნდებს მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ გამოიცნონ, რომელი საკვებია კბილების „მეგობარი", რომელი - „მტერი".

თემის ნიმუშები

- ვემზადებით ბაღში წასასვლელად (დილის პირადი ჰიგიენა);
- ვემზადებით დასაძინებლად (პირადი ჰიგიენა ძილის წინ)
- როგორ მზადდება საპონი?
- როგორ მოვუაროთ თმას?
- როგორ მოვუაროთ ტანსაცმელს?

ჯანმრთელობისა და ჰიგიენის საკითხების დაკავშირება სხვა თემატურ მიმართულებებთან

რაოდენობრივი წარმოდგენები – ჰიგიენასთან დაკავშირებული აქტივობები ხელს უწყობს რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას. კერძოდ, მათ რიცხვს მიეკუთვნება: თხევადი საპნის, კბილის პასტის რაოდენობის განსაზღვრა (ცოტა/ბევრი); ხელების დაბანის პროცესში „10 ნაბიჯის" შესრულება; პროექტ „სუფთა ხელების" განხორციელებისას მოსამზადებელი მასალის რაოდენობის, ზომის, ფორმის განსაზღვრა და დამზადება და ა.შ.

ბუნება და ფიზიკური სამყარო – ეზოს მოვლისა და გაფრთხილების პროცესში ბავშვები ახლოს ეცნობიან ბუნებას; პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული აქტივობების დროს კი ეცნობიან ბაქტერიების გავრცელების გზებს.

სოციალური და კულტურული სამყარო - ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობისას ბავშვებს უვითარდებათ პირადი ჰიგიენის დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობა, გამოუმუშავდებათ ჯანსაღი ცხოვრების უნარები. ჰიგიენის დაცვის უნარ-ჩვევები მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებაში ფუნქციონირებისა და სოციალური ურთერთობების ჩამოყალიბების პროცესში.

მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება - ჰიგიენასთან დაკავშირებული აქტივობების გაცნობისას აღმზრდელები იყენებენ ვიზუალურ მასალას, განიხილავენ ვიდეოჩანაწერებს; უკითხავენ ბავშვებს ზღაპრებს, რაც მათ ეხმარება მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების უნარების განვითარებაში. როლური თამაში „სატელევიზიო შოუ" და პროექტი „ჰიგიენის სახელმძღვანელო" ხელს უწყობს წიგნიერების სხვადასხვა უნარის განვითარების.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – ჰიგიენის დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობების პროცესში ბავშვები ხატავენ, აფერადებენ, ჭრიან, აკეთებენ აპლიკაციებსა და მოდელებს, რაც აქტიურად უწყობს ხელს სახვითი ხელოვნების უნარების განვითარებას.

ნაწილი V: დაგეგმვა და შეფასება: პროცესის შემადგენელი ელემენტები

თავი 25. დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება: არაფორმალური შეფასება

სასკოლო მზაობის პროგრამისთვის კარგად გააზრებული და შინაარსიანი გეგმების შესამუშავებლად საჭიროა მუდმივი დაკვირვება ბავშვების საქმიანობასა და განვითარებაზე, ჩანაწერებისა და არაფორმალური შეფასების წარმოება. ეს პროცესი ეხმარება აღმზრდელს, რომ უკეთ გაიცნოს ბავშვები და რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს მათი ინდივიდუალური ძლიერი მხარეები, ინტერესები და საჭიროებები. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღმზრდელი მოარგებს თემებსა და საქმიანობებს ბავშვების კონკრეტულ ჯგუფს. ყურადღებიანი და ობიექტური დაკვირვება აღმზრდელს ასევე დაეხმარება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების გამოვლენაში, რომლებიც უნდა გადამისამართდნენ ფორმალური დიაგნოსტიკური შეფასებისთვის. გარდა ამისა, დაკვირვების შედეგად შეგროვებული ინფორმაცია ეხმარება აღმზრდელს შეაფასოს საკუთარი სწავლების მეთოდების ეფექტურობა და შეიტანოს საჭირო ცვლილებები სწავლების სტრატეგიასა და შინაარსში. დაბოლოს, ეს პროცესი ოჯახის წევრებს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის საფუძველზე ისინი უფრო ეფექტურ მხარდაჭერას აღმოუჩენენ ბავშვს.

ადრეულ ასაკში ბავშვებზე დაკვირვება და შეფასება რთულია მათი სწრაფად ცვალებადი, ძნელად პროგნოზირებადი და არათანაბარი განვითარების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების განვითარების ეტაპების თანამიმდევრობა იშვიათად განსხვავდება ერთმანეთისგან, თითოეულ ბავშვს აქვს განვითარების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტემპი და სტილი. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ბევრი ბავშვი განსხვავებულად იქცევა სახლში და სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფში. აქედან გამომდინარე, ამ ორი გარემოდან მხოლოდ ერთში წარმოებული დაკვირვება შეიძლება არაზუსტი იყოს. ადრეულ ასაკში ბავშვების თანამიმდევრული და ობიექტური შეფასება მოითხოვს ყურადღებით დაკვირვებას გარკვეული დროის განმავლობაში, განსხვავებულ სიტუაციებსა და გარემოებებში. ბავშვების შეფასების მიზანია მათი კარგად გაცნობა, რათა აღმზრდელმა შეძლოს ისეთი საქმიანობების დაგეგმვა, რომლებიც ბავშვებისთვის რაც შეიძლება უფრო სახალისო და შემეცნებითი იქნება.

ბავშვებზე დაკვირვება

დაკვირვება არის ობიექტური დამკვირვებლის მხრიდან თვალყურის დევნება ბავშვების ქცევასა და საუბარზე. ბავშვის შესახებ ყოველთვის შეიძლება ახლის გაგება, მათ შორის, იმ ბავშვებზეც, რომლებსაც აღმზრდელი კარგად იცნობს.

ბავშვებზე დაკვირვების უნარი დროთა განმავლობაში ვითარდება და პრაქტიკას მოითხოვს. პირველი ნაბიჯის სახით, აღმზრდელმა ყოველდღიურ ჩვევად უნდა აქციოს დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება, რაც შესწავლის პროცესის ნაწილად იქცევა. იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია ყველაფრის ჩაწერა, რასაც აღმზრდელი ხედავს და/ან ესმის, მან თავად უნდა გადაწყვიტოს, რა ტიპის ინფორმაციაა განსაკუთრებით სასარგებლო იმის გასაგებად, თუ როგორ აზროვნებენ ბავშვები, როგორ გამოხატავენ საჭიროებებსა და გრძნობებს, როგორი დამოკიდებულება აქვთ სხვების მიმართ და როგორ აღიქვამენ სამყაროს.

აღმზრდელი აკვირდება და ინიშნავს ინფორმაციას ყველა ბავშვის შესახებ, თუმცა ზოგ ბავშვს, მაგალითად, მათ, ვისაც გამორჩეული პიროვნული თვისებები ან განსაკუთრებული ძლიერი მხარეები აქვთ, ის უფრო ხშირად აკვირდება და იწერს მათზე ინფორმაციას. დაკვირვება უმეტესწილად წარმოებს დღის განმავლობაში ბუნებრივად მიმდინარე საქმიანობების დროს - როცა აღმზრდელი მუშაობს ბავშვებთან, როცა ბავშვები დამოუკიდებლად თამაშობენ ან ჩართული არიან რაიმე აქტივობაში. აღმზრდელი ხელით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იწერს, რას აკეთებენ ან ამბობენ ბავშვები სხვადასხვა აქტივობის დროს, იმავდროულად კი სიღრმისეულად ფიქრობს მიმდინარე პროცესის მნიშვნელობის შესახებ.

აღმზრდელი დაკვირვების პროცესს წარმართავს *სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტზე* დაყრდნობით. აღმზრდელმა შეიძლება გამოყოს დაკვირვებადი შედეგები და ამის შემდეგ ობიექტურად აღწეროს ბავშვების უნარები, ცოდნა და ქცევები ამ შედეგებთან მიმართებაში.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა აღმზრდელი სპონტანურ სიტუაციაში ბავშვს ამჩნევს იმ ტიპის ქცევას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება 5-6 წლის ასაკის ბავშვის სწავლისა და განვითარების შედეგებს. ხშირად ეს სპონტანურად ხდება და ვლინდება მაშინ, როცა აღმზრდელი დაკვირვებას აწარმოებს სხვა მიზნებისთვის. მაგალითად, ეზოში ყოფნისას აღმზრდელი ხედავს სამ ბავშვს, რომლებიც ღობესთან თამაშობენ ბურთით. ბურთი სადღაც ვარდება და ბავშვები იწყებენ მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მისი გამოტანა. ამ მიზნით ისინი რამდენიმე სტრატეგიას იყენებენ, ბოლოს პოულობენ ჯოხს, რომელიც საკმარისად გრძელია იმისათვის, რომ მისწვდეს ბურთს, საკმარისად წვრილია იმისთვის, რომ ღობის ქვეშ გაეტიოს და საკმარისად მყარია იმისთვის, რომ ბურთი დაძრას. ბავშვები მოგრეხენ ჯოხის ბოლოს და ამგვარად აკეთებენ ერთგვარ კაუჭს, რომელსაც გამოსდებენ ბურთს. ამ სიტუაციაში სამივე ბავშვმა გამოავლინა პრობლემის გადაჭრისათვის რამდენიმე გზის პოვნის უნარი (სფერო - სწავლისადმი მიდგომა; ქვესფერო - სასწავლო და სააზროვნო უნარები; მიმართულება - პრობლემის გადაჭრა), ასევე გამოავლინა სოციალური კომუნიკაციის ნორმების ცოდნა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიალოგსა და დისკუსიაში ჩართვის უნარი (სფერო - მეტყველება, კომუნიკაცია, წიგნიერება; ქვესფერო - კომუნიკაცია; მიმართულება - საუბარი და კომუნიკაცია). იმისათვის, რომ აღმზრდელს არ გამორჩეს მსგავსი ინფორმაცია, ყოველთვის ხელთ უნდა ჰქონდეს დაკვირვების დღიური ან ჩამწერი მოწყობილობა.

სპონტანური დაკვირვების გარდა, აღმზრდელმა დასაკვირვებლად შეიძლება გამოყოს რეგულარული დრო. რეგულარული დაკვირვება გულისხმობს სისტემატურ დაკვირვებას ერთ ან მეტ ბავშვზე და იმის ჩაწერას, რასაც აღმზრდელი ხედავს და ესმის. მსგავსი მიდგომა აღმზრდელს აძლევს იმის საშუალებას, რომ შეჩერდეს და შეამჩნიოს ის, რასაც სხვაგვარად ვერ შეამჩნევდა. მან შეიძლება თვალი ადევნოს ერთ ბავშვს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ჩაინიშნოს ის ქცევა, რომელსაც აკვირდება. აღმზრდელს შეუძლია ასევე დააკვირდეს ჯგუფურ თამაშში ჩართული რამდენიმე ბავშვის ქცევას და გააკეთოს ჩანაწერები.

აღმზრდელი ბავშვს ან ბავშვებს შესაძლოა აკვირდებოდეს კონკრეტული მიზნით. მაგალითად, აღმზრდელს სურს იცოდეს როგორ წაახალისოს გოგონებსა და ბიჭებს შორის თამაში და ურთიერთობა და ამ მიზნით იგი აკვირდება მათ სპონტანურად ასევე გეგმაზომიერად. დაკვირვების შედეგად ჩანიშნული ინფორმაციის გაანალიზება აღმზრდელს საშუალებას მისცემს უკეთ მიუსადაგოს აქტივობები კონკრეტულ ბავშვს და ბავშვების ჯგუფს და ხელი შეუწყოს მათ ერთობლივ თამაშს და თანამონაწილეობას ამა თუ იმ აქტივობაში. აღმზრდელი ასევე აკვირდება ერთი სქესის ბავშვებს შორის თამაშს იმაში გასარკვევად, თუ რატომ არის ესა თუ ის თამაში საინტერესო ამ სქესისთვის. ამის შემდეგ აღმზრდელი აანალიზებს თავის ჩანაწერებს. მას ჩაწერილი აქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა ბიჭი ცდილობდა გოგონას ჩაბმას მოძრავ თამაშებში, გოგონა კი ცდილობდა ბიჭთან კონტაქტის დამყარებას - მან, კერძოდ, აზრი ჰკითხა ბიჭს რაღაცასთან დაკავშირებით. ანალიზის საფუძველზე აღმზრდელი გადაწყვეტს, რომ დაეხმაროს ბიჭებსა და გოგონებს, რათა მათ უკეთ გამოხატონ თავიანთი სათქმელი და ერთმანეთის თხოვნის შესაბამისად იმოქმედონ.

არსებობს ბავშვებზე დაკვირვების მრავალი მეთოდი და ამ მეთოდებთან დაკავშირებული მრავალი ინსტრუმენტი. გარდა ხელით ნაწერი თხრობითი ჩანაწერებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორებიცაა: ხმის ციფრული ჩამწერები, მცირე ელექტრონული პლანშეტები, ფოტო- და ვიდეოკამერები. ბავშვებზე დაკვირვებისა და ინფორმაციის ჩაწერის მიზნით ეს ინსტრუმენტები შეიძლება გამოვიყენოთ ცალ-ცალკე ან ერთად, თუმცა არსებობს კონკრეტულ მიზანზე მორგებული მეთოდებიც.

თხრობითი ჩანაწერები, რომლებიც დაკვირვებას ეფუძნება, გამოირჩევა იმ უპირატესობით, რომ უფრო ღია და მოქნილია, ამასთანავე შეიცავს დიდი მოცულობის ინფორმაციას ბავშვებისა და პროგრამის შესახებ. თხრობითი ჩანაწერები, როგორც წესი, ორ კატეგორიად იყოფა: **შემთხვევის** ჩანაწერები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევას აღწერს და **მიმდინარე** ჩანაწერები, რომლებიც გულისხმობს დაკვირვებას გარკვეული დროის განმავლობაში.

შემთხვევის ჩანაწერები

ქცევის აღწერა - წარმოადგენს ბავშვის ან ბავშვების ქცევაზე დაკვირვების ჩანაწერებს, რომლებიც ხშირად ვიდეო- ან აუდიომოწყობილობის გამოყენებით კეთდება. ის ხშირად გამოიყენება ბავშვების ქცევაში მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოსავლენად ან ჯგუფის მართვის სტრატეგიის ეფექტურობის გასაანალიზებლად.

მოვლენების აღწერა - წარმოადგენს დაკვირვებას წინასწარ განსაზღვრულ მოვლენებზე, რომლებიც გარკვეულწილად პრობლემატურია, წარმოადგენს ახალ საქმიანობას ან გვთავაზობს არსებული საქმიანობის ცვლილებას. ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რა ხდება მოვლენამდე, მოვლენის დროს და მის შემდეგ; იმ ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარდება ბავშვებს შორის, ბავშვებსა და აღმზრდელებს შორის და ბავშვების რეაქციაზე; ჩანაწერები კეთდება მოვლენის პარალელურად; დასაკვირვებელი მოვლენა შეიძლება იყოს, მაგალითად, დილის შეხვედრა წრეში, წიგნის დრო, ექსკურსია და მცირე ჯგუფებში მუშაობის დრო (ჯგუფების შემადგენლობის ცვლილებისას).

მიმდინარე ჩანაწერები

რეგულარული ჩანაწერები, ჟურნალები, ან დღიურები - წარმოადგენს ჩანაწერების სერიას ბავშვების ქცევისა და/ან სხვადასხვა მოვლენის შესახებ. ჩვეულებრივ, ჩანაწერები კეთდება ქცევის გამოვლენის შემდგომ, ხშირად გამოიყენება ბავშვის განვითარების აღსაწერად გარკვეული დროის განმავლობაში და შეიძლება ფოკუსირებული იყოს, მაგალითად, კონკრეტულ პროექტზე, ბავშვის წიგნიერების უნარების განვითარებაზე, ბავშვების ჯგუფში სოციალური ურთიერთობის ცვლილებაზე, აუტიზმის მქონე ბავშვის ჩართვაზე ან ჰქონდეს უფრო ზოგადი ხასიათი.

ჩანაწერები დროის მონაკვეთის მიხედვით- გულისხმობს კონკრეტულ დროის მონაკვეთში დაკვირვებას გარკვეული ქცევის სიხშირეზე. ქცევის გამოვლენის დროს კეთდება ჩანაწერი კოდების ან სიმბოლოების საშუალებით; დაკვირვების განმეორება ხდება სხვა დღეებში, დროის იმავე მონაკვეთში (მაგალითად, შემაჯამებელ შეხვედრაზე წრეში, ეზოში თამაშისას, აქტივობიდან სადილზე გარდამავალ პერიოდში), რათა გამოვლინდეს ქცევის სტილი, თანამიმდევრულობა და განსხვავებები. ეს არ არის თხრობითი ჩანაწერი, თუმცა მას თან ახლავს პრობლემისა და დაკვირვების მიზნების აღწერა, ისევე როგორც შედეგების თხრობითი ინტერპრეტაცია.

დაკვირვება ფოტოსურათების, ვიდეო- და აუდიოჩანაწერების საშუალებით

სათანადო მოწყობილობის არსებობის შემთხვევაში აღმზრდელმა შეიძლება მისი გამოყენებით აწარმოოს დაკვირვების ჩანაწერები და მოგვიანებით დეტალურად შეისწავლოს. ეს მეთოდი იძლევა უფრო ნათელი და ზუსტი დაკვირვების განხორციელების საშუალებას, რაც განსაკუთრებით ღირებულია შედარებით კომპლექსურ სიტუაციებში; თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიდეოჩანაწერების გაკეთებამდე საჭიროა წინასწარი თანხმობის მიღება ბავშვის მშობლებისაგან.

აღმზრდელმა შეიძლება ჩაიწეროს თითოეული ბავშვის მუშაობისა და განვითარების ამსახველი შემთხვევები და ნაწყვეტები აჩვენოს მშობელს. ვიდეო შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის საჩვენებლად, თუ როგორია ბავშვი მაშინ, როცა რაღაცას ქმნის ან ჩართულია რაიმე საქმიანობაში. აღმზრდელისთვის ასევე სასარგებლოა დააკვირდეს საკუთარ ქცევას, ურთიერთობებს ბავშვებთან და მათ საპასუხო რეაქციებს.

ციფრული ფოტოაპარატი შესანიშნავი საშუალებაა ბავშვების საქმიანობებისა და განვითარების ამსახველი „ჩანაწერების“ გასაკეთებლად. ის განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როცა ბავშვები მუშაობენ, მაგრამ მათი მუშაობის შედეგად შექმნილი პროდუქტის შენახვა შეუძლებელია. მაგალითად, ასაწყობი კუბურებით თამაშისას ბავშვების მუშაობა შეიძლება ფოტოების საშუალებით დაფიქსირდეს. ამგვარი ფოტოსურათები მომავალშიც გამოსადეგია და შეიძლება გამოყენებულ იქნას მშობლებთან და ბავშვთან რეფლექსიისა და გამოცდილების გააზრებისთვის.

აუდიოჩანაწერის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია მაშინ, როდესაც დაკვირვების მთავარი საგანია ბავშვების მეტყველება და საუბარი. ამ ტიპის ჩანაწერს ის უპირატესობა აქვს, რომ ბავშვის საქმიანობაში ჩარევას არ მოითხოვს.

ოჯახის მონაწილეობა

ბავშვის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა ინფორმაციის მიღება ოჯახის წევრებისგან. სასურველია ამ ინფორმაციის მოგროვება წლის დასაწყისში, ოჯახის წევრებთან გასაუბრების გზით. აღმზრდელი აგროვებს ინფორმაციას ბავშვის შესახებ, მაგ., აზუსტებს, რა მოსწონს და რა არ მოსწონს ბავშვს, რომელია მისი საყვარელი წიგნები, საყვარელი საქმიანობა, რისი შიში აქვს, როგორია მისი საჭიროებები, ძლიერი მხარეები, ინტერესები, ხასიათის ნიშან-თვისებები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც, მშობლების აზრით, აღმზრდელმა უსათუოდ უნდა იცოდეს. გარდა ამისა, აღმზრდელმა სასურველია იცოდეს კონკრეტული ოჯახის თავისებურებები (თუ ისინი მზად არიან, რომ გაუზიარონ აღმზრდელს ეს ინფორმაცია) და ის იმედები თუ ოცნებები, რომლებიც აქვთ ბავშვთან დაკავშრებით. ინფორმაციას ბავშვისა და ოჯახის შესახებ აღმზრდელი თავისთვის ინიშნავს, რათა შეძლოს შემდგომში მისი გამოყენება დაგეგმვის დროს. საჭიროა პერიოდული შეხვედრები ოჯახის წევრებთან იმისათვის, რომ აღმზრდელებმა და ოჯახის წევრებმა ერთმანეთს ახალი ინფორმაცია გაუზიარონ.

რატომ არის ობიექტურობა მნიშვნელოვანი

დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დაკვირვება ობიექტურია და ასახავს ფაქტებს. თუ ჩანაწერები შეიცავს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „მორცხვი“, „აგრესიული“, „ჰიპერაქტიული“ ან „ბრაზიანი“, ისინი ასახავს აღმზრდელის შეფასებებს, ინტერპრეტაციას ან დაშვებებს და არა იმას, თუ რეალურად რა გააკეთა ან თქვა ბავშმა. ეს კი ხელს უშლის ბავშვის ქცევის ნათლად გააზრებას.

დაკვირვების ჩანაწერებში არ უნდა გამოვიყენოთ:

- იარლიყები (მორცხვი, მხიარული, შემოქმედებითი);
- მიზნები (უნდა, რომ...);
- შეფასებები (ყოჩაღ);
- განსჯა (ძალიან კარგი, მოუხერხებელი).

მეორე მხრივ, ობიექტური და ზუსტი ჩანაწერები შეიცავს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელთაც აღმზრდელი ხედავს ან ესმის. ესენია:

- ქმედებების აღწერა;
- კონტექსტთან დაკავშირებული ინფორმაცია (დღის მონაკვეთი, ადგილი, ვინ არის ადგილზე);
- ლაპარაკის ან ჟესტებით საუბრის ფრაგმენტები;
- სახის გამომეტყველების, ჟესტებისა და სხეულის ენის აღწერა.

შეადარეთ დაკვირვების ჩანაწერების ორი მაგალითი. დაკვირვება წარმოებს ბავშვზე, რომელიც თოჯინას ბანს მაგიდაზე შემოდგმულ „აბაზანაში“.

მაგალითი 1 - *გიორგი დღეს ცელქობს. ის გამიზნულად ასხამს წყალს იატაკზე და წუწავს ბავშვებს. ის ამოწმებს, ვაკვირდები თუ არა და შემდეგ დასცინის ბავშვებს.*

მაგალითი 1 არ წარმოადგენს ობიექტურ ჩანაწერს. მასში გამოყენებულია იარლიყი („ცელქი“), გვხვდება შეფასებითი დაშვებებიც („ის გამიზნულად ასხამს წყალს“, „ამოწმებს, ვაკვირდები თუ არა“, „დასცინის ბავშვებს“). აღმზრდელმა არ შეიძლება ამ შემთხვევაში დარწმუნებით იცოდეს, აკვირდება თუ არა გიორგი მას ან დასცინის თუ არა სხვა ბავშვებს.

ახლა განვიხილოთ იმავე შემთხვევის მეორე ჩანაწერი.

მაგალითი 2 - *გიორგი ბანს თოჯინას აბაზანაში. ის იღებს თოჯინას წყლიდან, წყლის გარკვეული რაოდენობა ესხმება ორი ბავშვის ფეხსაცმელებს. ის მიყურებს ჯერ მე, შემდეგ დანარჩენ ბავშვებს და იწყებს სიცილს.*

მაგალითი 2 ობიექტური ჩანაწერია. ის შეიცავს მხოლოდ ფაქტებს და ასახავს იმას, თუ რა გააკეთა გიორგიმ („ამოიღო თოჯინა წყლიდან“), რა მოხდა („წყლის გარკვეული რაოდენობა ესხმევა სხვა ბავშვების ფეხსაცმელებს“) და როგორი რეაქცია ჰქონდა მას („ის მიყურებს ჯერ მე, შემდეგ დანარჩენ ბავშვებს და იწყებს სიცილს“). ზუსტი ჩანაწერები შეიცავს რაც შეიძლება მეტ დეტალს იმის თაობაზე, თუ რა და როგორი თანამიმდევრობით გააკეთა ბავშვმა.

არაფორმალური შეფასება: შეგროვებული ინფორმაციის გააზრება

დაკვირვების ჩანაწერების გააზრებისას აღმზრდელმა შეიძლება აღმოაჩინოს სრულიად მოულოდნელი რამ ან ჩაუღრმავდეს მნიშნელოვან საკითხებს. ზემოთ მოცემულ მაგალითში გიორგიზე დროთა განმავლობაში დაკვირვებამ დაანახა აღმზრდელს, რომ გიორგის აქვს ნატიფ მოტორიკასთან დაკავშირებული პრობლემები. ის ამ პრობლემის დაფარვას ცდილობს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მისი ქმედება გამიზნულია და მიმართულია სხვების გამხიარულებისკენ. ეს გიორგის ძლიერი მხარეა. ის სწრაფად აზროვნებს და ხვდება, რომ იუმორი კარ-

გი საშუალებაა თანატოლებთან ურთერთობის დამყარებისა და მათი აღფრთოვანებისთვის, ამ გზით ის იმავდროულად ახერხებს თავისი სუსტი მხარეების დამალვას, გადააქვს მათგან ყურადღება.

აღმზრდელმა გიორგის მშობლებთან ერთად განიხილა ეს საკითხი. მშობლებს არ ჰქონდათ სრული წარმოდგენა ამ პრობლემის შესახებ და არც კომპენსირების იმ სტრატეგიის შესახებ, რომელსაც გიორგი იყენებს. მიუხედავად ამისა, მშობლები კმაყოფილი დარჩნენ იმით, რომ აღმზრდელმა დაანახა მათი ბავშვის ძლიერი მხარეები. მათთვის არ იყო გასაკვირი ნატიფ მოტორიკასთან დაკავშირებული პრობლემა - მშობლების თქმით, გიორგის ერთ-ერთ უფროს ძმას იგივე პრობლემა ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მან მოძებნა სხვადასხვა გზა ამ უნარის გასაუმჯობესებლად.

ამ შეფასების საფუძველზე აღმზრდელი და გიორგის მშობლები სწრაფად გადადიან გეგმის შემუშავებაზე. მათ გადაწყვიტეს, რომ სახლში გიორგის ძმა დაეხმარება, ბაღში კი აღმზრ-დელი. აღმზრდელმა გიორგისთვის შეიმუშავა საქმიანობები ნატიფი მოტორიკის უნარე-ბის გასავითარებლად ისე, რომ არ გაემახვილებინა გიორგის ყურადღება ამ პრობლემაზე. ამას გარდა, აქტივობის ჩატარების დროს აღმზრდელი დაეხმარა გიორგის წესრიგის შენარ-ჩუნებაში: თოჯინის დაბანისას აღმზრდელმა გიორგის შეახსენა, რომ აბაზანასთან დაედო პირსახოცი და თოჯინა ამოეყვანა აბაზანის იმ მხრიდან, სადაც პირსახოცი იყო მომზადე-ბული. ამ მიდგომის გამოყენების შედეგად გიორგის აღარ დასჭირდა მისი პრობლემის და-მალვა „მასხრობის“ ხარჯზე.

ბავშვთა უფრო სისტემური და დეტალური არაფორმალური შეფასება შეიძლება ჩატარდეს დაკვირვების ფორმის (ე.წ. „ჩეკლისტების“) საშუალებით. ბავშვზე დაკვირვება, რომელიც იწარმოებს 5-6 წლის ასაკის ბავშვების სწავლისა და განვითარების დაკვირვებადი შედეგების (იხ. *სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტი)* შესაბამისად, შექმნის მდიდარ და შემლებისდაგვარად სრულყოფილ სურათს. ეს კი მეტად სასარგებლო ინფორმაციის შემცვე-ლი იქნება დაგეგმვის თვალსაზრისით.

ისევე, როგორც გიორგის შემთხვევაში, დაკვირვების შედეგების გააზრების შემდეგ აღმზრ-დელი ხშირად ცვლის საკუთარ მიდგომებს ბავშვებთან ურთიერთობისას, სიახლეები შეაქვს ოთახის მოწყობასა და რესურსების ორგანიზებაში, გეგმავს ყოველდღიურ რუტინულ საქმი-ანობებს და ახორციელებს ახალ, მიზნობრივად შერჩეულ საქმიანობებს.

თავი 26. დაგეგმვა

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელი შეიმუშავებს ერთი კვირის დეტალურ და ერთი თვის შედარებით ზოგადი ხასიათის გეგმას; თუმცა ეს გეგმები მოქნილია და შეიძლება შეიც-ვალოს.

დაგეგმვა იწყება თემის შერჩევით, როგორც ეს მე-17 თავშია აღწერილი („*თემები*“). თემის შერჩევის შემდეგ აღმზრდელი გეგმავს პროექტს/პროექტებს, როლურ თამაშებს, აქტივობებსა და წესებიან თამაშებს. თემის სირთულიდან და ბავშვების სავარაუდო ინტერესიდან გამომდინარე, აღმზრდელი წინასწარ განსაზღვრავს, რამდენი კვირის განმავლობაში გაგრძელდება თემა. ცხადია, ამ დროს აღმზრდელმა უნდა იხელმძღვანელოს ბავშვებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციით და საკუთარი პროფესიული ინტუიციით. შესაბამისად, მის მიერ დაგეგმილი პროცესი შესაძლოა შეიცვალოს.

აღმზრდელის მიერ დაგეგმილი აქტივობები თამაშზე დაფუძნებული, ხალისიანი, აქტიური და ინტერაქტიულია; ფარავს განვითარების ყველა სფეროს და ხელს უწყობს ბავშვებს შორის თანამშრომლობას. დაგეგმვა ეხმარება აღმზრდელს იმაში, რომ წინასწარ კარგად გაიაზროს თითოეული საქმიანობა, განსაზღვროს საჭირო რესურსები, იყოს გულისხმიერი და პასუხობდეს თითოეული ბავშვისა თუ ჯგუფის განსაკუთრებულ საჭიროებებს.

სასკოლო მზაობის პროგრამის პირველი ორი კვირა

პირველი ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს ე.წ. „ორიენტაციის'' პროცესი ახალ გარემოში. აღმზრდელები და ბავშვები ეცნობიან ერთმანეთს; აღმზრდელები ბავშვების ყურადღებას ამახვილებენ განრიგსა და რუტინულ აქტივობებზე; აცნობენ ბავშვებს მათ მიმართ არსებულ მოლოდინებს და საფუძვლს უყრიან ჯგუფის ერთობას. ბავშვები გაეცნობიან ოთახში არსებულ რესურსებს, თუმცა ბევრი მათგანის გამოყენება უფროსის მხრიდან დახმარებასა და გამოყენების წესების განმარტებას მოითხოვს. რესურსების გამოყენების წესების გაცნობა თანამიმდევრულად ხდება. ეს საკმაოდ რთული პერიოდია ზოგიერთი ბავშვისთვის, ამიტომ გეგმა უფრო მოქნილი და ნაკლებად სტრუქტურირებული უნდა იყოს. ბავშვებში უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების გაღვივებას აღმზრდელებმა უნდა დაუთმონ იმდენი დრო, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან.

პირველი კვირის განმავლობაში:

- ბავშვები წყვილდებიან და ერთმანეთს უსვამენ კითხვებს: ”რა არის შენი საყვარელი საჭმელი? რა არის თქვენი ოჯახის საყვარელი საქმიანობა? რა გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?” (თითოეულ ბავშვს შეიძლება მოუხდეს მხოლოდ ორი შეკითხვის დასმა იმის მიხედვით, თუ რა სიდიდისაა ჯგუფი და რამდენად რთულ აქტივობას წარმოადგენს ეს ბავშვებისათვის). ბავშვები თავის მეწყვილეს წარუდგენენ ჯგუფს. ყოველდღე იქმნება ახალ-ახალ წყვილები და ისმება განსხვავებული შეკითხვები;

- აღმზრდელი გაუძღვება დისკუსიას ბაღში ყოფნისას დასაცავი წესების შესახებ. დისკუსიის შედეგად ჯგუფი შეთანხმდება რამდენიმე წესზე, რომელთა დაცვაც ჯგუფის ყველა წევრს მოეთხოვება;

- აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს დღის განრიგის „წაკითხვაში“ ;

- აღმზრდელი შესთავაზებს ბავშვებს ოთახის შემოვლას და დათვალირებას (ე.წ. „ტური“ ოთახში), იმავდროულად მოკლედ მიაწვდის ბავშვებს ძირითად ინფორმაციას თითოეული აქტივობების ცენტრის შესახებ. აღმზრდელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რესურსების მოწესრიგებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნივთების გამოყენების შემდეგ აუცილებელია მათი დაბრუნება სათანადო ადგილზე;

- აღმზრდელი ბავშვებს ყოველდღე აცნობს და სთავაზობს ახალ რესურსებს; ასწავლის, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ნივთის გამოყენება და მოფრთხილება;

- აღმზრდელი ყოველდღიურად კითხულობს ან ყვება საბავშვო ბაღთან დაკავშირებულ ამბებს. ისინი შეიძლება შეეხებოდეს ბაღში წასვლას, ახალი მეგობრების შეძენას და ა.შ.;

- აღმზრდელი და ბავშვები მღერიან ნაცნობ სიმღერებს და სწავლობენ ახლებს, რომლებიც ხელს უწყობს ჯგუფში დადებითი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას (მაგალითად, „მეგობრები, მეგობრები, ერთი, ორი, სამი, ყველა ჩემი მეგობარი ჩემთან ერთად არის, სანდრო, ნინო, ხატი, ლუკა, გიორგი და სხვანი...“).

მეორე კვირის განმავლობაში:

გრძელდება ერთმანეთის გაცნობა ინტერვიუების გზით (თუ ბავშვებს სიამოვნებთ ამ აქტივობის შესრულება).

წინა კვირის გამოცდილებაზე დაყრდნობით წესები უფრო ზუსტად განიმარტება ან დაკონკრეტდება;

წინა კვირის აქტივობების უმრავლესობა განმეორდება და გაგრძელდება.

შეიქმნება „სამუშაოს ცხრილი“, რათა ბევრ ან ყველა ბავშვს დაეკისროს ყოველდღიური კონკრეტული „სამუშაოს“ შესრულების ვალდებულება. ასეთი სამუშაოებია: ”აღმზრდელი”, ”მიმტანი”, ”ბოტანიკოსი” (რწყავს მცენარეებს), ”ბიბლიოთეკარი” (უზრუნველყოფს ყველა წიგნის სათანადო ადგილზე დადებას), ”სტომატოლოგი” (ეხმარება ბავშვებს ჯაგრისების დარიგებასა და მოგროვებაში, უძღვება კბილების გამოხეხვის პროცესს), ”ფოტოგრაფი” (ფოტოაპარატით იღებს ბავშვების მიერ განხორციელებულ აქტივობებს) და სხვ.

- ბავშვებს სახლიდან მოაქვთ საკუთარი და ოჯახის წევრების ფოტოები. ისინი აჩვენებენ თანატოლებს მოტანილ ფოტოებს და უყვებიან მათზე გამოსახულ ადამიანებზე, ამბობენ მათ სახელებს, აკონკრეტებენ ნათესაურ კავშირს. ბავშვებს ასევე შეუძლიათ მოიტანონ შინაური ცხოველების ფოტოები. კედელზე შეირჩევა ადგილი, სადაც განთავსდება ფოტოები.

- ბავშვები ირჩევენ ჯგუფის სახელწოდებას. სახელების შესარჩევად აღმზრდელები იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს. ბავშვები ხმის მიცემით შეარჩევენ ორ ან სამ საუკეთესო სახელს, შემდეგ მუშაობენ ჯგუფებში, რათა ჩამოაყალიბონ არგუმენტები თავიანთი არჩევანის დასასაბუთებლად და სხვების დასარწმუნებლად მის უპირატესობაში. დასასრულ, ტარდება ხმის მიცემის პროცედურა ჯგუფისთვის სახელის შესარჩევად.

თვის გეგმის ფორმა

ერთი თვის სააღმზრდელო პროცესის გეგმა თემაზე: როგორ ავაშენოთ სახლი?[2]

საქმიანობა	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა
პროექტი: ოცნების სახლის უბანი პროექტთან დაკავშირებული აქტივობები	**ბევრი სხვადასხვანაირი სახლი** მრავალი სხვადასხვა ტიპის სახლის ფოტოები; ინფორმაცია სახლის ფორმების, ნაწილებისა და მათი ფუნქციების შესახებ. გაასეირნეთ ბავშვები უბანში და მოაგროვეთ მონაცემები. შექმენით მარტივი გრაფიკები მონაცემების გამოყენებით. ბავშვებს შეუძლიათ დახაზონ/დახატონ სხვადასხვა სახის საშუალებით: ფლომასტერებით, აკვარელებით, ფანქრებით, კოლაჟის მასალის გამოყენებით და სხვა. აჩვენეთ ბავშვებს მოკლე ვიდეოფილმი, რომელშიც ნაჩვენებია სახლის ყიდვა/გაყიდვის პროცესი. დაპატიჟეთ სტუმრად გაყიდვების აგენტი.	**რისგან შენდება სახლები?** ყურადღება შეაჩერეთ სახლების მშენებლობის პროცესზე, სამშენებლო მასალაზე. ესტუმრეთ მშენებლობის ადგილს, მოიპატიჟეთ მშენებელი, რომელიც გაესაუბრება ბავშვებს. აუხსენით ბავშვებს საძირკვლის დანიშნულება. ასევე უთხარით, რომ სხვა საგნებსაც აქვთ საძირკველი, მაგალითად, ხეებს აქვთ ფესვები და სხვა. ესაუბრეთ აგურისგან, ქვისგან, ხისგან და თიხისგან აშენებული სახლების შესახებ, რათა მათ შეიძინონ ცოდნა სახლის სხვადასხვა მასალით აშენების პროცესზე. პლასტმასის კუბურებისგან აჩვენეთ, რომ აგურების ჰორიზონტალური და მონაცვლეობითი წყობის მოდელი მშენებლობისთვის უფრო მყარია, ვიდრე - აგურების ერთი მეორეზე	**როგორ შევქმნათ სახლის პროექტი** ყურადღება შეაჩერეთ ინტერიერის დიზაინზე. შეისწავლეთ სხვადასხვა პროექტი და დაამზადეთ ნახაზები, პროექტის ზედხედები. გააკეთეთ სააღმზრდელო ოთახის გეგმა - რომელშიც დატანილი იქნება კარები, ფანჯრები, სათავსოები და ყველაფერი, რაც ოთახის მუდმივ ნაწილს შეადგენს. შექმენით საბავშვო ბაღის შენობის ერთი სართულის გეგმა და ერთი სახლის გეგმა-პროექტი, რომელსაც უბნის სახლების დათვალიერების დროს შეარჩევთ. ბავშვები შექმნიან თავიანთი ოთახების ან საოცნებო სახლების პროექტებს. აჩვენეთ, როგორ ზემოქმედებას ახდენს შენობის გეგმა (პროექტი) სახლის ფორმასა და ექსტერიერზე	**ააშენეთ საოცნებო სახლი** ბავშვები დაგეგმავენ („დააპროექტებენ')' სახლს, რომელსაც ისინი ააშენებენ. დახატავენ ესკიზებს - სახლის წინა, უკანა და გვერდით ფასადებზე. შეარჩევენ ფერებს, მასალებს. ყველა ბავშვი დაახლოებით ერთი და იგივე მასშტაბით (ზომებით) იხელმძღვანელებს, რომ სახლები ერთი ზომის იყოს (დაახლოებით 20 სანტიმეტრი ყველა განზომილებაში, თუ სახლი ოთხკუთხედია). ხის სახლები გაკეთდება სქელი ქაღალდისაგან. თიხის სახლები - თიხისაგან. ქვის სახლები - კენჭებისა და თიხისგან ან ქვიშისა და პლასტელინისგან; ბლოკის სახლები კი სათა მაშო პლასტმასის კუბურებით (მონაცვლეობითი წყობის მოდელით) აშენდება. განათავსეთ დიდი მაგიდა

[2] აქტივობების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ გაზაფხულზე აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, , ამ თემის შემოტანისთვის საუკეთესო დრო სწორედ გაზაფხული იქნება.

საქმიანობა	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა
		- დაწყობის მოდელი. ისაუბრეთ სახლებზე, რომელთაც საბავშვო მოთხრობებში/ზღაპრებში, ვხვდებით (სამი გოჭის სახლები, ჯადოქრის სახლი); შექმენით სახლები და გაითამაშეთ სამი გოჭის სხვადასხვა ვარიანტი.	ან, პირიქით, გარეგანი გამოსახულება - სახლის შიდა სივრცეზე. შექმენით რამდენიმე ვერსია. ბავშვები აარჩევენ მათთვის სასურველს, რათა შემდეგ მის მიხედვით ააშენონ სახლი.	დერეფანში, სადაც ბავშვები შეძლებენ საკუთარი ნამუშევრების განლაგებას, შექმნიან უბანს, სადაც იქნება გზები, მანქანები, ხეები და სხვა.
აქტივობები და წესებიანი თამაშები მცირე ჯგუფებში	წიგნის დამზადება: ჟურნალებში მოძებნეთ და გამოჭერით სახლის სურათები.	„დააკავშირე სახლები“ - თამაში ბარათებით („ომობანის“ ბარათებიანი თამაშის ვარიაცია). იხ. თანდართული წესები.	„დააკავშირე სახლები“-ს სხვადასხვა ვარიაციები: 1. სახლების ღირებულება იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მასალისგანაა სახლი აშენებული/რამდენად რთულია მისი აშენება; 2. ღირებულება იცვლება ფანჯრების და კარების რაოდენობის მიხედვით. რაც ნაკლებია ისინი, - სახლს მით მეტი ფასი აქვს (მოლოდინის საწინააღმდეგოდ).	წესებიანი თამაში „არ წარმოთქვა სიტყვა“ - სახლის ნაწილებზე. წესები თანდართულია.
ر ო ლ უ ر ი თამაშები	სახლების მყიდველები/დამქირავებლები და გამყიდველები. სახლის მფლობელები ცდილობენ მყიდველების დარწმუნებას, რომ მათ უნდა იქირაონ ან იყიდონ სახლი. ყიდვის მსურველები და დამქირავებლები უსვამენ შეკითხვებს სახლის შესახებ: ”ფასი? ავეჯით იყიდება? რამე ხომ არ არის დაზიანებული?” სხვ.	*სახლების მშენებლები და მყიდველები.* მყიდველები ათვალიერებენ ბევრ სხვადასხვა სახლს; გადაწყვეტენ, როგორი სახლი სურთ; ვაჭრობენ მასალაზე, ფასზე, ვარიანტებზე, ფერებზე და სხვ.	როლური თამაში - სახლის მშენებლობის ადგილი. დაეხმარეთ ბავშვებს დაგეგმონ როლები და შექმნან/მოიძიონ რეკვიზიტები.	გრძელდება როლური თამაში - სახლის მშენებლობის ადგილი.
მასალები და რესურსები, მოსამზადებელი სამუშაოები	სახლების მრავალრიცხოვანი ფოტოები, ვიდეოფილმი სახლის შემენისა და გაყიდვის შესახებ; ჟურნალები, უბნის დათვალიერება.	მშენებარე სახლების მრავალრიცხოვანი ფოტოები, ზღაპრები სახლების შესახებ. წაიყვანეთ ბავშვები სახლების სანახავად და მოიწვიეთ სტუმარი.	სახლების და ბინების ნახაზებისა და გეგმების ნიმუშები, დასახაზი ქაღალდები, ინსტრუმენტების უსაფრთხო ნიმუშები, ინსტრუმენტების შესანახი კოლოფი	თიხა, პატარა კენჭები, მუყაო, სქელი ქაღალდი, სახლის ნაწილების ფოტოები

წესებიანი თამაშები

„დააკავშირე სახლები“ არის თამაში, რომელიც წარმოადგენს „ომობანას“ ბარათებით თამაშის ვერსიას.

თამაშისათვის საჭიროა ბარათები სხვადასხვანაირი სახლების გამოსახულებებით. ბავშვები სხედან წრეში ან მაგიდის გარშემო. თითოეულს აქვს ოთხი ან მეტი ბარათი (თუ ბარათები ბევრია). ბარათები გადაბრუნებული დევს მაგიდაზე, ასე რომ სურათებს ვერავინ ხედავს. თამაშის პირობა ამგვარია: ხის კონსტრუქციის სახლები ყველაზე იაფია; მათ „უგებს" თიხით ნაშენი სახლები, აგურის სახლი "უგებს" თიხით ნაშენებ სახლს; ქვით ნაშენი სახლი კი ყველას "უგებს" (ჭრის). ეს წესები განსაზღვრულია მასალის გამძლეობის საფუძველზე (ქვა ყველაზე გამძლე მასალაა). ერთი ბავშვი ჩამოდის ბარათს და სვლა გადადის მის მარჯვნივ მჯდომ ბავშვზე. შემდეგ მარჯვნივ მჯდომი ბავშვი ჩამოდის და სვლა კვლავ გადადის მისგან ხელმარჯვნივ მყოფ ბავშვთან. ბოლო ბავშვის შემდეგ სვლა გადადის პირველ მოთამაშესთან. ამგვარად ყველა მათგანს ეძლევა 2 ხელის თამაშის უფლება. თამაშში მონაწილეობას იღებს მაქსიმუმ 7 ბავშვი.

თამაშის პირველი ხელის დროს ორივე ბავშვი საკუთარი დასტიდან იღებს ზედა ბარათს და ამოაბრუნებს ნახატიანი მხრიდან. ბავშვს, რომელიც ჩამოვა ბარათს უფრო „გამძლე“ სახლის გამოსახულებით, ორივე ბარათი მიაქვს თავის დასტაში. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებმა გადმოაბრუნეს ერთნაირი მასალისგან აშენებული, თანაბრად „ძლიერი" სახლის ბარათები (მაგალითად, ორი ქვის სახლის ბარათი), ორივე ბავშვი ამბობს: „ერთნაირია!“. და გადააბრუნებს ბარათებს, შემდეგ კი განმეორებით ამოიღებს ახალ ბარათს დასტიდან. ამ შემთხვევაში ბავშვი, რომელსაც შეხვდება ბარათი უფრო "მაგარი" (გამძლე) სახლის გამოსახულებით, იღებს 4 ბარათს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები კვლავ ერთნაირ ბარათებს აიღებენ (იდენტური სახლების გამოსახულებით), გამოცხადდება: „ორმაგად ერთნაირია!“. ბავშვები ისევ გადააბრუნებენ 2 ბარათს და გაითამაშებენ მესამეს.

მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი ითამაშებს ორ ხელს, მოგებულად ჩაითვლება ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი ექნება. მოგებული შემდეგ რაუნდში აღარ მონაწილეობს. იმ შემთხვევაში, თუ თამაში ფრედ დასრულდება, თამაშს აკლდება 4 ბარათი.

თამაში სრულდება მაშინ, როდესაც მასში დარჩება მხოლოდ ერთი ბავშვი.

თამაში: „არ წარმოთქვა სიტყვა“ - სახლები

ჯგუფი იყოფა ორად. აღმზრდელი აჩვენებს ერთ-ერთი ჯგუფის ერთ წევრს სახლის რომელიმე ნაწილს ისე, რომ სხვა ბავშვები ვერ ხედავდნენ მას. ბავშვი თავისი გუნდიდან აარჩევს სხვა ბავშვს და შეეცდება ჟესტებითა და მიმიკით აუხსნას მას, სახლის რომელი ნაწილია გამოსახული ნახატზე. ინიშნება დრო (წუთ-ნახევარი). თუ ბავშვი ვერ შეძლებს წუთ ნახევარში მის გამოცნობას, მაშინ მეორე ჯგუფს ეძლევა გამოცნობის საშუალება. გუნდი, რომელიც უფრო

სწრაფად გამოიცნობს, მიიღებს 1 ქულას. თუ ვერცერთი გუნდი ვერ გამოიცნობს, გათამაშდება მეორე რაუნდი. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც 4 ქულას მოაგროვებს.

ფოტოების ნიმუშები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია თემის ფარგლებში



კვირის გეგმის ფორმა

ერთი კვირის გეგმის ნიმუში თემისათვის: „როგორ ავაშენოთ სახლი". პროექტი: *ოცნების სახლის უბანი* (პირველი კვირა)

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება: დავეხმაროთ გიორგის მცირე ჯგუფში მუშაობის დროს, გამოჭრის პროცესში. დავაწყვილოთ ანა და მარი სეირნობის დროს.	წყვილებში გაზიარების აქტივობა: ბავშვები მსჯელობენ სახლების ფოტოებზე; განსაზღვრავენ კატეგორიებს - მაღალი შენობები, დაბალი შენობები, დუპლექსები (ორსართულიანი ბინები), ერთი ოჯახის ბინა და სხვა. ახსენით თემა და აღწერეთ პროექტი.	ბავშვები თავისუფლად აშენებენ სახლებს ბლოკებით და საკლასო ოთახში არსებული მასალებით. გადაიღეთ ფოტოები, რომ შეადაროთ თემის მიმდინარეობის პროცესში ბავშვების მიერ შექმნილ სახლებს. აქტივობა: ბავშვები ამზადებენ საინფორმაციო ცხრილებს და გადაწყვეტენ, რას აღრიცხავენ: სახლის ტიპებს, ფერებს?..	ძმები გრიმების ზღაპარი ,,რაპუნცელი"- ზღაპარი, რომელშიც უჩვეულო სახლი ფიგურირებს (სახლს არ აქვს კარი).	გასეირნება უბანში. ბავშვებს აქვთ ჩასანიშნი ფურცლები და საინფორმაციო ცხრილები; მოიპოვებენ შესაბამის მონაცემებს: სახლების ძირითადი ტიპის რაოდენობა, სხვადასხვა ფერის სახლების რაოდენობა.	გააკეთეთ ცარიელი წიგნი. ამოჭერით და ჩააწებეთ სახლის ფოტო პირველ გვერდზე. მინიშნებით დაეხმარეთ ბავშვებს, რათა შეადგინონ წინადადება სახლზე: ვინ შეიძლება ცხოვრობდეს ამ სახლში?	სიმღერა: „მე რომ მქონდეს ჩაქუჩი" ახალი მისამღერი: მე ვაშენებ მაგარ სახლს, მე ვაშენებ კარგ სახლს; მე ვაშენებ იმედით და სიყვარულით, ამ ქვეყნად ყველა უსახლკაროსთვის". განიხილეთ გეგმა, როგორ შექმნათ „სამი გოჭის" ახალი ვერსიის პიესა ცეკვებითა და სიმღერებით. მოახდინეთ იდეების გენერირება.	რეფლექსია: რა გავაკეთეთ დღეს, რაც ახალი და საინტერესო იყო თქვენთვის? განიხილეთ და შეადარეთ საინფორმაციო ცხრილები.
მასალები, რესურსები	სახლების ფოტოები/სურათები	ნიმუშები საინფორმაციო ცხრილებისათვის	ზღაპრების წიგნი	ცხრილები, ფურცლები, ფანქრები, ფურცლების მისამაგრებელი მყარი დაფები	ჟურნალები, ახალი წებო	--	შევსებული საინფორმაციო ცხრილები

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
დავალებები	აღმზრდელი: გაუძღვება წრეში შეხვედრას თანაშემწე: ზის ბავშვებთან ერთად	აღმზრდელი; მოძრაობს ბავშვებს შორის თანაშემწე: ბავშვებს ეხმარება საინფორმაციო ცხრილების შევსებაში	აღმზრდელი: კითხულობს. თანაშემწე: ამზადებს ჩანახატების დაფებს უბანში გასეირნებისთვის	აღმზრდელი ბავშვების მწკრივის ბოლოშია. თანაშემწე - ბავშვების მწკრივის დასაწყისში. ბრუნდება ადრე, რომ მოამზადოს მცირე ჯგუფის აქტივობები	აღმზრდელი: მუშაობს ა და ბ ჯგუფებთან თანაშემწე: მუშაობს გ ჯგუფთან	აღმზრდელი: უძღვება დისკუსიას. ამზადებს წრის აქტივობას. თანაშემწე: სიმღერას უძღვება მუსიკის მასწავლებელი: უკრავს პიანინოზე	აღმზრდელი: უძღვება წრეში შეხვედრას. თანაშემწე: ალაგებს და ჯდება ბავშვებთან ერთად
სამშაბათი ინდივიდუალიზება: დაუჯექი ნიას გვერდით ზღაპრის კითხვის დროს, რადგან ჯადოქრების ეშინია.	ბავშვებს უჩვენეთ ვიდეო, რომელშიც ასახულია სახლების ყიდვა - გაყიდვის პროცესი. სტუმარი: მაკლერი ან მშობელი, რომელსაც აქვს სახლის ყიდვისა და გაყიდვის გამოცდილება	ხელი შეუწყვეთ სახლების ყიდვის/გაყიდვის როლურ თამაშს. ბავშვებს დასჭირდებათ რამდენიმე სახლის აშენება ოთახში არსებული მასალებისგან. აქტივობა: ბავშვები არჩევენ მასალებს, ამზადებენ სახლების ესკიზებს	ბაბა იაგას სახლი- სახლი ქათმის ფეხებზე	აქვთ თუ არა ცხოველებს სახლები? შეგვიძლია ვიპოვოთ გარეული ცხოველების სახლები?	დაამატეთ გვერდი და ფოტო. კითხვა: რას გააკეთებდით, ამ სახლში რომ ცხოვრობდეთ?	სიმღერა: დაამატეთ ახალი სტროფი სიმღერას „მე რომ მქონდეს ჩაქუჩი“ ბავშვები იღებენ გადაწყვეტილებას, გამოიყენონ თუ არა ტექსტში ახალი იარაღი (მაგ. ნიჩაბი, ბურღი, ხერხი და სხვა). დაამატეთ მოძრაობები. გააგრძელეთ დისკუსია.	რეფლექსია: რას გააკეთებდით დღეს? რის გაკეთება ვერ შეძელით გუშინ? მოამზადეთ გრაფიკები საინფორმაციო ცხრილების მიხედვით
მასალები/რესურსები	ვიდეო, სტუმარი	კოლაჟის ელემენტები, წყლის საღებავები,	ზღაპრების წიგნი	---	ჟურნალები	---	შევსებული საინფორმაციო ცხრილები

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
დავალებები	აღმზრდელი: უმღვება წრეს თანაშემწე: ამზადებს მასალას შემდეგი აქტივობებისათვის	აღმზრდელი: ეხმარება ესკიზების მომზადებაში. თანაშემწე: მოძრაობს ბავშვებს შორის	აღმზრდელი: ზის ბავშვებთან ერთად თანაშემწე: კითხულობს ზღაპარს	ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი : ცხოველთა სახლის აქტივობები თანაშემწე: აქტიური თამაშები ბავშვებთან	ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი : ჯგუფები ა და გ თანაშემწე: ჯგუფი ბ	აღმზრდელი: უმღვება დისკუსიას, ამზადებს მეორე წრეს. თანაშემწე: უმღვება სიმღერას მუსიკის მასწავლებელი: უკრავს პიანინოზე	ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი : უმღვება წრეს თანაშემწე: ბავშვებთან ერთად ალაგებს და ჯდება წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება: დაასრულეთ მათესა და ლიზიზე; დაკვირვება და მათი შეფასება. დაავალეთ საბას (ვერ დარბის), რომუხელმძღვანელოს ეზოში სახლის დამზადებას და თამაშის მიმდინარეობას.	განათავსეთ კედელზე სახლის დიდი ნახაზი. განათავსეთ ნახატზე წარწერები სახლის იმ ნაწილებისთვის, რომლებიც ბავშვებისათვის ცნობილია (თანდათანობით დაამატეთ წარწერები, მას შემდეგ, რაც ბავშვები აითვისებენ ახალ ცნებებსა და ტერმინებს წიგნებიდან და ამბებიდან, რომლებსაც ბავშვები გაეცნობიან). ბავშვები კი გამოიცნობენ და / ან მოიგონებენ სახელებს, რომლებსაც შეადარებენ ნამდვილ სახელებს (ამ გზით დაადგენენ, სწორად გამოიცნეს თუ არა სახელები).	წარმოსახვითი თამაში ყიდვასა და გაყიდვაზე გრძელდება. ბავშვები შექმნიან სხვადასხვანაირ სახლებს, რომლებიც განსხვავდება ადრე შექმნილი სახლებისაგან. აქტივობა: *სახლების ესკიზების მომზადება* გრძელდება. აღმზრდელთა წახალისებით ბავშვები გააკეთებენ განსხვავებული ტიპის სახლებს სხვადასხვანაირი მასალაის გამოყენებით	ანდერსენის „თოვლის დედოფალი"- ყინულის სახლი.	დამალობანა. სახლი -„შტაბი" არის ადგილი, რომელიც ბავშვებმა მოაწყვეს ნაჭრებით, ფოთლებით, ტოტებით და სხვ., . რათა იგი სახლივით გამოიყურებოდეს.	დაამატეთ გვერდი და ფოტო: დამხმარე ინფორმაცია: როგორ აშენდა იგი?	დაამატეთ ახალი სტროფი სიმღერას. „მე რომ მქონდეს ჩაქუჩი" ბავშვები გადაწყვეტენ გამოიყენონ ახალი იარაღი, (მაგ. ნიჩაბი, ბურღი, ხერხი, და სხვა.). მას შემდეგ, რაც ბავშვები იმღერებენ 3 სტროფს, დაამატეთ მე-4 სტროფი. ხელი შეუწყვეთ როლების გადანაწილებას სპექტაკლისათვის. როლები: სიმღერის ავტორები, ქორეოგრაფები, სცენარის ავტორები, კოსტიუმის დიზაინერები, სცენის დიზაინერები, მშენებლები, რეკვიზიტების ოსტატები და სხვა.	რეფლექსია: დღეს რა იყო რთული თქვენთვის? გააანალიზეთ საინფორმაციო გრაფიკები და განიხილეთ ისინი.

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	დიდი ქაღალდი, მარკერები	დაამატეთ ახალი რესურსი: ცარცი	ზღაპრების წიგნი	ნაჭრები, თოკი, დაფები	ჟურნალები	---	---
დავალებები	აღმზრდელი: უძღვება დილის წრეს თანაშემწე: ამზადებს მიმანიშნებელ ბარათებს	აღმზრდელი: მოძრაობს ბავშვებს შორის. აკვირდება მათესა და ლიზის. თანაშემწე: ეხმარება ესკიზის მომზადებაში	აღმზრდელი: კითხულობს თანაშემწე: აგროვებს მასალებს ეზოს თამაშისათვის	აღმზრდელი: აგრძელებს დაკვირვებას მათესა და ლიზიზე თანაშემწე: დამალობანა	აღმზრდელი: ჯგუფი ბ და გ თანაშემწე: ჯგუფი ა.	აღმზრდელი: უძღვება დისკუსიას, ემზადება წრისათვის. თანაშემწე: უძღვება სიმღერას მუსიკის მასწავლებელი. უკრავს პიანინოზე	აღმზრდელი: უძღვება წრეს თანაშემწე: ბავშვებთან ერთად ალაგებს და ჯდება წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება: მოემზადეთ, რომ შეცვალოთ არასტანდარტული სახლის იდეა. ვინც კარგად ვერ გაიგო ცნება. შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სახლი.	დაამატეთ ორი ახალი სახლის შესახებ ბარათი სახელწოდებით, განიხილეთ სახლის დამახასიათებელი ნიშნები და მათი ფუნქციები. გაარკვიერთ, რატომ არის, რომ კარები და ფანჯრები ოთხმხრივია, სახურავები კი - სამკუთხედები. წარმოაჩინეთ სამკუთხედის ძალა წრიული ან სამკუთხედის ფორმის ფანჯრის გაღება რთული იქნება.	როლური თამაში გრძელდება. დაამატეთ პრობლემა: სამ ადამიანს/წყვილს მოეწონათ ერთი და იგივე სახლი. ასწავლეთ ბავშვებს გამოიყენონ შერეული მასალები; დახაზონ ფანქრით და წყლის საღებავებით. აქტივობა; ბავშვები ქმნიან ფორმებს მყარი ქაღალდისაგან და გამოცდიან მათ ძლიერ მხარეს.	ძმები გრიმების „ჰანზელი და გრეტელი“. კუდიან ჯინჯერის სახლი	კუნძულების თამაში, რომელშიც სახლები-კუნძულებია, სახლებს შორის სივრცე კი -გზები. როდესაც მუსიკა შეწყდება, მანქანები დაიწყებენ მოძრაობას და ყველა ბავშვი სწრაფად უნდა მივიდეს „სახლში“.	აჩვენეთ უჩვეულო სახლების ნახატები. მიეცით საშუალება დახატონ უჩვეულო, უნიკალური სახლი. კითხვა: რა განაპირობებს სახლის უჩვეულო გამოსახულებას?	დაამატეთ ახალი სტროფი სიმღერას/ ბავშვები გადაწყვეტენ, რა იარაღი გამოიყენონ (მაგ, ურიკა, ამწე, ბულდოზერი, ცემენტის შემრევი, სატვირთო მანქანა.) შეაერთეთ 5 სტროფი განაგრძეთ დისკუსია. მოაწყვეთ გონებრივი იერიში და ჩამოწერეთ სია, თუ რა არის გასაკეთებელი.	რეფლექსია: რომელი ბავშვი გეხმარებოდათ ყველაზე მეტად დღეს? რა გააკეთა მან?

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	სახლის მოდელები სადემონსტრაციოდ	ქაღალდი, წებო, სკოჩი.	ზღაპრების წიგნი	მუსიკა, მუყაო	ფოტოები	---	---
დავალებები	აღმზრდელი: წრეს გაუძღვება თანაშემწე: შექმნის დასახელებების სტიკერებს, ეხმარება დემონსტრირების პროცესში	აღმზრდელი: ხელს უწყობს როლურ თამაშებს, აძლევს მიმართულებას თანაშემწე: მოძრაობს ბავშვებს შორის, ხელოვნების აქტივობა.	აღმზრდელი: კითხულობს თანაშემწე:. ამზადებს მასალებს ეზოში თამაშისათვის.	აღმზრდელი: თამაში „კუნძულები“ თანაშემწე: ეთამაშება ბავშვებს	აღმზრდელი: ჯგუფები ა და ბ თანაშემწე: ჯგუფი გ	აღმზრდელი: უძღვება დისკუსიას, ამზადებს წრეს თანაშემწე: უძღვება სიმღერას მუსიკის მასწავლებელი: უკრავს პიანინოზე	აღმზრდელი: უძღვება წრეს თანაშემწე: ბავშვებთან ერთად ალაგებს და ჯდება წრეში
პარასკევი ინდივიდუალიზება: ბავშვების მისამართების სია მათთვის, ვინც არ იცის. ნიას დაევალოს დროის თვალყურის დევნება, რათა გამოიცადოს მისი შედარებით განვითარებული უნარები.	წყვილებში გაზიარება: რისი შეცვლა მინდა ჩემს სახლში? დაამატეთ სახლის ნაწილების დასახელებების სტიკერები	როლური თამაში გრძელდება (ბოლო დღე). დაამატეთ აღნიშნვის ცერემონიალი და დამშვიდობების წვეულება ახალ სახლში გადასვლის გამო. ბავშვები ინდივიდუალურად ხმას აძლევენ იმის დასადგენად, თუ რომელ თამაშს ითამაშებენ ეზოში.	ძმები გრიმების „უფლისწული ბაყაყი”- კოშკი/ სასახლე	ბავშვების შერჩეული თამაში.	წიგნის ბოლო გვერდი, დახატონ თავიანთი სახლები. კითხვა: ”რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?”	სიმღერა: დაამატეთ ახალი სტროფი სიმღერას. ბავშვები გადაწყვეტენ, რომელი იარაღი გამოიყენონ, (მაგ ,ურიკა, ამწე, ბულდოზერი, ტრაქტორი, ცემენტის შემრევი). შეაერთეთ ყველა 6 სტროფი შექმენით გრაფიკი, რომელიც დავალებებს განუსაზღვრავს ბავშვებს.	რეფლექსია: რა იყო ის, რაც ყველაზე უფრო მეტად მოგეწონათ ამ კვირაში? რას ისურვებდით, რომ გავაკეთოთ შემდეგ კვირას?

3/04 – 7/04	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი (ეზოს) თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურსები	---	თამაშების საინფორმაციო ცხრილი	ზღაპრების წიგნი	დამოკიდებულია ბავშვების არჩეულ თამაშზე	---	---	---
დავალებები	აღმზრდელი: შექმნის დასახელებების სტიკერებს თანაშემწე: წრეს გაუძღვება	აღმზრდელი: მოძრაობს ბავშვებს შორის. გაუძღვება ხმის მიცემის პროცესს. თანაშემწე: ხელს უწყობს როლურ თამაშებს	აღმზრდელი: ამზადებს ბავშვებს ეზოში თამაშისათვის. თანაშემწე: კითხულობს	აღმზრდელი: თამაშობს ბავშვებთან ერთად თანაშემწე: ეხმარება ბავშვებს წესებიანი თამაშის დროს	აღმზრდელი: ჯგუფები ა და გ თანაშემწე: ჯგუფი ბ	აღმზრდელი: უძღვება დისკუსიას, ამზადებს წრეს თანაშემწე: უძღვება სიმღერას მუსიკის მასწავლებელი: უკრავს პიანინოზე	აღმზრდელი: უძღვება წრეს თანაშემწე: ბავშვებთან ერთად ალაგებს და ჯდება წრეში

წარმოდგენილი სააღმზრდელო პროცესის გეგმის ნიმუშები მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ სპეციალურად გამიზნული საქმიანობების შესახებ. ისინი არ აღწერენ იმ ზოგად რუტინულ აქტივობებს, გარდამავალ პროცესებსა და ყოველდღიურ გამოცდილებებს, როგორიცაა თავისუფალი თამაში *კვლევისა და აღმოჩენების* დროს, აგრეთვე *ეზოს/ფიზიკური თამაშები*. ამ პერიოდებში დაგეგმილ აქტივობებში ჩართვა ბავშვებს თავიანთი სურვილის მიხედვით შეუძლიათ. აქ არ არის აღწერილი არც ის აქტივობები, რომლებიც აღმზრდელმა უნდა განახორციელოს წრეში პირველი შეხვედრის დროს, როდესაც ბავშვები და უფროსები ესალმებიან ერთმანეთს და უზიარებენ სიახლეებს; ასევე სხვა მოძრავი აქტივობები, რომლებიც შეიძლება მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდეს. ამ გეგმებში აღწერილი არ არის არც მუსიკის მასწავლებლის ან ცეკვის მასწავლებლის აქტივობები.

ეს საქმიანობები მოცემულია ნიმუშების სახით. მათი შეცვლა სავსებით შესაძლებელი, მეტიც, აუცილებელია იმისათვის, რომ აღმზრდელი მოერგოს დღის განრიგსა და არსებულ სიტუაციას. გეგმაში საქმიანობები დეტალურად არის აღწერილი, რათა სრულად გადმოიცეს მათი ხასიათი.

თავი 27. ბავშვების საქმიანობისა და განვითარების დოკუმენტირება

ტერმინი „დოკუმენტირება“ სასკოლო მზაობის პროგრამის კონტექსტში ნიშნავს დოკუმენტების, ფოტოების ან/და იმ ნივთების სისტემატურ და ორგანიზებულ შეგროვებას, რომლებიც „ამბავს მოგვითხრობენ“. დოკუმენტირების მიზანია ვიზუალურად თვალსაჩინო გახადოს სწავლის პროცესი. დოკუმენტირება ამასთანავე იძლევა სხვებთან (კოლეგებთან, მშობლებთან და ბავშვებთან) ერთობლივი დისკუსიისა და ინტერპრეტირების საშუალებას, რაც ხელს უწყობს შემდგომი საქმიანობებისთვის ახალი იდეების წარმოქმნას. ამრიგად, ბავშვების საქმიანობებისა და გამოცდილების დოკუმენტირება კარგ საშუალებას იძლევა პროგრამის ადაპტირებისთვის და მისი (პროგრამის) უკეთ მორგებისთვის ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებზე.

აღმზრდელები ბავშვების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მათზე პირდაპირი დაკვირვებების შედეგად იღებენ, თუმცა ბავშვების ნამუშევრების დოკუმენტირება მრავალფეროვანი საშუალებებით წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვების კომპეტენციისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების მნიშვნელოვან თვალსაჩინო მტკიცებულებას. აღმზრდელები აკვირდებიან ბავშვების მიერ შესრულებულ სამუშაოს, ახდენენ მის დოკუმენტირებას და ამ გზით იღრმავებენ ცოდნას ბავშვების განვითარებისა და სწავლის პროცესის შესახებ.

ბავშვების საქმიანობებისა და გამოცდილების დოკუმენტირება ამასთანავე ხელს უწყობს სწავლას, რადგან ბავშვები ამ გზით გაიაზრებენ მათი ნამუშევრების შინაარსობრივ მნიშვნელობას. ეს, თავის მხრივ, სტიმულს აძლევს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, აფართოებს მათ ინტერე-

სებს და განუმტკიცებს საკუთარი ძალების რწმენას. როდესაც ბავშვების ნამუშევრები გულდასმით და მიმზიდველადაა დოკუმენტირებული, ბავშვები ხედავენ, რომ მათი ძალისხმევა, მიზნები და იდეები მნიშვნელოვანია. ამდენად, ბავშვის ჩართვა აღნიშნულ პროცესში მართლაც მნიშვნელოვანია. ბავშვების საქმიანობებისა და გამოცდილების შერჩევის, მომზადებისა და გამოფენის/ჩვენების პროცესი იგივეა, რაც მსჯელობის პროცესი, რომლის დროსაც შესაძლოა წარმოიშვას, განვითარდეს და გაღრმავდეს ახალი იდეები და მოსაზრებები. ბავშვები სწავლობენ ერთმანეთისგან, ერთმანეთის ნამუშევრები იქცევა მათი შთაგონების წყაროდ.

დოკუმენტირება ბავშვებს იმავდროულად მატებს მოტივაციას, რომ მეტი პასუხისმგებლობითა და ენერგიით მიუდგნენ საკუთარ საქმიანობას. ამის შედეგად ბავშვები მეტი ინტერესით ჩაერთვებიან პროცესში, იამაყებენ/კმაყოფილი იქნებიან საკუთარი მიღწევებით.

ბავშვების სწავლის დოკუმენტირებისთვის არსებობს რამდენიმე გზა. ესენია: ყოველდღიური ჟურნალები, ამბების დაფა, პროექტის წიგნები და ა.შ., თუმცა ყველაზე ხშირად გამოყენებულ ეფექტურ მეთოდებს წარმოადგენს გამოფენები და ბავშვების პორტფოლიო.

გამოფენები

გამოფენებზე შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ბავშვის საქმიანობის პროცესის ამსახველი მასალა, ისე საბოლოო პროდუქტი (ნამუშევარი). მათი გამოფენა შესაძლებელია კედლებზე, ფანჯრებზე, მაგიდებზე, საგამოფენო დაფებზე, რაფებზე და ა.შ. მიმდინარე პროექტების გამოფენა შეიძლება გახდეს უწყვეტი კვლევისა და დიალოგის საფუძველი ბავშვებს, აღმზრდელებსა და ოჯახებს შორის. ფოტოების, ნამუშევრების, ტექსტების გამოფენა სწავლის პროცესს ვიზუალურად თვალსაჩინოდ ხდის როგორც პროცესის უშუალო მონაწილეებისთვის, ისე სხვა პირებისთვის.

იმისათვის, რომ გამოფენებმა სათანადო მნიშვნელობა შეიძინოს, აღმზრდელი მომზადებისას საკუთარ თავს უსვამს რამდენიმე შეკითხვას:

- რა მიზანი აქვს იმ მასალას, რომელიც გამოფენაზე გაგვაქვს? ვისთვის არის ეს გამოფენა - ბავშვებისთვის, ოჯახებისთვის თუ სხვა სტუმრებისთვის?

- რას გვეუბნება გამოფენილი მასალა ბავშვების შესახებ? მათი სწავლისა და განვითარების შესახებ?

- არის თუ არა გამოფენის მიზანი ბავშვის ნამუშევრების აღიარება და პატივისცემა, თუ მას მხოლოდ დეკორატიული ხასიათი აქვს?

- რაზეა გამოფენა ორიენტირებული - მონაწილეობასა და დამთვალიერებლების აქტიურ ჩართულობაზე თუ მხოლოდ ინფორმაციის პასიურ მიღებაზე?

გამოფენის შინაარსის მნიშვნელობის წინ წამოწევასთან ერთად აღმზრდელები ყურადღებას აქცევენ დიზაინსა და ხარისხს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვების ესთეტიკურ განვითარებას და , უფრო ნათლად გადასცენ სათქმელი ოჯახის წევრებსა და სხვა სტუმრებს.

გამოფენა შეიძლება მოიცავდეს ფოტოებს, ნამუშევრების ნიმუშებს, აღწერილობებს, ჩაწერილ დიალოგებსა და სხვა რესურსებს.

ფოტოზე მოცემული გამოფენა წარმოადგენდა ერთ-ერთი პროექტის კულმინაციას. პროექტის ფარგლებში ბავშვებმა ჯერ ტანსაცმლის დიზაინი გააკეთეს, შემდეგ კი შექმნეს რეალური ნამუშევრები. ამ პროცესში ბავშვებმა ისწავლეს საკერავი მანქანის გამოყენება.

გამოფენების ადგილი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად კარგად მოხერხდება მათი გამოყენება.

- გამოფენის სტენდები მდებარეობს შესაბამის სამუშაო სივრცესთან ახლოს. მაგალითად, თუ გამოფენაზე ნაჩვენებია ბავშვების ექსპერიმენტები მცენარეებზე, იგი უნდა მდებარეობდეს იმ სივრცის სიახლოვეს, სადაც ექსპერიმენტები ჩატარდა. ეს სტრატეგიული განლაგება სტიმულს აძლევს აზროვნებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და ბავშვებისთვის სასარგებლო ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

- გამოფენის სტენდები განლაგებულია ბავშვის ხედვის სიმაღლეზე. იქ, სადაც ბავშვები სხდებიან იატაკზე ან სკამებზე, სტენდები კიდევ უფრო ქვემოთ უნდა განთავსდეს.

- უმჯობესია ოთახში გვქონდეს რამდენიმე დაფა (მხოლოდ ერთი დიდი ზომის დაფა, სავარაუდოდ, ადვილად გადაიტვირთება).

იდეალურ შემთხვევაში საგამოფენო სტენდები (ან თაროები და ა.შ.) ბავშვების ნამუშევრებს ლამაზად, ცხადად და მარტივად აღბეჭდავს. ამის მიღწვაში შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ:

- ყოველ ჯერზე გამოფინეთ მხოლოდ რამდენიმე ნივთი, უკეთესია ნივთები შეცვალოთ ან გადაანაცვლოთ, ვიდრე მუდმივად ამატოთ ახლები. ამით ბავშვები არ გადაიტვირთებიან და ინტერესსაც შეინარჩუნებენ. ამგვარად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ბავშვის ნამუშევრების წარმოჩენაც. მნიშვნელოვანია, რომ გამოიფინოს უკლებლივ ყველა ბავშვის ნამუშევარი;

- გამოფინეთ მხოლოდ მიმდინარე სწავლის პროცესთან დაკავშირებული და გამოსადეგი მასალა. სტენდები უნდა იყოს სწავლა-სწავლების საშუალება და არა, მაგალითად, ადგილი იმ დღესასწაულის აღსანიშნავად, რომელსაც პროგრამასთან კავშირი არ აქვს;

- იმისათვის, რომ ნამუშევრებმა ყურადღება მიიპყროს, თითოეულ მათგანს გაუკეთეთ ჩარჩო და მოუფიქრეთ სათაური;

- ფონისთვის გამოიყენეთ სადა ფერი და ფაქტურა.

გამოფენები წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ბავშვების საქმიანობების დემონსტრირების ერთ-ერთ საშუალებას. ამ გზით მშობლები იღებენ ინფორმაციას მათი შვილების საქმიანობისა და განვითარების შესახებ. მათ ამასთანავე ეძლევათ საშუალება, რომ ხელი შეუწყონ დოკუმენტირების მნიშვნელობის გაზრდას თავიანთი მოსაზრებების გაზიარებით. ხშირად მშობლები აღმზრდელებს აწვდიან ისეთ იდეებს, რომლებზედაც მათ თავად არ უფიქრიათ. მიმდინარე პროექტის დოკუმენტირების დათვალიერება მშობლებს ეხმარება ასევე იმაში, რომ უფრო ინტენსიურად ჩაერთონ სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფის საქმიანობებში.

ბავშვების პორტფოლიოები

ბავშვების ნამუშევრებისა და განვითარების დოკუმენტირების კიდევ ერთი ეფექტური გზაა ბავშვების პორტფოლიოების შექმნა. პორტფოლიო წარმოადგენს ბავშვის მიერ განვლილი სასწავლო გზის ავთენტურ და ინდივიდუალიზებულ აღწერას. მასში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ბავშვის უნიკალური შესაძლებლობები, მიღწევები და განვითარება ავთენტური ნიმუშების საშუალებით.

პორტფოლიოს შექმნა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე უწყვეტი პროცესია. მას დროდადრო ემატება ინფორმაცია და სხვადასხვა ნამუშევარი. პორტფოლიოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ იგი ასახავს ბავშვის ზრდას და მიღწევებს მოცემული დროის განმავლობაში. ეს არ არის უბრალო ანგარიში და ბავშვის აღწერა აწმყოში, იგი ასახავს ბავშვის განვითარების ამბავს დღევანდელ დღემდე.

პორტფოლიო შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს ყუთის, აკორდეონივით დაკეცილი ფაილების, ფოლდერების, ბაინდერების, ფოტოალბომის სახით ან/და ზემოაღნიშნული ნივთების სხვადასხვა კომბინაციის სახით.

ბავშვის პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს ეპიზოდურ ჩანაწერებს, ფოტოსურათებს, ხელოვნების ნამუშევრებს, ამბებს და ბავშვების სხვა ნამუშევრებს. სურათები შეიძლება იყოს გადაღებული სხვადასხვა სიტუაციაში, როდესაც ბავშვი თამაშობს კუბებით, მონაწილეობს მეცნიერულ კვლევაში თუ როლურ თამაშში. ბავშვს შეიძლება გადავუღოთ ფოტოები დასრულებულ სამგანზომილებიან პატარა პროექტებთან, ასევე წიგნის კითხვისას, დიდი ზომის ნახატების ხატვისას, ფაზლების დამოუკიდებლად აწყობისას (იქვე აღნიშნული უნდა იყოს მისი ნაწილების რაოდენობა ან სირთულე), ნებისმიერი აქტივობისას, რომლითაც ბავშვმა ყველაზე მეტად ისიამოვნა; ბავშვის ფოტო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს და ა.შ. ეს ფოტოები მიეკვრება ქაღალდზე, რომელზედაც გაკეთდება მოკლე ჩანაწერი იმის აღნიშვნით, თუ რას აკეთებდა და რას ამბობდა ბავშვი ამ აქტივობის განხორციელებისას. აღმზრდელმა ასევე შეიძლება გადაუღოს ფოტოები განსაკუთრებულად დიდ ან მასიურ ხელოვნების ნამუშევრებს ან სხვა პროექტებს, რომლებიც სხვაგვარად ვერ მოთავსდება პორტფოლიოში.

ბავშვების ნამუშევრის რეალურ ნიმუშად აღმზრდელმა შეიძლება გამოიყენოს ხელოვნების პროექტები, მათ შორის, ნახატების ნიმუშები. წლის განმავლობაში ორჯერ ან მსგავსი პროექტის შედეგად შექმნილი ნიმუშების წარმოდგენა ბავშვის განვითარების ნათელი მაგალითი იქნება. მნიშვნელოვანია „ნაწერი“ ნიმუშების გამოყენებაც, რომლებიც წერის საწყის უნარებს ასახავს. წერის მცდელობები შეიძლება მოიცავდეს სახელების წარწერებს, ეტიკეტებს ან სხვა ნიმუშებს.

თითოეულ ნიმუშზე მითითებული უნდა იყოს აქტივობის თარიღი. კარგი იქნება ასევე აქტივობის მიზნის მითითება პორტფოლიოს თითოეული გვერდის უკანა მხარეს. ამგვარად მშობლები პორტფოლიოს მასალის ნახვისას მიხვდებიან აქტივობის მიზანსაც. ამის გაკეთების ერთ-ერთ გზას კი წარმოადგენს ბევრი ეტიკეტის დაბეჭდვა. ეტიკეტებზე მითითებული იქნება სწავლისა და განვითარების დაკვირვებადი შედეგები (იხ. *სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტი*). წინასწარ გამზადებული ეტიკეტებიდან აღმზრდელი ამოარჩევს აქტივობის შესაბამისი შედეგების ეტიკეტს და მიაკრავს პორტფოლიოს გვერდის უკანა გვერდზე.

დოკუმენტირების აღნიშნული მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მისი გამოყენებით ბავშვებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერთონ პორტფოლიოს შედგენის პროცესში და თავად აირჩიონ პორტფოლიოში შესატანი მასალა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხისა და თვითშეფასების ამაღლებას, ასევე გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას - ბავშვები თავად გადაწყვეტენ, რა არის ღირებული და მნიშვნელოვანი მათთვის, რისი გამოჩენით და გაზიარებით იამაყებენ.

დაბოლოს, პორტფოლიოები ეფექტური და სასარგებლო საშუალებაა აღმზრდელებისთვის თითოეული ბავშვის უნიკალური გამოცდილების, ინტერესების, ძლიერი მხარეებისა და განვითარების აღსაბეჭდად.

დანართები

ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში

(4-საათიანი პროგრამა კვების კომპონენტის გათვალისწინებით[3])

თემა – „საჰაერო მგზავრობა“

სასკოლო მზაობის ეს ჯგუფი შექმნილია ერთ-ერთი სოფლის საბავშო ბაღში. ამავე ბაღის შენობაში ფუნქციონირებს კიდევ ერთი ჯგუფი უფრო მცირე ასაკის ბავშვებისათვის.

მიღება და მისალმება. (09:45-10:00). 10 საათზე ნინო (აღმზრდელი) და მისი თანაშემწე ანა იწყებენ პირველ შეხვედრას წრეში 25 ბავშვთან ერთად. წრეში შეხვედრის დაწყებამდე ბავშვები ათვალიერებდნენ წიგნებს, ხატავდნენ, თამაშობდნენ და აშენებდნენ კონსტრუქციებს კუბურებით. დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ბავშვების უმრავლესობა მონაწილეობას იღებს წარმოსახვით თამაშში. იგი ჰგავს პოპულარულ სატელევიზიო შოუს, რომელშიც მომღერლები და მოცეკვავეები გამოდიან და ეჯიბრებიან ერთმანეთს.

დღის გეგმა და ბავშვების „სამუშაო“ (მორიგეობა)

ყოველ დილით, წრეში პირველ შეხვედრამდე, ბავშვები გამოკრულ ცხრილში პოულობენ საკუთარ ფოტოსა და სახელს და აღნიშნავენ დასწრებას. ბავშვები ათვალიერებენ „დღის გეგმის“ დასურათებულ ცხრილს იმის დასადგენად, თუ რა საქმიანობებია დაგეგმილი მოცემულ დღეს. ბავშვები ათვალიერებენ აგრეთვე „სამუშაოს“ ცხრილს და არკვევენ, რა როლის შესრულება მოუწევთ იმ დღეს ჯგუფის საქმიანობების წარმატებულად წარმართვისთვის. ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ შემდეგი როლები: ,,აღმზრდელი'', რომელსაც იმ დღეს აღმზრდელისა და მისი თანაშემწის დამხმარეს ფუნქცია აკისრია; „მიმომხილველი'', რომელსაც დღის ბოლოს გამართულ შეხვედრაზე მოუწევს დღის განმავლობაში ახლად ნასწავლის ან შესრულებული საქმიანობების ჩამოთვლა/დღის შეჯამება; „ბოტანიკოსი“, რომელიც მორწყავს ჯგუფის მცენარეებს და ა.შ.

კომენტარი: *ყოველ დილით დღის განრიგის გაცნობა ბავშვებს დაეხმარება უკეთ წარმოიდგინონ დაგეგმილი საქმიანობები და შეიქმნან სწორი მოლოდინები, რაც უფრო მეტ დამოუკიდებლობას შესძენს მათ. ყოველდღიურად განსხვავებული „სამუშაოს“ შესრულება დადებითად მოქმედებს აღსაზრდელების თვითშეფასებაზე, ვინაიდან ამ გზით ბავშვებს ვაკისრებთ გარკვეული სერიოზული ფუნქციის შესრულებას.*

ხუთშაბათია, გვიანი ოქტომბერი. უკანასკნელი კვირა-ნახევრის განმავლობაში ჯგუფის სასწავლო თემა იყო „საჰაერო მგზავრობა“. იდეა თემისთვის წარმოიშვა გარეთ თამაშის დროს - ნინომ და ანამ ამ დროს შეამჩნიეს, რომ ბავშვების უმეტესობა თვითმფრინავს ასახიერებდა. ისინი განზე შლიდნენ ხელებს და, როგორც ჩანს, მოსწონდათ „საავარიო“ დაშვების განსახიერება. ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ასევე იმაშიც, რომ რაც შეიძლება უფრო ხმამაღლა გამოეცათ რეალისტური ხმები. ნინო და ანა მიხვდნენ, რომ აქტივობა მიმზიდველი იყო იმ

[3] პროგრამის ხანგრძლივობის განსხვავებული მოდელები იხ. სახელმძღვანელოს მე-7 თავში.

განსაკუთრებული ძალის შეგრძნების გამო, რომელსაც ბავშვები განიცდიდნენ ძალიან დიდი, სწრაფი, ხმაურიანი და ცაში ყველაზე და ყველაფერზე მაღლა მყოფ ობიექტად თავის წარმოდგენის დროს.

კომენტარი: *როდესაც თემისა თუ პროექტის იდეა ბავშვებისგან არის "წამოსული", ამით ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამის პირველი პრინციპი. ასეთი თემა საშუალებას იძლევა, რომ პროგრამა და აქტივობები ემსახურებოდეს ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას.*

პირველი შეხვედრა წრეში (10:00-10:20) იწყება მისასალმებელი სიმღერით „მეგობრები", ოღონდ ერთი ცვლილებით: როდესაც ბავშვები საკუთარ სახელებს ამბობენ, ისინი ასევე ასახელებენ ერთი რომელიმე ნივთის სახელს, რომელიც შეიძლება იყოს თვითმფრინავში ან აეროპორტში. კედელზე გაკრულია სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია საჰაერო მგზავრობასთან. მათ გვერდით მოთავსებულია ჩანახატები, სიმბოლოები და მინიშნებები. სიის შედგენა დაიწყო მაშინ, როდესაც თემა შეირჩა და მას ყოველდღიურად ემატება რამდენიმე ახალი სიტყვა.

შენიშვნა: *ამგვარი აქტივობა ხელს უწყობს ბავშვების ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მათ მიერ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებას. ორივე მათგანი მნიშვნელოვან უნარებს წარმოადგენს კითხვის სწავლების წინა, მოსამზადებელი ეტაპისთვის.*

ლუკა, როგორც იმ დღის „აღმზრდელი", ნინოს გვერდით დგას და ჯგუფს ატყობინებს „ახალ ამბებს". ის ეუბნება ჯგუფს, რომ ბაბუასთან ერთად შაბათს მიდის სათევზაოდ. ნინო ბავშვებს სთხოვს შეკითხვები დაუსვან ლუკას. რამდენიმე ბავშვი ხელს იწევს, ლუკა ნანაზე მიუთითებს იმის ნიშნად, რომ შეკითხვა ნანამ უნდა დასვას. ნანა: „ ანკესი გაქვს?" ლუკა პასუხობს: „ხანდახან ბაბუა მაძლევს უფლებას, რომ მისი ანკესი გამოვიყენო. ისე, მაქვს გრძელი ჯოხი, რომელსაც ანკესივით ვხმარობ". სხვა ბავშვი ლუკას: „სათევზაოდ ჩვენს ტბაზე მიდიხარ?", ლუკა: „არა, სადღაც შორს. რაღაც განსაკუთრებული ადგილია, სადაც ბევრი სახეობის თევზია".

ამის შემდეგ ბავშვები წყვილდებიან და გარკვეული დროის განმავლობაში წყვილებში საუბრობენ სიახლეებთან დაკავშირებით ან იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება გაუხარდებათ დღეს.

კომენტარი: *როგორც ზემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, ბავშვები წყვილებში უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს, რაც ხელს უწყობს მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობისფორმირებას. ურთიერთობის დროს ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, კითხვების დასმას და რიგითობის დაცვას. აღნიშნული საკითხების გაცნობა დეტალურად შეგიძლიათ მე-2 თავში „ჯგუფის ერთობა".*

ნინო ეკითხება ბავშვებს, იციან თუ არა რაიმე იმის შესახებ, თუ როგორ ჩერდება მაღლა ცაში მძიმე თვითმფრინავი. ერთი ბავშვი ამბობს, რომ თვითმფრინავს ცაში ფრთები აჩერებს. შემ-

დეგ ნინო ბავშვებს ეკითხება: ”როგორ ფიქრობთ, თუკი ადამიანებს ან მანქანას დავუმაგრებთ ფრთებს, შეძლებენ ისინი ფრენას?”. ზოგი ბავშვი ამბობს: „კი, შეძლებენ“, ზოგი კი პასუხობს: „არა, ვერ შეძლებენ“.

ნინო: ”მოდით, ერთად ვიპოვოთ სწორი პასუხი მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს“.

კომენტარი: *ამგვარი შეკითხვების დასმით აღმზრდელი უბიძგებს ბავშვებს ლოგიკური აზროვნებისკენ, უღვივებს პატარებს ინტერესს აღნიშნული საკითხის მიმართ.*

ნინო აგრძელებს: „გუშინ დათომ რამდენიმე კარგი შეკითხვა დასვა. მას სურდა გაერკვია, თუ როგორ შეიძლება თვითმფრინავით მგზავრობა. დათო, შეგიძლია გაიმეორო შენი შეკითხვები, ისე რომ ყველამ გაიგოს?“ დათო, რომელიც ცოტა მორცხვია და ხმადაბლა საუბრობს, შეშფოთებულია ამ შემოთავაზების გამო.

ნინო: „დათო, თუ გინდა, ჯერ მე მითხარი და მე ვეტყვი შენს ნათქვამს ყველას“. ამ სიტყვებზე დათო იღიმება და თავს უქნევს აღმზრდელს, რეალურად კი ყველა ბავშვს ესმის დათოს შეკითხვები.

დათო: „თვითმფრინავით მგზავრობისას საჭიროა ბილეთის ყიდვა, როგორც მატარებლით მგზავრობის დროს? რა ღირს თვითმფრინავის ბილეთი?”

ანა: “დიახ, ყიდულობ ბილეთს და შემდეგ გაძლევენ ჩასხდომის ბარათს, რომელზედაც შენი ადგილის ნომერია მითითებული“.

ნინო: “ბარათზე მითითებულია ფასიც, ანუ იქ დაწერილი ციფრები ჩვენ გვაწვდის ინფორმაციას ბილეთის ფასისა და ჩვენი ადგილის შესახებ. კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ ამ სურათიდან?” (*აღმზრდელი ბავშვებს უჩვენებს ჟურნალის სარეკლამო ფოტოს)*

საბა: „თვითმფრინავი მიფრინავს ბათუმში”.

ნინო: “დიახ, ის მიფრინავს ზღვის სანაპიროზე, მაგრამ ეს სანაპირო თურქეთშია და არა საქართველოში. დახედეთ ჩვენს რუკას. აი, ჩვენ სად ვართ და აი, სად არის თურქეთი, სადაც თვითმფრინავი მიფრინავს. დაახლოებით ორი საათი იქნება საჭირო იქ ჩასაფრენად, მაგრამ თუკი მანქანით გავემგზავრებით, დაახლოებით 2 დღე დაგვჭირდება ამისთვის. ამ რეკლამაში რამე რიცხვებს ხომ ვერ ხედავთ?“

რამდენიმე ბავშვი: “დიახ!”.

ნინო: “ნია, მოდი და გვაჩვენე ციფრები“. იმ დროს, როდესაც ნია უთითებს რიცხვებზე, ნინო ამბობს: „ეს არის ბილეთის ფასი. იცი ამ ციფრების სახელები?”

ნიამ გამოიცნო ციფრები 2 და 0, მაგრამ არა იმ თანამიმდევრობით, რომლითაც რიცხვები წერია.

ნინო: „გმადლობ, ნია! მოდით, ყველამ ერთად ვთქვათ ეს ციფრები და ნიამ მიგვითითოს მათზე“. ამის შემდეგ ნინო ეხმარება ნიას პირველი ციფრის მითითებაში. სანამ თავად დაასახელებდეს რიცხვს, ნინო ცოტა ხნით ჩერდება რომ გაარკვიოს, არის თუ არა ჯგუფში ისეთი ბავშვი, რომელსაც შეუძლია მითითებული რიცხვის დასახელება. ამის შემდეგ ის ბავშვებს თავიდან სთხოვს ციფრების დასახელებას და ჩუმად „იმეორებს“ რიცხვების სახელებს. „ესე იგი, როდესაც წერია ორი, ნული და ნული, ეს იმას ნიშნავს, რომ აქედან თურქეთში გაფრენა და უკან დაბრუნება ღირს ორასი ლარი“. ზოგიერთი ბავშვი გამოხატავს გაოცებას ამ რიცხვის გაგონებისას.

აღმზრდელი ხაზს უსვამს, რომ ციფრები ჩვენ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის და მათი ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია.

ანა: “დღეს, კვლევისა და აღმოჩენების დროს, ჩვენ გავაგრძელებთ აეროპორტისა და თვითმფრინავის პროექტებზე მუშაობას; გავაგრძელებთ ასევე როლურ თამაშს „ვერტმფრენის გადარჩენობანას“, თუმცა თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი თამაში სხვა ცენტრებში“.

ანა ნებას რთავს რამდენიმე ბავშვს, რომ გავიდნენ რიგრიგობით და ხელები დაიბანონ საუზმისთვის. ის ეუბნება ბავშვებს: „თუ თქვენი სახელის პირველი ასო არის – – –, შეგიძლიათ გახვიდეთ ხელების დასაბანად. თუ თქვენი გვარის პირველი ასო არის – – –, თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ“. შემდეგ ის სთხოვს ლუკას, დაასახელოს ასოები საკუთარი არჩევანისამებრ. ის ბავშვები, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდებიან, ათვალიერებენ ნინოს მიერ მოტანილ რეკლამებს.

კომენტარი: *აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს პრაგმატული ტექსტის (ტექსტი, რომლის შექმნა ნაკარნახევია პრაქტიკული საჭიროებებით) გაანალიზებაში. ბავშვებმა უნდა აღმოაჩინონ, რომ სარეკლამო ფურცელზე დაწერილი ციფრები მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. თანაშემწე ამავე დროს წინასწარ აცნობს პატარებს, თუ რისი გაკეთება მოუწევთ მათ მოგვიანებით. მიზნების გაცნობა პატარებს დიდად ეხმარება საკუთარი ქცევის მართვაში. უფროსები იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს გარდამავალ პერიოდში (დილის წრიდან საუზმეზე გადასვლა).*

საუზმე (10:20-10:50) საუზმისთვის გამოყოფილი ნახევარი საათის განმავლობაში ბავშვები იბანენ ხელებს, მიირთმევენ საუზმეს და იხეხავენ კბილებს. საუზმის დროს ანა და ნინო ძალდაუტანებლად ესაუბრებიან ბავშვებს. ისინი ბავშვებს უსვამენ შეკითხვებს და წარმართავენ დისკუსიას საკვების შესახებ: რისგან კეთდება, რა ინგრედიენტებს შეიცავს, როგორ მზადდება კერძი, ვინ ამზადებს კერძს, რომელია ჯანსაღი საკვები და როგორ ეხმარება ეს საკვები ბავშვს ზრდაში. ბავშვები ასევე საუბრობენ მათ საყვარელ საკვებზე და სასმელზე. როდესაც ბავშვები დაასრულებენ ჭამას და დაალაგებენ თეფშებს, მათ აძლევენ კბილის ჯაგრისებს. კბილების გამოხეხვის შემდეგ ბავშვები გადადიან აქტივობაზე.

კომენტარი: *აღმზრდელები კვების დროსაც ეხმარებიან ბავშვებს სასკოლო მზაობის საგანმა-*

ნათლებლო სტანდარტი გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში - პატარებმა უნდა შეძლონ ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების ერთმანეთისგან გარჩევა. აღმზრდელები იმავდროულად ზრუნავენ ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის მნიშვნელოვანი ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე.

კვლევისა და აღმოჩენების დრო: (10:50-11:35). მიმდინარეობს მუშაობა თემასთან დაკავშირებულ ორ პროექტზე. ერთი პროექტის მიხედვით, ყუთებისგან უნდა მომზადდეს თვითმფრინავის დიდი მაკეტი - ისეთი ზომისა, რომ რამდენიმე ბავშვი დაიტიოს. მეორე პროექტი გულისხმობს აეროპორტის მაკეტის მომზადებას პატარა კუბურებით, პატარა პლასტმასის "აგურებით", თიხით, ქაღალდით, შეშის ნატეხებით, კონსერვის ქილებით, ნაჭრებით და სხვა მასალით. ბავშვები ერთად გადააადგილებენ მაგიდებსა და სკამებს, რათა ადგილი გაათავისუფლონ პროექტებისა და როლური თამაშისთვის. შემდეგ ცენტრებიდან იღებენ სასურველ მასალებს. აქტივობათა ცენტრებში თაროებზე მიმზიდველად და ორგანიზებულად არის დალაგებული ესთეტიკურად მომხიბლავი რესურსები.

50 წუთის განმავლობაში ბავშვების უმრავლესობა სრულადაა ჩართული თვითმფრინავისა თუ აეროპორტის კონსტრუქციის მომზადებაში ან „ვერტმფრენის გადარჩენობანას" თამაშში. ოთახში და მაგიდებზე განთავსებულია თვითმფრინავების, ვერტმფრენების, აეროპორტებისა და სხვა სურათები. სამი ბავშვი ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე თამაშობს სხვადასხვა თვალსაჩინო მასალით. რამდენიმე ბავშვი ერთი აქტივობიდან მეორეზე გადადის (მოძრაობს 2-3 აქტივობას შორის). ნინო მუშაობს აეროპორტის პროექტის გუნდთან, ანა კი - თვითმფრინავის პროექტის გუნდთან. ორივე თვალყურს ადევნებს სამ ბავშვს, რომლებიც თვალსაჩინო მასალით თამაშობს, ასევე იმ ბავშვებს, რომლებიც „ვერტმფრენის გადარჩენობანას" თამაშობენ. ნინო ორჯერ ცოტა ხნით ეხმარება იმ ბავშვებს, რომლებიც ვერტმფრენის გადარჩენის გუნდში თამაშობენ: პირველად მაშინ, როდესაც ორი ბავშვი წაკამათდა იმაზე, თუ ვინ იქნებოდა პილოტი; მეორედ კი მაშინ, როდესაც ლიზიმ მოინდომა თამაშში ჩართვა შუა პროცესიდან, რაც რამდენიმე ბავშვმა გააპროტესტა. ლიზი ჯგუფში ყველაზე პატარაა და მისი განვითარება ყველა სფეროში ცოტათი ჩამორჩება ჯგუფის სხვა წევრების განვითარების დონეს.

შემთხვევა 1.

ნინო ეკითხება ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთში დაობენ იმაზე, თუ ვინ იქნება პილოტი: „იქნებ არის იმის საშუალება, რომ ორივე იყოთ პილოტი?"

გიორგი: „პირველად მე ვიქნები პილოტი და მერე მარის შეუძლია იყოს პილოტი".

ნინო: „მარი, მისაღებია ეს შენთვის?". მარი თავს გადააქნევს უარის ნიშნად;

ნინო: „სხვა მოსაზრება ხომ არ გაქვს, მარი?"

მარი: „თუ ის იქნება პირველი, ჩემი ჯერი არ მოვა".

ლელა (რომელიც აკვირდება მოლაპარაკეებს): “ყოველთვის ორი პილოტია. ასე არ გვითხარით გუშინ?”

ნინო: „ეს სიმართლეა, ლელა, და თანაც ძალიან კარგი იდეაა!”

მაგრამ საბოლოოდ ბავშვები გადაწყვეტენ, რომ პილოტი ჯერ გიორგი იქნება. ისინი დაინიშნავენ დროს (7 წუთს), რომლის განმავლობაში გიორგი შეასრულებს იოლოტის როლს, მომდევნო 7 წუთის განმავლობაში პილოტი იქნება მარი, რომლის შემდეგაც ლელა გახდება პილოტი.

კომენტარი: *აღმზრდელი და თანაშემწე ეხმარებიან ბავშვებს მცირე ჯგუფებში და სათანადო ყურადღებას უთმობენ ბავშვების თამაშის წახალისებას.*

აღმზრდელი სტიმულს აძლევს ბავშვებს, რომ მათ მოძებნონ პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალი, ეხმარება სხვადასხვა ვერსიის მოფიქრებაში. ამგვარი სტრატეგიით ბავშვები სწავლობენ, რომ შესაძლებელია პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

შემთხვევა 2.

მოგვიანებით, როდესაც ლიზის შეხვდება წინააღმდეგობა თამაშში ჩართვისას, ნინო ამბობს: „ჩვენ გვაქვს ჯგუფში მოქცევის წესები, რომლის მიხედვითაც ყველას შეუძლია ითამაშოს ყველასთან, ამიტომ ლიზისაც უნდა მოვუძებნოთ როლი“.

ნიკო: „მაგრამ ჩვენ შუა თამაშში ვართ და არ გვინდა არც რაღაცის შეცვლა, არც თამაშის შეწყვეტა.!”.

ნინო: „ჰმმ, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ შევცვლით ჩვენი ჯგუფის ქცევის წესებს და ვიტყვით, რომ ყველას შეუძლია ითამაშოს ყველასთან ნებისიერ დროს!”.

ბავშვებთან გაიმართა მოკლე დისკუსია., დისკუსიის დროს ბავშვები აღნიშნავენ, რომ ახალი წესი ჯერ არ არის დადგენილი და რომ ეს არ არის კარგი წესი. დასასრულ, ნინო ამბობს: „კარგი, მე მოვიფიქრებ ლიზისთვის რაღაც როლს, თუ სხვას არავის შეუძლია ამის გაკეთება. ის შეიძლება იყოს დამატებითი ექიმი ან დაჭრილი/დაშავებული“.

ნიკო: „მე მაქვს იდეა! ლიზი, გინდა, შენ იყავი ექიმი იმ საავადმყოფოში, სადაც ჩვენ დაშავებულებს მოვიყვანთ?“

ლიზი (სახეზე ღიმილით): „კარგი!”

ნიკო: “ლიზი, მე დაგეხმარები ექიმის ფორმის ჩაცმაში”.

ნინო: “მადლობა, ნიკო. ეს ძალიან კარგი იქნება”.

კომენტარი: *აღმზრდელი ბავშვებს შეახსენებს წესს და მოუწოდებს მისი დაცვისკენ. წესების არსებობა და მათზე შეთანხმება ჯგუფის პოზიტიური მართვის ერთ-ერთი წინაპირობაა, მაგრამ აღმზრდელი მკაცრად არ ერევა ბავშვების საქმიანობაში. ის, უბრალოდ, გამოსავალს სთავაზობს ჩიხში შესულ ბავშვებს. ამ შემთხვევაში ბავშვები, პირველ რიგში, სწავლობენ ჯგუფში წესების დაცვის მნიშვნელობას და პოულობენ მათთვის რთული სიტუაციიდან გამოსვლის ახალ გზას.*

ანა აკვირდება ორ ბავშვს, რომლებიც გამუდმებით აშენებენ დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლის კოშკს პლასტმასის კუბურებით; შემდეგ ფეხს კრავენ აშენებულს, ანგრევენ და იცინიან. ანა ახლოს უჯდება მათ და ეუბნება: „გინდათ, კოშკი ააშენოთ ერთად და ნახოთ, რა სიმაღლის გამოგივათ, ისე რომ თავისით არ ჩამოინგრეს?“ ბავშვები მას ენთუზიაზმით თანხმდებიან. ანა აგრძელებს: „მოდით, პირველ რიგში, დააკვირდით მაღალი შენობების სურათებს ამ წიგნში და ნახეთ, რა აქვთ მათ საერთო. ეს დაგეხმარებათ ააშენოთ მაღალი კოშკი, რომელიც ადვილად არ ჩამოინგრევა“. ამის შემდეგ ანა ბრუნდება პროექტში ჩართული ბავშვების დასახმარებლად. რამდენიმე წუთში ორი ბავშვი (წიგნებით ხელში) მიდის ანასთან და ეუბნება: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა მაღალი შენობა ქვემოთ განიერია, მაგრამ ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება“. ანა პასუხობს: „ზუსტად ასეა! ეს შენობები ქვემოთ განიერია, ზემოთ კი ვიწრო, რაც მათ სიმყარეს ანიჭებს. აბა სცადეთ, თქვენც თუ შეძლებთ ამის გაკეთებას“.

კომენტარი: *აღმზრდელი საჭირო დროს სთავაზობს დახმარებას ბავშვებს, რითაც მათ ეხმარება ახალი ცოდნის კონსტრუირებაში.*

დაახლოებით 11 საათზე ანა რეკავს პატარა ზარს, თან აცხადებს, რომ აქტივობების დრო 5 წუთში იწურება და ბავშვებმა დალაგება უნდა დაიწყონ. ის მიუთითებს კედლის საათზე და აღნიშნავს: „გრძელი ისარი ახლა 11-ზეა გაჩერებული. როცა ის 12-თან მივა, მაშინ უნდა შეწყვიტოთ თამაში და დაიწყოთ დალაგება“. 11:05 საათზე, ანა ისევ რეკავს ზარს და იწყებს სიმღერას „დალაგებაზე“. ანა და ნინო ბავშვებს ეხმარებიან დალაგებასა და ნივთების კუთვნილ ადგილას დაბრუნებაში. ნინო წამახალისებელ სიტყვებს ჩასჩურჩულებს ბავშვებს ან ბავშვების მცირე ჯგუფებს: „მადლობა კუბურების ალაგებისთვის“, „ძალიან ბევრი იმუშავე დღეს, როდესაც მძივები დაალაგე ფერების მიხედვით“, „შენ და ილიკომ მშვენივრად იმუშავეთ დღეს ერთად“, სხვ.

კომენტარი: *აქტივობის დასრულების შემდეგ ბავშვები უფროსების დახმარებით ზრუნავენ ჯგუფის სივრცის მოწესრიგებაზე. აღმზრდელები ხაზგასმით აღნიშნავენ ბავშვების ძალისხმევას და მადლობის გადახდით გამოხატავენ პატივისცემას. აღმზრდელები აქტივობის დასასრულის მოახლოებას წინასწარ ატყობინებენ ბავშვებს, რათა მათ ნელ-ნელა დაასრულონ მუშაობა და მოემზადონ შემდეგი საქმიანობისთვის.*

წიგნის დრო - 11:35 - 11:50. ნინო და ანა ამჩნევენ, რომ ბავშვები ჩვეულებრივზე მეტად აქტიურობენ, ამიტომ ისინი კითხვის აქტივობას იწყებენ რიტმული თამაშით. ლუკა იწყებს რიტმის დარტყმას, შემდეგ ყველა აჰყვება მას და ერთვება თამაშში. დაახლოებით 15 წამის

შემდეგ ანას ჯგუფი სიმღერაზე გადაჰყავს: „3, 2, 1 - შეიცვალეთ!“. ამ დროს ლუკა დაიძახებს ილიკოს სახელს და ილიკო ცვლის რიტმს გაჩერების გარეშე. კიდევ 15 წამის შემდეგ ბავშვები აგრძელებენ სიმღერას და ილიკო დაიძახებს ლიკას სახელს. ლიკა ცვლის მოქმედებას, აგრძელებს რიტმს ტაშის დაკვრით და აჩქარებს რიტმს. ეს მეორდება რამდენიმეჯერ. ამის შემდეგ თანდათანობით ანელებს რიტმს, სანამ საბოლოოდ არ შეწყვეტს მას. ანა რბილი, მშვიდი ხმით ამბობს: „მოდით, ახლა მოვუსმინოთ ნინოს მიერ შერჩეულ წიგნს“.

კომენტარი: *აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს, რომ ძალდაუტანებლად გადავიდნენ ახალ, შედარებით მშვიდ აქტივობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი იყო კითხვის აქტივობის ჩატარება, ბავშვების საჭიროებებიდან გამომდინარე, აღმზრდელმაცოტათი შეცვალა გეგმა და ბავშვებს ჯერ რიტმული თამაში შესთავაზა.*

ნინო იწყებს კითხვას “დიდი წიგნიდან”, რომელიც მან გუშინ მოამზადა. მან გამოიყენა ეზოპეს იგავი კუსა და კურდღელზე, მაგრამ შეცვალა კურდღელი დიდი თვითმფრინავით, ხოლო კუ - პატარა სამგზავრო თვითმფრინავით. ნინო მიუთითებს სიტყვებზე, როდესაც მათ ამოიკითხავს. როდესაც საუბრობს დიდ თვითმფრინავზე, ნინო ხმას იბოხებს, პატარა თვითმფრინავის განსახიერებისას კი ხმას იწვრილებს და რბილად წარმოთქვამს სიტყვებს. ის კითხვისას პერიოდულად სვამს შეკითხვებს: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?“, „როგორ ფიქრობთ, რატომ უთხრა დიდმა თვითმფრინავმა პატარა თვითმფრინავს ეს სიტ-ყვები?“. ზღაპრის დასრულების შემდეგ ნინო სვამს რამდენიმე შეკითხვას დისკუსიის და-საწყებად: „როგორ ფიქრობთ, რატომ გაჩერდა დიდი თვითმფრინავი აეროპორტში შუა მგზავრობისას, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი საწვავი ჰქონდა საქართველოში ჩამო-სასვლელად?“, „თქვენი აზრით, როგორ გრძნობს თავს პატარა თვითმფრინავი?“, „როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, თუკი დიდი და პატარა თვითმფრინავები კიდევ ერთხელ შე-ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს?“.

მას შემდეგ რაც დისკუსია გაჩაღდება, ანას ჯგუფიდან გამოჰყავს 4 ბავშვი, რომლებიც იმ დღეს ასრულებენ „მიმტანების“ სამუშაოს. ისინი იბანენ ხელებს, იწყებენ მაგიდების გაშლას და თეფ-შებზე საჭმლის დადებას.

წიგნის კითხვის დროს დაჩი რაღაცას ჩუმად ეუბნება გვერდით მჯდომ ელენეს. ნინო ცდი-ლობს, არ შეწყვიტოს თხრობა და შეხედავს დაჩის მისი ყურადღების მისაპყრობად, მაგრამ ბიჭუნა ელენესთან საუბარს აგრძელებს. ნინო ამბობს: „დაჩი, მოდი, ჩემ გვერდით დაჯექი. შეგიძლია წიგნი დაიჭირო და გვერდები გადაფურცლო“. დაჩი ამას აკეთებს მას შემდეგ, რაც რამდენიმე სიტყვას კიდევ ეტყვის ელენეს. ამბის მოყოლის შემდეგ, როდესაც ბავშვები ხელებს იბანენ სადილისთვის, ნინო დაჩის სთხოვს მასთან გასაუბრებას. ნინო პატივისცემით ეკიდება დაჩის ღირსებას და ისეთ სივრცეში გაჰყავს, სადაც შედარებით სიწყნარეა.

ანა: „დაჩი, მიხვდი, რატომ გთხოვე წიგნის დაჭერა და გვერდების გადაფურცვლა?“. ბიჭუნა არ პასუხობს.

ანა: „კარგი, ორი მიზეზის გამო გთხოვე დახმარება: შენ ხომ გიყვარს, როდესაც მეხმარები. მეც მინდოდა, რომ დაგხმარებოდი. მე მინდოდა დაგხმარებოდი იმაში, რომ მოგესმინა ზღაპრისთვის, არ გელაპარაკა მაშინ, როდესაც ყველა მისმენდა“.

დაჩი: ”მე ხმამაღლა არ ვსაუბრობდი”.

ნინო: ”მესმის. შენ ფიქრობდი, რომ თუ ჩუმად ისაუბრებდი, სხვებს ხელს არ შეუშლიდი, არა?”

დაჩი (ჩურჩულით): ”დიახ”.

ნინო: ”შესანიშნავია, დაჩი, რომ შენ სხვა ბავშვებზეც დაფიქრდი და ცდილობდი არ შეგეწყვეტინებინა თხრობა, მაგრამ როდესაც ყველა ჩუმადაა და ისმენს მოთხრობას, ძალიან ხმადაბალი ჩურჩულიც კი შეიძლება ძალიან ხმამაღლად მოგეჩვენოს და ხელი შეგიშალოს ზღაპრის მოსმენაში. ასეთ დროს მეც მიძნელდება ზღაპრის მოყოლა. რას იტყვი, როგორ მოიქცევი ამის შემდეგ?”.

დაჩი: ”მე მგონი, რომ არავის არ უნდა დაველაპარაკო”.

ნინო: ”კარგი. მე მგონი, საკმაოდ ძნელი იქნება თავის შეკავება, როდესაც ვინმესთან დალაპარაკება გინდა. რას ფიქრობ, დაგეხმარება, ასე რომ უთხრა საკუთარ თავს: „მე ჩემს მეგობართან დალაპარაკებას შევძლებ წიგნის დროს დასრულების შემდეგ?”.

დაჩი: ”არ ვიცი”.

ნინო: ”მოდი, სცადე, იქნებ ამან გაამართლოს; თუმცა შეიძლება ხშირად დაგჭირდეს ამის გამეორება საკუთარი თავისთვის”.

დაჩი: ”კარგი, ვეცდები”

ნინო დაჩის ეხუტება, დაჩი მას საპასუხოდ უღიმის და ისინი უკან ბრუნდებიან კლასში.

კომენტარი: *როდესაც აღმზრდელი ამჩნევს, რომ ბავშვი არ არის ჩართული მოსმენის პროცესში, თავდაპირველად სხვებისთვის შეუმჩნევლად (მზერით) ცდილობს მისი ყურადღების მიპყრობას, ხოლო შემდეგ სთავაზობს ბავშვს აქტივობაში ჩართვას სხვა ფორმით. ამით აღმზრდელი ბავშვს განარიდებს სიტუაციას და ამასთანავე არ მოახდენს არასასურველი ქცევის იდენტიფირებას ჯგუფის წინაშე. აღმზრდელი უყურადღებოდ არ დატოვებს დაჩის არასასურველ ქცევას და მოგვიანებით მასთან ერთად განიხილავს მომხდარს. აღმზრდელი საუბრისას არ ადანაშაულებს ბავშვს და ცდილობს მასთან ერთად ახსნას ქცევის მიზეზები. იმავდრულად, აღმზრდელი ბავშვს შესთავაზებს ალტერნატიულ ქცევას - აუხსნის, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც კვლავ მოესურვება ვინმესთან დალაპარაკება მსგავს სიტუაციებში.*

მოძრავი თამაშების დრო -(11:50 – 12:20). დღეს მზიანი ამინდია, მაგრამ ცივი ნიავი უბერავს. ბავშვები აქტიურად და თავისუფლად თამაშობენ გარეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. 12 საათსა და 5 წუთზე ანა და ნინო მუყაოს რვა ნაჭერს იღებენ (თითოეული ნაჭრის ზომა დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრია). აღმზრდელები მუყაოს ნაჭრებს სათამაშო მოედნის გარშემო დააფენენ, შემდეგ სათამაშოდ უხმობენ ბავშვებს. თამაშში ერთვება ბავშვების ნახევარზე მეტი, დანარჩენებს კი თავისუფლად თამაში ურჩევნიათ. ამ თამაშში, რომელსაც *„კუნძულები“* ჰქვია, ბავშვები თვითმფრინავებს განასახიერებენ. მუყაოს ნაჭრები „კუნძულებია“, მათ გარშემო კი ”თვითმფრინავები” დაფრინავენ. ნინო მღერის სიმღერას. როდესაც ის სიმღერას შეწყვეტს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ”თვითმფრინავებს” უმთავრდებათ საწვავი და რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოახდინონ ”ავარიული დაშვება კუნძულებზე”. ”თვითმფრინავები” ერთმანეთს ეხმარებიან კუნძულებზე სწრაფად დაფრენაში. როდესაც ნინო თავიდან იწყებს სიმღერას, ეს იმის მანიშნებელია, რომ თვითმფრინავებმა აავსეს საწვავით ავზები და შეუძლიათ ფრენის გაგრძელება. ყოველ ჯერზე, როდესაც „ფრენა” განახლდება, ნინო იღებს ძირს დაფენილ ერთ მუყაოს ნაჭერს, ასე რომ „კუნძულების” რაოდენობა ყოველი ახალი „გაფრენისას” ერთით კლებულობს. ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ მხოლოდ ერთი მუყაოს „კუნძული” არ დარჩება. ბოლოს ყველა ბავშვი სიხარულით იცინის, თან ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი ადგილი მუყაოს „კუნძულზე” და სხვებსაც დაეხმაროს მასზე დადგომაში. ბავშვები სთხოვენ ნინოს თამაშის გაგრძელებას, მაგრამ ნინო პასუხობს, რომ თამაში ხვალ გაგრძელდება. სანამ ნინო ბავშვებს ართობს, ანა ბრუნდება ოთახში და ამზადებს მას მცირე ჯგუფებში მუშაობისთვის - ოთახში ყველაფერი მზად უნდა იყოს ბავშვების ეზოდან დაბრუნების დროისთვის.

კომენტარი: *თამაში ,,კუნძულები” ძალზე სახალისოა და ხელს უწყობს ჯგუფის ერთობის ფორმირებას. გასათვალისწინებელია შემდეგიც: მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს თამაშის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდათ, აღმზრდელი ამაზე არ დათანხმდა, თუმცა დაჰპირდა ბავშვებს, რომ სახალისო აქტივობას მეორე დღეს მიუბრუნდებოდნენ. ამგვარი საქციელით აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს ქცევის მართვას და სიამოვნების მიღების გადავადებას.*

ნინო: „ახლა დროა, დავბრუნდეთ ოთახში, მაგრამ ჯერ ჩამოკიდეთ ქურთუკები და გაიხადეთ ფეხსაცმელები, ანა გელოდებათ. შემდეგ იპოვეთ თქვენი გუნდის მაგიდა მცირე ჯგუფებში სათამაშოდ. თუ თქვენ წითელ ჯგუფში ხართ, მაშინ მოძებნეთ მაგიდა, რომელსაც რაიმე წითელი ნივთი ადევს. თუ მწვანე ჯგუფში ხართ, მაშინ მოძებნეთ მაგიდა მწვანე ნივთით. შეხედეთ თქვენი სახელის ბარათის ფერს, თუ არ იცით, რომელ ჯგუფში ხართ”.

მცირე ჯგუფებში მუშაობის დრო - (12:20- 12:40). ანამ ოთახის ერთ მხარეს განათავსა ორი მაგიდა თავისი სკამებით, ასეთივე ორი მაგიდა და სკამები კი ოთახის მეორე მხარეს დააწყო; მერე ერთ მაგიდაზე დადო წითელი პლასტმასის აგური, მეორე მაგიდაზე - წითელი ყუთი. ოთახის მეორე მხარეს დადგმულ ერთ მაგიდაზე ანამ დადო მწვანე ფანქარი, მეორეზე - მწვანე ფოთოლი. ანამ მაგიდაზე დააწყო სხვადასხვა სახის მასალები: გრძელ ზოლებად დაჭრილი გაზეთები და ჟურნალიდან ამოჭრილი გვერდი (თითო-თითო შეკვრა თითოეული სკამის გვერდით).

თამაშის დროს ნინო ხელმძღვანელობს წითელ ჯგუფს, ანა - მწვანე ჯგუფს. ჩვენ დავაკვირდებით ნინოსა და მის გუნდს.

ნინო: "მოდით, ახლა გავარკვიოთ, როგორ შეიძლება დაფრინავდეს ისეთი დიდი და მძიმე რამ, როგორიცაა თვითმფრინავი". ის ერთ-ერთ მაგიდასთან მსხდომ ბავშვებს სთხოვს, რომ ადგნენ ფეხზე, ქაღალდის გრძელი ზოლები თითებს შორის მოიქციონ და ჰაერში „გააფრინონ". საუბრის დროს ანა დასახელებული ქმედებების დემონსტრირებასაც ახდენს.

ანა: „შეხედეთ ქაღალდის ბოლოს და დააკვირდით, როგორ იწევა ის ზემოთკენ. ამას ჰქვია აწევა". ის ბავშვებს სთხოვს, რომ დასხდნენ, მოიწვიონ სხვა მაგიდის ბავშვები და ქაღალდები მათთან ერთად "გააფრინონ". როდესაც ყველანი მაგიდასთან სხდებიან, ნინო სთხოვს ბავშებს, თქვან სიტყვა „აწევა".

ნინო: "რაღაცის გაფრენას ორი ძალა სჭირდება - *აწევა და ბიძგი.* ბიძგი არის ძალა, რომელიც რაღაცას სწრაფად მოძრაობის საშუალებას აძლევს. თქვენი ქაღალდის ზოლებმა ბიძგი მიიღეს თქვენი მკლავებისა და სხეულის ძალიდან. ქაღალდის ზოლები ძალიან მსუბუქია და ამიტომ თქვენი ბიძგი საკმარისია. საიდან მოდის ის ბიძგი, რომლითაც თვითმფრინავი აფრინდება?"

ლიკა: "დიდი ძრავიდან!".

ნინო: "სწორია! როგორც წესი, თვითმფრინავებს აქვთ ორი ძალიან დიდი და ძლიერი ძრავა ორივე ფრთის ქვეშ".

ნინო (ბავშვებს განუმარტავს და თან მიუთითებს სურათზე გამოსახულ თვითმფრინავის ძრავებზე): "რაც უფრო მძიმეა თვითმფრინავი, მით უფრო დიდი ძრავები აქვს მას. რა ძალა ასწევს თვითმფრინავს მაღლა ჰაერში?". პასუხი არ არის.

ნინო: "შეხედეთ სურათს - ეს თვითმფრინავის ნაწილია".

ელენე: "ფრთები!".

ნინო: „დიახ! თვითფმფრინავის ტანთან შედარებით ფრთები ძალიან დიდი და მსუბუქია. ახლა ეს მითხარით, ამ სკამზე თუ დავამაგრებთ ფრთებს, სკამი გაფრინდება?"

რამდენიმე ბავშვი: „არა"

ნინო: "რატომ არა?"

ნია: „ის ძალიან მძიმეა".

ნინო: „მართალია. მას ძალიან დიდი ბიძგი სჭირდება იმიტომ, რომ ის მძიმეა. სკამს კი არა-

ნაირი ბიძგის მიცემა არ შეუძლია - მას არ აქვს ძრავა. მას ასევე არ აქვს კარგი ფორმა - სკამი არ არის თვითმფრინავივით წაგრძელებული და მომრგვალებული. თუ ჩვენს საფრენ ზოლებს ექნება ფრთები და წაგრძელებული ფორმა, მაშინ ისინი გააგრძელებენ ფრენას მას შემდეგ, რაც ჰაერში ავისვრით. ჩვენ მას მივცემთ გარკვეულ ბიძგს, ფრთები და ფორმა კი აწევს მას, ასე რომ ლენტი ცოტა ხნით შეძლებს ფრენის გაგრძელებას".

შემდეგ ნინო ჟურნალიდან ამოჭრილი მასალისგან ბავშვებს აკეთებინებს მარტივ ქაღალდის თვითმფრინავებს. ის სთხოვს ნანას, რომ ლიზის დაუჯდეს გვერდით და დაეხმაროს, თანაც შეახსენებს გოგონას, რომ ის თანაჯგუფელს მხოლოდ უნდა დაეხმაროს (და არ გაუკეთოს) თვითმფრინავის გაკეთებაში.

ნინო: „შუადღისას, როდესაც გარეთ გახვალთ, შეგიძლიათ გააფრინოთ ქაღალდის თვითმფრინავები. ერთად მოამზადეთ გეგმა იმისათვის, რომ გაარკვიოთ, ვისი თვითმფრინავი უფრო შორს გაფრინდება და შემდეგ მიჰყევით ამ გეგმას. ჩაწერეთ და დახატეთ, რა გააკეთეთ და როგორ გაფრინდა თითოეული თვითმფრინავი. შემდეგ შეგიძლიათ მე მიჩვენოთ და ვიმსჯელოთ ამაზე ხვალ, წრეში პირველი შეხვედრის დროს".

კომენტარი: *აღმზრდელები პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით ეხმარებიან ბავშვებს დასკვნის გამოტანაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების ფორმირებისთვის.*

ნინო (მიმართავს ნანას): „შენ შეგიძლია დარჩე აქ და გააკეთო შენი თვითმფრინავი იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიზის ეხმარებოდი. როდესაც მორჩები, შეგიძლია შემოგვიერთდე წიგნის კითხვის აქტივობაში".

კომენტარი: *აღმზრდელი აჯილდოებს და ხაზს უსვამს ნანას პროსოციალურ (=სხვისი დახმარებისკენ მიმართულ) ქცევას. ამგვარი სტრატეგიის გამოყენების შემდეგ დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნანა მომავალშიც დაეხმარება თანაჯგუფელებს.*

ლუკა დგება და ირჩევს, რა მეთოდი გამოიყენოს იმისთვის, რომ ხელების დასაბანად გავიდეს. ის გადაწყვეტს გამოიყენოს ტანსაცმლის ფერები და ამბობს: „თუ თქვენ გაცვიათ ლურჯი ფერის სამოსი, შეგიძლიათ გახვიდეთ ხელების დასაბანად". ბევრი ბავშვი დგება ერთდროულად.

ნინო (სწრაფად): „გთხოვთ გაჩერდეთ და მშვიდად დაუბრუნდეთ თქვენს ადგილებს. გმადლობთ". როდესაც ყველა დასხდება, წყნარად ამბობს, „ვიფიქრე, რომ თუ ამდენი ბავშვი ერთად ადგებოდა და დაიწყებდა გასვლას, შეიძლებოდა ვინმე დაშავებულიყო. ლუკა, თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გაიმეორე, მაგრამ დააკონკრეტე ასევე ტანსაცმელი და მისი ფერი. მაგალითად, მაისური, შარვალი ან ფეხსაცმელი. ამ შემთხვევაში ყველა ბავშვი ერთად არ დაიწყებს მოძრაობას".

ლუკა: “თუ თქვენ ლურჯი ფეხსაცმელი გაცვიათ, მაშინ შეგიძლიათ გახვიდეთ“.

ანა: “ძალიან კარგი”. ანა ეხმარება მას სხვა იდეების მოფიქრებაში: „პირველ რიგში, მოიფიქრე ის ფერი, რომელიც ჯერ არ გითქვამს . . ახლა რომელი ტანსაცმელი გინდა რომ აირჩიო?“

კომენტარი: *აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს ქცევის მართვასა და რიგითობის დაცვაში.*

ხელების დაბანა სადილამდე. ბავშვები რიგში დგებიან ხელების დასაბანად. სხვა ბავშვები წრეში იცდიან, ათვალიერებენ დიდ წიგნსა და სხვა წიგნებს. ანა ხელმძღვანელობს ხელების დაბანის პროცესს და ეხმარება ბავშვებს ხელების საპნით დაბანაში. ზოგიერთი ბავშვი ხელის დაბანისას მღერის იმ სიმღერას, რომელიც მათ წლის დასაწყისში ასწავლეს: “მე ხელს ვიბან, ვიბან ხელს, ვატრიალებ, ვიხეხავ, ზემოდან და ქვემოდან ვიხეხავ და ვიხეხავ, სანამ ჭუჭყი გაქრება, მე ხელს ვიბან, ვიბან ხელს...“. ხელების დაბანისა და გამშრალების შემდეგ ბავშვები მიდიან თავიანთ მაგიდებთან, რომლებზედაც უკვე აწყვია გამზადებული სადილი.

სადილი-(12:40–13:10). ისევეროგორც საუზმის დროს, აღმზრდელი და თანაშემწე თავისუფლად ესაუბრებიან ბავშვებს და მსჯელობენ იმ საკვების შესახებ, რომელსაც მიირთმევენ. როდესაც ყველა დაასრულებს ჭამას, ბავშვები ურნაში ყრიან ნარჩენებს და კალათში აწყობენ საკუთარ თეფშსა და დანა-ჩანგალს. შემდეგ ბავშვები მიდიან წრეში შეხვედრის ადგილთან, სადაც ანა დგას.



მუსიკა/ცეკვა/რიტმიკა - (13:10 -13:35). როდესაც წრეში რამდენიმე ბავშვი შეგროვდება, ანა შეეკითხება მათ, რომელი სიმღერის შესრულება სურთ. ორ ბავშვს უნდა „სიმღერა გემზე“, მაშინ როდესაც სხვა ბავშვი ითხოვს სიმღერას „ცხენებზე“. ანა ამ სურვილებს დიდ ფურცელზე წერს ვერტიკალურად. შემოდიან სხვა ბავშვებიც. ანა ყველა შემოსულს სთხოვს სასურველი სიმღერის დასახელებას დაფურცელზე წერს მათ ნათქვამს. აი, უკვე ყველა ბავშვი შემოვიდა და ყველამ დაასახელა მისთვის სასურველი სიმღერა ანა: „მოდით, ხმა მივცეთ (კენჭი ვუყაროთ) იმ სიმღერას, რომელსაც დღეს შევასრულებთ“. ის კითხულობს ბავშვების მიერ დასახელებულ ყველა სიმღერას. ანა: „მე ახლა ყველა სიმღერას სათითაოდ თავიდან წავიკითხავ. როდესაც ამოვიკითხავ თქვენთვის სასურველ სიმღერას, ადექით ფეხზე, მე კი ჩავიწერ თქვენს სურვილებს ამ ცხრილში. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ ერთი სიმღერა, ასე რომ კარგად დაფიქრდით არჩევანის გაკეთებამდე“. ანა ავლებს ჰორიზონტალურ ხაზს, რომლის ქვემოთ ხატავს გემსა და ცხენს. ამის შემდეგ ბავშვებს სთხოვს დაასახელონ, თუ რომელი სიმღერა ურჩევნიათ. დასახელების დროს ანა თითოეული სიმღერის სათაურის ნიშნის ზემოთ

წერს იმ ბავშვების სახელებს, რომლებმაც აირჩიეს ეს სიმღერა. მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი დაასახელებს სასურველ სიმღერას, მთელი ჯგუფი ერთად ითვლის, რამდენი ბავშვია მითითებული თითოეულ სიმღერასთან ანა: „სალომე, მოდი ახლოს და გვაჩვენე, რამდენ ბავშვს უნდა სიმღერა გემზე და რამდენს - ცხენზე“. სალომე ცოტა დაბნეული უყურებს ნახაზს და უთითებს ერთნაირ ციფრებს. ანა: „დიახ სალომე, ორივე სიმღერას თანაბარი რაოდენობის ხმები აქვს მიღებული. თითოეულმა სიმღერამ მიიღო ხუთ-ხუთი ხმა, ასე რომ ჩვენ მოგვიწევს ორივე სიმღერის შესრულება“. ბავშვები ორ სიმღერას ასრულებენ.

კომენტარი: *აღმზრდელი ბავშვებს ასწავლის არჩევანის გაკეთების მნიშვნელობას, შეთანხმებას, მოლაპარაკებას და სხვების აზრის პატივისცემას, ის იმავდროულად ზრუნავს ბავშვების რაოდენობრივი წარმოდგენების ფორმირებაზეც.*

შემაჯამებელი შეხვედრა წრეში (13:35-14:00)

მას შემდეგ, რაც ბავშვები შეასრულებენ სიმღერას, ნინო ამბობს: - ფრენისათვის ორი რამ არის საჭირო. გიორგი, შეგიძლია დაასახელო ერთ-ერთი მათგანი?

გიორგი: -”ფრთები!”

ნინო: „დიახ, აფრენისთვის ფრთებია საჭირო. მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ ერთ რამეზე: ვერტმფრენს შეუძლია ფრენა, თუმცა ფრთები არ აქვს, ეს მაგიდა კი, თუნდაც ფრთები გავუკეთოთ, მაინც ვერ იფრენს. მე ვფიქრობდი რაღაც ძალაზე, რომელსაც ჩვენ უფრო შევიგრძნობთ, ვიდრე ვხედავთ. გიორგის დასახმარებლად ყველა ადექით და გაიმეორეთ, რასაც მე გავაკეთებ ხელებით“. ნინო ჯერ გვერდზე შლის ხელებს, მერე ზემოთ წევს მათ (ხელისგულებიც ზემოთკენ აქვს მიმართული) და ცდილობს სულ უფრო და უფრო მაღლა აწიოს ხელები. ბავშვები იმეორებენ ნინოს ქმედებებს. ნინო უყურებს გიორგის და ამბობს: „საჭირო სიტყვა იწყება ასო „ა“-დან“.

გიორგი: „აწევა!”

ნინო: „დიახ! აწევა არის ძალა, რომელიც რაღაცას ჰაერში წევს. საბა, რა არის მეორე ძალა?“

საბა: „ბიძგი”.

ნინო: „შესანიშნავია! შეგიძლია რაიმე გვითხრა ბიძგის შესახებ ან, უბრალოდ, გვიჩვენო ბიძ-გი?“ საბა მაღლა წევს ხელებს და აკეთებს ისეთ მოძრაობას, თითქოს ბურთს ისვრის.

ნინო: „კარგია! ბიძგი არის ძალა, რომლითაც რაღაც სწრაფად მოძრაობს. ახლა, მოდით, განვა-სახიეროთ ბიძგი ჩვენი ხელებით, ოღონდ ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენ წინ და უკან არავინ დგას”.

ბავშვები ისე ამოძრავებენ ხელებს, როგორც ბურთის სროლის დროს.

ნინო: „გახსოვთ, რა უნდა გაგვეკეთებინა შუადღეს ქაღალდის თვითმფრინავებით?“

ილიკო: „შორს უნდა გაგვეშვა”.

ნინო: „დიახ, მაგრამ ჯერ უნდა შეიმუშაოთ გეგმა, რომლითაც დაადგენთ, ვისი თვითმფრინავი უფრო შორს გაფრინდება. შემდეგ გააფრენთ თქვენს თვითმფრინავებს და გაზომავთ მანძილს. თუ საჭირო იქნება, უფროსს სთხოვეთ დახმარება”.

ანა: “დღეს ჩვენ ვისაუბრეთ საკლასო ოთახში მოქცევის წესებში ერთი წესის დამატებაზე. ამ წესის მიხედვით „ყველას შეუძლია ყველასთან თამაში ***ნებისმიერ დროს.*** იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაში უკვე მთავრდება, სხვას მაინც უნდა მივცეთ მონაწილეობის საშუალება. გთხოვთ, დღეს იფიქროთ ამ საკითხზე, რადგან ხვალ უნდა ვისაუბროთ და გადავწყვიტოთ, შევცვალოთ თუ არა ეს წესი“.

კომენტარი: *აღმზრდელები ბავშვებს ეხმარებიან ახალი ცოდნის განმტკიცებაში.*

ანა (აგრძელებს): „დღევანდელი დავალებების ცხრილში ვხედავ, რომ ლიზი და ლაზარე არიან „მიმომხილველები“. ლიზი, გვითხარი, დღეს რაც დაინახე ან გააკეთე, მათგან ყველაზე მეტად რა მოგეწონა ან რამ გაგახარა?“

ლიზი: „ნანა იყო ჩემი მეგობარი”.

ანა: „დიახ, მე დავინახე, რომ შენ და ნანამ ერთად გააკეთეთ თვითმფრინავი“.

ნანა: „კი მაგრამ, ლიზი, მე შენი მეგობარი ვარ ყოველდღე!”

ანა: „დიდი მადლობა, ლიზი და ნანა. მე მგონია, რომ დღეს თქვენმა მეგობრობამ ლიზი განსაკუთრებით გაახარა. ლაზარე, ახლა შენ გვითხარი, ყველაზე მეტად რა მოგეწონა დღეს ნანახიდან ან გაკეთებულიდან?“

ლაზარე: „წიგნი პატარა და დიდი თვითმფრინავების შესახებ. მართლაც ძალიან დიდი იყო. თან ეს წიგნი მასწავლებელმა გააკეთა. მე ის ძალიან მომწონს“.

ნინო: „ლაზარე, ძალიან მიხარია, რომ მოგწონს. დიდი მადლობა. ახლა ცოტას დაისვენებთ და ხვალ კიდევ შევხვდებით. ანა კიდევ ცოტა ხანს დარჩება თქვენთან. მოდით, დღევანდელი შეხვედრა დავასრულოთ სიმღერით „ბატონი ნიანგი“ (ჯგუფში ერთობლივად მოგონილი სიმღერა). როდესაც ბავშვი დაასრულებენ სიმღერასა და თითებით თამაშს, ნინო ამბობს: „როგორც ყოველთვის, მოიქეცით ფრთხილად იყავით კეთილი და .... იმხიარულეთ!“ (ყველა ერთხმად ყვირის „იმხიარულეთ!“).

როდესაც სასკოლო მზაობის პროგრამის დღე (4 საათი) დასრულდება, ნინო სახლში წასვლამდე ემზადება მომდევნო დღისთვის, რისთვისაც მას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდება. ნინო ასევე ათვალიერებს ციფრულ ფოტოებს, რომლებიც პროექტებზე მუშაობისას გადაიღო და დაგეგმავს საგამოფენო დაფისთვის ფოტოების გამზადებას.

კომენტარი: *აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს დღის შეჯამებაში; იგებენ, რა მოეწონათ ბავშვებს ყველაზე მეტად, რაც მათ დაეხმარება მომდევნო დღის დაგეგმვაში. ბავშვების გაცილების შემდეგ აღმზრდელი სათანადოდ ემზადება მომდევნო დღისთვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.*

სასკოლო მზაობის ჯგუფის რესურსები

ოთახში, ეზოსა და სპორტულ დარბაზში გამოსაყენებლად რეკომენდებული რესურსები

შენიშვნა: სიაში წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი საგნები/ნივთები. რეკომენდებულია მისი შევსება იმ მრავალი სხვა რესურსით, რომლთაც დაწესებულებების ადმინისტრაცია და/ან აღმზრდელები დამატებით შექმნიან.

სასწავლო-სათამაშო რესურსები (ერთ ჯგუფზე)

- დიდი ზომის ხის კუბების (ბლოკების) ნაკრები;

- ხის კუბურების ნაკრები;

- ბარათებისა და კუბურების ნაკრები კანონზომიერებებისა და თანამიმდევრობების დასადგენი აქტივობებისთვის;



- ფერადი და გამჭვირვალე მძივების, თასმებისა და სხვა მსგავსი მასალების ნაკრები ხელგარჯილობისა და სხვა აქტივობებისათვის;
- ხისა და კორპის დაფები ბავშვების ნამუშევრების გამოსაფენად;
- მოზაიკა;
- ბუნებრივი მასალების ნაკრები – ქვები, ნიჟარები, გირჩები და სხვა;

- საბავშვო ლიტერატურა (საბავშვო ლექსების, მოთხრობებისა და ზღაპრების კრებულები, საბავშვო ენციკლოპედიები და ა.შ.);

- თოკები და საქსოვი ძაფები;

- თითებისა და ხელის თოჯინები;
- ხის ასაწყობი ფაზლები (10-100- ნაწილიანი);
- უღლიანი (თეფშებიანი) სასწორი;
- ლეგოსა და სხვა კონსტრუქციული სათამაშოების ნაკრებები;
- სამაგიდო თამაშები (ლოტო, „ფაზლი“,დომინო და სხვ.);
- დიდი ზომის კამათლები;
- სხვადასხვა ტიპის საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ნივთები როლური თამაშებისთვის (მაგ.: ძველი მობილური ტელეფონები და პულტები ბატარეების გარეშე, ქვაბები და სხვ.);
- ლუპები;
- მაგნიტები;

- მუსიკალური სათამაშოები;

- საკრავები (შესაძლებლობის მიხედვით);
- მუსიკალური ცენტრი ან პორტატული კომპიუტერი და პროექტორი;
- ქვიშის საათი (2- ან 3-წუთიანი);

ხარჯვადი მასალები

- საბავშვო მაკრატლები – ბლაგვი დაბოლოებითა და ბასრი/მჭრელი პირით (მინიმუმ 10 ც.);
- სახვრეტელა უფროსებისთვის;
- სტეპლერები უფროსებისთვის;
- მაკრატელი უფროსებისთვის;
- სუფთა სამუშაო ფურცლები’
- სხვადასხვა ტიპის ქაღალდი (გაზეთი, „კალკის“ ქაღალდი და სხვ.);
- გამჭვირვალე ქაღალდზე გადასაკრავი ან ლამინირების აპარატი უფროსებისთვის;

- ფერადი ფურცლები;
- ხის და სხვა მასალის ნარჩენები, ნაწილები (წვეტიანი/მჭრელი კუთხეების გარეშე);
- სუფთა მეორადი მასალები (პლასტმასის ბოთლები, სხვადასხვა ზომის ყუთები, კონ-ტეინერები და სხვ.);
- მარკერები;
- ფერადი პასტელები;
- კალმები და ფანქრები;
- ფერადი ფანქრები;
- წებო;
- აკვარელის, გუაშის საღებავები;
- ტემპერა ან აკრილის საღებავები;
- სხვადასხვა ტიპის ფუნჯები;
- სხვადასხვა ფერის ცარცი;
- საძერწი თიხა;
- წებოვანი სტიკერები;
- სკოჩი.

დეკორი და ხის მყარი ავეჯი

- მაგიდები და სკამები ბავშვებისთვის (თითოეულ ბავშვზე გათვლით);
- 4-5 ცალი დასადგამი თარო (სასურველია ბორბლებიანი);
- პლაკატები, ფოტოები და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები;
- ოთახის მცენარეები, პატარა ქოთნები და ნიჩბები (მცენარეებთან დაკავშირებული აქ-ტივობებისთვის);
- ბავშვის ზომის მოლბერტი;

- კარადა საკეტით (პირველადი დახმარების ყუთისთვის და სხვა მასალებისთვის);
- რამდენიმე მცირე ზომის და ერთი დიდი ზომის ხალიჩა/საგები;
- ტანსაცმლის საკიდი.

მასალის შესანახი რესურსები

- სხვადასხვა ზომის კონტეინერების ნაკრები;
- დაბალი კალათები;

- კონტეინერები დახარისხებისთვის (მაგ., კვერცხის კონტეინერები და სხვ.);

- ფაზლების, ნამუშევრების შესაწყობი თარო;

საჭირო რესურსი ეზოსთვის ან სპორტული დარბაზისთვის (მისი არსებობის შემთხ-ვევაში)

დიდი ზომის ინვენტარი:

- გადასახტომი, გადასაძრომი, გასაძრომი, ასაძრომი მოწყობილობები;
- ქვიშის მოედანი/ყუთი;

მცირე ზომის ინვენტარი:

- ქვიშაში სათამაშო ინვენტარი: ნიჩბები, ფოცხები, სხვადასხვა სახის ფორმები და სხვ.;
- სარწყავები;
- სხვადასხვა ზომის ბურთები;
- ჰულაჰუპები.

გამოყენებული ტერმინების განმარტება

აქტივობა - დროის განსაზღვრულ, შედარებით მცირე პერიოდში განხორციელებული საქმიანობა; აქტივობა შესაძლებელია იყოს როგორც ზედმიწევნით ორგანიზებული (მაგალითად, ქაღალდის თვითმფრინავების დამზადება და გამოცდა), ისე სრულიად თავისუფალი და შემოქმედებითიც (მაგალითად, თავისუფალი ხატვა).

თემა - სასკოლო მზაობის პროგრამის შინაარსის ორგანიზების ფორმა. ეფექტური თემის შერჩევა ხდება ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე. თითოეული თემა ემსახურება ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და სწავლას.

თემატური მიმართულება - პროგრამის შვიდი შინაარსობრივი მიმართულება (თემატური მოდული): (1) ბუნება და ფიზიკური სამყარო, (2) სოციალური და კულტურული სამყარო, (3) რაოდენობრივი წარმოდგენები, (4) მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება, (5) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, (6) საშესრულებლო ხელოვნება, (7) ჯანმრთელობა და ჰიგიენა.

ინტერაქტიული აქტივობა («inter» - ურთიერთ «act» - ქმედება) – აქტივობის ტიპი, რომელიც მოიაზრებს თანამშრომლობას როგორც ბავშვსა და აღმზრდელს, ისე ბავშვებს შორის. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენებისას სწავლის პროცესში დომინანტური როლი ბავშვს აკისრია.

კულტურული შესაბამისობა - სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესაბამისობა ბავშვების ოჯახურ, კულტურულ ტრადიციებთან და მშობლიურ ენასთან. კულტურულად შესაბამისი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ ბავშვებმა კომფორტულად, დაცულად იგრძნონ თავი და ამასთანავე არ ჰქონდეთ უპირატესობის შეგრძნება საკუთარი იდენტობის გამო.

მაღალი დონის სააზროვნო უნარები - ლოგიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება თვალსაჩინო-პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით.

პროექტი - საქმიანობა, რომელიც ტარდება შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში. იგი მოიცავს მრავალ აქტივობას, რომელთა შედეგად იქმნება მნიშვნელოვანი პროდუქტი. პროექტები კარგი საშუალებაა სხვადასხვა თემატური მიმართულების ინტეგრირებული სწავლებისათვის, ბავშვთა უნარების განვითარებისთვის, მათ ქცევასა და უნარებზე დაკვირვებისთვის, ასევე ბავშვების მიერ შექმნილი ნამუშევრებისა და მიღწევების დოკუმენტირებისთვის ფოტოების, ვიდეოებისა და ჩანაწერების საშუალებით. აღმზრდელები გეგმავენ პროექტის საბოლოო პროდუქტს, მაგრამ შეუძლიათ მისი შეცვლა, თუ ბავშვებს სხვა პროდუქტზე მუშაობა ურჩევნიათ.

რესურსები „თავისუფალი ნაწილებით“ - მასალა, რომელსაც არ გააჩნია ერთი კონკრეტული ფუნქცია და/ან რომლის გამოყენება შესაძლებლია მრავალი სხვადასხვა გზით.

ეს შეიძლება იყოს როგორც ძალიან პატარა ნივთები (სხვადასხვა სახის პატარა შუშის ან სხვა მასალის ბურთულები/ მძივები, სხვ.), ისე დიდი ზომის ნივთები (სხვადასხვა სიგრძის ხის დაფები როლური თამაშებისთვის, სხვ.).

როლური თამაში - სოციალური წარმოსახვითი თამაში, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოიდგინოს საკუთარი თავი კონკრეტულ როლში და შესაბამისად მოირგოს იგი. წარმოსახვა ეფუძნება ამბავს, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ და თან იგონებენ სიუჟეტს.

რუტინული აქტივობები - აქტივობები, რომლებიც ყოველდღიურად სრულდება და მნიშვნელოვანია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის. რუტინული აქტივობებია: ჯგუფში მიღება, კვება, დასვენება, ჩაცმა, ხელის დაბანა და სხვ.

სასკოლო მზაობის ჯგუფი - ჯგუფი, რომელშიც ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა. ჯგუფში ჩართული არიან წინასასკოლო ასაკის ბავშვები (არა უმეტეს 25 ბავშვისა); ჯგუფში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვებიან აღმზრდელი და თანაშემწე.

საქმიანობა - თემასთან დაკავშირებული, თამაშზე ან თამაშის ელემენტებზე დაფუძნებული აქტიური და ინტერაქტიული საქმიანობა. საქმიანობების ტიპებია: აქტივობები, წესებიანი თამაშები, როლური თამაშები და პროექტები. საქმიანობები ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას და ბავშვებს შორის თანამშრომლობას.

სკაფოლდინგი- (ინგლ. სიტყვასიტყვით: *„ხარაჩოების შეყენება“*) ბავშვისთვის დახმარების გაწევა იმ მიზნით, რომ მან უფრო ეფექტურად გააკეთოს ის, რაც თავად სურს ან შეასრულოს დავალება, რომელიც უფრო დახვეწილ და რთულ უნარებს მოითხოვს მისგან (და არა ის დავალება, რომლის შესრულებაც მას დამოუკიდებლადაც შეუძლია).

სპონტანური სასწავლო სიტუაციები - გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად წარმოქმნილი სიტუაციები, რომლებიც ხელსაყრელ შესაძლებლობებს იძლევა სწავლა-სწავლებისთვის.

უნივერსალური დიზაინი - გარემოს წინასწარი ორგანიზება და საქმიანობების დაგეგმვა ისე, რომ თითოეულ ბავშვს მიეცეს აქტივობებში სრულად ჩართვის საშუალება.

ფონემური ცნობიერება - სამეტყველო ნაკადში სიტყვების, მარცვლების, ბგერების გამოყოფის უნარი.

შესაბამისობა - პროგრამის ყველა ასპექტის (პროცესის დაგეგმვა, ფიზიკური გარემოს მოწყობა, აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, აქტივობების განხორციელება, აღმზ-

რდელის ქცევა და ა.შ.) მორგება თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე.

წესებიანი თამაში - საქმიანობა, რომელსაც აქვს ლოგიკური დასაწყისი და დასასრული და, როგორც წესი, გულისხმობს წაგებულ და მოგებულ მხარესაც. თამაში ორ ან მეტ ბავშვს შორის ინტერაქციას მოიცავს. წესებიანი თამაშის დროს ხშირად გამოიყენება კონკრეტული თამაშისთვის საჭირო სპეციალური მასალა (მაგ. ბურთები, კამათელი, ბარათები რიცხვებით, სურათებიანი ბარათები და ა.შ.). წესებიან თამაშებს მიეკუთვნება როგორც სპორტული თამაშობები, ისე სამაგიდო თამაშები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაკელია ნ., მ. ანჯაფარიძე, თ. ბაქრაძე, ი. ქირია, ნ. კეპულაძე, ა. ლოსაბერიძე, ი. მაისურაძე, ე. ღვინერია, ნ. ცინცაძე (2011). ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. ბაქრაძე თ., ა. ჯანელიძე, ნ. ჯიჯავაძე. (2012). თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. მშობლის და აღმზრდელის წიგნი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.

3. ბერძენიშვილი თ., მ. ხერხეულიძე, ნ. მელაძე, ე. კანდელაკი, ნ. ლაბარტყავა, ი. აფთარაშვილი (2013). *ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები*. თბილისი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო *(მეორე გამოცემა)*.

4. ბესელია ნ., პ. პაპავა. (2011). წიგნიერება დაწყებით კლასებში. ნორვეგის ლტოლვილთა საბჭო. თბილისი.

5. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.(1989) http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf *(ჩამოტვირთულია 15/06/15).*

6. გელაშვილი ნ. (1984). *წინწკლებიანი მუსტანგი და პატარა წვიმა*. ნაკადული, თბილისი.

7. მექვაბიშვილი ლ., ნ. მჭედლიძე, ლ. რუსია.(2002). დიდაქტიკური თამაშები ბაღში. თბილისი.

8. ოქროპირიძე, ნ. (1985) ფანტაზია და მარჯვე ხელები. გამომცემლობა „განათლება".

9. ოქროპირიძე, ნ. (2012) ხატვა და მარჯვე ხელები.

10. პაჭკორია თ., თ. ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი. (2009). ინკლუზიური განათლება. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი.

11. საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი (2002). ქრესტომათია სკოლამდელთათვის.

12. საქართველოს პარლამენტი (2010). საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ, მუხლი 10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1160150*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

13. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება N 152/ნ - N496 –N45/ნ. (2010, 31/05). *ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.*

14. სტოლბერგი, ჯუდი როთშილდ და ელენ რ. დანიელსი(2010) შევქმნათ ბავშვზე ორიენ-ტირებული სასწავლო მასალები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. თბილისი.

15. ჰანსენიკ.ა., რ. კ.კაუფმანი, კ.ბ.უოლში (2010). შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფე-ბი. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისთვის. თბილისი.

16. Фопель, К. (1998) Как научить детей сотрудничать? Психологические игры и упражнения: Практическое пособие: Т. 1.— М.: Генезис.

17. Académie Grenoble. Créer des images animées. www.ac-grenoble.fr/ien.cluses/IMG/pdf_Netia59a-aclille.pdf*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

18. American Pre-school Association (2005), Smile smarts. An oral health curriculum for pre-school. http://www.nj.gov/health/fhs/oral/documents/smilesmarts_curriculum.pdf*(ჩამოტვირთულია 07/06/15)*

19. Australian Government Department of Education, Employment and Workplace Relations for the Council of Australian Governments (2009). *Belonging, Being and Becoming*. The Early Years Learning Framework for Australia. https://docs.education.gov.au/system/files/doc/other/belonging_being_and_becoming_the_early_years_learning_framework_for_australia.pdf*(ჩამოტვირთულია15/06/15)*

20. Bergstein C. D. (2011). Footprints in the Snow: A Movement Exploration Inspired by Winter. [Blog Post]. Pre+K Sharing. http://prekandksharing.blogspot.com/2011/12/footprints-in-snow-movement-exploration.html*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

21. Buchanan. M. Painting the Music. Classroom Lesson Plans. http://www.childdrama.com/paintmusic.html*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

22. ChildDrama.ClassroomLessonPlans.http://www.childdrama.com/lessons.html*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

23. Curtis, A., O'hagan M. (2009).*Care and Education in Early Childhood. Routledge.*

24. Dodge D.T., Colker J.L., Heroman C. (2007). *The Creative Curriculum for Preschool.Teaching Strategies*.

25. Dora W. C, Nimmo J, and H. Fraser. (2009). Becoming a Culturally Responsive Early Childhood Educator: A Tool to Support Reflection by Teachers Embarking on the Anti-Bias Journey. *Multicultural Perspectives*, *11*(2), 101–106. The National Association for Multicultural Education.

26. Early Childhood Advisory to the Massachusetts Board of Education Council. (2003). Guidelines for Preschool Learning Experiences. http://www.eec.state.ma.us/docs1/curriculum/20030401_preschool_early_learning_guidelines.pdf*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

27. Educatall.com. Theme and Activity. Educational Activity Planning by theme: games, crafts, coloring pages, stories, songs & rhymes, and printable activities. http://www.educatall.com/Archives.html*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

28. Educatout. Activité/Thème: Chapeaux. http://www.educatout.com/activites/themes/les-chapeaux.htm*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

29. Educatout.Enfants à besoins particuliers. www.educatout.com/edu-conseils/enfants-besoins-particuliers/index.html*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

30. Enchanted Learning. "Snowflake Bingo" http://www.enchantedlearning.com/bingo/letters/snowflake/*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

31. Filler, J., Yaoying Xu. (2006). Including Children with Disabilities in Early Childhood Education Programs: Individualizing Developmentally Appropriate Practices. *Childhood Education*. 83:2, 92-98.

32. Håndhygiene. Lek and Lær forenkler hygiene.http://www.tork.no/Global/4_NorthWest/Norway/6_Media%20bank/Barnehage%20kampanje/H%C3%A5ndhygiene%20Magasin.pdf*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

33. Helm, J.H., & Katz, V. (2011). Young Investigators. The Project Approach in the Early Years. New York. Teachers College Press & National Association for the Education of Young Children (NAEYC).

34. Huffman, P.D., ''Look What I Did!''. Why Portfolio-Based Assessment Works. Early Childhood News. The Professional Resource for teachers and parents. http://www.earlychildhoodnews.com/earlychildhood/article_view.aspx?ArticleID=495*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

35. Le cinema d'animation a l'ecole primaire. http://www.fousdanim.org/defis/09/*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

36. Massachusetts Department of Public Health (2009), Growing healthy smiles in the child care setting. http://www.mass.gov/eohhs/docs/dph/com-health/oral-grow-healthy-smiles-child-care.pdf*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

37. McCormick, L., M. Wong & L. Yogi. (2003). Individualization in the Inclusive Preschool: a Planning

Process. *Childhood Education*, 79:4, 212-217.

38. Ministry of Education. (2011). The Full-Day Early Learning Kindergarten Program (Draft) 2010-2011. Ontario. https://www.edu.gov.on.ca/eng/curriculum/elementary/kindergarten_english_june3.pdf*(ჩამოტვირთულია15/06/15)*

39. Morrison, G.S. (2007). Fundamentals of Early Childhood Education. Prentice Hall.

40. National Council for Curriculum and Assessment. Supporting Learning and Development through Assessment. http://www.ncrel.org/sdrs/areas/issues/students/earlycld/ea5l141a.htm*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

41. National Centre of Deaf-Blindness, *Literacy For Persons Who Are Deaf-Blind*, 2005, https://nationaldb.org/library/page/1935*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

42. New England Center Deaf-blind Project - *In Touch*. (2008).http://www.perkins.org/assets/downloads/clearinghouse/nec0208.pdf*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

43. Norsk Kunnskapsdepartementet(2006),Rammeplan for barnehages innhold og oppgaver. https://www.regjeringen.no/globalassets/upload/kilde/kd/reg/2006/0001/ddd/pdfv/282023-rammeplanen.pdf*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

44. PreK+K Sharing. 10 summer stay"cations" on a budget. http://www.prekandksharing.blogspot.com*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

45. Singer, E. (2013). Play and playfulness, basic features of early childhood education. *European Early Childhood Education Research Journal 21* (2), 172-184.

46. Stewart, D.J. (2013) National dental health month. Lets brush our teeth. http://www.teachpreschool.org/2013/02/brushing-teeth/*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

47. Tarr, P. (2004). Consider the Walls. Beyond the Journal. Young children on the Web. http://www.naeyc.org/files/yc/file/200405/ConsidertheWalls.pdf*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

48. The Task force on Children's Learning and the Arts: Birth to Age Eight., Sara Goldhawk. (1998). Young Children and the Arts: Making Creative Connections. http://www.artsdel.org/ArtsEducation/YoungChildren.pdf*(ჩამოტვირთულია 08/06/15)*

49. Thrive 360 Living. 150+ Screen free activities for kids. http://www.thrive360living.com*(ჩამოტვირთულია 15/06/15)*

50. Whitebread, David,Coltman Penny (2008). *Teaching and Learning in the Early Years . Routledge .*

51. White Jan. (2008) *Playing and Learning Outdoors. Routledge.*
52. Wilhelmsen, T. (2012), Tannpuss en del av livet i Barnehage. Særtrykk.